საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№04 (286)
4 - 10 თებერვალი, 2015
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

პარლამენტი მორიგ ანტიქართულ კანონპროექტს ამტკიცებს 9

# კოლონიზაციის ანაბანა

«საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ამერიკელების მუდმივი მეთვალყურეობის რეჟიმში იმუშავებს»

«სუვერენიტეტის უმნიშვნელოვანესი ასპექტების განხორციელების სტრატეგიას სხვა სახელმწიფო (იგულისხმეთ აშშ) პირდაპირ წარმართავს»

«ამაზე მეტი რა უნდა თქვას სხვა ქვეყნის წარმომადგენელმა, რომ მიგვახვედროს — თქვენი თავი თქვენ არ გეკუთვნით, ჩვენ რასაც გიბრძანებთ (ვისაც გინდათ, ამას «რჩევა» უწოდეთ), ის უნდა გააკეთოთო?»



4



«როგორც კი ნატოს საწვრთნელი ბაზები ამუშავდება, რუსეთი მაშინვე დაგვარტყამს, ამერიკა კი, ალბათ, პამპერსებს ჩამოგვიტანს, როგორც 2008 წელს» 10

## «ჩვენ სახელმწიფო არ ვართ, საქართველო მევახშეებისა და მეზღაპრეების ქვეყანაა!» 12

## კარგი, ცუდი, ბოროტი ბიძინა, ანუ ორი კითხვა და კიდევ ერთი მილიარდი

6




## ნორლანდი ნულანდთან ახლოს ვარდება

უშიშროების გენერალი სპეცსამსახურების აგენტების, რეზიდენტებისა და აშშ-ის ელჩის განცხადების შესახებ საუბრობს 8



«აშშ-ის ელჩი რომ აცხადებს, — ისინი ჩვენი «მნიშვნელოვანი პარტნიორები» არიანო, ჩემი აზრით, სხვა არაფერია, თუ არა, აღიარება, რომ, პირველი — ისინი აშშ-ის სპეცსამსახურების მიერ ფინანსდებიან; მეორე — ამ სპეცსამსახურების აგენტები არიან და მათ დავალებებს ასრულებენ. ბატონი ნორლანდის განცხადება შეიძლება ასე გაიშიფროს»

«შტატებზე ისე ვართ დამოკიდებული, თბილისში რომ დააცემინო, ვაშინგტონში,— იცოცხლეო,— გეტყვიან; ან — ეშმაკსაც წაუღიხარო! ყველა ინფორმაცია ყველა ფაქტზე, რომელიც კი საქართველოში მოხდება, ელვის უსწრაფესად მიდის ვაშინგტონში. ყველაფერი ჩვენზე უკეთესად იციან და უკეთ აქვთ გაანალიზებული»

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# იურიდიული პირებისთვის გაზის ტარიფი გაიზარდა

**პურის ქარხნებს ბუნებრივი აირის შეღავათიანი ტარიფი შეუნარჩუნდებათ**

**2015 წლის 1 მარტიდან თბილისში იურიდიული პირებისთვის გაზის ტარიფი 15 თეთრით გაიზრდება. განაცხადა კომპანია „ყაზტრანსგაზთბილისის" საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა ეკა სარიამ.** „გამომდინარე იქედან, რომ გაზს მომწოდებლისგან დოლარის კურსის შესაბამისად ვყიდულობთ და ვყიდით ლარში, იძულებული გავხდით, კურსის ცვლილების გამო, 15 თეთრით გავეზარდა ტარიფი, ოღონდ მხოლოდ იურიდიული პირებისთვის", — განაცხადა ეკა სარიამ. დღეს 1 კუბური მეტრი გაზის ტარიფი 75 თეთრს შეადგენს, 1 მარტიდან კი 90 თეთრი გახდება.

**P.S. ენერგეტიკის მინისტრის მოადგილის — მარიამ ვალიშვილის განცხადებით, პურის ქარხნებს ბუნებრივი აირის შეღავათიანი ტარიფი შეუნარჩუნდებათ.**






## გოგა ჟვანია:
# პირები, რომლებიც წინა ხელისუფლების დროს დანაშაულს სჩადიოდნენ, ახლაც სერიოზულ თანამდებობებზე არიან

**ყოფილი პრემიერმინისტრის — ზურაბ ჟვანიას ძმა გოგლა ჟვანია ხელისუფლებას სასამართლოების იმ მოსამართლეებისგან გაწმენდისკენ მოუწოდებს, რომლებიც „ნაციონალური მოძრაობის" პერიოდში დანაშაულს სჩადიოდნენ.**

როგორც გოგლა ჟვანიამ ჟურნალისტებს განუცხადა, თუკი ბოროტების ჩამდენი ადამიანები არ დაისჯებიან, ნორმალურ საზოგადოებაში ცხოვრება შეუძლებელი იქნება.

„უნდა დაიწყოს სახელმწიფო ორგანოების იმ ადამიანებისგან წმენდა, რომლებიც სჩადიოდნენ დანაშაულს. ერთ-ერთია სასამართლო სისტემა. როცა სამართლის აღსრულებაზე ვსაუბრობთ, არ შეიძლება, სამართლის აღსრულებას ახორციელებდნენ ადამიანები, რომლებიც რამდენიმე წლის წინათ დანაშაულის ჩადენით იყვნენ დაკავებულები. როგორ შეიძლება, იმავე მოსამართლემ დღეს გამოიტანოს სამართლიანი გადაწყვეტილება? ჩვენ გვჭირდება სერიოზული რეფორმები, გვჭირდება სტრუქტურული რეფორმები, ადამიანები უნდა გამოიცვალონ. ეს არ არის მარტივი საკითხი, მაგრამ ველოდოთ, ვის როდის ამოეწურება ვადა? ყოველდღიურად დგება ათასნაირი განაჩენი, უამრავი საქმე იხილება... როგორ შეიძლება, ადამიანი იყოს დაუსჯელი, რომელიც სჩადიოდა ბოროტებას? როგორ გვინდა, ვიცხოვროთ ნორმალურ საზოგადოებაში, თუ ბოროტების ჩამდენი ადამიანები პასუხს არაფერზე აგებენ? 300 ათას ადამიანს შეეხო ეს რეპრესიები, ამას სჩადიოდნენ კონკრეტული ადამიანები და მათი ნაწილი დღესაც ხელისუფლებაშია. ისინი სხვადასხვა სტრუქტურებში საკმაოდ სერიოზულ თანამდებობებზე რჩებიან და საკმაოდ დალხენილად გრძნობენ თავს", — აღნიშნა გოგლა ჟვანიამ.

# დაუმუშავებელ მიწებზე ჯარიმების დაწესება არ იგეგმება

**აგრარულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე გიგლა აგულაშვილის განცხადებით, დაუმუშავებელ მიწებზე ჯარიმების შემოღების შესახებ არანაირი საკანონმდებლო პროექტი და ინიციატივა არ არსებობს.**

„მაშინ, როდესაც სახელმწიფო ხარჯავს რესურსებს, გამოყოფს სუბსიდიებს მიწების დამუშავებისთვის და სარწყავი სისტემების რეაბილიტაციისთვის, ბუნებრივია, ვართ მოტივირებული, რომ მეტი ეფექტი მივიღოთ. მაგალითად, სადაც საგაზაფხულო სამუშაოების დროს მიწა მოიხნა, თუკი ადამიანმა მიწის დამუშავება შეწყვიტა, გამოდის, რომ სათანადო ეფექტს ვერ ვიღებთ, ამიტომ საუბარი იმაზე კი არ არის, რომ ვინმე დავაჯარიმოთ ან ადმინისტრირებით დავჩაგროთ, ძირითადი მიზანია, რაც შეიძლება მეტი რესურსი გამოვიყენოთ და მეტი სასურსათო პროდუქტი მივიღოთ. ამიტომ უნდა ვილაპარაკოთ არა ვინმეს დაჯარიმებაზე, არამედ წახალისებასა და ხელშეწყობაზე. დახმარება უნდა ჰქონდეს მას, ვინც მიწას ამუშავებს და ამის მოტივაცია აქვს", — განაცხადა გიგლა აგულაშვილმა.



## ირაკლი ღარიბაშვილი:
# ეს წელი მაინცდამაინც დალხენილი არ იქნება

**რამდენიმე დღის წინათ გამართულ მთავრობის სხდომაზე პრემიერმა იმ ნეგატიური პროცესების შესახებ ილაპარაკა, რომლებიც მსოფლიოში მიმდინარეობს და მთავრობის წევრებს მეტი მობილიზებისკენ მოუწოდა. ირაკლი ღარიბაშვილმა ეკონომიკურ გუნდს მიმართა, რომ ყოველი თვის დასაწყისში მთავრობის სხდომაზე წარმოადგინონ ანგარიში, როგორ სრულდება ბიუჯეტი.**

**„ჩვენ გვაქვს კომუნიკაცია ყოველი თვის ბოლოს, მაგრამ მე მინდა, რომ კიდევ ერთხელ ეს საკითხი დავაფიქსიროთ, ვიცი, რომ გიორგი კვირიკაშვილის ხელმძღვანელობით შექმნილია სამუშაო ჯგუფები, თვითონ გადიხართ ხარჯვით ნაწილს, ყველგან ეფექტიანად უნდა დავხარჯოთ და დიდი მობილიზება უნდა მოვახდინოთ ჩვენი სამინისტროების. ეს არ იქნება მაინცდამაინც დალხენილი წელი, გამომდინარე იქედან, რომ მსოფლიოში გარკვეული ნეგატიური პროცესები მიმდინარეობს. ამიტომ ჩვენ გაათმაგებული მობილიზებით უნდა შევხვდეთ ამ გამოწვევებს",** — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე უწყება ვერ შეძლებს თანხების ათვისებას ან ეფექტიანად დახარჯვას, პრემიერმინისტრი გამოდის ინიციატივით, ეს თანხები მიმართული იქნას სარეზერვო ფონდში სხვა უწყებების მიერ მიზნობრივად გამოსაყენებლად.



## ვახტანგ გომელაური:
# «ნაციონალური მოძრაობა» ქვეყანაში არეულობას გეგმავს

**საქართველოს შინაგან საქმეთა ახალი მინისტრის — ვახტანგ გომელაურის განცხადებით, არსებობს ოპერატიული ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც ქვეყანაში არეულობა იგეგმება.**

„როცა ალექსანდრე ჭიკაიძემ ეს განცხადება გააკეთა, რა თქმა უნდა, იყო ოპერატიული ინფორმაცია. ახლაც არის ინფორმაცია, მაგრამ ამას არ დავუშვებთ — ქვეყანაში დესტაბილიზაცია არ მოხდება, ჩვენი ქვეყნის წინსვლისთვის აუცილებელია სტაბილურობა. **„ნაცმოძრაობა" თავისი განცხადებებით ხალხს აღიზიანებს. ჯერ იყო შემოდგომაზე მოდიოდნენ, ახლა გაზაფხულზე გადაიტანეს, ზაფხულში ისვენებენ და მერე იტყვიან, შემოდგომაზე მოვდივართო. რა თქმა უნდა, მათ ბევრი რაღაცის გაფუჭება უნდათ. სამწუხაროდ, ქვეყანაზე არ ფიქრობენ",** — განაცხადა მინისტრმა.

# ზურაბ ვაზაგაშვილისა და ალექსანდრე ხუბულოვის მკვლელობის საქმე გახსნილია

**საქართველოს პროკურატურის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ე. წ. კორტების სპეცოპერაციით, შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის ყოფილმა მოადგილემ ირაკლი ფირცხალავამ მისი ძმის დაკავებისთვის შური იძია.**

„2006 წლის მაისში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპატამენტის ხელმძღვანელი პირების მიერ დაიგეგმა და განხორციელდა სპეცოპერაცია, რომელიც ზურაბ ვაზაგაშვილის და ალექსანდრე ხუბულოვის მკვლელობით დასრულდა. სპეცოპერაციის ჩატარებას წინ უსწრებდა ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილის — ირაკლი ფირცხალავას პირადი დაინტერესება ალექსანდრე ხუბულოვის მიმართ, ასევე, იმ პერიოდში სამართალდამცავ ორგანოებში დამკვიდრებული დანაშაულთან ბრძოლის ნულოვანი ტოლერანტობის და კრიმინალთან ბრძოლისთვის სასტიკი მეთოდების პროპაგანდა, რომელიც გულისხმობდა წინასწარ „დამნაშავედ" მონათლული პირების ლიკვიდაციას. ყველაფერი დაიწყო იქიდან, რომ **2006 წლის 7 აპრილს სოდ-ის თანამშრომლებმა ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს ირაკლი ფირცხალავას ძმა — ლევან ფირცხალავა.**

აღსანიშნავია, რომ ლევან ფირცხალავას მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ ინფორმაცია სამართალდამცავებს მის დაკავებამდე რამდენიმე დღით ადრე მიაწოდა მოგვიანებით სპეცოპერაციისას მოკლულმა ალექსანდრე ხუბულოვმა, რის შესახებაც ცნობილი გახდა ირაკლი ფირცხალავასთვის. მისთვის, როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნისთვის, მიუღებელი აღმოჩნდა მისი თანამდებობრივი ავტორიტეტისა და რეპუტაციის ამგვარი ფორმით საფრთხის ქვეშ დაყენება, რის გამოც გადაწყვიტა, ლიკვიდაციის გზით შური ეძია მისი ძმის დაკავების საქმეში მთავარ ფიგურანტ ალექსანდრე ხუბულოვზე. ირაკლი ფირცხალავას დანაშაულებრივი გეგმით, იგი შსს-ს სხვა მაღალი თანამდებობის პირებთან ერთად შეიმუშავებდა ალექსანდრე ხუბულოვის მიერ ყაჩაღობის მომზადების სცენარს და დანაშაულთან ბრძოლის საქვეყნოდ გაცხადებული ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის ფარგლებში „წარმატებული" სპეცოპერაციის ფორმით შეძლებდა ალექსანდრე ხუბულოვის ლიკვიდაციას, რითაც იგი, ერთი მხრივ, შურს იძიებდა ალექსანდრე ხუბულოვზე, რომელმაც ამხილა მისი ძმა ნარკოტიკებთან კავშირში, ხოლო მეორე მხრივ ეს სპეცოპერაცია მას და მის თანამზრახველებს დანაშაულთან მებრძოლი სამართალდამცავების იმიჯს დაუმკვიდრებდა. ირაკლი ფირცხალავა საკუთარი დანაშაულებრივი გეგმის განხორციელებას შეუდგა, მის მიერ მობილიზებულ იქნა კრიმი-



ნალური პოლიციის დეპარტამენტისა და სპეციალური დანიშნულების რაზმის თანამშრომლები და დაიწყო სპეცოპერაციის დაგეგმვა, რომელიც შეინიღბა ყაჩაღური თავდასხმის მომზადებაში ეჭვმიტანილი პირების მიმართ ჩასატარებელ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებად.

2006 წლის მაისში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპატამენტის ხელმძღვანელი პირების მიერ დაიგეგმა და განხორციელდა სპეცოპერაცია, რომელიც ზურაბ ვაზაგაშვილისა და ალექსანდრე ხუბულოვის მკვლელობით დასრულდა. ჩატარებული ექსპერტიზებით დადგენილია, რომ ვაზაგაშვილის ა/მანქანის მიმართულებით მოხდა ასზე მეტი გასროლა, ა/მანქანას აღენიშნება 97 ცეცხლსასროლი დაზიანება; ზურაბ ვაზაგაშვილს სხეულზე აღენიშნებოდა 8 ცეცხლსასროლი ჭრილობა; ალექსანდრე ხუბულოვს — 9", — ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

სასამართლოს განჩინების საფუძველზე, განზრახ მკვლელობის, მტკიცებულებათა ფალსიფიკაციისა და განზრახ უკანონო დაკავების ბრალდებებით დაკავებულა 11 პირი: შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის ყოფილი მოადგილე **ირაკლი ფირცხალავა**; შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის სამძებრო სამმართველოს უფროსის ყოფილი მოადგილე **გიორგი ცააძე**; შსს-ს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ყოფილი გამომძიებელი **ლევან ბეროძე**; შსს-ს ქ.თბილისის შს მთავარი სამმართველოს სპეცდანიშნულების ჯგუფის ყოფილი უფროსი **კახაბერ ნაკანი** და მისი ყოფილი მოადგილე გიორგი **გულბანი**; სპეცდანიშნულების ჯგუფის წევრები: **იასონ მილაძე, ალექსანდრე ციმაკურიძე, ზურაბ ჯოხაძე, დავით ალელიშვილი, სოსო ჩაკვეტაია** და **ალექსანდრე სანიკიძე**. ხოლო ერთი პირის — შსს-ს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ყოფილ გამომძიებელ **გრიგოლ კვინიკაძის** მიმართ, რომელიც საქართველოში არ იმყოფება, გამოტანილია დადგენილება ბრალდების შესახებ.

საქმეზე გრძელდება გამოძიება, საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის ა, ზ და თ ქვეპუნქტებით, 369-ე მუხლის მესამე ნაწილით და 147-ე მუხლის პირველი ნაწილით, რომელიც სასჯელის ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 10 დან 20 წლამდე ან თავისუფლების უვადო აღკვეთას.

ამბები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ალექსანდრე ლუკაშენკო საქართველოს ეწვევა

**ბელარუსის პრეზიდენტი ალექსანდრე ლუკაშენკო საქართველოში ჩამოსვლას აპირებს, — წერს „რია ნოვოსტი“ ბელარუსის სოფლის მეურნეობის მინისტრ ლეონიდ ზაიაცის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით.** „ბელარუსის პრეზიდენტის საქართველოში ვიზიტი აპრილში იგეგმება“, — განაცხადა ბელორუსმა მაღალჩინოსანმა საქართველო-ბელარუსის მთავრობათაშორისი კომისიის სხდომაზე, რომელიც ეკონომიკურ თანამშრომლობას მიეძღვნა.

# «მონსანტოს» საშინელი დანაშაული: 2025 წლისთვის ყოველი მეორე ბავშვი აუტისტი იქნება

NEO New Eastern Outlook

**ამერიკელი ჟურნალისტი ჯანეტ პელანი თავის ახალ სტატიაში წერს, რომ მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტი სამწუხარო დასკვნამდე მივიდა: 2025 წლისთვის ყოველი მეორე ბავშვი, რომელიც დაიბადება, აუტიზმით იქნება დაავადებული.**



დოქტორმა სტეფანი სენეფმა, რომელმაც ეს ამბავი პრესას ამცნო, ამ საშინელი ეპიდემიის გამოწვევაში დაადანაშაულა კომპანია „მონსანტო“ (Monsanto), რომელიც განთქმულია თავისი აგრესიული პოლიტიკით გენმოდიფიცირებული პროდუქტების შექმნაში. დოქტორმა სენეფმა განმარტა, რომ „მონსანტოს“ ჰერბიციდი Roundup-ი შეიცავს მავნე ნივთიერება **გლიფოსატს**. აღნიშნული ჰერბიციდი შექმნეს 1970 წელს, მაგრამ იმხანად მისი გამოყენება მცენარეებზე შეუძლებელი შეიქნა, რადგან მცენარეები კვდებოდნენ. ბოლო ხანს კი გენმოდიფიცირებული მცენარეების ნათესების მოცულობის ზრდამ ამ ჰერბიციდის საყოველთაო გამოყენებას შეუწყო ხელი.

სტატიის ავტორი აღნიშნავს, რომ კომპანია „მონსანტომ“ სპეციალურად გამოიყვანა ისეთი მოდიფიცირებული მცენარეები, რომლებიც, იმის ნაცვლად, რომ გლიფოსატისგან დაიღუპონ, ამ ნივთიერებას შეიწოვენ.

კომპანია „მონსანტოს“ წარმომადგენლებს არა ერთხელ განუცხადებიათ, რომ გლიფოსატით დამუშავებული პროდუქტების მიღება ადამიანის ჯანმრთელობისთვის სრულიად უსაფრთხოა, მაგრამ მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის ექსპერტებს საწინააღმდეგო თვალსაზრისი აქვთ.

აშშ-ი Roundup-ის პროდუქტს თავდაპირველად ასხურებდნენ გენმოდიფიცირებულ სიმინდსა და სოიას, მაგრამ ახლა მისით ხორბლის ნათესებსაც ამუშავებენ. ამასთანავე, არამხოლოდ ზემოაღნიშნული პროდუქტები შეიცავს მავნე ნივთიერებებს, არამედ ჩვეულებრივი ამერიკული გაზიანი წყალიც სავსეა გლიფოსატით.

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, **გლიფოსატი ანადგურებს ნაწლავური ბაქტერიების გარკვეულ სახეობებს, რაც იწვევს ისეთ დაავადებებს, როგორიცაა ალცგეიმერის სინდრომი, პარკინსონის დაავადება, რომელმაც ნამდვილი ეპიდემიის სახე მიიღო დასავლეთში, აგრეთვე, — სიმსუქნესა და დეპრესიას, თუმცა ყველაზე საშინელი არის ის, რომ ზემოაღნიშნული ჰერბიციდით დამუშავებული ნათესებიდან მიღებული პროდუქტები შთამომავლობაში აუტიზმს იწვევს.**

ბევრი ექსპერტი დარწმუნებულია, რომ ამერიკელმა ოლიგარქებმა, დიდი ხანია, იცოდნენ, რა სამწუხარო ეფექტი შეიძლებოდა გამოეწვია გლიფოსატს, მაგრამ მაინც გადაწყვიტეს მისი გამოყენება ისეთი პოპულაციის შესაქმნელად, რომელიც უბედურების მეტს არაფერს მოუტანს ადამიანებს.

New Easter Outlook

MONSANTO

**გლიფოსატი ანადგურებს ნაწლავური ბაქტერიების გარკვეულ სახეობებს, რაც იწვევს ისეთ დაავადებებს, როგორიცაა ალცგეიმერის სინდრომი, პარკინსონის დაავადება, რომელმაც ნამდვილი ეპიდემიის სახე მიიღო დასავლეთში, აგრეთვე, — სიმსუქნესა და დეპრესიას, თუმცა ყველაზე საშინელი არის ის, რომ ზემოაღნიშნული ჰერბიციდით დამუშავებული ნათესებიდან მიღებული პროდუქტები შთამომავლობაში აუტიზმს იწვევს**



### ვაცლავ კლაუსი:

## კრიზისი უკრაინაში — ეს არის ევროპა-ამერიკის დაპირისპირება რუსეთის წინააღმდეგ!

**ჩეხეთის ყოფილმა პრეზიდენტმა (2003-2013) ვაცლავ კლაუსმა ავსტრიულ გამოცემა Die Presse-ს ინტერვიუ მისცა და უკრაინაში მიმდინარე პროცესებზე ისაუბრა.**

„ვითარება უკრაინაში ტრაგიკულია. რაღაც სასწრაფოდ უნდა მოვიმოქმედოთ, მაგრამ ეს ძალისმიერ ჩარევას არ ნიშნავს. ამ საკითხის გადაწყვეტა მხოლოდ მოლაპარაკების, კომპრომისის გზით უნდა მოხდეს. სამწუხაროა, რომ უკრაინის ხელისუფლებას ამის უნარი არ აქვს. როდესაც ჩეხოსლოვაკიის გაყოფის საკითხი დადგა, წინააღმდეგი ვიყავი, მაგრამ დავინახე, რომ სლოვაკებს ნამდვილად სურდათ დამოუკიდებლობა და ამ შემთხვევაში ერთადერთი გამოსავალი იყო კომპრომისული გადაწყვეტილება — გაყოფა. რაღაც ამის მსგავსი უნდა მოხდეს უკრაინაშიც. **ევროპაში უკრაინაში მიმდინარე პროცესებს უკრაინისა და რუსეთის კონფლიქტს უწოდებენ. ჩემთვის კი ეს არის ევროპა და ამერიკა რუსეთის წინააღმდეგ. ამ დაპირისპირებაში უკრაინა პასიური ინსტრუმენტია...** ცხადია, რომ ყირიმი არასოდეს ყოფილა უკრაინის, ეს ტერიტორია ყოველთვის რუსეთს ეკუთვნოდა. ამიტომ კიევის მაიდნის შემდეგ რუსეთი იძულებული შეიქნა, კვლავ მიეერთებინა ეს ტერიტორია. ეს იყო იძულებითი ნაბიჯი“, — განაცხადა ვაცლავ კლაუსმა.



## ობამა ირანს აშანტაჟებს

**აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ტელეარხ CNN-ისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ მსოფლიოს საზოგადოებრიობას აქვს შანსი, ირანი აიძულოს, დათანხმდეს „მისაღებ შეთანხმებაზე“ ატომური პროგრამის შესახებ. თეირანისთვის ახალი სანქციების დაწესება კი, რომლის შესახებაც აშშ-ის კონგრესი კანონპროექტს ამზადებს, მოლაპარაკებების პროცესს ჩაშლის.**

„ამ კანონპროექტს ვეტოს დავადებ, მაგრამ, თუ ირანი უარს იტყვის „მისაღებ შეთანხმებაზე“, მყისვე მივიღებ გადაწყვეტილებას ახალი სანქციების დაწესების თაობაზე. ჩვენ უნდა დავასრულოთ ეს პროცესი და ვაიძულოთ ირანი, თქვას „დიახ“ მისაღებ შეთანხმებაზე“, — განაცხადა აშშ-ის პრეზიდენტმა.

შეგახსენებთ, რომ აშშ, საერთაშორისო შუამავლების მეშვეობით, ირანთან აწარმოებს მოლაპარაკებას ატომური პროგრამის შეჩერებაზე. თეთრი სახლი და სახელმწიფო დეპარტამენტი აშშ-ის კონგრესს მოუწოდებენ, კანონპროექტი ახალი სანქციების დაწესების შესახებ დროებით შეაჩერონ, რადგან თეირანმა განაცხადა, რომ ჩაშლის მოლაპარაკებებს, თუკი ახალ სანქციებს დაუწესებენ.



## «ისლამური სახელმწიფოს» ყოფილი წევრის აღიარებით, ისლამისტებს ამერიკელები აფინანსებენ

**„პოპულარული გაზეთის — „ნიუ იორკ თაიმსის“ შვილობილი გამოცემა Express Tribune-ს ბოლოდროინდელი სტატიების მიხედვით „ისლამური სახელმწიფოს“ ყოფილმა მებრძოლმა პაკისტანელ გამომძიებლებთან აღიარა, რომ ამ ტერორისტულ დაჯგუფებას ამერიკის შეერთებული შტატები აფინანსებს“, — წერს ინტერნეტგამოცემა New Eastern Outlook-ის მიმომხილველი ტონი კარტალუჩი.**

Express Tribune-ს მასალების მიხედვით, იუსუფ ალ-სადაფი არა ერთხელ გადავიდა თურქეთის ტერიტორიის გავლით სირიაში, თუმცა მას შემდეგ, რაც სირიაში დააკავეს, მაგრამ გაქცევა მოახერხა, მისი მოღვაწეობა ისლამისტთა რიგებში პაკისტანელი ახალგაზრდობის გადაბირებით შემოიფარგლებოდა. იუსუფ ალ-სადაფის აღიარებით, აშშ-ის ხელისუფლება, მიუხედავად იმისა, რომ დაგმო „ისლამური სახელმწიფოს“ დაფინანსება, ამ მხრივ თავისი მოქალაქეების უკანონო ქმედებების აღკვეთას ვერ ახერხებს.



## ნატოში შვედეთის გაწევრების საკითხს არც კი შეისწავლიან

**შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მარგოტ ვალსტრემმა რიქსდაგში (პარლამენტი) საგარეო პოლიტიკის საკითხებზე კამათისას კატეგორიულად უარყო პარტია „ბურჟუაზიული ალიანსის“ წინადადება ნატოში შვედეთის გაწევრების საკითხზე კვლევის ჩატარების თაობაზე. ვალსტრემის აზრით, ასეთი გამოკვლევა მსოფლიოს მისცემს სიგნალს, რომ შვედეთმა დამოკიდებულება შეიცვალა ამ საკითხისადმი.**

„არ მომისმენია არც ერთი დამაჯერებელი არგუმენტი, რომ ჩვენ უარი უნდა ვთქვათ პოლიტიკაზე, რომელიც ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრებას არ ითვალისწინებს. ჩვენი სტრატეგია უცვლელია — არ გვსურს ნატოში გაწევრება, ამასთანავე, უნდა გავაძლიეროთ ჩვენი თავდაცვა“, — განაცხადა შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა.

Sverigesradio (შვედეთი)

პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ჩვენ უკვე გავიგეთ რუსებისგან საკმაოდ ნეგატიური და მუქარით სავსე განცხადებები ერთობლივ საწვრთნელ და შეფასების ცენტრთან დაკავშირებით, ჩვენ არ განვიხილავთ პოტენციურ სცენარებს, თუ რა შეიძლება გააკეთოს რუსეთმა, თუმცა ძალიან მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი, რომ წინ წავიდეთ“, ანუ ამერიკელებს არ აინტერესებთ, რა სახის საფრთხის წინაშე აღმოჩნდება საქართველო, როგორც სახელმწიფო, და დაემატება თუ არა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს კიდევ ერთი ან მეტი დაუმორჩილებელი რეგიონი, მთავარია, ნატო „წავიდეს წინ“.**

# კოლონიზაციის ანაბანა

**გასულ კვირას ნატოს გენერალური მდივნის მოადგილე ალექსანდრე ვერშბოუს ვიზიტმა თბილისში კიდევ ერთხელ შეგვახსენა ჩვენც და დანარჩენ მსოფლიოსაც, რომ საქართველო აღარ არის სუვერენული სახელმწიფო ან, ყოველ შემთხვევაში, ჩვენი სუვერენიტეტი ერთობ შეზღუდულია. ამას ვერშბოუს რამდენიმე გამონათქვამი მოწმობს:**

*„წვრთნისა და შეფასების ცენტრი იქნება ყველაზე თვალსაჩინო ნიმუში ნატოს ყოფნისა საქართველოში“.

**ანუ, საქართველოს ნატოში არ შეუშვებენ, მაგრამ ნატო თვითონ შემოვა საქართველოში.**

*„მის განხორციელებას მნიშვნელოვანი პოლიტიკური და ფინანსური ვალდებულებები სჭირდება როგორც ნატოს, ისე საქართველოს მხრიდან“.

**ანუ, ნატოს აქ შემოსვლით ახალი საფრთხის გაჩენას საქართველო თვითონვე დააფინანსებს.**

*„პაკეტის სხვა ელემენტებს შორის არის სტრატეგიული დონის რჩევების მიცემა საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბისთვის“.

**ანუ, სუვერენიტეტის უმნიშვნელოვანესი ასპექტების განხორციელების სტრატეგიას სხვა სახელმწიფო (იგულისხმეთ აშშ) პირდაპირ წარმართავს.**

*„პაკეტი ასევე მოიცავს თბილისში 2010 წელს გახსნილი ნატოს სამეკავშირეო ოფისის შემდგომ გაძლიერებას და ნატოს მრჩეველთა ძირითადი გუნდის გამოგზავნას საქართველოს თავდაცვის სამინისტროში, რომლის შემადგენლობაშიც შევლენ ექსპერტები კონკრეტულ სფეროებში და ადგილზე ან მუდმივად იმუშავებენ ან ხშირი როტაციის პრინციპით“.

**ანუ, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ამერიკელების მუდმივი მეთვალყურეობის რეჟიმში იმუშავებს.**

*„ასევე, არანაკლებ მნიშვნელოვანია ნატოს მრჩევლების ყოფნა საქართველოში. ვფიქრობ, ნატოს მრჩევლების ყოფნა საზოგადოებისთვის ისეთი თვალში საცემი არ იქნება, როგორც ჩრდილოეთით ზოგიერთი დედაქალაქისთვის“.

**ანუ, მოსკოვი მათ ყოფნას (ისე, სხვას რას ნიშნავს რუსული ტერმინი ВОЕННОЕ ПРИСУТСТВИЕ) მშვენივრად დაინახავს და დასკვნებსაც გამოიტანს, ჩვენი საზოგადოება კი ვერასოდეს გაიგებს, რას ურჩევენ დაჟინებით ამერიკელი მრჩევლები საქართველოს თავდაცვის უწყებას.**

*„ჩვენ უკვე გავიგეთ რუსებისგან საკმაოდ ნეგატიური და მუქარით სავსე განცხადებები ერთობლივ საწვრთნელ და შეფასების ცენტრთან დაკავშირებით, ჩვენ არ განვიხილავთ პოტენციურ სცენარებს, თუ რა შეიძლება გააკეთოს რუსეთმა, თუმცა ძალიან მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი, რომ წინ წავიდეთ“.

**ანუ, ამერიკელებს არ აინტერესებთ, რა საფრთხის წინაშე აღმოჩნდება საქართველო, როგორც სახელმწიფო, და დაემატება თუ არა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს კიდევ ერთი ან მეტი დაუმორჩილებელი რეგიონი, მთავარია, ნატო „წავიდეს წინ“.**

*„შემდგომი პროგრესი მოითხოვს შემდგომ კონსტრუქციულ ჩართულობას ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის და მომდევნო თვეებში ნატოს მოკავშირეები განსაკუთრებულად დააკვირდებიან რეფორმებს პროკურატურასა და შინაგან საქმეთა სამინისტროში“.

**ანუ, ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის ურთიერთობასაც გააკონტროლებენ და პროკურატურა-შს სამინისტროს რეფორმებსაც და აი, რატომ:**

*„შერჩევითი სამართალი და პოლიტიკურად მოტივირებული სამართლებრივი დევნის აღქმაც კი აცილებული უნდა იქნას თავიდან. თითოეულ საქმეში საჭიროა კანონის უზენაესობის დაცვა. ეს ნატოს ალიანსის ფუნდამენტური პრინციპია, რომელში გაწევრიანებაც საქართველოს სურს“.

**ანუ, არ დავუშვებთ „ჩვენი ძაღლიშვილების“ არათუ გასამართლებას, „სამართლებრივი დევნის აღქმაც კი“ არ უნდა გვქონდესო.**

**თუ ვინ იგულისხმებიან, ამას იმ პარტიათა ჩამონათვალში ნახავთ, რომლებსაც ვერშბოუ შეხვდა:**

*„ორდღიანი ვიზიტის ფარგლებში ნატოს გენერალური მდივნის მოადგილემ შეხვედრები გამართა პრემიერმინისტრ ირაკლი ღარიბაშვილთან, პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილთან, პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილთან, ოპოზიციური **„ნაციონალური მოძრაობისა“** და **„თავისუფალი დემოკრატების“** წარმომადგენლებთან; ასევე შეხვდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორეს“.

ამერიკელებმა კარგად შეისწავლეს ქართველთა ფსიქოტიპი – ახლახან ანა კალანდაძის ქართულად ნათქვამი ლექსით მოგვილოცეს ახალი წელი აშშ-ის საელჩოს წარმომადგენლებმა და ამით ჩვენი პატივმოყვარეობა დააკმაყოფილეს, ხოლო „მაღალი სტუმრები“ ყოველ ჩამოსვლაზე



## არ დავუშვებთ «ჩვენი ძაღლიშვილების» არათუ გასამართლებას, «სამართლებრივი დევნის აღქმაც კი» არ უნდა გვქონდესო

ხვდებიან პატრიარქს, რათა მათი ვიზიტების მიმართ ჩვენი საზოგადოება პოზიტიურად განეწყოს. რაც შეეხება ამერიკელთა პოლიტიკურ სიმპათიას, რიგითობა ასე აქვთ განსაზღვრული: ოპოზიციური **„ნაციონალური მოძრაობა“** და **„თავისუფალი დემოკრატები“** სწორედ მათ სამართლებრივ დევნას უნთებენ „წითელს“.

ახლა კარგად დავფიქრდეთ: **ამაზე მეტი რა უნდა თქვას სხვა ქვეყნის წარმომადგენელმა, რომ მიგვახვედროს — თქვენი თავი თქვენ არ გეკუთვნით, ჩვენ რასაც გიბრძანებთ (ვისაც გინდათ, ამას „რჩევა“ უწოდეთ), ის უნდა გააკეთოთო?**

ამ „პოლიტიკურად ხელშეუხებლებს“ ემატება ხელშეუხებელი არასამთავრობოები, რომლებსაც წლების განმავლობაში აფინანსებენ ამერიკელები და საკმარისი იყო, ასეთივე არასამთავრობო ორგანიზაციის ლიდერს – ბიძინა ივანიშვილს მათ მიმართ კრიტიკული მოსაზრება გამოეთქვა, აშშ-ის ელჩი **რიჩარდ ნორლანდი** მყისვე გამოეხმაურა:

„ივანიშვილის მოსაზრება მნიშვნელოვანია საზოგადოებისთვის. თავის მხრივ, არასამთავრობო ორგანიზაციები, საია, „საერთაშორისო გამჭვირვალობა“ და „სამართლიანი არჩევნები“ მნიშვნელოვანი პარტნიორები არიან ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსი“.

**ერთი სიტყვით, ესენიც „ჩვენი ძაღლიშვილები“ არიანო, პირდაპირ თქვა ელჩმა და აქაც „წითელი“ აანთო. მხოლოდ თავდაცვა და ზოგადი სტრატეგია კი არა, მათი ნაკვები არასამთავრობოების კრიტიკაც არ უნდა გაბედოს ვინმემ, მით უფრო, თუ ამ „ვინმეს“ მოსაზრება მნიშვნელოვანია საზოგადოებისთვის!**

ბოლო წლებში სულ უფრო ხშირად ხუმრობენ, რომ ერთადერთი ქვეყანა, სადაც არ მოხდება რევოლუცია (სახელმწიფო გადატრიალება, ხელისუფლების შეცვლა, ვისაც როგორ გნებავთ) შეერთებული შტატებია, რადგან იქ არ არის ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო. **შეერთებული შტატების ელჩები უშუალოდ ერევიან სხვა ქვეყნების შიგა პოლიტიკურ ცხოვრებაში და წარმართავენ პროცესებს. მხოლოდ უკრაინის მაგალითი იკმარებს, სადაც სახელმწიფო გადატრიალებას დაუფარავად შეუწყვეს ხელი და ახლა მთავრობის წევრებს პირდაპირ უნიშნავენ, მათ შორის, მათი „ძაღლიშვილი“ „ნაციონალების“ სახით.**

ბიძინა ივანიშილის მიერ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან დაკავშირებულ განცხადებას ასევე ოპერატიულად გამოეხმაურა **ფონდი „ღია საზოგადოება საქართველო“ (ხალხში უბრალოდ სოროსის ფონდს რომ უწოდებენ):** „ბოლო დროს განსაკუთრებით გახშირდა თავდასხმები არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მათი

## რატომ არ გახსენებია სოროსის ფონდს სიტყვა «დევნა» 2003-2012 წლებში და ვის ახსოვს, რომ ეს სამი ასო (აბრევიატურაა და არასამთავრობო ორგანიზაციას ნიშნავს!) «ყველა ხელისუფლების პირობებში ინარჩუნებდა მიუკერძოებლობას და კრიტიკულ დამოკიდებულებას»?

საქმიანობის მიმართ. მმართველი პოლიტიკური ძალის წარმომადგენლების რიტორიკა საზოგადოებრივი ჯგუფების მიმართ უფრო და უფრო შეურაცხმყოფელი ხდება და სამოქალაქო საზოგადოების წინააღმდეგ წარმოებული კამპანიის შთაბეჭდილებას ტოვებს. გადამდგარი პრემიერმინისტრის — ბიძინა ივანიშვილის განცხადება, რომლის მიხედვით მზადდება კვლევა ჩვენი პარტნიორი ორგანიზაციების – ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის, საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს და სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების მოქმედ და ყოფილ ხელმძღვანელთა საქმიანობის შესახებ, ფაქტობრივად, აანონსებს მაკომპრომატირებელი ინფორმაციის გავრცელებას.

ხაზგასმით გვინდა, აღვნიშნოთ, რომ ხელისუფლების წარმომადგენელთა დამოკიდებულება არ შეესაბამება მმართველობის დემოკრატიულ პრაქტიკას. ორგანიზაციები, რომლებიც ყველა ხელისუფლების პირობებში ინარჩუნებდნენ მიუკერძოებლობას და კრიტიკულ დამოკიდებულებას, არ უნდა ხდებოდნენ თავდასხმის ობიექტები. ასეც რომ არ იყოს, მიუღებელია საზოგადოებრივად აქტიური ნებისმიერი ადამიანის შევიწროება საკუთარი აზრისა და საქმიანობის გამო. იმედს გამოვთქვამთ, ხელისუფლების წარმომადგენლები თავს შეიკავებენ მსგავსი განცხადებებისგან, ხოლო საზოგადოება იქნება ერთიანი ამ პრაქტიკასთან ბრძოლაში“.

**ამათაც იგივე „პარტნიორები“ ჰყოლიათ, რაც აშშ-ის საელჩოს! და ესენიც მიუღებლად მიიჩნევენ მათ მიმართ კრიტიკას!** ოღონდ **საინტერესოა, რატომ არ გახსენებია სოროსის ფონდს სიტყვა „დევნა“ 2003-2012 წლებში და ვის ახსოვს, რომ ეს სამი ასო (აბრევიატურაა და არასამთავრობო ორგანიზაციას ნიშნავს!) „ყველა ხელისუფლების პირობებში ინარჩუნებდა მიუკერძოებლობას და კრიტიკულ დამოკიდებულებას“? „ნაციონალების“ პერიოდში მათ იმაზეც კი ვერ წამოაცდენინეს საყვედური, რომ 26 მაისს იმ რეჟიმმა ცხედრები მაღაზიის სახურავზე შემოაწყო და ასეულობით ადამიანი დაასახიჩრა! არც იმაზე მოუკლავთ თავი, რომ ციხეებში პატიმრების რაოდენობამ კრიტიკულ ზღვარს გადააჭარბა! მთავარი არის ის, რომ ეს ორგანიზაციები, „არასამთავრობო“ სტატუსს ამოფარებულნი, ყოველთვის აშშ-ის ინტერესებს იცავდნენ და ახმოვანებდნენ! განა მართალი არ არის ივანიშვილი, როცა ამბობს, რომ ისინი „მთავრობაზე დიდი არასამთავრობოები არიან“?**

▶

**ყბადაღებული სამართლიანობის აღდგენის მოლოდინში „ნაცებისგან“ ერთგვარ „კონტრსამართალს“ მივიღებთ. შედეგად, საბრალდებო სკამზე ისევ ჩვენ, რიგითი მოქალაქეები, აღმოვჩნდებით და დასჯილიც მხოლოდ ქართველი საზოგადოება დარჩება.**

პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი **მაია ფანჯიკიძე** („ხელშეუხებელთა სექტის“ კიდევ ერთი წარმომადგენელი) ასევე გამოეხმაურა ბიძინა ივანიშვილის ამ განცხადებას და აღნიშნა, რომ გასაკვირია, რატომ არ ისაუბრა ყოფილმა პრემიერმა იმ არასამთავრობოებზე, რომლებიც ბოლო ხანს მომრავლდა და რომლებსაც რუსული ორიენტაცია აქვთ.

ჯერ ერთი, **რა მომრავლდა ან სად ნახეს რუსული დაფინანსება, როცა მილიონობით დოლარი ღიად და დაუფარავად მიდის პროდასავლურ „ჯიბის“ ენჯეოებზე! ან თუ ვინმეს სალი აზრი ალაპარაკებს, რომ რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებას ალტერნატივა არ აქვს, ის მაინცდამაინც „რუსული ფულის“ ხათრით აკეთებს ამას?**

ეს თამაში სინამდვილეში ძალიან მარტივია: **უნდა აკეთო, რასაც ამერიკა გიბრძანებს (სიტყვა „რჩევა“ აღარ მიიღება), ხოლო თუ შენი ქვეყნის სატკივარი გალაპარაკებს, მაშინ რუსეთუმე ხარ! აკი თქვა კიდეც ლევან ბერძენიშვილმა, რომ „ყველაფერი პროქართული ნიშნავს პრორუსულს“**, თუმცა, როგორც სჩვევია, ღარიბაშვილის კრიტიკის შემდეგ გადათქვა: „მე ვთქვი, რომ გოგელია „მაესტროში“ ებრძვის ევროპულ ხაზს და ამბობს, რომ ტელევიზია უნდა იყოს არაევროპული და, ასეთ შემთხვევაში, ევროპის წინააღმდეგ ბრძოლა პრორუსულს ნიშნავს. ამის გარკვევა რთული არაა, თუმცა პრემიერი არაა ვალდებული, პრესა იკითხოს. ჟურნალისტმა უსინდისოდ ამოგლიჯა კონტექსტიდან ფრაზა“.

რატომღაც არავის აუტეხია განგაში, რომ ლევან ბერძენიშვილი დამოუკიდებელ მედიას დაესხა თავს და, ორიენტაციის დაწუნების გარდა, „უსინდისო“ ეძახა ჟურნალისტს. რატომ? იმიტომ, რომ ისიც „ხელშეუხებელთა სექტის“ წევრია და ამერიკელების „ძაღლიშვილი“.

ამოცანის ამოხსნა ადვილია: „მიმაჩნია, რომ რომელიმე ერთი ქვეყნის სატელიტი არ უნდა ვიყოთ; არ უნდა გავაუარესოთ და მხოლოდ უნდა გავაუმჯობესოთ ურთიერთობა ამერიკასთან, კიდევ უფრო გავაღრმავოთ ურთიერთობა ევროპასთან და დავალაგოთ ურთიერთობა რუსეთთან“. — **ეს სიტყვები ბიძინა ივანიშვილმა 2012 წლის არჩევნების შემდეგ წარმოთქვა, თუმცა მას აშშ არ აპატიებს, თუნდაც მასთან კარგი ურთიერთობის პარალელურად რუსეთთანაც დაალაგოს ურთიერთობა.**

ეს ცხადია და, თუ უკვე განვლილს გავითვალისწინებთ (თუნდაც უკრაინის მაგალითზე), ეს გააქტიურებული ასოები (აბრევიატურაა-მეთქი, აკი, გითხარით!), ხელისუფლებაში ჩატოვებული „ნაცისტები“ და სამინისტროებში ჩაბუდებული ამერიკელი „მრჩევლები“ გაერთიანებული ძალებით სახელმწიფო გადატრიალებასაც მოაწყობენ და შემდეგ მის შედეგებსაც „გაალეგიტიმურებენ“!

თუ, რა თქმა უნდა, მთავრობამ არაფერი შეცვალა!

**თამარ დავითულიანი**

# განათლების ყოფილი მინისტრი ხატია დეკანოიძე უკრაინაში ახალ «კმარას» აყალიბებს!

კმარა!

## «ნაცები» გაზაფხულზე ახალი შეტევისთვის ემზადებიან

**მას შემდეგ, რაც საქართველოში ფორმალური პოლიტიკური ცვლილებები განხორციელდა და სააკაშვილის დანაშაულებრივი პარტია ხელისუფლებას ჩამოშორდა, „ნაცკრიმინალების“ ერთმა ნაწილმა თავი უკრაინას შეაფარა. მეტიც, ზოგიერთი „ვარდოსანი“ უკრაინის პრეზიდენტმა პოროშენკომ მრჩევლად დაიყენა, ზოგი კი მთავრობაში გაამწესა და ამით, პრაქტიკულად, სული ხელახლა შთაბერა იმ პოლიტიკურ გვამებს, რომლებსაც 2012 წლის 2 ოქტომბრის მერე მიწის მიყრალა აკლდათ.**



ახლახან „ბელადის“ კიდევ ერთი საამაყო კადრი, განათლების ყოფილი მინისტრი **ხატია დეკანოიძე** ჩაიხუტა პოროშენკოს ხელისუფლებამ, — როგორც სააკაშვილის ჯიბის ტელევიზიებმა გვაუწყეს, მცირე ხნის წინათ მან უკრაინელ პარტნიორებთან ერთად სამოქალაქო და პოლიტიკური სკოლა დააარსა, რომელიც მომავალი თაობის უკრაინელებს მოამზადებს. აი, რა განაცხადა ამის თაობაზე წინა კვირას თვითონ დეკანოიძემ: **„9 თებერვალს დაიწყება სასწავლო პროცესი. პირველი ლექციები საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონული პოლიტიკური პროცესების შესახებ იქნება. მას სერგი კაპანაძე წარუძღვება. ის უკრაინაში კარგი რეპუტაციით სარგებლობს. ასევე, ლექტორები იქნებიან ეკატერინე ტყეშელაშვილი და ბათუ ქუთელია; გვყავს ადგილობრივი და უცხოელი ლექტორებიც...“**

მისივე თქმით, მსგავსი სასწავლებელი უკრაინაში აქამდე არ ყოფილა და უკრაინულ აუდიტორიას ქართული გამოცდილების გაზიარება აინტერესებს: „6 თებერვალს უკრაინის რადაში პრეზენტაცია მაქვს, სადაც დეპუტატებს ვთხოვ, ჩვენს ლექციებსა და სკოლის განვითარებაში ჩაერთონ. გარდა ამისა, სკოლაში იქნებიან სტუმარი ლექტორები, რომლებიც საინტერესო ლექციებს წაიკითხავენ. სკოლის ჩამოყალიბების იდეა ჩემს უკრაინელ კოლეგებთან ერთად გამიჩნდა...“

ახლა წარმოიდგინეთ, რა დღეშია ისედაც უდიდესი განსაცდელის წინაშე მდგარი, ცალკე პოროშენკოს ხუნტისა და ცალკე მედასავლეთე ლიბერასტების იდეოლოგიურ ტყვეობაში მყოფი უკრაინა, რომელსაც, ყველა „სიკეთესთან“ ერთად, სააკაშვილის პოლიტიკური მანქურთებიც შეესივნენ. ეს უკვე ნამდვილად ღვთის რისხვაა მრავალჭირნახული უკრაინელი ხალხისთვის, მაგრამ იმედია, ისინი ამას გაუძლებენ და ისევ ღვთის შემწეობით გადაიტანენ.

რაც შეეხება საქართველოს, ილუზია იმის თაობაზე, რომ 2012 წლის 2 ოქტომბრის შემდეგ „ნაცმოძრაობა,“ როგორც პარტია, გაქრებოდა და პოლიტიკურ მოუსავლეთში ჩაქვესკნელდებოდა, უკვე დიდი ხანია, აღარავის აქვს. დღეს დიდმა და პატარამ იცის, რომ ეს სატანისტური ორგანიზაცია ძალას იკრებს. მეტიც, უკვე ბავშვიც კი ხვდება, რომ დასავლეთში გახიზნული, ძებნილი სააკაშვილი სერიოზული დავიდარაბისთვის ემზადება და მომავალი არჩევნების შემდეგ მისი ხროვა პარლამენტში უმრავლესობისთვის იბრძოლებს.

ახლა — რა კავშირშია ეს ყველაფერი დეკანოიძის უკრაინულ სკოლასთან: საქმე ის არის, რომ **დეკანოიძეც, ქუთელიაც, კაპანაძეც და მათი დები თუ ძმები სააკაშვილის ხელით იმართებიან. თვითონ სააკაშვილი კი ახლა კონსულტაციებს გადის წამყვან ამერიკულ პიარკომპანიებთან, რომლებიც „ბელადს“ ახალი რევოლუციის სცენარს უწერენ.** მარტივად რომ ვთქვათ, **ის ახლა ემზადება ყოვლისმომცველი ჯანყისა და ქაოსისთვის, რომელმაც სახელმწიფო თავდაყირა უნდა დააყენოს.** ამისთვის უკვე ჰყავს პოლიტიკური ელექტორატი, ხოლო სოციალური ელექტორატის შესაკოწიწებლად უკრაინაში შექმნილ ვითარებას იყენებს. **დეკანოიძის სკოლაც სხვა არაფერია, თუ არა „ნაცსექტანტების“ იდეოლოგიით მოწამლული ადამიანების თავშეყრის ადგილი. ანუ, ფაქტობრივად, ეს არის ის დაწესებულება, სადაც ხდება ახალგაზრდების თავმოყრა, მათი გაერთიანება ერთი იდეოლოგიით და მერე, ცხადია, საჭიროებისამებრ გამოყენებაც.** გაიხსენეთ, რა თქვა „რუსთავი 2“-ის ეთერში იმავე დეკანოიძემ: ჩვენს ვებგვერდზე სამასამდე ადამიანი დარეგისტრირდა, ამ დღეებში მათთან გასაუბრება მიმდინარეობს და თებერვლისთვის ორმოცამდე საუკეთესო სტუდენტს შევარჩევთო. ცხადია, ეს შერჩევა ხდება იმის მიხედვით, ვინ რა მსოფლმხედველობისაა და გამოადგება თუ არა იგი „ნაცნახირის“ პროპაგანდისტულ მანქანას, ანუ აქ საქმე გვაქვს ახალ „კმარასთან“, ახალ პოლიტიკურ მუხანათობასა და დესტრუქციასთან, რომლის განხორციელებაც, სავარაუდოდ, გაზაფხულიდან აქტიურად დაიწყება.

**გადაჭარბების გარეშე**

**შეიძლება ითქვას, რომ ბრძოლა სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმის წინააღმდეგ ყველაზე დაძაბულ ფაზაში შედის. ამ ბრძოლაში კი უპირატესობა ნელ-ნელა „ნაცებისკენ“ იხრება.** ეს რომ ასეა, ის ფაქტიც ცხადყოფს, რომ, პროკურატურის არაერთი მცდელობის მიუხედავად, „ბელადზე“ საერთაშორისო ძებნის გამოცხადება ვერ მოხერხდა. სხვათა შორის, ამ საკითხზე წინა კვირას მთავარი პროკურორის მოადგილე გიორგი გოგაძესაც დაუსვეს შეკითხვა და მან ასე უპასუხა: „ყველა საფუძველი არსებობს იმისთვის, რომ სააკაშვილზე წითელი ცირკულარით გამოცხადდეს ძებნა“. პრინციპში, გოგაძემ რომ არ გვითხრას, ისეც ყველამ ვიცით, რის საფუძველიც არსებობს და რის არა (ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, კაცმა პირდაპირ ეთერში განაცხადა, მე გავეცი სვანეთში აფრასიძეების სახლის დაბომბვის ბრძანებაო), მაგრამ ერთია საფუძველი და მეორე — იღებს თუ არა ამ საფუძველს ყურად „ჩვენი პარტნიორი“ დასავლეთი. ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით ამის ნიშნებს ვერ ვხედავთ, პირიქით, **საქართველოს სახელმწიფოს მიერ ძებნილ „ნაციონალებს“ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში მრჩევლებად იღებენ და ჭკუას ეკითხებიან.**

ბევრი რაღა გავაგრძელო, საქმეს ისეთი პირი უჩანს, **ყბადაღებული სამართლიანობის აღდგენის მოლოდინში „ნაცებისგან“ ერთგვარ „კონტრსამართალს“ მივიღებთ.** შედეგად, საბრალდებო სკამზე ისევ ჩვენ, რიგითი მოქალაქეები აღმოვჩნდებით და დასჯილიც მხოლოდ ქართველი საზოგადოება დარჩება. ცხადია, დეკანოიძის „ნეოკმარელები“ ამ საქმეში უბადლო შემსრულებლები იქნებიან, კარდაკარ, სათითაოდ დაუვლიან ყველას და „სამართალიც“ მერე ნახეთ. არა, იმის შიში ნუ გექნებათ, რომ ციხეები გაივსება, ეს უკვე აღარ მოხდება, ამჯერად საფლავებით გაივსება საქართველო; ასე რომ, **სასწრაფოდ ააშენეთ პროზექტურები, ევროსტანდარტების შესაბამისი პროზექტურები...**

**ჯაბა ჟვანია**

> **დეკანოიძეს, ქუთელიას, კაპანაძეს და მათი დები თუ ძმები სააკაშვილის ხელით იმართებიან. თვითონ სააკაშვილი კი ახლა კონსულტაციებს გადის წამყვან ამერიკულ პიარკომპანიებთან, რომლებიც «ბელადს» ახალი რევოლუციის სცენარს უწერენ. ის ახლა ემზადება ყოვლისმომცველი ჯანყისა და ქაოსისთვის, რომელმაც სახელმწიფო თავდაყირა უნდა დააყენოს**

## ეგვიპტეში ისლამისტებმა 26 ადამიანი მოკლეს

**ეგვიპტეში, სინის ნახევარკუნძულზე, ისლამისტი მებრძოლების მიერ განხორციელებულ თავდასხმებს 26 ადამიანი შეეწირა, ათობით კი დაშავდა. უმრავლესობა სამხედროები არიან. შემთხვევა ჩრდილოეთ სინის პროვინციის ადმინისტრაციულ ცენტრ ელ-არიშში მოხდა.** ისლამისტებმა, ასევე, იერიში მიიტანეს ქალაქებზე – რაფაჰსა და შეიკ ზუვაიდზე. ისინი რამდენიმე სამხედრო ობიექტს დაესხნენ თავს. პასუხისმგებლობა სამხედრო დაჯგუფება „ანსარ ბეით ალ-მაქდის“-მა აიღო, რომელიც ე. წ. ისლამურ სახელმწიფოსთან დაკავშირებული მოძრაობაა. ეგვიპტეში ისლამისტი მებრძოლების თავდასხმები 2013 წელს პრეზიდენტ მუჰამედ მურსის გადაყენების შემდეგ გახშირდა.



ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ქრისტე, მუჰამედი და ბუდა — აი, ამ სამი „პერსონის“ შესახებ უხამსი აზრების გამოთქმა ყოფილა „თავისუფალი აზრი“ და დემოკრატია, ხოლო ამ სამ პერსონაზე — გიგაურზე, კოჟორიძესა და ლომჯარიაზე — თქმა იმისა, რომ მათი საქმიანობა საეჭვოა, ყოფილა ზეწოლა, დაშინება, შეურაცხყოფა და კიდევ უამრავი საშინელება...**

# კარგი, ცუდი, ბოროტი ბიძინა,

## ანუ ორი კითხვა და კიდევ ერთი მილიარდი

**წელიწად-ნახევარია, შევეჩვიეთ, რომ ჩვენი ქვეყნის მთავარი პოლიტიკური მოვლენა პოლიტიკიდან წასული ერთი კაცის საჯარო ფიქრებია ხოლმე. მართალია, მანამდე წელიწად-ნახევარიც ასე იყო, მაგრამ იმხანად ეს კაცი პოლიტიკიდან ჯერაც არ გახლდათ წასული, ოფიციალურად იწოდებოდა „ქვეყნის პირველ პოლიტიკურ პირად“ და შესაბამისად, მისი პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ფიქრები უნდა ყოფილიყო კიდეც ქვეყნის მთავარი პოლიტიკური მოვლენა...**

მაგრამ, აი, ბოლო წელიწად-ნახევარია, ანუ მას შემდეგ, რაც ამ კაცმა მოსვლისას ნათქვამი დანაპირები შეასრულა და ზუსტად წელიწად-ნახევარში პოლიტიკიდან წავიდა, ორ თვეში ერთხელ მაინც „მოუვლის“ ხოლმე და ხან ერთი, ხან მეორე ტელეარხიდან გვიზიარებს თავის ფიქრებსა და „ოცნებებს“.

უფლება აქვსო! — ამბობენ ერთნი...

კი, ბატონო, უფლება აქვს, მაგრამ **ქვეყანა, საზოგადოება, რომლისთვისაც უმთავრესი მოვლენა „წასული კაცის“ განცხადებებია, ცოტა არ იყოს, ვერ ტოვებს მთლად ჯანსაღის შთაბეჭდილებას... ანდა ეს კაცი სულაც არ არის წასული...**

ასეა თუ ისე, ამ „წასულ-არწასულის“ ბოლო ტელეინტერვიუდან გონებასაც და ქართულ მედიასივრცესაც ორი მთავარი კითხვა და კიდევ ერთ მილიარდი შემორჩა...

მივყვეთ ამ კითხვებს თანმიმდევრობით:

### კითხვა 1 (როცა ბიძინა კარგია) — ვისი „ასო“ ვის ყბაშია?

ასეთია ის კითხვა, რომელმაც ყველაზე მეტად სწორედ არასამთავრობო ორგანიზაციები და ე. წ. ოპოზიცია აალელვა.

თითქმის ერთი კვირა გავიდა და ჯერაც ვერ წყნარდებიან „ნაციონალური მოძრაობა“ და ალასანიას „თავისუფალი დემოკრატები“.

ასეთი მძიმე ვნებათაღელვა ბიძინა ივანიშვილის მიერ საზოგადოებისთვის ცნობილი სამი პერსონის — ეკა გიგაურის, კახა კოჟორიძისა და ნინო ლომჯარიას — ხსენებამ გამოიწვია; კერძოდ, მილიარდერის იმ განცხადებამ, რომ იგი გააკეთებს გადაცემა „2030“-ს თავისი ოჯახის ტელეარხ „ჯი-დი-ეს“-ზე და იქ სხვა თემებთან ერთად, ასევე, გაშუქდება ამ სამი პერსონის საქმიანობა.

დიახ, სხვა არაფერი თქმულა! **ამ სამი პერსონის საქმიანობას გავაშუქებ ჟურნალისტის ამპლუაშიო, — თქვა კაცმა... და სიტყვაც არ დაუძრავს ზედმეტი.**

მაგრამ ატყდა და რა ატყდა!

***„ეს არის პირდაპირი მუქარა!“** — შეუპოვარი სახით აცხადებენ იმ პოლიტიკური ძალის წარმომადგენლები, რომელთა „ბატონობის“ პერიოდში სიტყვიერ მუქარას ხშირად ვერ გაიგონებდით, სამაგიეროდ, ყოველგვარი მუქარის გარეშე, ფიზიკურად ანადგურებდნენ ოპონენტებს!

***„ამის გამო მთავრობა უნდა გადადგეს!“** —

ბრძნული სიფათებით გაიძახიან იმ პოლიტიკური ძალის წარმომადგენლები, რომლებიც, პარლამენტის დარბაზს კი არა, სავარაუდოდ, საკუთარი სახლის კარს ვერ მიაგნებდნენ, ბიძინა ივანიშვილს რომ არ შეეკედლებინა კოალიციაში.

***„ჩვენ ამას აღვიქვამთ, როგორც პირდაპირ ზეწოლას ჩვენზე!“** — დაფეთებული გაჰკივიან იმ „არასამთავრობო“ ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებიც რეალურად ყოველთვის სწორედაც რომ სამთავრობოებს წარმოადგენდნენ და, ქვეყანაში დემოკრატიული ფასეულობების დამკვიდრების ნაცვლად, მუდამ გარკვეული, „მავანის“ ინტერესზე მორგებული პროპაგანდით იყვნენ დაკავებულნი.

ამ სამი „სექტორის“ აღშფოთება ისე არ გაგვიკვირდებოდა, მაგრამ სად იყო და სად არა, **პირდაპირ გამოხტა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო და განაცხადა:**

**„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ (კოჟორიძე) „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო“ (გიგაური) და „სამართლიანი არჩევნები“ (ლომჯარია) ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მნიშვნელოვანი პარტნიორები არიანო.**




### «სახელმწიფოებრივად უნდა იაზროვნოთ და არ უნდა აჰყვეთ პანიკას!»

ანუ, ნართაული გასაგებია,— ვინც მათ შეეხება, ჩვენთან ექნება საქმეო.

შეიძლება ითქვას, **ივანიშვილის ამ პირდაპირმა განცხადებამ — „ჩვენ დავდებთ მასალებს ამ სამი ადამიანის საქმიანობის შესახებ“ — მწყობრიდან გამოიყვანა ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლება, რომელსაც, თავისთავად წარმოადგენს მისი საელჩო საქართველოში.**

სხვა შემთხვევაში, დიპლომატიური უწყების მხრიდან ასეთი პირდაპირი აღიარება, რომ ეს ორგანიზაციები მათი „შნირები“ არიან და ამიტომ ამ ქვეყანაში ყველაფრის უფლება აქვთ, ცოტა არ იყოს, უცნაურია.

მით უმეტეს, იმ ფონზე, როდესაც საქართველოს ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი სრულიად ალოგიკურად აცხადებს: „ამ წამყვან არასამთავრობოთა ხელმძღვანელების საქმიანობის კვლევას, ჯობს, ყურადღება მიაქციონ რუსეთის მომხრე არასამთავრობო ორგანიზაციებს!“

თუ გავიხსენებთ ამ ქალბატონის პარტიული „ბოსის“ ამასწინანდელ განცხადებასაც, „საქართველოში გააქტიურდა და კიდევ უფრო გააქტიურდება რუსული პროპაგანდა. შექმნილია რუსეთის მხარდამჭერი არასამთავრობოები და მედიასაშუალებები. ისინი უნდა გაკონტროლდეს!“

უკვე სრულიად აშკარაა: **ბატონებს — ნორლანდსა და ალასანიას, აგრეთვე, ქალბატონ ფანჯიკიძესა და მათნაირებს „არასამთავრობო სექტორის“ ბედი კი არ აღელვებთ, არამედ „ამერიკის“ ხელდასხმული ორგანიზაციების კბილებით დაცვით არიან დაკავებულნი...**

თორემ, თუკი რეალურად თავისუფალი სიტყვის გამო წუხს ვინმე, მისთვის, წესით, სულერთი უნდა იყოს, ვის ან რას ემხრობა ეს თავისუფალი სიტყვა.

სხვანაირად, **გამოდის, რომ „ძია სემის“ უკანალში თავის შეყოფა „თავისუფალი სიტყვა“ ყოფილა, ხოლო, თუკი ვინმე სამშობლოს ხსნას განსხვავებულ საგარეო კურსში ხედავს — „გასაკონტროლებელი“ საქციელი.**

როგორ ფიქრობთ, **როდესაც უცხო (თუნდაც პარტნიორი, მაგრამ — უცხო) ქვეყნის საელჩო პირდაპირ ერევა შენი ქვეყნის საშინაო საქმეებში, ეს „თავისუფლებაა“?**

აქ ელემენტარულ „დიპლომატიურ პატივისცემაზეა“ საუბარი, თორემ, უკვე დიდი ხანია, ჩვენი სამთავრობო-არასამთავრობოებიანად ამერიკელი „პოლიტიკური პლანტატორების“ მონები რომ ვართ, ისედაც ცხადია...

თუ არადა, რამ „აუშალა კუჭი“, გინდა, უცხო და, გინდა, შინაურ გულშემატკივრებს „არასამთავრობო სექტორისა“?

ბოლოს და ბოლოს, ბიძინა ივანიშვილმა თქვა: „ჩვენ დავდებთ მათი საქმიანობის ამსახველ მასალებს“. ის ხომ არ უთქვამს, რომ დავიჭერთ, დავაპატიმრებთ, დავსჯით ან დავხურავთო?

რა, **თუკი მართლაც არის შავი ლაქები ამ სამი პერსონის საქმიანობაში (და არა მათ პირად ცხოვრებაში), არ აქვს უფლება მოქალაქე ივანიშვილს, რომ ამის შესახებ საზოგადოებას ინფორმაცია მიაწოდოს? როგორ, ნუთუ, ვინც „წამყვანი არასამთავრობო ორგანიზაციის“ ხელმძღვანელის სტატუსით სარგებლობს, ხელშეუხებელია?!**

სხვათა შორის, ეს შემთხვევა მაგონებს კახა თარგამაძის 15 წლისწინანდელ განცხადებას ჟვანია-სააკაშვილის გასაგონად: „მე რკინისა ვარ და ვერ მომერევით!“(არ დაიწყოთ ახლა დაზეპირებული ფრაზა: „თარგამაძე მექრთამე იყოო“... კი, ბატონო, იყო, მაგრამ აქ სხვა რამეზეა საუბარი).

თარგამაძის ამ მიმართვას ჟვანია-სააკაშვილის ჯიბის მედიამ და ჯიბის არასამთავრობოებმა ისეთი ელფერი მისცეს, თითქოს კახა თარგამაძე თავისი „რკინის კაცობით“ საზოგადოებას „ემუქრებოდა“ და სერიოზული სკანდალიც ააგორეს!

მაგრამ ახლა ის დრო აღარ არის — **საზოგადოებამ უკეთ იცის, რასაც წარმოადგენს რეალურად „არასამთავრობო გრანტიჭამიათა სექტორი“ და სინამდვილეში ვის გამარჯვებაზე ზრუნავს „გამარჯვებული ხალხის ტელევიზია“!**

ამიტომ ამჯერად „სკანდალი“ ეგზომ ეფექტიანი აღარ გამოვიდა...

თუმცა მაინც მინდა, ერთ დეტალს მივაქციო ყურადღება: **იმ ადამიანთა უმრავლესობა, რომლებიც კოჟორიძე-გიგაური-ლომჯარიას მისამართით თქმულ სრულიად ნორმალურ, უწყინარ სიტყვებს ზეწოლად, დაუშვებლად, წარმოუდგენლად და ა. შ. მიიჩნევს, ამას წინათ „შარლი“ იყო და, რომ გეკითხათ, „თავისუფალ სიტყვას“ მედგრად edგნენ გვერდით!**

გამოდის, რომ სრულიად ახალი „ჭეშმარიტება“ გვეუწყა „,მესამე სექტორის“ ქურუმთა პირით: **ქრისტე, მუჰამედი და ბუდა — აი, ამ სამი „პერსონის“ შესახებ უხამსი აზრების გამოთქმა ყოფილა „თავისუფალი აზრი“ და დემოკრატია, ხოლო ამ სამ პერსონაზე — გიგაურზე, კოჟორიძესა და ლომჯარიაზე — თქმა იმისა, რომ მათი საქმიანობა საეჭვოა, ყოფილა ზეწოლა, დაშინება, შეურაცხყოფა და კიდევ უამრავი საშინელება...**

საბოლოოდ, როგორც ჩანს, უახლოეს მომავალში, მართლაც, გველის „ენჯეო“-ების (ქართულად „ასო“-ების სკანდალი) და ვნახავთ, შევძლებთ თუ ვერა გარკვევას — ვისი „ასო“ ვის „ყბაშია“ და ვინ ვისზე რა კომპრომატებს შემოგვთავაზებს...

▶

**ივანიშვილის ამ პირდაპირმა განცხადებამ — „ჩვენ დავდებთ მასალებს ამ სამი ადამიანის საქმიანობის შესახებ“ — მწყობრიდან გამოიყვანა ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლება, რომელსაც, თავისთავად წარმოადგენს მისი საელჩო საქართველოში... ბატონებს — ნორლანდსა და ალასანიას, აგრეთვე, ქალბატონ ფანჯიკიძესა და მათნაირებს „არასამთავრობო სექტორის“ ბედი კი არ აღელვებთ, არამედ „ამერიკის“ ხელდასხმული ორგანიზაციების კბილებით დაცვით არიან დაკავებულნი...**

ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

საზოგადოდ კი, ამ კონკრეტულ განცხადებასა და საქციელში, შეგვიძლია, დავინახოთ „კარგი ბიძინა“, რომელმაც დამსახურებულად შეაჯანჯღარა ე. წ. „არასამთავრობო სექტორი“ და შეახსენა მათ, რომ განუსაზღვრელი ძალაუფლებითა და უფლებებით არ არიან აღჭურვილნი!

ახლა კი „ცუდი ბიძინას“ ფენომენიც განვიხილოთ:

**«ძია სემის» უკანალში თავის შეყოფა «თავისუფალი სიტყვა» ყოფილა, ხოლო, თუკი ვინმე სამშობლოს ხსნას განსხვავებულ საგარეო კურსში ხედავს — «გასაკონტროლებელი» საქციელი. როგორ ფიქრობთ, როდესაც უცხო (თუნდაც პარტნიორი, მაგრამ — უცხო) ქვეყნის საელჩო პირდაპირ ერევა შენი ქვეყნის საშინაო საქმეებში, ეს «თავისუფლებაა»? აქ ელემენტარულ «დიპლომატიურ პატივისცემაზეა» საუბარი, თორემ, უკვე დიდი ხანია, ჩვენი სამთავრობო-არასამთავრობოებიანად ამერიკელი «პოლიტიკური პლანტატორების» მონები რომ ვართ, ისედაც ცხადია...**

## კითხვა მეორე (როცა ბიძინა ცუდია!) — ვისი ტყუილი ვის ტელევიზიაშია?

საერთოდ, ბიძინა ივანიშვილის „ცუდ“ განცხადებებში ყველაზე კომიკური მის მიერ ლარის შეფასება იყო:

**„ლარი იქცევა ძალიან ჯანსაღად, ჯანმრთელად, ადეკვატურად...“**

ამ გამონათქვამზე სერიოზული კომენტარი გამიჭირდება. ვალუტის „საქციელის“ ასეთნაირი შეფასება, მგონი, უნიკალურია მსოფლიო ეკონომიკის ისტორიაში!

ჩვენც ისღა დაგვრჩენია, დავიჯეროთ, რომ ჩვენი ლარი ჯერ კიდევ არ გამხდარა მსუბუქი ყოფაქცევისა, ანუ ჯერ არ გაბოზებულა და ვენეროლოგიურ შემოწმებასაც არ საჭიროებს, ე. ი. სრულიად ჯანმრთელია.

საზოგადოდ, ბატონი ივანიშვილის ინტერვიუს ამ „ცუდ“ ნაწილზე ერთგვარი ირონიის გარეშე წერა თითქმის შეუძლებელია.

აბა, მითხარით: რა უნდა უპასუხო კაცს, რომელიც ქვეყანაში ყველაფერს ერთი ტელეკომპანიის „ტყუილებსა და პანიკურ პროპაგანდას“ აბრალებს?

კი, ბატონო, ყველა მივხვდით, რომ ეს ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ია. ეს პირდაპირაც თქვა ბიძინა-ბატონმა და ჩვენც დავეთანხმეთ, რომ ის მართლაც ათასგვარ ტყუილს ავრცელებს და პანიკურ პროპაგანდას ეწევა, მაგრამ დავიჯერო, რომ **უმუშევრობის უკიდურესი დონე, საშინელი გაჭირვება, ფასების ზრდა, სახელმწიფო ჩინოსანთა უნიათობა, მუქთახორობა და სხვა მრავალი პრობლემა მხოლოდ და მხოლოდ ამ მართლაც სამარცხვინო ტელეკომპანიის ტყუილებისა და პროპაგანდის „ბრალია“ და სინამდვილეში ეს ყველაფერი არ ხდება?**

კარგი, ჯანდაბას ეს ტელევიზიაცა და მისი „ერთგული მაყურებელიც“, მაგრამ აქ მთავარი ის იყო, რომ ბატონმა მილიარდერმა და „წასულმა პოლიტიკოსმა“ ჩვენ, საზოგადოებას, დაგვდო ბრალი,— თქვენ ამ ხელისუფლებას იმიტომ აკრიტიკებთ, რომ მაგ ტელევიზიის ტყუილებსა და პროპაგანდას ხართ აყოლილი, თორემ სინამდვილეში ყველაფერი გადასარევად კარგადაა და ჩვენ ძალიანაც ეფექტური მთავრობა გვყავს! ნუ დაუჯერებთ „რუთავი 2“-ს და ყველაფერი კარგად იქნებაო.

**არანაკლებ კომიკური იყო შექმნილი სიტუაციიდან ის გამოსავალი, რომელიც ივანიშვილმა სრულიად სერიოზულად შემოგვთავაზა:**

**„აგერ, გავაკეთებ მე ჩემს ტელევიზიაში ახალ გადაცემას, იმას უყურეთ და ნახავთ მერე, რა კარგად არის ყველაფერი ჩვენს ქვეყანაში!“**

ეს როგორ? **ქვეყანაში სიტუაცია კარგი იქნება თუ ცუდი, მხოლოდ იმაზეა დამოკიდებული, ხალხი რომელ ტელევიზიას და რომელ გადაცემას უყურებს?! ანუ გამოდის, რომ ჩვენ რეალობის რეალური შეფასების ნაცვლად, იმის გამოცნობით უნდა დავკავდეთ, ვისი ტყუილი ვის ტელევიზიაშია?!**

მაპატიეთ და, ვერ ვითმენ, პირდაპირ ბატონ „წასულ-ვერწასულს“ რომ არ მივმართო:

**ბატონო ბიძინა!**

**თქვენ ბრძანეთ, — იმ გადაცემის სახელწოდება, რომელსაც ვამზადებ — „2030“, ნიშნავს, რომ 2030 წლისთვის მივაღწევთ ყველა დაპირების შესრულებასო!**

**არადა, თქვენ ამბობდით, რომ „მეოთხე წელი“ უნდა ყოფილიყო „ძალიან კარგი“! ეს „მეოთხე წელი“ 2016 წელია, წესით, და...**

რამე „ძალიან კარგზე“ კიდევ უკეთესს („ნაციონალების“ „მაპზე უკეთესისა“ არ იყოს) გვპირდებით? თუ სწორედ ეს „ძალიან კარგი“ გადაგვიწიეთ 2030 წლისთვის, ანუ, ოთხის ნაცვლად, კიდევ 15 წლით?

ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ თქვენ ამით გვეუბნებით, — კიდევ 15 წელი ვიქნებით ხელისუფლებაში და ვერავინაც ვერ დაგვძრავსო?

**ისევ და ისევ „ნაციონალები“ ხომ არ გავიხსენოთ, რომლებიც ასევე დარწმუნებით აცხადებდნენ, — 20 წელიწადი ვერავინ დაგვძრავსო?... მაშინ რას ვერჩოდით მათ და მიშას რატომ ვუწოდებდით დიქტატორს. ვერ ხვდებით, რომ ასეთი განცხადებებით ძალიან უახლოვდებით საააკაშვილს?**

ამ ყველაფრის პასუხად თქვენ მხოლოდ ის შეგიძლიათ გვითხრათ, რომ „რუსთავი 2“-ს არ დავუჯეროთ?

მოდი რა, პირდაპირ გეტყვით:

**მე, პირადად (და ბევრ ჩემნაირს), „რუსთავი 2“-ისა და „ნაცების“ პროპაგანდის არც იმხანად მჯეროდა, როცა თქვენ გჯეროდათ მათი (2003 წელს)!**

**არც მერე მჯეროდა, როცა თქვენც აღარ გჯეროდათ (2012 წელს)!**

**და არც ახლა მჯერა!**

მიუხედავად ამისა, თქვენი ხელისუფლება წარმოუდგენელ შეცდომებს უშვებს, წარმოუდგნელ უნიათობას ამჟღავნებს და მართლა უდიდეს იმედგაცრუებას უნერგავს საზოგადოებას.

რომ აღარაფერი ვთქვათ იმ საზოგადოებრივ უზნეობაზე, რომელიც თქვენ მიერ ყოფილი „ნაცების“ თანამდებობებზე დატოვება-დაწინაურებაში გამოიხატება!

და აქ ნამდვილად არაფერ შუაშია „რუსთავი 2“ და მისი პროპაგანდა!

**ყველაზე საინტერესო კი, ბატონო ბიძინა, თქვენი მხრიდან საზოგადოების დამუნათება იყო: „სახელმწიფოებრივად უნდა იაზროვნოთ და არ უნდა აჰყვეთ პანიკას!“**

აი, ამ მოწოდების გავლენით წავედი სწორედ იმ დღეს აფთიაქში.

ფარმაცევტი გოგონები საუბრობდნენ:

„ციტრამონი“ და „ანალგინი“ გაძვირდაო. 15-თეთრიანი „ციტრამონი“ 30 თეთრი გახდა, 30-თეთრიანი „ანალგინი“ 50 თეთრიო.

იმწამს მივვარდი და ვუთხარი, — ნუ იტყუებით, თქვე „რუსთავი 2“-ის თანამშრომლებო, თქვე პროპაგანდისტებო-მეთქი.

ვიდრე ფარმაცევტი გოგონები შეშინებული და გაოცებული მიყურებდნენ, დახლთან პენსიონერი ბებო დავინახე; იდგა და ტიროდა,— ექიმმა რაღაც წამლის კურსი 7 აბი გამომიწერაო. მე კიდევ პენსიის აღებამდე იმდენი ფული მაქვს დარჩენილი, 2 აბზე მეტს ვერ ვიყიდიო. ეგეც რომ არ იყოს, ეგ 2 აბიც რომ ვიყიდო, მერე პურის ფული აღარ მრჩებაო“.

რა თქმა უნდა, იქვე მივახალე, — ამხელა, მოხუცი, ჭარმაგი, დამსახურებული, სანდომიანი ქალბატონი ბრძანდებით, არ გრცხვენიათ, „რუსთავი 2“-ის ტყუილებს რომ იჯერებთ, ეგ სწორედ „რუსთავი 2“-მა მოგატყუათ, რომ 2 აბზე მეტის საყიდელი ფული არ გაქვთ, სინამდვილეში ძალიანაც კარგად გაქვთ-მეთქი...

აბა, რას იტყვით, ბატონო ბიძინა?

ხომ მაგრად სახელმწიფოებრივად მოვიქეცი?

შემაქეთ რა, ბატონო ბიძინა, აი, მაგ თქვენი ინტერვიუს ჭირიმე, რა!

## დასკვნა, ანუ ვისი მილიარდი ვის ჯიბეშია? (როცა ბიძინა ბოროტია!)

ზემოთ მოყვანილი ორი კითხვის გარდა, ივანიშვილის ამ მეტად საინტერესო ინტერვიუმ კიდევ ერთი, შეიძლება ითქვას, ზოგიერთისთვის ყველაზე საინტერესო კითხვა დატოვა.

**„ერთი მილიარდი გამოიყოფა სამართლიანობის აღდგენის საქმისთვის.“**

ივანიშვილის ამ ფრაზამ ერთიანად დაზაფრა მთელი „ნაციონალური მოძრაობა“! დაიწყო მარჩიელობა: საიდან „მოვა“ ეს ერთი მილიარდი — ბიუჯეტიდან თუ ბიძინას ჯიბიდან?

რა თქმა უნდა, „ნაციონალებს“ ნაკლებად აინტერესებთ ბიუჯეტის მილიარდიანი ზარალიც და ბიძინას ჯიბის შეთხელებაც მილიარდით...

მათ სულ სხვა ზაფრა სჭირთ და, ღმერთმა ქნას, მათი ეს შიში რაც შეიძლება მალე ახდეს!

თუმცა აქვე ვიტყვი: ამაში მე, პირადად, ძალიან მეპარება ეჭვი...

და აქვე დავამთავრებდი კიდეც ამ წერილს, აუცილებლად რომ არ მიმაჩნდეს ჩემი ერთი პოზიციის ხაზგასმით გამოხატვა:

რამდენჯერაც „ოცნების“ ლიდერების მიმართ მწარე კრიტიკულ შენიშვნებს გამოვაქვეყნებ, ზოგიერთი იმწამსვე იწყებს კომენტარის წერას, — აი, აბა, რას ერჩოდით „ნაცებს“?

ეს კიდევ არაფერი, შევნიშნე, რომ ბევრი ცდილობს, ჩემი ეს კრიტიკული დამოკიდებულება ხელისუფლების მიმართ გამოიყენოს იმ პოლიტიკური ძალის სასარგებლოდ, რომლის მომხრეც თვითონაა.

მაგალითად: „მართალი ხარ! დროა, ბურჯანაძეს ვანდოთ ქვეყნის ბედი!“

ან

„რა თქმა უნდა! ლეიბორისტებს უნდა ვენდოთ, ბოლოს და ბოლოს!“

ან კიდევ —

„აბა, რა! პატრიოტთა ალიანსის დროა!“

და ა. შ., ყველას ვერ ჩამოვთვლი...

მაგრამ მინდა, კატეგორიულად განვაცხადო:

**რომელი პოლიტიკური ძალაც უნდა იყოს (ნაციონალებზე აღარც კი ვსაუბრობ, რადგან ამ მანიაკების „გაფარჩაკებას“ არასოდეს ვინანებ, ივანიშვილმა სულაც რომ დაღუპოს ქართული ეკონომიკა, „ალასანიას დაჯგუფება“ კი ნაციონალების დამატებად მიმაჩნია), ნებისმიერს მაინც მირჩევნია „ქართული ოცნება“. თუნდაც იმიტომ, რომ ის გაცილებით სერიოზული ძალაა, ვიდრე ისინი, პირდაპირ ვთქვათ, კაპიკისვერგამგდები მოლაყბეები, რომლებიც „ორ შაურად“ გეგმავენ „ხელისუფლებაში მოსვლას“, რაც ძალიან არასერიოზული და სასაცილო ამბავია (შეეცადეთ, არავის გეწყინოთ, მეგობრებო; მე, უბრალოდ, რეალობას ვამბობ...)!**

ამიტომ გაითვალისწინეთ: „ოცნებაზე“ ჩემი ხშირი თავდასხმები განპირობებულია მხოლოდ და მხოლოდ იმ ფაქტით, რომ ისინი ხელისუფლებაში არიან და, ფაქტობრივად, ყველაფერზე აკისრიათ პასუხისმგებლობა!

საზოგადოდ კი, ჩემთვის მართლა ძალიან სამწუხარო რეალობაა, მაგრამ 100 პროცენტით ვარ დარწმუნებული, ნებისმიერი, დღეს პოლიტიკურ ასპარეზზე არსებული სხვა პოლიტიკური ძალა, ქვეყნის სათავეში ყოფნის შემთხვევაში, გაცილებით უფრო „ტრაწიანი“ იქნებოდა, ვიდრე ეს ჩვენი „საოცნებო კოალიცია“....

**ბატონო ბიძინა! თქვენ ბრძანეთ, — იმ გადაცემის სახელწოდება, რომელსაც ვამზადებ — «2030», ნიშნავს, რომ 2030 წლისთვის მივაღწევთ ყველა დაპირების შესრულებასო! არადა, თქვენ ამბობდით, რომ «მეოთხე წელი» უნდა ყოფილიყო «ძალიან კარგი»! ეს «მეოთხე წელი» 2016 წელია, წესით, და... რამე «ძალიან კარგზე» კიდევ უკეთესს («ნაციონალების» «მაპზე უკეთესისა» არ იყოს) გვპირდებით? თუ სწორედ ეს «ძალიან კარგი» გადაგვიწიეთ 2030 წლისთვის, ანუ, ოთხის ნაცვლად, კიდევ 15 წლით?**



## ციპრასი ევროკავშირის წინააღმდეგ

**საბერძნეთის ახალმა პრემიერმინისტრმა რუსეთის წინააღმდეგ სანქციების გაფართოებას მხარი არ დაუჭირა.**

საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების საკითხებში ევროკავშირის უმაღლეს წარმომადგენელ ფედერიკა მოგერინისთან სატელეფონო საუბრისას საბერძნეთის ახალმა პრემიერმინისტრმა ალექსის ციპრასმა ევროკავშირის ლიდერები დაადანაშაულა, რომ მათ კონსულტაციები არ გაიარეს საბერძნეთთან რუსეთის წინააღმდეგ სანქციების გაფართოების საკითხზე.

გავრცელებული ინფორმაციით, საბერძნეთის პრემიერმინისტრმა ასევე უკმაყოფილება გამოთქვა, რომ ევროკავშირმა განცხადება პროცედურების დარღვევით გამოაქვეყნა.



## ევროპარლამენტის თავმჯდომარე რუსეთისთვის ახალი სანქციების დაწესების წინააღმდეგია

**„ამ მომენტისთვის სანქციები საკმაოდ ეფექტიანია. ახალი სანქციების შემოღების აუცილებლობა კი არ არის. მეეჭვება, რომ დამატებითი სანქციებით შესაძლებელია კრიზისი დასრულება“, — განუცხადა მარტინ შულცმა ავსტრიულ სააგენტო APA-ს.**

შულცის აზრით, კონფლიქტის გადასაწყვეტად ევროკავშირმა მოთმინებით უნდა აწარმოოს დიალოგი რუსეთთან მინსკის შეთანხმებების შესრულებაზე. მისი თქმით, ევროკავშირმა რუსეთს უნდა დაანახვოს, რომ მშვიდობის მიღhწევა მხოლოდ დიალოგის გზით შეიძლება და არა სამხედრო კონფრონტაციით.

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„შე მამაცხონებულო, არასამთავრობო ორგანიზაცია რომ ხარ, ფინანსდები საზღვარგარეთიდან და აკეთებ იმას, რასაც გიკარნახებენ იქიდან, ეს არაფერს ნიშნავს?! აშშ-ის ელჩი რომ აცხადებს, — ისინი ჩვენი „მნიშვნელოვანი პარტნიორები“ არიანო, ჩემი აზრით, სხვა არაფერია, თუ არა, აღიარება, რომ, პირველი — ისინი აშშ-ის სპეცსამსახურების მიერ ფინანსდებიან; მეორე — ამ სპეცსამსახურების აგენტები არიან და მათ დავალებებს ასრულებენ. ბატონი ნორლანდის განცხადება შეიძლება ასე გაიშიფროს.“**

# ნორლანდი ნულანდთან ახლოს ვარდება

**ბოდიში უნდა მოვუხადო მკითხველებს ცნობილი რუსული ანდაზის „Яблоко от яблони недалеко падает“ (ნაყოფი ხესთან შორიახლოს ვარდება) თავისუფალი გადმოქართულებისთვის, მაგრამ უკეთესი შედარება აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილის, ქალბატონ ვიქტორია ნულანდის მიერ კიევის მაიდანზე აქციის მონაწილეთა მხარდასაჭერად ღვეზელების დარიგებამ და ბატონ რიჩარდ ნორლანდის საქართველოში მოქმედი სამი არასამთავრო ორგანიზაციის ხელმძღვანელების აშშ-ის საელჩოს „მნიშვნელოვან პარტნიორებად“ გამოცხადებამ მაინცდამაინც ასეთი ასოციაცია გამოიწვია ჩემში, როგორც ერთ, ცალკე აღებულ, მოქალაქეში.**



**ნატოს ცენტრის გახსნა საქართველოში რუსეთისთვის წითელი ქსოვილის თვალწინ აფრიალებაა. მართალია, ვერშბოუ არ განიხილავს «პოტენციურ სცენარებს, თუ რა შეიძლება გააკეთოს რუსეთმა», მაგრამ ერთ მშვენიერ დილას რომ გამოგვეღვიძება, შეიძლება, თბილისის ქუჩებში რუსული ტანკები დაგვხვდეს. ასეთი იქნება იმავე ვერშბოუს განცხადების — «ძალიან მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი, რომ წინ წავიდეთ» — ჩვენთვის დამღუპველი შედეგი**

მათ შორის — კავშირის პარალელური ქვეტექსტების გამო.

თუმცა რაღა ქვეტექსტები, როცა ბატონმა ელჩმა ქართველ ჟურნალისტებს სასტუმრო „რადისონში“ პირდაპირ განუცხადა (მეორედ ვუხდი ბოდიშს „საქართველო და მსოფლიოს“ მკითხველებს ოკრობოკრო ციტატის მოხმობის გამო, რაც, გამორიცხული არ არის, უხეირო თარგმანის ბრალიც იყოს):

„**მნიშვნელოვანია** დიალოგი, რომელიც გახლავთ აზრის გამოხატვის თავისუფლება. ეს კი **მნიშვნელოვანია** საზოგადოებაში **მნიშვნელოვანი** პროცესისათვის. ამ შემთხვევაში მედია და არასამთავრობო სექტორი კრიტიკულ როლს თამაშობენ ამავე პროცესში. ივანიშვილის მოსაზრება **მნიშვნელოვანია** საზოგადოებისთვის. თავის მხრივ, არასამთავრობო ორგანიზაციები — საია, „საერთაშორისო გამჭვირვალობა“ და „სამართლიანი არჩევნები“ **მნიშვნელოვანი პარტნიორები** არიან ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსი“ *(„ინტერპრესნიუსი“, 2015 წლის 29 იანვარი).*

რა თქვა ისეთი **მნიშვნელოვანი** ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის („მოქალაქის“) ხელმძღვანელმა ბიძინა ივანიშვილმა, რამაც აიძულა ბატონი ნორლანდი, დიპლომატიური კალთა გადაეფარებინა აშშ-ის საელჩოს „**მნიშვნელოვანი** პარტნიორებისთვის“ — კოჟორიძისთვის, გიგაურისა და ლომჯარიასთვის?

ბევრი არაფერი:

„აი, მთავრობაზე დიდი არასამთავრობოები რომ არიან, უფრო სწორად, პიროვნებები — ლომჯარია, კოჟორიძე და გიგაური. ჩვენ ძალიან საინტერესო კვლევას დავდებთ მათზე. თვითონ მათთან გვაქვს ძალიან ბევრი კითხვა“ *(ციტატა კომპანია „იმედთან“ საუბრიდან).*

მათთანო, პიროვნებებთან და არა არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომლებსაც ისინი წარმოადგენენ (ლომჯარია, გიგაური) ან წარმოადგენდა (კოჟორიძე, რომელიც საქართველოს პრეზიდენტმა თავის მრჩევლად მიიწვია). მაშასადამე, არასამთავრობო სექტორის **მნიშვნელობისთვის** ხაზგასმა ბატონი ელჩის მიერ დიპლომატიის ჩარჩოებში ჩასმულ გაღმა შედავებას ჰგავს.

რას ფიქრობს ამ ყველაფერზე სახელმწიფო უშიშროების გენერალ-მაიორი ანზორ მაისურაძე?

— საინტერესო, რატომ მიმართეს აშშ-ის ელჩს ჩვენმა ჟურნალისტებმა. რატომ მაინცდამაინც მისი პოზიცია არის მნიშვნელოვანი და საინტერესო ჩვენი საზოგადოებისთვის, რომელმაც გაოცება ან, უფრო რბილად რომ ვთქვათ, აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია?

— ცოტა შორიდან დავიწყებ. „საქართველო და მსოფლიოს“ მკითხველებს კარგად მოეხსენებათ, როგორი უმძიმესი იყო საქართველოსთვის 90-იანი წლების დასაწყისი: ქაოსი სახელმწიფოში, ეკონომიკის კოლაფსი და მოსახლეობის სრული სოციალური დაუცველობა. დიდ გაჭირვებაში იყო ხალხი. ერთადერთი ქვეყანა, რომელსაც მაშინ მივეკედლეთ, ამერიკის შეერთებული შტატები იყო. არ დამავიწყდება, 200 ათასი ტონა ხორბალი რომ გამოგვიგზავნეს და ათასი სხვა დახმარება რომ გაგვიწიეს. ამისთვის მადლიერების გრძნობა ყველას უნდა გვქონდეს. ზოგს ავიწყდება, მე — არა. **საქართველოში უმადურობა სამარცხვინო მოვლენად ითვლება! მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ამერიკის აზრი ყოველთვის უკრიტიკოდ უნდა მივიღოთ, ყოველთვის და ყველაფერში დავეთანხმოთ.** მთავარი ის არის, რომ „ჩვენი თავი ჩვენვე უნდა გვეყუდნოდეს“, როგორც ილიამ ბრძანა.

**შე მამაცხონებულო, შენი უსიტყვოდ მორჩილი სააკაშვილი რომ შეაგულიანე და ომი დააწყებინე ცხინვალში რუსეთთან და ჩვენი ტერიტორიის 20 პროცენტი დააკარგვინე, ხომ ფაქტია! ასე მოხდა იმიტომ, რომ ყველაფრით და ყველაფერში, როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში დამოკიდებული ვართ შტატებზე.**

**რატომ დავიტეხეთ თავზე ასეთი უბედურება? იმიტომ, რომ აშშ-ს სურდა რუსეთის კომპრომეტაცია საქართველოს მეშვეობით. იგივე ხდება დღეს უკრაინაში: მსოფლიოს თვალში რუსეთი ჩანს ისეთ აგრესორად, რომელიც თავის მოძმე ქვეყანას, მართლმადიდებელ მორწმუნე ხალხს დაუნდობლად ხოცავს.**

იგივე ხდებოდა საქართველოში და ამან ისე იმოქმედა ჩემზე, რომ მე, ანზორ მაისურაძეს, ვინც 44 წლის განმავლობაში ერთგულად ვემსახურებოდი საბჭოთა კავშირს, დამიგროვდა შინაგანი პროტესტი რუსეთის მიმართ.

ვის ეომები, შე დალოცვილო, პატარა საქართველოს?! რისთვის, რის გამო?!

ხომ ყველამ იცის, რომ რუსეთთან ჩვენი ურთიერთობა საუკუნეების გამმავლობაში განსაკუთრებული იყო. მხოლოდ ის რად ღირს, რომ ნაპოლეონის წინააღმდეგ 1812 წლის სამამულო ომში 40 ქართველი გენერალი იბრძოდა რუსეთის არმიაში, 1941-1945 წლების ომზე აღარაფერს ვამბობ.

**ასეთი ერის, ასეთი ხალხის წინააღმდეგ ომი არ უნდა დაიწყო! არ უნდა გაიმეტო!**

ახლა — ამერიკის შესახებ. **ერთი ანდაზის არ იყოს, შტატებზე ისე ვართ დამოკიდებული, თბილისში რომ დააცემინო, ვაშინგტონში,— იცოცხლეო,— გეტყვიან; ან — ეშმაკსაც წაუღიხარო! ყველა ინფორმაცია ყველა ფაქტზე, რომელიც კი საქართველოში მოხდება, ელვის უსწრაფესად მიდის ვაშინგტონში. ყველაფერი ჩვენზე უკეთესად იციან და უკეთ აქვთ გაანალიზებული.**

ბატონი ბიძინას ინტერვიუც ყოველმხრივ აქვთ შესწავლილი (მეც ვუსმინე გულდასმით და ცუდი და მიუღებელი ვერაფერი ვნახე). **შე მამაცხონებულო, არასამთავრობო ორგანიზაცია რომ ხარ, ფინანსდები საზღვარგარეთიდან და აკეთებ იმას, რასაც გიკარნახებენ იქიდან, ეს არაფერს ნიშნავს?! აშშ-ის ელჩი რომ აცხადებს, — ისინი ჩვენი „მნიშვნელოვანი პარტნიორები“ არიანო, ჩემი აზრით, სხვა არაფერია, თუ არა, აღიარება, რომ, პირველი — ისინი აშშ-ის სპეცსამსახურების მიერ ფინანსდებიან; მეორე — ამ სპეცსამსახურების აგენტები არიან და მათ დავალებებს ასრულებენ. ბატონი ნორლანდის განცხადება შეიძლება ასე გაიშიფროს.**

საქართველოს საშინაო საქმეებში არავინ არ უნდა ჩაერიოს, თანაც ასე თავხედურად!

**სტრატეგიული პარტნიორობა შეერთებულ შტატებთან სულაც არ ნიშნავს, რომ თავზე გადაგვიარონ. ერის ასეთი შეურაცხყოფა წარმოუდგენელია.**

**თუ არ ვმალავთ აღშფოთებას საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის საომარი გამოლაშქრების გამო, რატომ უნდა გავუჩუმდეთ ჩვენს საშინაო პოლიტიკაში აშშ-ის ჩარევის მცდელობას?**

**— მიუხედავად ჩვენი დიდი მადლიერებისა, რაზეც უკვე ილაპარაკეთ...**

— დიახ. ცოდნით, განათლებით, ისტორიით, კულტურით ჩვენ გაცილებით მაღლა ვდგავართ ბევრ სხვა ერზე, ვიდრე ამერიკის შეერთებული შტატები, ამიტომ ვერ მოგვატყუებენ; დღეს იძულებული ვართ, ბევრ საკითხში დავეთანხმოთ, ჩვენი ეკონომიკური მდგომარეობის გამო, მაგრამ — არამც და არამც საკუთარი ეროვნული ინტერესების საზიანოდ.

— რაც ბატონმა ნორლანდმა თქვა, მსგავსი რამ საბჭოთა კავშირში აშშ-ის ელჩს რომ განეცხადებინა, რა მოხდებოდა, ბატონო ანზორ?

— მაშინ სხვა დრო იყო — ორი ზესახელმწიფო უპირისპირდებოდა ერთმანეთს. ასეთი რამ მოსკოვში რომ ეთქვა ამერიკის ელჩს, პერსონა ნონ გრატად გამოაცხადებდნენ და მეორე დღესვე გააგდებდნენ ქვეყნიდან, მაგრამ არც ის ელჩი გაბედავდა ამის თქმას, არც — საბჭოთა ელჩი ამერიკაში.

ერთსაც ვიტყვი: **ძმობასა და თანადგომას ვერავინ გვასწავლის, მაგრამ საქართველოს მოქალაქეებს უკრაინის სამოქალაქო ომში მონაწილეობას ამერიკაც მხარს რომ უჭერს, ჩემი აზრით, არაფრით არის გამართლებული. საქართველოდან გაქცეული „ნაციონალი“ დამნაშავეების გამართლება სურთ ამერიკელებს, მათი, ვისაც უკრაინის ხელისუფლებამ სამთავრობო სტრუქტურებში დააწყებინა მუშაობა დიდ თანამდებობებზე. სურთ, მსოფლიოს დაანახვონ, რომ ამერიკელები კი არ შემცდარან ამათ ხელდასმაში, არამედ საქართველოს ახალი ხელისუფლება ეწევა მათ კომპრომენტაციას „შერჩევითი სამართლის“ საფუძველზე. იგივე განაცხადა ვერშბოუმ, ნატოს გენმდივნის მოადგილემ, თბილისში ყოფნისას: „შერჩევითი სამართალი და პოლიტიკურად მოტივირებული სამართლებრივი დევნის აღქმაც კი აცილებული უნდა იქნას თავიდან“. ეს, ჩემი აზრით, ბრალდებაა და არა კეთილი სურვილი.**

აქედან გამომდინარე, ეჭვი მეპარება, რომ, რასაც „ნაციონალები“ საქართველოში სჩადიოდნენ და რასაც დღეს აკეთებენ, ამერიკის ნაკარნახევი იყო და არის(!).

თუ სხვაგვარადაა, ერთხელ მაინც თქვან ჩვენმა ამერიკელმა მეგობრებმა, რომ „ნაციონალები“ უვარგისები იყვნენ.

**— ისევ მილიარდერმა სოროსმა, რომელმაც თავის დროზე თქვა, რომ სააკაშვილი მისი პროექტი იყო, ორიოდე დღის წინათ ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ მისმა ხელდასმულმა პრეზიდენტმა აღმოფხვრა საქართველოში კორუფცია, რომელიც შემდეგ ხელისუფლების მონოპოლიად აქცია.**

— სოროსმა კი თქვა, მაგრამ სხვები ეფერებიან. ცდილობენ, გაამართლონ რეჟიმი, რომელმაც უსამართლობის საკეპ მანქანაში გაატარა თავისი ქვეყნის 350 ათასი მოქალაქე.

მე ასე ვფიქრობ: ყველა კარგია, ვინც ჩვენთან მეგობრობს, მაგრამ, ვინც ზღვარს გადასცილდება, ელჩი იქნება თუ მისი უფროსი, „მეგობრობა“ მასთან, მტრობაზე უარესია.

**— თქვენ, ბატონო ანზორ, აგენტები ახსენეთ. იქნებ, განუმარტოთ ჩვენს მკითხველებს, რას ნიშნავს ტერმინი „აგენტი“ პროფესიულ ენაზე?**

— გეტყვით. არსებობს აგენტი დამდგენელი (установщик), აგენტი გადმომბირებელი, აგენტი მიმთითებელი (наводчик), გავლენის აგენტი, კონსპირაციული ბინის მფლობელი აგენტი, აგენტი რეზიდენტი.

**გავლენის აგენტები** შეიძლება იყვნენ ის გადმობირებული პირები, რომლებიც საზოგადოებაში გავლენითა და ავტორიტეტით სარგებლობენ, რომელთა სიტყვასაც ფასი აქვს, რომელთა ნაწერსაც კითხულობენ და ა. შ.

**აგენტი მიმთითებელი** არის ის, ვინც სპეცსამსახურს ეხმარება საჭირო კაცის მოძებნაში; შეუძლია, შეარჩიოს ისეთი ადამიანი, რომელიც გარკვეულ დავალებებს შეასრულებს, ითანამშრომლებს დაზვერვასთან.

**აგენტი გადმომბირებელი** მაშინ ერთვება საქმეში, როცა სპეცსამსახურის თანამშრომელს არ შეუძ- ▶

**ალნიშნული ცვლილება ისედაც წელში გამწყდარი ქართველი გლეხისთვის ის საკონტროლო გასროლა იქნება, რომელიც სულს ამოხდის და სამშობლოს შეაძულებს. აი, ზუსტად ეს არის ამ ხელისუფლების და განსაკუთრებით რესპუბლიკური პარტიის ამოცანაც — რაც მეტ ქართველს შეძულდება საქართველო, მით მალე აშენდება მათი საოცნებო ქვეყანა.**

SOS
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



ლია საინტერესო პიროვნებასთან კონტაქტის დამყარება, რადგან უთვალთვალებენ. ამ შემთხვევისთვის მას (თანამშრომელს) ჰყავს აგენტი, რომელიც იმ საინტერესო პიროვნების გადმობირებას შეეცდება.

**— რეზიდენტი?**

— აგენტი **რეზიდენტი** ხელმძღვანელობს აგენტურის 5-10-კაციან ჯგუფს, ხოლო ოფიციალური რეზიდენტი მუშაობს საელჩოში, დიპლომატიის საფარქვეშ და ხელმძღვანელობს იმავე საელჩოს თანამშრომელ-მზვერავებს, რომლებიც ასევე დიპლომატიურ თანამდებობაზე არიან გაფორმებული. შეიძლება სავაჭრო წარმომადგენლობის თანამშრომლებიც იყვნენ ან იმ ქვეყანაში აკრედიტებული ჟურნალისტები და ა. შ.

ყველა მოპოვებული ინფორმაცია თავს იყრის რეზიდენტთან და იგზავნება შესაბამისი ქვეყნის სპეცსამსახურის ცენტრში. აშშ-ში, მაგალითად, ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს შტაბბინა ლენგლიში მდებარეობს.

**— ორიოდე სიტყვა, თუ შეიძლება, აგენტების გადმოსაბირებლად მატერიალური დაინტერესების პრინციპის გამოყენების შესახებ.**

— საბჭოთა პერიოდში ძირითადი მოტივი გადმობირებისა იდეოლოგიური გახლდათ. თუ რწმენის გამო გადმობირება შეუძლებელი იყო, მაშინ მაკომპრომენტებელი მასალებით ვახერხებდით. მაგრამ ეს ყოველთვის არ ამართლებდა, რადგან კომპრომასალების საფუძველზე გადმობირებული კაცი ყოველთვის ცდილობდა, გამოსულიყო ჩვენი გავლენიდან, თავი აერიდებინა დავალების შესრულებისთვის, იდეური აგენტი კი მყარად იდგა შენ გვერდით. კომპრომასალებით გადმობირებული ზოგჯერ იდეოლოგიური თანამოაზრე გამხდარა, ზოგჯერ კი გაჭირვებული ადამიანი, რომელიც ფულით გვყავდა გადმობირებული, გამდიდრებულა...

**— თქვენი ფულით?**

— ჩვენი ფულითაც და თავისი აწყობილი ბიზნესის მეშვეობითაც. შემდეგ ჩვენ დაგვხმარებია *(იცინის)*.

**— ასე იყო თქვენ დროს. ახლა როგორ ხდება?**

— ახლა — არ ვიცი. ერთის თქმა შემიძლია მხოლოდ: პრინციპი არ იცვლება და ახალი ველოსიპედი არავის გამოუგონებია. არცაა საჭირო. დაზვერვა ძალიან ძვირი ჯდება. თუ სახელმწიფო მზად არ არის, ასეთი ხარჯი გაიღოს, ხელისუფლებას ქვეყნის მართვა გაუჭირდება: არ ეცოდინება, რა ხდება ქვეყანაში და მის გარშემო. გარკვეული არ იქნება იმ საიდუმლო, წყალქვეშა დინებებში, რომლებიც პოლიტიკურ პროცესებში მიმდინარეობს. ამ ყველაფრის არცოდნა მცდარი გადაწყვეტილებების, მათ შორის, არასწორი განცხადებების, გაკეთების საფუძველი ხდება, რაც, სამწუხაროდ, ჩვენს ხელისუფლებასაც ახასიათებს.

**— სტალინს, როგორც ცნობილია, ზუსტ, სანდო და დროულ ინფორმაციას ამა თუ იმ მოვლენისა თუ ფაქტის თაობაზე, ოფიციალური სახელმწიფო სტრუქტურების გარდა, აწვდიდა პირადი სტრატეგიული დაზვერვა.**

— დიახ, ასე იყო. ამ ადამიანს არ ეზარებოდა შეხვედროდა იმ პიროვნებებს, რომლებიც ქვეყანას სჭირდებოდა. ვინ წარმოიდგენდა, რომ „ატომური ბომბის მამა“, დიდი ამერიკელი მეცნიერი რობერტ ოპენჰეიმერი ერთი თვე მოსკოვის მახლობლად ბერიას აგარაკზე ცხოვრობდა, რომ შეხვდა სტალინს, ისაუბრეს და ამას შედეგად მოჰყვა ამერიკაში პირველი ატომური ბომბის შექმნაზე მომუშავე, უაღრესად გასაიდუმლოებული ცენტრიდან „მანჰეტენის“ პროექტის მასალების მოსკოვში, ბერიას უწყებაში გადმოდინება, საიდანაც ამ მასალების კოროლიოვის „შარაშკას“ აწვდიდნენ — №2 ლაბორატორიაში მომუშავე საბჭოთა მეცნიერ-ფიზიკოსებს.

**— ე. ი. აგენტები იყვნენ და არიან?**

— დიახ, და იქნებიან კიდეც.

**— მაგრამ, კერძოდ, ვინ არის აგენტი, ვერავინ ვერავის დაუმტკიცებს, თქვენგან მსმენია.**

— ახლაც გავიმეორებ: მხოლოდ სახელმწიფოს მეთაურმა შეიძლება იცოდეს მათი ვინაობა. როგორაა, იცით? როგორც ერთუცნობიანი განტოლება: ორს მივუმატოთ იქსი, უდრის ოთხს. რას უდრის იქსი? იქსი უდრის ოთხს გამოვაკლოთ ორი, მივიღებთ ორს. როცა აშკარად ჩანს, ვინ როგორ მოქმედებს, რას აკეთებს, საიდან ფინანსდება, პასუხიც ძნელი მისახვედრი არ იქნება, ზედაპირზე დევს.

**— ბატონო ანზორ, ეს-ესაა გავრცელდა ნატოს გენერალური მდივნის მოადგილე ალექსანდრე ვერშბოუს საქართველოში ვიზიტის შემაჯამებელი ინფორმაცია, რომლის მიხედვით, საქართველოსა და ნატოს ერთობლივი „საწვრთნელი და შეფასების ცენტრის“ ჩვენთან დაარსება იქნება „ყველაზე თვალსაჩინო ნიმუში ნატოს ყოფნისა საქართველოში“. თქვენც ასე ფიქრობთ?**

— დიახ, ასე ვფიქრობ! **ვერშბოუ პირდაპირ ამბობს, რომ ნატო იქნება საქართველოში, და არა ნატოში იქნება საქართველო. მადლობა უნდა ვუთხრათ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მაღალი თანამდებობის ამ მოხელეს ასეთი გულახდილობისთვის. მან გვაცნობა, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროში გამოგზავნიან ნატოს მრჩეველთა „ძირითად გუნდს“.**

მიამიტები ვიქნებით, თუ დავიჯერებთ, რომ „ძირითადი გუნდი“ მხოლოდ რჩევებითა და რეკომენდაციების გაცემით შემოიფარგლება. **ეს ნიშნავს, რომ დამოუკიდებელი ქვეყნის ისეთ მნიშვნელოვან სტრუქტურას, როგორიც თავდაცვის სამინისტროა, ამერიკელი (ნატოელი) მრჩევლები უხელმძღვანელებენ. რასაც ვამბობ, ეჭვი და ვარაუდი კი არა, ათეული წლების განმავლობაში აშშ-ისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის მიერ სატელიტ ქვეყნებში დანერგილი პრაქტიკაა. ეს ერთი.**

მეორე და უმნიშვნელოვანესი პრობლემა, რომელიც უდიდესი საფრთხის შემცველია, ასეთია: თბილისიდან ორმოციოდე კილომეტრში რუსეთის შეიარაღებული ძალების დანაყოფები დგანან. **თუ „ნატოს ყოფნა საქართველოში“ (დისლოცირების ადგილიც კი შეურჩიეს ვაზიანში) რეალობად იქცა, მაშინ რუსეთისა და ნატოს დაპირისპირების წინა ხაზი თბილისზე გაივლის.**

რას ნიშნავს ეს ფეთქებადსაშიში სიტუაცია, ყველასთვის გასაგები უნდა იყოს, და **ბატონ ვერშბოუს მცდელობა, დაგვამშვიდოს, რომ „ნატოს მრჩევლების ყოფნა საზოგადოებისთვის თვალშისაცემი არ იქნება“, ჩვენთვის თვალში ნაცრის შეყრაა“, ხოლო განცხადება, რომ „ჩვენ (ნატო) არ განვიხილავთ პოტენციურ სცენარებს, თუ რა შეიძლება გააკეთოს რუსეთმა“, პასუხისმგებლობის თავიდან აცილებაა, სხვა არაფერი.**

ნატოს ცენტრის გახსნა საქართველოში რუსეთისთვის წითელი ქსოვილის თვალწინ აფრიალებაა. მართალია, ვერშბოუ არ განიხილავს „პოტენციურ სცენარებს, თუ რა შეიძლება გააკეთოს რუსეთმა“, მაგრამ ერთ მშვენიერ დილას რომ გამოგვეღვიძება, შეიძლება, თბილისის ქუჩებში რუსული ტანკები დაგვხვდეს. ასეთი იქნება იმავე ვერშბოუს განცხადების — „ძალიან მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი, რომ წინ წავიდეთ“ — ჩვენთვის დამღუპველი შედეგი.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

**P.S.** საუბრის ბოლოს ბატონმა ანზორ მაისურაძემ განაცხადა:

**— საქართველოში 400 წელი ბატონობდნენ არაბები. ვერ გადაგვაგვარეს. 200 წელი ბატონობდნენ მონღოლები და ვერ გაგვამონღოლეს. 200 წელიწადი რუსეთის გუბერნია ვიყავით და ეროვნულობა მაინ შევინარჩუნეთ. ამერიკელები ამ ოციოდე წლის განმავლობაში ამაოდ ირჯებიან. ქართველების გაამერიკელებაზე “ჩაციკლვა” განათლების დეფიციტურობიდან მოდის.**

# პარლამენტი მორიგ ანტიქართულ კანონპროექტს ამტკიცებს

**მიმდინარე პოლიტიკური ვაი-ვიშის ფონზე „ქოცნებისტების“ ხელისუფლება მორიგ ანტიქართულ და ანტისახელმწიფოებრივ კანონპროექტს ისე განიხილავს, რომ „ნაც-ქოცური“ ბაქანალიით გაბრუებული საზოგადოება ბაიბურშიც არ არის. საუბარია „სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრების შესახებ“ კანონში დაგეგმილ ცვლილებებზე, რომლებიც მცირე ხნის წინათ იუსტიციისა და ეკონომიკის სამინისტროების ავტორობით მომზადდა.**



ალნიშნული დოკუმენტის თანახმად, უცხოელებს საქართველოში მიწაზე საკუთრების უფლება უბრუნდებათ, ხოლო მათ, ვინც ორი წლის წინათ უცხოელებისთვის მიწის მიყიდვაზე გამოცხადებულმა მორატორიუმმა ინვესტიციების განხორციელებაში ხელი შეუშალა, ახლა უპირატესობა ენიჭებათ. მეტიც, კონკრეტული კრიტერიუმის დაკმაყოფილების შემთხვევაში, **უცხოელები პრაქტიკულად საქართველოს მოქალაქის უფლებებით ისარგებლებენ. ასეთივე მდგომარეობა ექნებათ საქართველოს მოქალაქეზე დაქორწინებულ უცხოელებს და საქართველოს მოქალაქის მონაწილეობით შექმნილი კომლის წევრებს; ის კი არა, განქორწინების ან კომლიდან გასვლის შემთხვევაშიც უცხო ქვეყნის მოქალაქე თანასაკუთრებაში არსებულ ქონებაზე წილს ინარჩუნებს.** ამასთანავე, მიწის დასაკუთრება იმ უცხოელსაც შეეძლება, რომელსაც „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული ბინადრობის ნებართვა აქვს. მოკლედ, განვაგრძობთ დასავლეთის გაოცებას „დემოკრატიით“. ზემოაღნიშნული ცვლილება ხომ გიგანტური ნახტომია „ცივილიზებული მსოფლიოსკენ“?! ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით.

ახლა რეალურად შევხედოთ ამ ყველაფერს. **იმის გათვალისწინებით, რომ ხელისუფლებაში სამპროცენტიანი რესპუბლიკელების ხროვა გვიზის, ხოლო მთავრობა ოლიგარქის ხელის ბიჭუნებისა თუ გოგონების ბაგა-ბაღადაა ქცეული, რაც დღეს ხდება, სავსებით ლოგიკურია.** მეტიც, უნდა ვაღიაროთ, რომ ორი წლის წინათ **ამ ყველაფერს, ნებსით თუ უნებლიეთ, მწვანე შუქი ჩვენ ავუნთეთ, როცა საარჩევნო ყუთთან მივედით და, სააკაშვილის სიძულვილით, არანაკლებ საძულველ რესპუბლიკელებს მხარი ბრმად დავუჭირეთ.** აბა, გაიხსენეთ, რა მოღალატეობრივი ცვლილებები განხორციელდა თავის დროზე კანონში სწორედ „ნაც-რესპების“ ერთობლივი ძალისხმევით, — **ჯერ იყო დანიის მოქალაქის, ვინმე ჰაიკე ჰორნკვისტის სარჩელი საკონსტიტუციო სასამართლოში, რომელიც კუბლაშვილის „კანტორამ“ დააკმაყოფილა და უცხოელ ფიზიკურ პირებს მიწის შესყიდვის შეუზღუდავი უფლება მიენიჭათ** (სხვათა შორის, აღნიშნულ პერსონას სარჩელი დაუწერა და იურიდიული მომსახურება გაუწია კახა ბენდუქიძის „თავისუფალმა უნივერსიტეტმა“) — **ეს მოხდა 2012 ლის 26 ივნისს, მომდევნო ექვსი თვის განმავლობაში კი დაახლოებით 10 000-მდე უცხოელმა შეიძინა გაურკვეველი რაოდენობის მიწები გაურკვეველი მიზნებით.**

ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, საზოგადოების ზეწოლის შედეგად, პარლამენტმა მორატორიუმი გამოაცხადა. **უცხოელები ვეღარ ყიდულობდნენ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ნაკვეთებს, მაგრამ „ნაც-რესპების“ მოღალატეობრივმა პოლიტიკამ აქაც თავისი გაიტანა — დოკუმენტის თავდაპირველი ვერსია მორატორიუმს 2017 წლის 31 დეკემბრამდე ითვალისწინებდა, ამ ორმა ანტიეროვნულმა და ანტიქართულმა ორგანიზაციამ კი ეს ვადა სამი წლით, ანუ 2014 წლის 31 დეკემბრამდე შეამცირა**; თუმცა ყველაფერი ამით არ დასრულებულა, მოგვიანებით კიდევ ერთი რესპუბლიკელის, პარლამენტის აგრარული კომიტეტის თავმჯდომარე **გიგლა აგულაშვილის** ინიციატივით, კანონში გაკეთდა ჩასწორება, რომლის თანახმადაც, მორატორიუმის გასვლის შემდეგ მიწის შესყიდვის განუსაზღვრელი უფლება ფიზიკურთან ერთად უცხოურ იურიდიულ პირებსაც მიენიჭათ. მოკლედ, **ორმა პარტიამ — „ნაცებმა“ და „რესპებმა“ — მათთან ერთად „არასამთავრობოების“ მეხუთე კოლონამ ყველაფერი გააკეთეს, რომ ქართულ მიწას უცხოელი დაპატრონებოდა. საუბედუროდ, მათ ამ მიზანს მიაღწიეს.**

რაც შეეხება ბოლო ცვლილებას კანონში, **გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ეს ცვლილება ისედაც დაცარიელებულ და გავერანებულ ქართულ სოფელს წელში გადაამტვრევს და გლეხს ქვეყნიდან გააქცევს**. ანუ, **ეს, ფაქტობრივად, არის განაჩენი ქართველი გლეხისთვის, რომ მოშორდეს მიწას და გადაიხვეწოს საზღვარგარეთ იაფ მუშახელად. სხვათა შორის, ეს განაჩენი თავის დროზე კახა ბენდუქიძემ გამოუტანა ქართულ სოფელს: სოფლად მცხოვრები ქალები მეძავებად უნდა წავიდნენ, კაცები — შავ მუშებადო.** იმ დროიდან მოყოლებული, მართლაც ინგრევა და ცარიელდება საქართველო, ახლა კი **„რესპები“ იმდენს იზამენ, სამეურნეო ნაკვეთს ვინ ჩივის, ქართველ კაცს დასამარხი მიწა აღარ დარჩება.**

ამაშიც ისევ ჩვენ ვართ დამნაშავე — 2014 წლის 27 ივნისს, როცა ევროკავშირთან ის ავადსახსენებელი ასოცირების ხელშეკრულება გავაფორმეთ, უნდა გამოვსულიყავით და გვეყვირა, რომ ეს არ არის ჩვენი ისტორიული არჩევანი. ამის ნაცვლად, საზოგადოების გარკვეული ნაწილი ევროკავშირთან ასოცირებას ხზოს აღტაცებით შეხვდა; ნაწილმა კი პრინციპით „მაინც არაფერი შეიცვლება“ პირში წყალი ჩაიგუბა; აი, შედეგიც — ახლა ის სამასგვერდიანი თუ პუნქტიანი დოკუმენტი გვავალდებულებს, რომ კანონმდებლობა ევროკავშირის სტანდარტებს შევუსაბამოთ. ჰოდა, 2-3 წელიწადში ქართულ მიწაზე ქართველის ფეხი აღარ იქნება.

და კიდევ — ზემოაღნიშნული მუხანათური კანონპროექტის პარალელურად მთავრობა სხვა ცვლილებასაც ამზადებს. ამ ცვლილების თანახმად, დაუმუშავებელი მიწის მფლობელებს გადასახადი ეზრდებათ. აი, რა განაცხადა ერთ-ერთ ინტერვიუში სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ დანელიამ: „ევროპის ქვეყნებში საკმაოდ ეფექტიანად მუშაობს ასეთი წამახალისებელი მიდგომები: ვინც ამუშავებს მიწას, ნაკლებ გადასახადს იხდის, ვინც არ ამუშავებს — მეტს“.

ახლა ბატონი მინისტრისთვის, ალბათ, აზრი არ აქვს იმის ახსნას, რომ საქართველო ევროპა არ არის და არც საერთაშორისო სტანდარტებთან ვართ ახლოს, მაგრამ ერთი რამ ცხადია: **ალნიშნული ცვლილება ისედაც წელში გამწყდარი ქართველი გლეხისთვის ის საკონტროლო გასროლა იქნება, რომელიც სულს ამოხდის და სამშობლოს შეაძულებს. აი, ზუსტად ეს არის ამ ხელისუფლების და განსაკუთრებით რესპუბლიკური პარტიის ამოცანაც — რაც მეტ ქართველს შეძულდება საქართველო, მით მალე აშენდება მათი საოცნებო ქვეყანა.**

**ჯაბა ჟვანია**

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ყარსის ხელშეკრულების გამო თურქეთი ნაბიჯსაც ვერ დგამს, მაგრამ ამ ხელშეკრულებას დღე-დღეზე ვადა გასდის. თუ რუსეთი ძალიან გავალიაზიანეთ და ჩვენზე ხელი აიღო, თურქეთის ჯარი ისე შემოვა, ხმასაც ვერავინ ამოიღებს და, მარტო აჭარას კი არა, მთელ დასავლეთ საქართველოს დაეპატრონება“.**



# ელიზბარ ჯაველიძე: როგორც კი ნატოს საწვრთნელი ბაზები ამუშავდება, რუსეთი მაშინვე დაგვარტყამს, ამერიკა კი, ალბათ, პამპერსებს ჩამოგვიტანს, როგორც 2008 წელს

**28 იანვარს ყოფილმა პრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა ქართველი საზოგადოება გააოცა. გვითხრა, რომ ყველაფერი კარგად არის, აღმასვლა იწყება, მთავრობაც კარგად მუშაობს და იკითხა — რას უნდა აკეთებდეს მთავრობა და რას ვერ აკეთებსო?.. პოლიტოლოგთა დიდი ნაწილი კი სოციალურ კოშმარზე საუბრობს, ხალხი უკიდურესი გაჭირვების ზღვარზეა და თანაც — ხელისუფლებისგან შეურაცხყოფილი. რა მოხდება 2015 წლის ბოლომდე საქართველოში ნატოს საწვრთნელი ცენტრის განთავსების შემთხვევაში და რა საფრთხის წინაშე ვდგავართ? — ამ საკითხზე და ქვეყანაში მიმდინარე სხვა საინტერესო პროცესებზე სასაუბროდ აკადემიკოს ელიზბარ ჯაველიძეს ვეწვიეთ.**



**— ბატონო ელიზბარ, ხალხი სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნით ქუჩაში გამოსვლებს იწყებს, ხელისუფლებას გარკვეულ დროს აძლევენ, თუ მდგომარეობა არ გამოსწორდა და დამნაშავეები არ დაისაჯნენ, მთავრობის გადადგომასაც მოითხოვენ. ასეთ ვითარებაში კი ყოფილი პრემიერი, აწ უკვე „მოქალაქე“ ბიძინა ივანიშვილი, გვეუბნება, ყველაფერი რიგზეა და გადასარევი მთავრობა გვყავსო...**

— ის, რაც ახალი წლის დადგომისთანავე საქართველოში მოხდა, ვგულისხმობ იური ვაზაგაშვილის მკვლელობას, ზეადამიანური ცინიზმია, ამის ახსნა არ შეიძლება, მსგავსი ფაქტი, ალბათ, მსოფლიო ისტორიას არ ახსოვს. **ამ საზარელი დანაშაულის ჩამდენს შორს მიმავალი გეგმები ჰქონდა და აქვს... ვისაც ცოტა გონება უჭრის, მიხვდება მკვლელის ზრახვას... არეულობაც და გამოსვლებიც სწორედ მათ აძლევთ ხელს...**

ნამდვილ დამნაშავესთან ერთად ხელისუფლებაც დამნაშავეა, რადგან აქამდე არც ერთი გახმაურებული მკვლელობა არ თუ ვერ გაიხსნა.

130-მდე ყმაწვილია ქუჩაში მოკლული, უმოწყალოდ ჩაცხრილული, არც ერთი საქმე გამოძიებული არ არის. **ვერ გამოიძიეს გურამ შარაძის მკვლელობის საქმეც, თუმცა ძალიან კარგად ვიცი, ვინც მოკლა... გურამს სააკაშვილი ვერ იტანდა. ის ვერ იტანდა ვერც ერთ ადამიანს, რომელთათვისაც სამშობლო საკუთარ სიცოცხლეზე მეტია. კოპწია კაცი — გურამ შარაძე, მოკლეს და ორი საათი ყველას დასანახად ქუჩაში ეგდო.** რამდენი წელია, რუსუდან შარაძე გაიძახის, რომ ის, ვინც მამამისის მკვლელობის გამო ციხეში ზის, დამნაშავე არ არის, მაგრამ არავინ დაინტერესდა, გაეგო, სინამდვილეში ვინ არის მკვლელი. თუ გახსოვთ, გურამს შვილიც მოუკლეს და არც ის საქმე არ გამოუძიებიათ. **იური ვაზაგაშვილის ტრაგედია დასტურია იმისა, რომ ადამიანი, რომელიც სიმართლისთვის იბრძვის, განწირულია.**

საზოგადოების ფართო მასებს აქვს უფლება, ხელისუფლებას პრეტენზიები წაუყენოს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა ვისმენდეთ გიგა ბოკერიას შენიშვნებს, შენიშვნებს იმ ადამიანებისგან, რომლებიც მკვლელობების სულისჩამდგმელები არიან.

ზუსტად ვიცი, რომ ყოფილი პრემიერის, ზურაბ ჟვანიას, მკვლელობის საქმე გახსნილია, მაგრამ ამერიკის ელჩ რიჩარდ ნორლანდს ხელს არ აძლევს ამ საქმის გასაჯაროება, რადგან ამას სააკაშვილის დაპატიმრება მოჰყვება.

**— თქვენ ხშირად ახსენებდით, და არცთუ სასიამოვნო კონტექსტში, ნინო ლომჯარიას, ეკა გიგაურსა და კახა კოჟორიძეს. ახლა ამ ადამიანების გვარები ახსენა ყოფილმა პრემიერმა ივანიშვილმა და მათი წარსულით დაინტერესებაც გადაწყვიტა. მათ რიჩარდ ნორლანდი უკვე გამოესარჩლა...**

— რა თქმა უნდა, **ნორლანდი ნინო ლომჯარიას, ეკა გიგაურსა და კახა კოჟორიძეს აუცილებლად გამოესარჩლებოდა. ისინი ხომ ამერიკის აგენტები არიან — ადამიანები, რომლებიც ანტისახელმწიფოებრივ მოღვაწეობას ეწევიან?!** ნორლანდმა თავის „მამიდას“ მიხედოს, ჩვენ მისი დარიგება არ გვჭირდება, ის დემოკრატიას ვერ გვასწავლის, რადგან სწორედ ამერიკამ გამოაცხადა კალიგულაზე სასტიკი სააკაშვილი „დემოკრატიის შუქურად“. ქართველ ხალხზე უკეთ ვინ იცის, რომ სააკაშვილი, „დემოკრატიის შუქურის“ გარდა, ყველაფერია.

**— აშშ-ის ელჩს საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევის უფლებას თვითონ ხელისუფლება აძლევს, მას აზრს ეკითხებიან...**

— კი, ეკითხებიან. თუ ასე გაგრძელდა და ისევ იძახეს, რომ ამერიკა ჩვენი მხსნელია, შორს ვერ წავალთ...

დავუბრუნდები **ლომჯარია-გიგაური-კოჟოროძეს. ესენი არიან ადამიანები, რომლებიც გაუნათლებლობით, უცოდინარობით, ტუტუცური გამოხდომებით ყველას აღიზიანებენ. მხოლოდ ნორლანდი არ გაღიზიანებულა მათი გვარების ხსენებით, უსუფაშვილიც გაბრაზდა, რადგან ის ე. წ. ლიბერალური პოლიტიკის ნატეხია. ქართველი რომ თავის სიმაღლეზე იდგეს, უსუფაშვილი და მისი მეუღლე ცოცხით უნდა განდევნო ამ ქვეყნიდან.** ანალოგიურად უნდა მოექცე ძმებ ბერძენიშვილებს, რომლებიც ამბობენ, რომ „რეალის“ მოთამაშეები არიან, „ოცნების“ წევრები კი — ქუთაისის „ტორპედოსი“. ჯერ ერთი, რა უფლებით ახსენებენ ქუთაისის „ტორპედოს“ მოთამაშეებს; იქ, იცით, რა ბიჭები თამაშობდნენ? გარდა ამისა, **ლევან ბერძენიშვილი „რეალის“ მოთამაშე კი არა, კა-გე-ბეს მოთამაშეა, რაზეც არა ერთი წერილი მაქვს დაწერილი, მაგრამ არ მიპასუხა იმიტომ, რომ სიმართლეს ვამბობ.**

მომხრე არ ვარ ქუჩაში გამოსვლის, რადგან არ მიყვარს ადამიანის სიკვდილზე პოლიტიკური ქულების ჩაწერა... გახსოვთ, თინა ხიდაშელი რომ გაჰკიოდა, გირგვლიანის საფლავს არ მოვცილდები, ვიდრე მის საქმეს არ გამოიძიებენო? ახლა, როდესაც პარლამენტის სავარძელში ჩაჯდა, კიდევ ახსოვს, ირინა ენუქიძე და მისი შვილი? სხვისი ოჯახის ტრაგედიაზე ხელის მოთბობა არ შეიძლება.

**— ახლა ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ შესაძლოა, პრემიერ ღარიბაშვილს პოსტი დაატოვებინონ...**

— ასეთ შემთხვევაში ჩავთვლი, რომ ქვეყანა ისევ იმ რელსებზე დგას, რომელზეც სააკაშვილმა დააყენა. ქართული ცნობიერება, ზნეობა, ღირსება — ყველაფერი წაშლილია, არარაობისკენ მივექანებით...

ორი აზრი არ არსებობს, რომ „ნაციონალები“ უნდა გასამართლდნენ, მათ საქართველოში ცხოვრება უნდა აეკრძალოთ, უნდა მოისპოს ყველა უწყებიდან ის ხავსები, რომლებიც დატოვეს, წაეთრიონ იმ უკრაინაში, ხომ უყვართ იქაურობა.

**— რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების მომხრე თუ ხართ?**

— რა თქმა უნდა, მომხრე ვარ, მაგრამ არჩევნები ისე უნდა ჩატარდეს, რომ არ გაყალბდეს. დღეს მოქმედი საარჩევნო კოდექსით ხალხი თავის ნებას ვერ გამოხატავს. როგორ შეიძლება, რიგგარეშე არჩევნები არ მინდოდეს?! **რესპუბლიკელები, ალასანია, მარგველაშვილი ერთად რომ შეიკრიბონ, ბარიერს ვერ გადალახავენ. ასეთია ხალხის აზრი, მაგრამ, თუ ნორლანდი სხვაგვარად გადაწყვეტს, მაშინ, არ ვიცი, რა მოხდება.**

ამას რომ ვამბობ, მიპასუხებენ ხოლმე — პატარა ქვეყანა ვართ და სხვა გზა არ გვაქვსო. რა, პუტინის საგინებლად დიდი ქვეყანა ვართ?

**— ნატოს გენერალური მდივნის მოადგილემ ალექსანდრე ვერშბოუმ განაცხადა, რომ 2015 წლის ბოლომდე საქართველოში ნატოს საწვრთნელი ცენტრი უნდა განთავსდესო. თუ ეს მართლა მოხდა, რა შეიძლება დაემუქროს საქართველოს?**

— ხალხის ნება-სურვილი არ არის საქართველოს ტერიტორიაზე ნატოს ბაზების განთავსება. ვინც ამით აღფრთოვანებულია, რეგვენი, სულელი და ქართველთმოძულეა.

**ნატოს ბაზების ჩვენს ტერიტორიაზე განთავსება დაგვღუპავს,** ამერიკას ჩვენი ტერიტორია რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად სჭირდება, ის საქართველოს კეთილდღეობაზე არ ზრუნავს. საქართველოს ტერიტორიაზე ნატოს ბაზების განთავსებით რუსეთი კავკასიას დაკარგავს, ამიტომ რუსეთი ამას არვითარ შემთხვევაში არ დაუშვებს. როგორც კი ნატოს საწვრთნელი ბაზები ამუშავდება, რუსეთი მაშინვე დაგვარტყამს, ამერიკა კი, ალბათ, პამპერსებს ჩამოგვიტანს, როგორც 2008 წელს.

**«ნატოს ბაზების ჩვენს ტერიტორიაზე განთავსება დაგვღუპავს, ამერიკას ჩვენი ტერიტორია რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად სჭირდება, ის საქართველოს კეთილდღეობაზე არ ზრუნავს. საქართველოს ტერიტორიაზე ნატოს ბაზების განთავსებით რუსეთი კავკასიას დაკარგავს, ამიტომ რუსეთი ამას არვითარ შემთხვევაში არ დაუშვებს. როგორც კი საწვრთნელი ბაზები ამუშავდება, რუსეთი მაშინვე დაგვარტყამს, ამერიკა კი, ალბათ, პამპერსებს ჩამოგვიტანს, როგორც 2008 წელს»**

თუ ნატოს ბაზები ჩვენს ტერიტორიაზე განთავსდება, საქართველოს საქმე დამთავრებულია! მაგრამ მაინც მგონია, რომ ასე არ მოხდება, რადგან ეს ქართველი ხალხის სურვილი არ არის.

**— რას მოუტანს საქართველოს რუსეთ-თურქეთის დამეგობრება და რა გათვლა უნდა გააკეთოს ასეთ შემთხვევაში ჩვენმა ქვეყანამ?**

— ეს ძალიან სერიოზული საკითხია. **ყარსის ხელშეკრულების გამო თურქეთი ნაბიჯსაც ვერ დგამს, მაგრამ ამ ხელშეკრულებას დღე-დღეზე ვადა გასდის. თუ რუსეთი ძალიან გავალიაზიანეთ და ჩვენზე ხელი აიღო, თურქეთის ჯარი ისე შემოვა, ხმასაც ვერავინ ამოიღებს და, მარტო აჭარას კი არა, მთელ დასავლეთ საქართველოს დაეპატრონება.**

დღეს საქართველოში ომი რომ დაიწყოს, როგორ ფიქრობთ, ის ადამიანები, რომლებიც უკრაინაში გარბიან, თავის ქვეყანაში იბრძოლებენ?

სულ მეკითხებიან — შენ რუსეთის მხარეს ხარ? საქართველოს ვის გვერდით დგომაც წაადგება, იმის მომხრე ვარ, ვინც სიკეთეს მოგვიტანს იმის მომხრე ვარ. **როდესაც ბიზანტიელებმა გუბაზ მეფე მოკლეს, ქართველები კამათობდნენ, — ვის მხარეზე დავდგეთო. იმსჯელეს და გადაწყვიტეს, ბიზანტიელების მხარეს დამდგარიყვნენ, რადგან ერთმორწმუნე ერია და ჯობია, მათთან ვიყოთო. საკითხი დღესაც ასე დგას — მართლმადიდებლობა უნდა შევინარჩუნოთ, თუ ამასაც დავკარგავთ, რისი მცდელობაც ამერიკას აქვს, მაშინ საბოლოოდ გავნადგურდებით.**

2015 წელი მშფოთვარე იქნება. ხელისუფლებამ თუ დროულად არ ჩაავლო ხელი გათახსირებულ დამნაშავეებს და ისევ დაიწყეს ლაპარაკი, სასამართლო თავისუფალი არ არისო, მაშინ, ვერ გეტყვით, რა მოხდება... დამნაშავე უნდა დაისაჯოს; ეს ამერიკის კაცია და ხელს ვერ ვახლებთო, აღარ გამოვა.

**თუ სასამართლოს ახალი თავმჯდომარე იქნება კაცი, რომლის კანდიდატურასაც კოჟორიძე მარგველაშვილს შესთავაზებს, პარლამენტში კი უსუფაშვილი დაამტკიცებს, გამოსვლები მაშინ ნახეთ.**

გარეთ მეც გამოვალ და ვიცი, როგორც გამოვალ...

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

„ივანიშვილის ინტერვიუდან ყველაზე სასაცილოდ მომეჩვენა ის, რომ 200-სერიან ფილმს იღებენ „ნაციონალების“ მმართველობაზე. ამას სჯობდა, 200 განაჩენი გამოეტანათ იმ „ნაციონალებისთვის“, რომლებიც წლების განმავლობაში დანაშაულს დანაშაულზე სჩადიოდნენ“.

პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



იური მეჩითოვი:

# არც «ნაცმოძრაობაა» პროქართული ძალა და არც «ქართული ოცნება», ისინი უცხო ქვეყნის ინტერესებს ემსახურებიან!

**„რა უნდათ ქართველ მეომრებს უკრაინის სამოქალაქო ომში?! უკრაინაში ხომ სამოქალაქო ომია და ჩვენი მეომრები ვის ეხმარებიან ამ სამოქალაქო ომში?!“ — განაცხადა ერთ-ერთი ტელევიზიის სტუდიაში ფოტოგრაფმა იური მეჩითოვმა, რომელსაც მერობის ყოფილი კანდიდატი ნიკა მელია სოციალურ ქსელში გამოეხმაურა: „სხვა რა უნდა იფიქროს კაცმა იური მეჩითოვზე (ვილაცისთვის იგი თბილისის კოლორიტია), თუ არა ის, რომ იურის ეფ-ეს-ბე-ს დირექტივა აქვს შესასრულებელი და ამ იწილო-ბიწილოს განგებ უწევს ტირაჟირებას! იური, უკრაინაში სამოქალაქო ომია?! — გრცხვენოდეთ მაინც, იური!“. სწორედ ამ თემაზე დავიწყეთ ბატონ იური მეჩითოვთან საუბარი.**

— უკრაინაში ნამდვილად მიმდინარეობს სამოქალაქო ომი — ამას ადასტურებს უცხოური საინფორმაციო საშუალებები. **თუ ნიკა მელია მხოლოდ ჩვენი და უკრაინის საინფორმაციო საშუალებების მიერ გავრცელებული ცნობებით იკვებება, რა თქმა უნდა, ჰგონია, რომ უკრაინელები რუსეთს ებრძვიან, თუმცა, თუ ეს ყველაფერი ასე პრიმიტიული ჰგონია, ეს მისი პრობლემაა.** უცხო ქვეყნის დირექტივებს კი „ნაციონალური მოძრაობა“ ასრულებს და არა — მე. ისე, თავის მართლებას არც ვაპირებ, მელიას სინდისზე იყოს ის სისულელე, რომელსაც ლაპარაკობს. კიდევ კარგი, მერად რომ არ ავირჩიეთ...

**— ნიკა მელია აღნიშნავს, რომ ეწინააღმდეგებით უკრაინაში ქართველების საომრად წასვლას...**

— დიახ, ასეა და კიდევ ერთხელ ვადასტურებ, რომ უკრაინაში არის სამოქალაქო ომი, რომელიც გაღვივებულია, როგორც გარედან, ისე შიგნიდან. უკრაინის სამოქალაქო ომში ქართველები არ უნდა წავიდნენ, რადგან **საქართველოს ბედი საქართველოში წყდება და არა უკრაინაში. არ შეიძლება, ჩვენმა სამხედროებმა აქ პოსტები მიატოვონ და უკრაინაში გაემგზავრონ — ეს ჩვენი ქვეყნის ღალატია!** როცა ამას ვამბობ, სწორედ საქართველოს ინტერესებიდან გამოვდივარ და არა რომელიმე სხვა ქვეყნის, როგორც ზოგიერთი... მელიამ ეფ-ეს ბეს აგენტობა დამწამა, ამასაც მოვესწარი, ამიტომ მასთან პოლემიკის გამართვას არ ვაპირებ, თანაც „ფეისბუქი“ ჭირივით მძულს. სამწუხაროდ, ხალხს საქმე არ აქვს და ასეთი რაღაცებით ერთობა. ან რა უბედურებაა ეს ვირტუალური კონტაქტი, წადი რა, სახინკლეში მეგობართან ერთად, ლუდი დალიე, თვალებში ჩახედე და ასე გქონდეს ურთიერთობა მეგობართან და არა ვირტუალურ „ფრენდებთან“. ყველაზე გასაოცარი არის ის, რომ სისულელეს დაწერენ და სტატუსს არქმევენ — დასმენას, ლანძღვაგინებას სტატუსს უწოდებენ. ისედაც გამრუდებულია ცხოვრება და ადამიანებს ტვინიც გაუმრუდდათ.

**— მაინც რას გერჩით ნიკა მელია?**

— არაფერს. **ნიკა მელია ოკეანისგაღმელი უფროსების დავალებას ასრულებს. „ნაციონალური მოძრაობა“ საქართველოში მე-5 კოლონაა და მის წარმომადგენლებს სურთ, ისეთივე უბედურება წამოიწყონ, როგორიც უკრაინაში ხდება — სამოქალაქო ომი.** უკრაინის უბედურებაში საქართველოსაც მეტ-ნაკლებად მიუძღვის წვლილი...

**— რას გულისხმობთ?**

— იმას, რომ **ჩვენმა პარლამენტარებმა, თუთიყუშებივით უკრაინის დროშებშემოხვეულები რომ ისხდნენ, სულელური რეზოლუციებით უკრაინაში დანთებულ ხანძარს საქართველოს მხრიდან 3-4 ნაჭერი შეშა შეუკეთეს. ეს ყველაფერი კი ხელს „ნაციონალურ მოძრაობას“ აძლევს. მათ არ აინტერესებთ, რამდენი ქართველი დაიღუპება უკრაინის სამოქალაქო ომში.** ისიც კარგად ვიცით, რომ გიჟ სააკაშვილს ხელისუფლებაში დაბრუნება სურს. დღევანდელმა ხელისუფლებამაც იცის, რომ, თუ ხელს არ გაანძრევს, მისი დღეები დათვლილია — საპარლამენტო არჩევნებზე ხალხი „ოცნებას“ ხმას აღარ მისცემს.

**— სტრასბურგში ქართველების გამოსვლას როგორ შეაფასებთ?**

— ევროპარლამენტში თინა ხიდაშელის გამოსვლა და სიხარულის არდამალვა იმაზე, რომ რუსეთს აპრილამდე ჩამოერთვა გარკვეული უფლებები, სამარცხვინო იყო. მართალია, რუსეთმა პროტესტის ნიშნად წლის ბოლომდე დატოვა ეს ასამბლეა, მაგრამ მანამდე უნდა მოქცეულიყო ასე, რადგან ეს არის ორგანიზაცია, სადაც თინა ხიდაშელებსა და მის მსგავს ადამიანებს შეუძლიათ, ასეთი სისულელეები ილაპარაკონ. **რუსეთს, რომელიც ევროპის უსაფრთხოების ნიშანსვეტია და არა — საფრთხე, თიშავენ უკრაინის პროცესებიდან. მაშ, როგორ სურთ ამ პროცესების დარეგულირება, თუ მთავარ მოთამაშეს უპირისპირდებიან და სრულფასოვანი წევრობის სტატუსს ართმევენ? სამწუხაროდ, ისევე, როგორც „ნაციონალები“, დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლებიც არ არიან თავისუფალი, ისინი დაქირავებულნი არიან ერთი დიდი ქვეყნის მიერ, რომლის „გვარსა და სახელს“, კოლმეურნეობის თავმჯდომარისა არ იყოს, არ დავასახელებ.** ე. წ. ძველი ხელისუფლება რეალურად არსად წასულა და საკანონმდებლო ხელისუფლებაში 40 პროცენტით არის წარმოდგენილი. 2012 წელს მოხდა გეგმაზომიერი ჩანაცვლება პროამერიკული ძალისა ასევე პროამერიკული ძალით, ანუ **არც „ნაცმოძრაობაა“ პროქართული ძალა და არც „ქართული ოცნება“. ისინი უცხო ქვეყნის ინტერესებს ემსახურებიან. სწორედ ამის გამო უფსკრულისკენ მივექანებით!** საქართველო სახელმწიფოა?

— ქვეყანა, რომლის მოსახლეობის მესამედი გაქცეულია და კიდევ ერთი მესამედი გაქცევას აპირებს, სახელმწიფო არ არის. სიმართლის თქმაა აუცილებელი. რუსეთი, ენის ტლიკინის გამო არა, მაგრამ ჩვენი მხრიდან რეალური საფრთხე რომ დაინახოს, აუცილებლად მოგვიქნევს მუშტს...

**— რას გულისხმობთ?**

— საფრთხეში იმას ვგულისხმობ, რომ საქართველოში აპირებენ ნატოს საწვრთნელი ბაზის გახსნას.

**— ამ ყველაფერზე თქვენი თვალსაზრისი „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებმა არ იცოდნენ, მინისტრის მოადგილედ რომ დაგნიშნეს?**

— მე ვარ პროქართულად მოაზროვნე. ვიცი, რომ არც ამ ხელისუფლებას უყვარს ჩემნაირები... არც უკრაინასა და საქართველოს შორისაა მეგობრული ურთიერთობა. ერთი უკრაინული სიმღერა თუ მოგისმენიათ ან უკრაინული ფილმი თუ გინახავთ საქართველოში? მაშინ ამიხსენით, რას ნიშნავს მეგობრობა. **საქართველოსა და უკრაინას შორის არის პოლიტიკური გარიგება და ოკეანისგაღმელთა დავალებას ასრულებენ რუსეთის წინააღმდეგ. ორ ქვეყანას შორის გარიგება მესამე ქვეყნის სამტროდ მეგობრობა არ არის. ოკეანისგაღმელებს კი დოლარების საბეჭდი მანქანა უდგათ და ფული ყოველთვის ექნებათ ჩვენნაირი ქვეყნების მოსასყიდად. აი, ასეთი დოყლაპია ქვეყანაა საქართველო,** სადაც დროშები ფრიალებს და თურმე ას ქვეყანაში გვქონია საელჩო. სასაცილოა ეს ყველაფერი. ან რა ტელევიზიები გვაქვს? მათ საინფორმაციო გამოშვებებს რომ ვუყურებ, ნათლად ჩანს, რომ უცხო ქვეყნისგან იმართებიან. **საქართველოში არ არის ტელევიზია, რომელიც საქართველოს ინტერესებს დაიცავს.**

**— ბიძინა ივანიშვილის ბოლო ინტერვიუს როგორ შეაფასებთ?**

— **ივანიშვილის ინტერვიუდან ყველაზე სასაცილოდ მომეჩვენა ის, რომ 200-სერიან ფილმს იღებენ „ნაციონალების“ მმართველობაზე. ამას სჯობდა, 200 განაჩენი გამოეტანათ იმ „ნაციონალებისთვის“, რომლებიც წლების განმავლობაში დანაშაულს დანაშაულზე სჩადიოდნენ.** აი, ეს იქნებოდა ყველაზე კარგი სერიალი, რომელსაც ოდესმე ვნახავდი. ისიც ცხადად გამოჩნდა, რომ კვლავ ბიძინა ივანიშვილი მართავს აღმასრულებელ ხელისუფლებას.

**— რაში გამოიხატა?**

— რამდენიც უნდა ილაპარაკოს ივანიშვილმა, არ ვერევი პრემიერის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის საქმეშიო, ამას თვითონვე აღიარებს, როდესაც ამბობს, ვურჩიე, ვუთხარი, მაგრამ არ გაითვალისწინაო. ისიც დავინახე, რომ ბიძინა ივანიშვილი არ არის თავის მოქმედებებში თავისუფალი.

**— რაზე შეატყვეთ, რომ თავისუფალი არ არის?**

— როდესაც იმეორებს ერთსა და იმავე ტექსტს ევროკავშირსა და ნატოში შესვლაზე, რა თქმა, უნდა თავისუფალი არ არის. ასევეა ირაკლი ღარიბაშვილიც, რომელიც რეალურად სხვაგვარად ფიქრობს, მაგრამ იძულებულია, სხვა თქვას. ან ამას რა დიდი დაკვირვება და ანალიტიკოსობა სჭირდება: **საკმარისია, აპატურაი ჩამოვიდეს და ჩვენი ხელისუფლება ისე იქცევა, თითქოს მოსე გამოეცხადა. ქართველმა ხალხმა უკვე შეიგნო, რომ ის 150 უვიცი, რომლებიც პარლამენტში სხედან, ქვეყნისთვის სასიკეთოს არაფერს გააკეთებენ.** აი, ეს არის ქართული რეალობა... საერთოდ, მსოფლიოს ტვინი აქვს არეული: იაპონიაშიც კი, სადაც 70 წლის წინათ ამერიკელებმა ატომური ბომბი ჩამოაგდეს, ახალგაზრდებს რომ ჰკითხოთ, გეტყვიან, ბომბი რუსეთმა ჩამოგვიგდოო...

**— გამოსავალს ხედავთ?**

— **საქართველოში, სადაც 200 პოლიტიკური პარტიაა, ვერ ვხედავ ძალას, რომელიც ქვეყნის სასიკეთო საქმეს გააკეთებს. „ნაცები“ და „ქოცები“ ხომ, მით უმეტეს, არ გააკეთებენ. მათი ქმედება ქვეყნისთვის კატასტროფის მომტანია და ამიტომ საჭიროა მესამე ძალის შექმნა, რომელიც იხსნის საქართველოს,** მაგრამ სადაა ეს ძალა? თუ არადა, უნდა შევძლოთ და გავხდეთ ძლიერი ეკონომიკის მქონე ქვეყანა, ან, როგორც შვეიცარია, ვიყოთ მომრიგებელი, მომწესრიგებელი ურთიერთობისა სხვა ქვეყნებს შორის — აზდაკის როლი უნდა ვიკისროთ.

ესაუბრა
**ნინო მაისურაძე**

> «ნიკა მელია ოკეანისგაღმელი უფროსების დავალებას ასრულებს. «ნაციონალური მოძრაობა» საქართველოში მე-5 კოლონაა და მის წარმომადგენლებს სურთ, ისეთივე უბედურება წამოიწყონ, როგორიც უკრაინაში ხდება — სამოქალაქო ომი»

> «საქართველოსა და უკრაინას შორის არის პოლიტიკური გარიგება და ოკეანისგაღმელთა დავალებას ასრულებენ რუსეთის წინააღმდეგ. ორ ქვეყანას შორის გარიგება მესამე ქვეყნის სამტროდ მეგობრობა არ არის. ოკეანისგაღმელებს კი დოლარების საბეჭდი მანქანა უდგათ და ფული ყოველთვის ექნებათ ჩვენნაირი ქვეყნების მოსასყიდად. აი, ასეთი დოყლაპია ქვეყანაა საქართველო»

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ბიძინა ამბობს, საპარლამენტო ქვეყანა ვართო, ყველაფერს როგორ გვატყუებს და თვალებში ნაცარს გვაყრის, ჩვენ საპარლამენტო ქვეყანა არ ვართ, ჩვენ არაფერი ვართ, სადღაც ვართ გაჩხერილი, მაგრამ, თუ საპარლამენტო ქვეყანა გვინდა, პარლამენტი მრავალპარტიული უნდა იყოს — წერა-კითხვისა და კანონების მცოდნე ადამიანებით დაკომპლექტებული. მინისტრებს ახლანდელი პარლამენეტი აბუჩად ჰყავთ აგდებული, არც ერთი მინისტრი არ მიდის და იცით, რატომ? იმიტომ, რომ არ იციან, იქ ვის დაელაპარაკონ. კადრების ნაკლებობაზე საუბრობს გამუდმებით ირაკლი ღარიბაშვილი, საინტერესოა, სად ეძებს ამ კადრებს — დედოფლისწყაროში? იქ, ნამდვილად ვერ იპოვის ამდენ სპეციალისტს“.**

# ვასილ ჭიჭინაძე: ჩვენ სახელმწიფო არ ვართ. საქართველო — ეს არის მევახშეებისა და მეზღაპრეების ქვეყანა!

**რამდენიმე დღეა, ქვეყნის მოსახლეობაცა და ყველა საინფორმაციო საშუალება ქვეყნის „პირველი მოქალაქის“ — ბიძინა ივანიშვილის ბოლო სატელევიზიო ინტერვიუს განიხილავს. პოლიტოლოგები, პოლიტიკოსები, დიპლომატები, ექსპერტები ცდილობენ, რომ სიტყვასიტყვით გაშიფრონ მისი ნათქვამი, რადგან ხელისუფლების წარმომადგენლებიც კი დაბნეული არიან და, როგორ უპოვონ გამართლება „დიდი ბიძინას“ სიტყვებს, აღარ იციან. „გადაჭარბებული ნდობა“, „ევროპული მთავრობა“, „რა არ გაკეთდა?“, „მოითმინეთ და ყველაფერი კარგად იქნება“ — აი, ბიძინა ივანიშვილის ფრაზები, რომლებმაც ამომრჩეველი და „ჭარბად მიმნდობი“ ხალხი აღაშფოთა.**
**საით მივდივართ? რა უნდა მოვითმოთ და გვაქვს თუ არა თმენისა და ლოდინის დრო? — ამ თემებზე სასაუბროდ დიპლომატ ვასილ ჭიჭინაძეს ვეწვიეთ.**



**— ბატონო ვასილ, რამდენიმე დღის წინათ ბიძინა ივანიშვილმა თავის სატელევიზიო გამოსვლაში გვითხრა, ყველაფერი რიგზეა, ხელისუფლება თავსართმევს დაკისრებულ მოვალეობასო...**

— კი, ივანიშვილს თუ მოუსმენ, მართლაც ყველაფერი რიგზეა. მახსოვს, პოსტსაბჭოთა პერიოდის შემდეგ ქვეყნის ამა თუ იმ პირველ პირზე ამბობდნენ, არ იცის, თორემ ამას როგორ იკადრებდაო. დღესაც ასე ამბობენ, ბიძინას ყურამდე ყველაფერი არ მიდისო... **თუ არც ტელევიზორს უყურებ, არც გაზეთს კითხულობ და ხალხთან შეხვედრაზე არ დადიხარ, მაშინ რა გინდა ხელისუფლებაში? წადი რა, დაიძინე!**

**— ამბობენ, ათ საათზე უკვე სძინავსო...**

— გასაგებია, მაგრამ დილა ხომ თენდება? ამბავი ხომ უნდა გაიგოს? საქმე ის არის, რომ **„მაამებლები“ შედიან ბიძინასთან და ეუბნებიან, რომ ყველაფერი კარგად არის. ამდენი მილიარდის მშოვნელმა კაცმა კარგად უნდა იცოდეს, რომ ადამიანი, რომელიც ყველაზე მეტად „გექლესება“, მოღალატეა.**

**— ივანიშვილს მთელი გუნდი „ექლესება“...**

— ჰოდა, ფეხი თუ გადაუბრუნდა, ზუსტად ეგენი მოუღებენ ბოლოს, საკონტროლო გასროლას ზუსტად ის „ქლესები“ გაუკეთებენ.

ვინ გვიზის პარლამენტში? ან **რა გაუნათლებელი ხალხია — ვერც ერთ დებატს ვერ უგებენ „ნაცებს“. ამას წინათ ირაკლი სესიაშვილი — თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე — ეკონომიკაზე ესაუბრებოდა მიშა მაჭავარიანს, საშინელ დღეში ჩააგდო მაჭავარიანმა. არც გამკვირვებია, რა იცის ეკონომიკისა სესიაშვილმა? სესიაშვილს არ ვერჩი, უბრალოდ, ეკონომიკა მისი საქმე არ არის.** ან სად იპოვეს ეს მანანა კობახიძე? გადარეული ვარ პირდაპირ, ზვიადიდან მოყოლებული, ყველა ხელისუფალს ასეთი ქალები საიდან მოჰყავს?

**— რას ერჩით მანანა კობახიძეს, ის ყველაზე მეტად ცდილობს...**

— კი, საუკეთესო გამოსავალი აქვს ნაპოვნი — არაფერი იცის, არაფერი გაუგია, „ნაცებს“ პასუხს არ სცემს კი არა, არ აქვს პასუხი, განათლება, კომპეტენცია არ ჰყოფნის... უვიცი და უუნარო მთავრობა გვყავს, — ასე ვფიქრობ, მაგრამ, თუ უნარი აქვთ და არ აკეთებენ, ნიშნავს, რომ პასუხისმგებლობას გაურბიან. ისე, რატომ უნდა დაიკისრონ პასუხისმგებლობა — ფული აქვთ, სკამზე სხედან და რატომ დაკარგონ ეს კეთილდღეობა?

**— ივანიშვილმა იკითხა, — რა უნდა გაეკეთებინა მთავრობას და რა ვერ გააკეთაო?**

— როდესაც ქვეყანას ამხელა ეკონომიკური გუნდი ჰყავს და ეროვნული ვალუტა სულის ამოხდამდეა მისული, ეს შეკითხვა არ უნდა დასვა. ან რა ილაპარაკა ივანიშვილმა — მოითმინეთ, ჯანსაღი პროცესი მიმდინარეობსო? თვითონ ბიძინა მოითმენს, რამდენიმე მილიარდი აქვს, მაგრამ ჰკითხოს პენსიონერს, ჰკითხოს იმ ხალხს, რომელსაც სესხი დოლარში აქვს აღებული, ადვილი მოსათმენი თუ არის?

**ჩვენ სახელმწიფო არ ვართ. საქართველო — ეს არის მევახშეებისა და მეზღაპრეების ქვეყანა!**

დამისახელონ რომელიმე ქვეყანა, სადაც ბანკს აქვს საკუთარი ბიზნესი. საქართველოში ყველა მშენებლობა ბანკების ხელშია, ახლა კი შევიტყვეთ, რომ „საქართველოს ბანკმა“ წყალიც იყიდა.

**ყველაფერი, რასაც ვამბობ, ბიძინამ არ იცის?!**

ბანკები ოჯახებს ქუჩაში ტოვებენ. გასაგებია, რომ ვალს გადახდა უნდა, უმტკივნეულოდ ამის მოგვარებას კეთილი ნება სჭირდება. სახლიდან ან ბინიდან ოჯახს ნუ გამოასახლებენ, გადაიფორმოს ბანკმა და, როგორც კომუნისტების პერიოდში იყო „ჟაქტის“ ბინები და მთელი ცხოვრება იხდიდნენ ფულს, ასე გააკეთონ, ამდენ უსახლკაროს რა უნდა უყონ?

**— ბატონო ვასილ, ხომ არ ვჩქარობთ, ორი წელი საკმარისია იმისთვის, რომ ასეთი მნიშვნელოვანი პრობლემა მოგვარდეს?**

— არ ვჩქარობთ. რაზეც ვსაუბრობ, იმის მოგვარებას, მხოლოდ ნება სჭირდებოდა, კეთილი ნება. რაც შეეხება ეკონომიკას, ბიძინამ თქვა, სამინისტროსავით რაღაც უნდა გავაკეთო ექსპორტის გასაუმჯობესებლადო, არ ვიცი, მომავალში რა დაერქმევა ამ ორგანიზაციას, მაგრამ ახლა დავარქვათ „დოლარის შემომტანი სამინისტრო“. **გაოგნებული ვარ, იმას კი არ ამბობს, რამე ისეთი გააკეთოს, ქვეყნიდან დოლარი რომ არ გავიდეს, შემოტანაზე ფიქრობს. სანთებელა რომ სანთებელაა, ისიც უცხოეთიდან ჩამოაქვთ, ასანთსაც კი ვყიდულობთ. ინდოეთიდან ასანთი რომ არ შემოიტანო და ვალუტა არ იხადო, არ შეიძლება? დიდი ამბავი და წლები სჭირდება საკუთარ ქვეყანაში ასანთის წარმოებას? ერთი ღვინო გააქვთ და მორჩა... ამდენი რა ღვინო უნდა ვაწარმოოთ?**

რომელი ბიზნესმენი ჩამოვა ამ ქვეყანაში საქმის დასაწყებად, როდესაც თვითონ მილიარდელი მმართველი არ აბანდებს თავის ქვეყანაში კაპიკსაც კი?

კომუნისტების პერიოდში შტეფსელებს, დამაგრძელებლებს, ჩამრთველებს ყრუმუნჯები აკეთებდნენ, ამასაც კი ვყიდულობთ. უმარტივესი გასაკეთებელია, მაგრამ მაინც სხვა ქვეყნიდან ჩამოაქვთ. არ ვიცი, იდიოტები არიან თუ შეგნებულად ღუპავენ ქვეყანას.

**— საქართველოს ხელისუფლება რუსეთში მიმდინარე ეკონომიკური პროცესებით გახარებულია, თვლიან, რომ მალე დაიღუპება... არადა, თურმე ჩვენი ქვეყნის ბიუჯეტის 12%-ს რუსეთიდან გამოგზავნილი ფული შეადგენდა.**

— რატომ უხარიათ ამ პროამერიკელებს რუსეთის დანგრევა? **თუ რუსეთი დაინგრა, საქართველოზე უბედური ერი არ იქნება. ერეკლე მეფე მომხდურ მტერს ასე თუ ისე უმკლავდებოდა, მან ლეკიანობას ვერ მოუხერხა ვერაფერი და ამიტომ სთხოვა რუსეთს დახმარება. რუსეთის დანგრევა დაგვღუპავს!**

**— 30 იანვარს ქვეყნის პირველმა დიპლომატმა გააკეთა განცხადება, რომ რუსეთთან ყველანაირი ურთიერთობა უნდა გაწყვიტოს, მათ შორის, სავაჭრო-ეკონომიკურიც...**

— ყველაფერი ხომ ძალიან ცუდად არის, მაგრამ **ქვეყნის საგარეო ურთიერთობებს, კრიტიკას ვეღარ უძლებს კი არა, სახელიც აღარ ჰქვია.** საგარეო საკითხების მოსაგვარებლად ოთხი სამინისტრო მუშაობს — საგარეო, ევროინტეგრაციის, შერიგების თუ ჯანდაბა და ზურა აბაშიძის გაუგებარი სტრუქტურა. რომელი რას აკეთებს, ამდენი ფული რაში იხარჯება, გაუგებარია. ეს ადამიანები, ხელმძღვანელები რომ ჰქვიათ, ერთი მინისტრის მოადგილეებად რომ დაენიშნათ, არ შეიძლებოდა? ყველა ამ სამინისტროს, ერთად აღებულს, ერთი „ნაციონალი“ უგებს დებატებს, ისეთი უუნაროები არიან. ევროპარლამენტში საქმე ჩააწყვესო, — აღიარებს ხელისუფლება. რას აკეთებენ ელჩები, მინისტრები? **რამდენჯერ მიანიშნა რუსეთმა, ჩამოდით, ვილაპარაკოთო, მაგრამ, აგერ, ა, ბერუჩაშვილმა, — რუსეთთან ლაპარაკი არ შეიძლებაო. ამას ნორმალური, მოაზროვნე მინისტრი არ იტყოდა. თანაც საინტერესო იყო ის, რომ რამდენიმე წუთში სოფლის მეურნეების მინისტრმა განაცხადა, რუსეთის ბაზარზე ვართ ჩამოკიდებულებიო. არაადეკვატურები არიან!**

> **«რამდენჯერ მიანიშნა რუსეთმა, ჩამოდით, ვილაპარაკოთო, მაგრამ, აგერ, ა, ბერუჩაშვილმა, — რუსეთთან ლაპარაკი არ შეიძლებაო. ამას ნორმალური, მოაზროვნე მინისტრი არ იტყოდა. თანაც, საინტერესო იყო ის, რომ რამდენიმე წუთში სოფლის მეურნეობის მინისტრმა განაცხადა, რუსეთის ბაზარზე ვართ ჩამოკიდებულებიო. არაადეკვატურები არიან!»**

**— 2015 წლის ბოლომდე ნატოს საწვრთნელი ცენტრი უნდა განთავსდეს საქართველოშიო...**

— რას აძლევს საქართველოს ნატოს ბაზების განთავსება? ამათ ჰგონიათ, რომ ამერიკელები ჩამოვლენ და აქ დაუჯდებიან? **ან ამას რუსეთი დაუშვებს? უკრაინაში მეტი კი არაფერი მოხდა. თუ საქართველომ გაბედა და ამბოხებული სირიელის მომზადება დაიწყო, დავიღუპებით. საქართველო ვერავის ვერაფრით შეაშინებს, ამიტომ მცდარი ნაბიჯების გადადგმის უფლება არ გვაქვს. ამერიკელი ქართველისთვის არ იომებს.**

დიპლომატია მეტი კი არაფერია — როცა წართმევის თავი არ გაქვს, კონფლიქტი უნდა აიცილო თავიდან და მოლაპარაკებით მიიღო ის, რაც გსურს, მაგრამ ვინ უნდა დაელაპარაკოს?

გადავხედოთ პარლამენტს, ვინ არიან იქ? — უწიგნურები, მოჭიდავეები, მოკრივეები, ჩხუბიც არ შეუძლიათ, ერთი კაკო ბობოხიძეც კი ვერ სცემეს. ამასთანავე, ივანიშვილიც აღიარებს, შევცდიო. ყველაფერში როგორ შეცდა ეს კაცი? ჩვენც რომ შევცდეთ? ახლა რომ გვეუბნება, 2030 წლამდე კარგად ვიქნებითო, ჩვენ რომ ვუთხრათ, არა, 2016 წელს გვინდა კარგად ყოფნაო? ხომ გვპირდებოდა, 2016 კარგი წელი იქნებაო?!

**— გვპირდებოდა და გვპირდება კიდეც... მან თქვა, რომ 2015 წელი აღმასვლისა იქნება.**

— კარგი რა, როგორც დაიწყო, ისეთი წელი იქნება. ქვეყანა თავზე გვენგრევა, ყველაფერი უტვინოდ აქვთ აწყობილი, ტურისტის იმედზე არიან, საწარმოების აშენებაზე არ ფიქრობენ...

**— დაინიშნება რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები?**

— ბიძინას ჭკუა თუ აქვს, აუცილებლად უნდა დანიშნოს რიგგარეშე არჩევები, წინააღმდეგ შემთხვევაში, მთავრობას კეტებითა და კომბლებით დაედევნება ხალხი. წელიწადნახევარი დარჩა არჩევნებამდე, თუ პრობლემები დღეს ვერ მოგვარეს, მათ ხმას აღარავინ მისცემს. ბიძინა რომ ამბობს, ჩემს სიტყვას ფასი აქვსო, წელიწად-ნახევარში თუ არაფერი გამოსწორდა, მის სიტყვას ფასი ნამდვილად აღარ ექნება. **რიგგარეშე არჩევენები უნდა ჩატარდეს, მაგრამ ეს ბიძინამ არ იცის, არ ხვდება იმ ხალხს, რომელმაც იცის ქვეყანაში მიმდინარე პროცესები და ხალხის აზრი. ბიძინა უსმენს მხოლოდ იმ ადამიანებს, რომლებიც ასიამოვნებს. თუმცა მართალიც არის, ამხელა ფული აქვს, დილას გაიღვიძებს, წამოწოლილია, ნებიერად მიირთმევს ყავას და... უნდა ახლა მაგას პრობლემების მოსმენა და ტვინის ბურღვა?** არც ერთი ჭკვიანი კაცისთვის არ მიუმართვას, თავის გარემოცვაშია ჩაკეტილი, ეს გარემოცვაც თავის სასიკეთოდ უყვება ყველაფერს.

ბიძინა ამბობს, საპარლამენტო ქვეყანა ვართო, ყველაფერს როგორ გვატყუებს და თვალებში ნაცარს გვაყრის, ჩვენ საპარლამენტი ქვეყანა არ ვართ, ჩვენ არაფერი არ ვართ, სადღაც ვართ გაჩხერილი, მაგრამ, თუ საპარლამენტო ქვეყანა გვინდა, პარლამენტი მრავალპარტიული უნდა იყოს — წერა-კითხვისა და კანონების მცოდნე ადამიანებით დაკომპლექტებული. მინისტრებს ახლანდელი პარლამენეტი აბუჩად ჰყავთ აგდებული, არც ერთი მინისტრი არ მიდის და იცით, რატომ? იმიტომ, რომ არ იციან, იქ ვის დაელაპარაკონ. კადრების ნაკლებობაზე საუბრობს გამუდმებით ირაკლი ღარიბაშვილი, საინტერესოა, სად ეძებს ამ კადრებს — დედოფლისწყაროში? იქ, ნამდვილად ვერ იპოვის ამდენ სპეციალისტს.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

**„ერთადერთი გამოსავალი არის პირდაპირი დიალოგი ყველა მეზობელ სახელმწიფოსთან, მათ შორის, უპირველესად, რუსეთთან და ჩვენი ამოცანაა, მეზობელი სახელმწიფოები ჩვენზე არანაკლებ იყვნენ დაინტერესებულნი, საქართველო ერთიანი და სტაბილური ქვეყანა იყოს, მაგრამ ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ საქართველო იქნება ჩართული ისეთი სტრატეგიული მნიშვნელობის პროექტებში, რომლებშიც არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ დიდი ეკონომიკური ინტერესიც იქნება“.**

თვალსაწიერი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ზღაპარია, რომ ევროპულ ბაზარზე საქართველომ რამე მოგება ნახოს!

**28 იანვარს, არასამთავრობო ორგანიზაცია „გლობალური კვლევების ცენტრმა“ სასტუმრო Holiday Inn-ში პრესკონფერენცია გამართა — შესაძლებელია თუ არა საქართველომ რუსეთსა და თურქეთს ჩვენი ქვეყნის გავლით გაზსადენის მშენებლობა შესთავაზოს და მომგებიანი თუ იქნება ამ პროექტის განხორციელება ჩვენი ქვეყნისთვის, როგორც ეკონომიკური, ასევე უსაფრთხოების თვალსაზრისით. პროექტის უპირატესობასა თუ მოსალოდნელ რისკებზე საგანგებოდ შეკრებილმა ენერგეტიკის სფეროს სპეციალისტებმა და ექსპერტებმა იმსჯელეს.**

## «თუ დაახლოებით ისეთივე ხელშეკრულება გაფორმდა, როგორიც იყო შაჰდენიზის ხელშეკრულება, ამ შემთხვევაში, საქართველოს ყოველწლიურად 1 მილიარდი სუფთა მოგება მაინც დარჩება. მშენებლობის პროცესშიც უამრავი მუშახელი დასაქმდება, ინვესტიციები შემოვა ქვეყანაში»



**„გლობალური კვლევების ცენტრის“ ხელმძღვანელის — ნანა დევდარიანის** განცხადებით, რუსეთ-თურქეთის ახალი გაზსადენის მშენებლობასა და აღნიშნულ პროექტში საქართველოს შესაძლო მონაწილეობის დადებითი და უარყოფითი მხარეების გაანალიზების შემდეგ, პროექტი აუცილებლად გაეგზავნებათ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს, ვინაიდან დროა, ამ თემაზე სერიოზული საუბარი ხელისუფლებამაც დაიწყოს:

— დღევანდელ შეკრებას ესწრებიან ენერგეტიკოსები, უსაფრთხოების ექსპერტები, პოლიტოლოგები, რათა ყველა მიმართულებით განვიხილოთ პროექტი და გავაანალიზოთ ის დადებითი მხარეები თუ რისკები, რომლებიც მის განხორციელებას შეიძლება ახლდეს. ამ იდეის შესახებ პირველად ნინო ბურჯანაძემ მიმართა საქართველოს მთავრობას — გამოიყენოს ისტორიული შანსი და შესთავაზოს რუსეთსა და თურქეთს საქართველოს ტერიტორიაზე გაზსადენის გაყვანა. ასეთი განცხადება ნებისმიერ ქვეყანაში სერიოზული მსჯელობის საგანი მაინც გახდებოდა, მაგრამ არა — საქართველოში. არადა, გაზსადენის საქართველოს ტერიტორიაზე გატარება გაცილებით მნიშვნელოვანი გარანტიის შემცველია უსაფრთხოების თვალსაზრისით, ვიდრე ნატოში გაწევრების უშედეგო განცხადებები. მიწისზედა გაზსადენის მშენებლობა კი გაცილებით იაფია წყალქვეშაზე. საქართველოში არსებობს ინფრასტრუქტრა, რომლის გამოყენებითაც გაზსადენის მშენებლობა მოხერხდება. ჭკვიანური მოლაპარაკების შემთხვევაში, საქართველო შეძლებს ხარისხიანი აირის მიღებას და, რაც მთავარია, ეს ყველაფერი ქვეყნის სტაბილურობას გაამყარებს.



**ნინო ბურჯანაძე, „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს“ ლიდერი:**

— რისკი ნებისმიერ გადაწყვეტილებას ახლავს, მაგრამ გონიერმა ხელისუფლებამ ამ რისკის მინიმალიზაცია უნდა მოახერხოს. სამწუხაროდ, საქართველოს ხელისუფლებამ აღნიშნული პროექტის მიმართ არანაირი ინტერესი არ გამოიჩინა. რა თქმა უნდა, ილუზია არ გვქონია, რომ ამ ტიპის გადაწყვეტილებებს საქართველოს ხელისუფლება დამოუკიდებლად მიიღებდა, მაგრამ ჩვენი იდეა სწორედ ის არის, რომ მოლაპარაკების პროცესი დაიწყოს იმ სუპერსახელმწიფოებთან, რომელთა პოზიციასაც მნიშვნელობა აქვს. ძალიან სამწუხაროა, რომ **დღეს ჩვენ საგარეო პოლიტიკა პრაქტიკულად არ გვაქვს.** დროა, რეალურად გავაანალიზოთ მოვლენები, მოგვწონს ეს თუ არა, ჩვენ არ გვაქვს იმის ფუფუნების უფლება, მეზობელ და, მით უმეტეს, სუპერსახელმწიფოებს დავუპირისპირდეთ. ჩემი აზრით, **ერთადერთი გამოსავალი არის პირდაპირი დიალოგი ყველა მეზობელ სახელმწიფოსთან, მათ შორის, უპირველესად, რუსეთთან და ჩვენი ამოცანაა, მეზობელი სახელმწიფოები ჩვენზე არანაკლებ იყვნენ დაინტერესებულები, საქართველო ერთიანი და სტაბილური ქვეყანა იყოს, მაგრამ ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ საქართველო იქნება ჩართული ისეთი სტრატეგიული მნიშვნელობის პროექტებში, რომლებშიც არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ დიდი ეკონომიკური ინტერესიც იქნება.** ამიტომ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ ასეთი პროექტების განხორციელებისთვის. იყო ასეთი კითხვაც: აფხაზებიც თანასწორი უფლებებით ჩაერთვებიან ამ პროექტშიო? თუ მიგვაჩნია, რომ აფხაზებიც ჩვენი თანამოქალაქეები არიან, ისეთივე უფლებების მქონენი, როგორც საქართველოს ნებისმიერი კუთხის წარმომადგენლები, არ უნდა შეგვეშინდეს, პროექტში მათი მონაწილეობის. ჩვენი მიზანია, შევთავაზოთ ხელისუფლებას იდეა და აღნიშნული პროექტი მან თუნდაც რუსეთთან მოლაპარაკებების დასაწყებად გამოიყენოს.



**რევაზ არველაძე, საქართველოს ენერგეტიკის აკადემიის პრეზიდენტი:**

— ამ პროექტის განხორციელებაზე, პირველ რიგში, რუსეთთან დიალოგია საჭირო. **თუ დაახლოებით ისეთივე ხელშეკრულება გაფორმდა, როგორიც იყო შაჰდენიზის ხელშეკრულება, ამ შემთხვევაში, საქართველოს ყოველწლიურად 1 მილიარდი სუფთა მოგება მაინც დარჩება. მშენებლობის პროცესშიც უამრავი მუშახელი დასაქმდება, ინვესტიციები შემოვა ქვეყანაში.** პოლიტიკურ დივიდენდებზე თუ ვილაპარაკებთ, საქართველოს, რუსეთსა თუ თურქეთს შორის ურთიერთობების გათვალისწინებით, ამ პროექტით, უკვე გარკვეული „კოზირი“ გვექნება, ვინაიდან **რუსეთიდან ევროპისკენ წასული 30 მილიარდი კუბური მეტრი გაზის ჩამკეტი ჩვენს ხელთ იქნება და, აქედან გამომდინარე, რუსეთის დაყოლიება გარკვეულ პოლიტიკურ საკითხებზე უფრო გაადვილდება.**

დღეს რუსეთი ორიენტირებულია ამ გაზსადენის ზღვის ფსკერზე გაყვანით, თორემ საქართველოს ტერიტორიის გამოყენება მისთვისაც მომგებიანია. ამის მიუხედავად, ჩვენი დაძაბული ურთიერთობიდან გამომდინარე, რუსეთს არც უფიქრია ამ მიზნისთვის ჩვენი ტერიტორიის გამოყენება და ამიტომ საქართველომ აღნიშნული ინიციატივა რუსეთს თვითონ უნდა შესთავაზოს.



**ვახტანგ მაისაია, სამხედრო ექსპერტი:**

— მინდა, ამ პროექტის განხორციელების პოზიტიურ მხარეებსა და რისკებზე ვისაუბრო. შეიძლება ითქვას, რომ პროექტის განხორციელების შემთხვევაში, გაიზრდება ინვესტიციების მოზიდვის პერსპექტივა, ამას გარდა, გაჩნდება ქვეყანაში თავისუფალი ეკონომიკური ზონების განვითარების პერსპექტივა, ასევე შეიძლება მოხდეს საქართველოს ენერგეტიკული ჰაბის სტატუსის გაზრდა საერთაშორისო დონემდე, რადგან ამ შემთხვევაში საქართველო უკვე გადაიქცევა ჩრდილოეთ-სამხრეთისა და დასავლეთ-აღმოსავლეთის ენერგეტიკული გადამკვეთი ცენტრების მნიშვნელოვან ადგილად. გაიზრდება ქვეყნის ენერგოუსაფრთხოების პირობები. **გეოპოლიტიკური ფაქტორებიდან გამომდინარე, პოზიტივად შეიძლება ჩაითვალოს აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების შანსის პირობების გაზრდა.**

რისკებს რაც შეეხება, ამ პროექტების განხორციელების მთავარი პრობლემა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებია. **დღეს საქართველოსა და რუსეთს შორის არათუ დიპლომატიური ურთიერთობა არ არსებობს, ჩვენ, ფაქტობრივად, საომარ ვითარებაში ვიმყოფებით.** აქვე მინდა, ხაზი გავუსვა, რუსეთის სამხედრო ინტერესების გაძლიერებას რეგიონში, რადგან ამ პროექტების განხორცილებას რეალურად შეიძლება მოჰყვეს რუსეთის სამხედრო პოტენციალის გაზრდა, ასევე გასათვალისწინებელია ჩვენი ურთიერთობა ევროკავშირთან და ნატოსთან. ცნობილია, რომ „როსნეფტი“ და „გაზპრომი“ ეკონომიკური სანქციების ქვეშ არიან მოქცეულნი და, ვიდრე რუსეთისთვის დაწესებული სანქციები მოქმედებს, ნებისმიერი პროექტი, რომელსაც ეს კომპანიები საქართველის ტერიტორიაზე განახორციელებენ, ასევე „შავ სიაში“ აღმოჩნდება, ამიტომ არ არის გამორიცხული, ეს სანქციები საქართველოსაც დაუწესონ. თუ გავითვალისწინებთ, რომ დღეს უმძიმესი გეოპოლიტიკური ფონია და დასავლეთსა და რუსეთს შორის, ფაქტობრივად, „ცივი ომი“ დაიწყო, ბუნებრივია, ეს ყველაფერი ჩვენი ქვეყნის საგარეო-პოლიტიკურ ორიენტაციასთან პირდაპირ იქნება დაკავშირებული.



**თამარ კიკნაძე, პროფესორი:**

— დიდი ექსპერტობა არ არის საჭირო იმის მისახვედრად, რომ ეს პროექტი საჭირო და მომგებიანია საქართველოსთვის, მაგრამ ამისთვის, პირველ რიგში, აუცილებელია პოლიტიკური ნება. **ჩვენ ნატოსა და ევროკავშირის წევრები რომ ვერ გავხდებით, ამას დიდი ექსპერტობა არ სჭირდება, ვინაიდან საქართველო ევროპულ და ამერიკულ სტრუქტურებთან თანამშრომლობას თავისთვის ძალიან წამგებიანი პირობებით ახორციელებს.** მაგალითად, რისთვის სჭირდება ნატოს თავის რიგებში საქართველო, როდესაც პარტნიორული პროგრამის ფარგლებში, ისედაც დიდი კონტინგენტი მონაწილეობს საქართველოდან?! რაც შეეხება ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებას, **ზღაპარია, იმ ევროპულ ბაზარზე, რომელიც გაჯერებულია საქონლით, საქართველომ რაიმე მოგება ნახოს. დასავლეთისთვის ახლა საქართველოს ძირითადი მისია არის რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლი სახელმწიფოს მისია, საქართველოც სწორედ ამისთვის სჭირდებათ.** ამ შემთხვევაში ეს ინიციატივა ძალიან ღირებულია, რათა რუსებმაც დაინახონ, რომ საქართველოში არის ძალა, რომელიც დაინტერესებულია მათთან კონსტრუქციული ურთიერთობით, თუმცა დასავლეთთან ეს შეიძლება კონფრონტაციhის ახალ კერად იქცეს. ამიტომ დღეს რუსეთთან რაიმე კონსტრუქციულ-ეკონომიკურ ურთიერთობებზე საუბარი, ვფიქრობ, ძალიან გართულდება. თუმცა, რა თქმა უნდა, **მოლაპარაკებები უნდა დაიწყოს და უნდა დაიწყოს არა პრეზიდენტების დონეზე, არამედ, ჯერჯერობით უნდა მოისინჯოს მოლაპარაკების ლატენტური ფორმები, რათა პოლიტიკური წრეების მაღალ დონეზე შეხვედრა მომზადდეს.**

მოამზადა **შორენა ციქარაშვილმა**

**P.S.** პრესკონფერენციის ორგანიზატორის — ნანა დევდარიანის განცხადებით, საკითხი მხოლოდ ამ ერთი შეხვედრით არ ამოიწურება, პროექტზე მუშაობა გაგრძელდება და აღნიშნული საკითხზე საერთაშორისო კონფერენციის ჩატარებაც იგეგმება, რომელსაც ქართველებთან ერთად უცხოელი ექპერტებიც დაესწრებიან.

ალტერნატივა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ომი, რომელიც ვაშინგტონმა რუსეთის წინააღმდეგ წამოიწყო, ოფიციალურად არ გამოცხადებულა, მაგრამ ეკონომიკური სანქციები, რომლებიც რუსეთს დაუწესეს, დიპლომატიური დემარშები და, რაც მთავარია, ინფორმაციული იარაღის მასობრივად ამოქმედება ზუსტად განსაზღვრული სამიზნეს მიმართულებით, სწორედ რომ ომია, „ცივი ომი“, რომელიც სულ ცოტა ხნის წინათ ისტორიის განვლილი ეტაპი გვეგონა, გაკვეთილი, რომელიც შევისწავლეთ და გამეორებას არ ექვემდებარება.**

# ის, რასაც ქართული პრესა არ აქვეყნებს

# რეიტინგის სააგენტოების ალმოსავლური ბლიცკრიგი

**ინფორმაციული ომის ერთი მნიშვნელოვანი მხარე, რომელიც მთელი ძალით ამჟერად რუსეთის წინააღმდეგაა მიმართული, რეიტინგის სააგენტოების „დიდი სამეულის“, უფრო ზუსტად, „ფულის პატრონების“ „საიდუმლო იარაღია“, რომელიც არა მარტო არასასურველი ქვეყნების ეკონომიკის დარღვევას ისახავს მიზნად, არამედ — საერთოდ მსოფლიოსი და, მათ შორის, თვით ამერიკის ეკონომიკის განადგურებასაც კი.**



შევეცადოთ, თანმიმდევრობით გავარკვიოთ ეს, ერთი შეხედვით, ძნელად გასაშიფრი დებულება, რომელიც უფრო ბრალდებად არის წარმოდგენილი, ვიდრე ანალიტიკოსების დინჯი ფორმულირების სახით.

დავიწყოთ იმით, რაც 2015 წლის იანვრამდე თვალშისაცემი გახდა: დასავლეთმა რუსეთს ეკონომიკური სანქციების პარალელურად დავოსის მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე (21-23 იანვარი) ისეთი შეფასებები წარუდგინა, რომლებიც პოლიტიკური განაჩენი უფროა, ვიდრე პროგნოზი — უიმედო ავადმყოფის დიაგნოზი: ორი-სამი წლის განმავლობაში რუსეთს ურთულეს ეკონომიკურ კრიზისში მოუწევს არსებობა.

რატომ და რის საფუძველზე?

**რეიტინგულმა სააგენტოებმა, კერძოდ, Fitch-მა, 9 იანვარს რუსეთის ხანგრძლივვადიანი საკრედიტო რეიტინგი ერთი საფეხურით ჩამოაქვეითა.** ამის მიზეზად დასახელებული იყო რუსული რუბლისა და ნავთობის ფასის მკვეთრი დაცემა. აღინიშნა ისიც, რომ რუსეთის ეკონომიკაზე უარყოფითად მოქმედებს დასავლეთის მიერ დაწესებული სანქციები, მათ შორის, უცხოეთის საკრედიტო ორგანიზაციებში რუსეთის კომპანიების ვალების რეფინანსირებაზეც. **Fitch-ის მიერ რეიტინგჩამოქვეითებულ 13 რუსულ კომპანიას შორის ისეთი გიგანტებიც აღმოჩნდა, როგორიც „გაზპრომი“, „ლუკოილი“ და რუსეთის რკინიგზაა.**

ეს ინფორმაცია იმავე Fitch-მა 13 იანვარს გაავრცელა.

რეიტინგის დაწევა სახელის გატეხვას ნიშნავს, რასაც, როგორც წესი, მოჰყვება პრობლემები და „შავი ზოლი“ კრიზისის.

პარალელურად, მეორე სააგენტო **Standard and Poors** რუსეთის რეიტინგს „ნაგვის“ დონემდე დაწეულად აცხადებს. ექსპერტები დარწმუნებული არიან, რომ მის კვალზე „დიდი რეიტინგული სამეულის“ წევრი **Moodys**-ი იმავეს გააკეთებს.

გასამდება!

ეს „სიახლენი“ იანვრის თვეს ტოპინფორმაციად გაჰყვა და მსჯელობის საგნად იქცა. აქცენტი იმდენად ძლიერი იყო, რომ თითქმის მთლიანად მიჩქმალა ერთი ამბავი, რომელიც თავისი არსით ახალი და მოულოდნელიც იყო ამერიკის სინამდვილეში: **რეიტინგის სააგენტო Standard & Poors დათანხმდა, გადაუხადოს ამერიკის ხელისუფლებას „გასაცემელი“ 80 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით, რათა შეწყდეს მის (სააგენტოს) წინააღმდეგ რამდენიმე წლის წინათ დაწყებული გამოძიება.**

**ეს ისტორია ჯერ კიდევ 2007-2008 წლებში იღებს სათავეს, ანუ მაშინ, როცა აშშ-ში მომავალი კრიზისის პირველმა ნიშნებმა იჩინა თავი. გაირკვა, რომ აღნიშნულმა სააგენტომ სერიოზული წვლილი შეიტანა ამ კრიზისის მომზადებაში.** კერძოდ, უმაღლეს რეიტინგებს ანიჭებდა იპოთეკურ ობლიგაციებს, წინასწარგანზრახვით ბერავდა იპოთეკური ბაზრის დაკრედიტების „საპნის ბუშტს“. ამ „ბუშტის“ გასკდომამ ბიძგი მისცა უძლიერეს ფინანსურ კრიზისს, რომელმაც ამერიკის ეკონომიკის თითქმის ყველა სექტორი მოიცვა, შემდეგ კი გლობალური მასშტაბის გახდა. დღეს ირკვევა, რომ იპოთეკური ქაღალდები 2007-2008 წლებშივე „ნაგავი“ იყო, მაგრამ S&P ამას ვერ ამჩნევდა.

თუ არ ამჩნევდა?

თუმცა ისიც სათქმელია, რომ აშშ-ის ხელისუფლება დიდხანს თვალს არიდებდა სააგენტოს განსაკუთრებულ როლს კრიზისის პირობების მომზადებაში.

ექსპერტებს ბუნებრივად ებადებათ შეკითხვა: რატომ „გაეღვიძა“ ასე გვიან აშშ-ის ხელისუფლების ეკონომიკურ სექტორს?

გვიან კი არა, ამტკიცებენ საქმეში გარკვეული პროფესიონალები, შეიძლებოდა, საერთოდ არ „გაღვიძებოდა“, რომ არა ერთი შემთხვევა.

**2011 წელს ამერიკის ეკონომიკის ცაზე კვლავ შავი ღრუბლები დაიგრაგნა. ქვეყანას 2007-2009 წლების ეკონომიკური კრიზისიდან გამოყოლილი ელდა ჯერ არ განელებოდა, მორიგი ეკონომიკური კრიზისის ტალღის ნიშნები კი უკვე აშკარად გამოჩნდა.**

**სააგენტოები დიდად არიან დამოკიდებულნი იმ ორგანიზაციებზე, რომლებსაც რეიტინგულად აფასებენ, რადგან სწორედ ეს ორგანიზაციები აფინანსებენ მათ მომსახურებას**



რეიტინგის სააგენტოები ალტერნატივის წინაშე აღმოჩნდა: ან ჩვეულებისამებრ მიენიჭებინათ ამერიკის ეკონომიკისთვის მაქსიმალური რეიტინგები, ან ნამუსზე ხელი არ აეღოთ და ეთქვათ, რომ კრიზისი ახლოვდებოდა.

სააგენტო S&P-მა სწორი გადაწყვეტილება მიიღო და ამერიკის უმაღლესი რეიტინგი ერთი საფეხურით დაბლა დასწია. ფინანსური სამყაროს პროფესიონალებმა ეს სენსაციად აღიქვეს, რადგან მსგავსი რამ ამერიკის ისტორიას არ ახსოვდა. აშშ მედიას კი ამ ფაქტის გაშუქებით თავი არ მოუკლავს. არც ობივატელი გადარეულა. აი, „ფულის პატრონებისთვის“ (ანუ ამერიკის პატრონებისთვის) კი ცხადი გახდა, რომ ასეთი თავხედობისთვის სააგენტო საჯაროდ უნდა „გაეროზგათ“.

**გაიცა განკარგულება და ფეხზე დადგა ქვეყნის ფინანსური მაკონტროლებელი ორგანიზაციები, ყველა ალაპარაკდა იმის თაობაზე, რომ Standard & Poors უპასუხისმგებლოდ ამაღლებდა იპოთეკური ქაღალდების რეიტინგებს. ამის გამო თავდაპირველად სააგენტოს დახურვასაც კი აპირებდნენ.** ამერიკელი კონგრესმენების წინადადება სწორედ ასეთი იყო. მეორე წინადადება კი ექვსმილიარდიანი ჯარიმის გადახდევინებას ითვალისწინებდა, რაც, ფინანსისტების დასკვნით, კომპანიის გაკოტრების მიზეზი გახდებოდა.

S&P-მ თავზე ფერფლი დაიყარა და განაცხადა, რომ გამოსწორდებოდა.

ცოტა ხანს ასეც იქცეოდა: აშშ-ს კვლავ უმაღლეს რეიტინგებს ანიჭებდა, მაშინაც კი, როცა 2013 წლის შემოდგომაზე ამერიკაში საბიუჯეტო კრიზისმა იჩინა თავი და ქვეყანა ორ კვირაზე მეტხანს ბიუჯეტის დაფინანსების გარეშე ცხოვრობდა. ადვილი წარმოსადგენია, წერენ ფინანსისტები, ასეთი რამ რუსეთში რომ მომხდარიყო, მთელ მის ეკონომიკას თავისი მაღაროებით, რკინიგზით, ფაბრიკებით, ქარხნებითა და ნავთობსადენებით — ყველაფერს „ნაგვის“ დონემდე დაცემულად გამოაცხადებდნენ.

მაგრამ ამ წინაპირობის გარეშეც არ შეურცხვენია თავი თითით საჩვენებელ მოწაფეს: კვლავ და კვლავ განაგრძობდა „ნაგვის“ რეიტინგების მინიჭებას იმ ქვეყნებისთვის, რომლებშიც, ვაშინგტონის შეფასებით, დემოკრატიას ცუდი დღე ადგა. ეს რეიტინგები ეკონომიკურ პრობლემებს სცილდებოდა და აშშ-ის ადმინისტრაციისადმი პოლიტიკურ ლოიალობაზე ვრცელდებოდა.

**„გასაცემი“ 80 მილიონი დოლარიდან (რომლის შესახებაც ზემოთ უკვე ვთქვით), როგორც ამ დღეებში ამერიკის მედიამ გაავრცელა ინფორმაცია, სააგენტო S&P-მ 58 მილიონი დოლარი უნდა გადაუხადოს ფასიანი ქაღალდების კომისიას და აშშ-ის ბირჟებს. 12 მილიონი დოლარი უნდა გაიღოს ნიუ იორკის შტატის გენერალური პროკურატურის მიერ წამოყენებული ბრალდებების დასარეგულირებლად და კიდევ 7 მილიონი — მასაჩუსეტსის შტატის გენერალური პროკურატურის მიერ წამოყენებული ბრალდებების მოსაწესრიგებლად.**

ცოტააო, ვერ იტყვი, მაგრამ სპეციალისტები გვიმტკიცებენ, რომ ეს მილიონობით დოლარი ზღვაში წვეთია იმ ჯარიმისა და „გასაცემლის“ ფონზე, რომელიც 2007-2009 წლების საფინანსო კრიზისის კვირაძალს გადაიხადეს უოლსტრიტის, აგრეთვე, ევროპის ზოგიერთმა ბანკმა, რომლებიც ამერიკაში მუშაობენ. ექსპერტებმა დაითვალეს, რომ ამ თანხამ უკვე გადალახა 100-მილიარდიანი ზღვარი, რაც არცთუ ცუდი ბიზნესია ფინანსური ზედამხედველობისა და რეგულირების ამერიკული ორგანოებისთვის.

ამერიკის მედიაში ქვეყნდება არც თუ ფარული მინიშნება, რომ ამ ორგანოებმა უნდა იარონ ზუსტად იმ პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა კალაპოტით, რომლებსაც იღებენ „ფულის პატრონები“ და ვრცელდება თეთრი სახლისა და აშშ-ის კონგრესის არხებით.

**რეიტინგის მსოფლიო სააგენტოები დღეს და გუშინ არ გამოსულან ასპარეზზე, მათი როლი მსოფლიო კრიზისის მომზადებაზე, დიდი ხანია, საიდუმლო არ არის. ამას ადასტურებს G7-სა და G20-ის სამიტების 2000-იანი წლების მასალები, რომლებშიც გაანალიზებულია ფინანსური კრიზისის მიზეზები და მისი დაძლევის გზები და საშუალებები. ამ დოკუმენტებში ხშირად ფიგურირებს ბრალდება რეიტინგის სააგენტოების „დიდი სამეულის“ წინააღმდეგ.**

„საქართველო და მსოფლიოს“ მკითხველებისთვის საინტერესო უნდა იყოს ის თავისებურებანი, რომლებიც აღნიშნულ მასალებშია თავმოყრილი:

1. სააგენტოები **კერძო ორგანიზაციებია** და ყოველთვის არსებობს საშიშროება, რომ მათ მფლობელებს შეუძლიათ, მოგება მიიღონ თავიანთი რეიტინგული შეფასებებიდან;

2. **რეიტინგის შეფასების გაანგარიშების მეთოდიკას სააგენტოები არ ასაჯაროებენ; რეიტინგების მომზადების სამზარეულო გამჭვირვალე არ არის;**

▶

„25 წელია, ლაპარაკით გვცნობენ და გვაღიარებენ ჩვენს საზღვრებში, მხარეებს მოუწოდებენ მოლაპარაკებისკენ, რეზოლუციას რეზოლუციაზე იღებენ, მაგრამ შედეგი? 25 წლის წინათ ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მიერ დაფინანსებული ე. წ. არაფორმალების მიერ დაწყებული ქვეყნისა და ხალხის განადგურება დღესაც არ შეჩერებულა! თუ გვინდა, რომ ეს ნგრევა და განადგურება შევაჩეროთ, უპირველეს ყოვლისა, უნდა დავუმეგობრდეთ რუსეთს და გავხდეთ ევრაზიული კავშირის წევრი!“

ალტერნატივა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

3. სააგენტოების საქმიანობას არც ერთი სახელმწიფო ორგანო, ფაქტობრივად, არ ამოწმებს და არ აკონტროლებს;

4. **სააგენტოები დიდად არიან დამოკიდებულნი იმ ორგანიზაციებზე, რომლებსაც რეიტინგულად აფასებენ, რადგან სწორედ ეს ორგანიზაციები აფინანსებენ მათ მომსახურებას;**

5. სამივე მსოფლიო სააგენტო აშშ იურიდისქციას ექვემდებარება, რაც უეჭველად იწვევს ამერიკის ეკონომიკისა და ამერიკის საფინანსო ბაზრის რეიტინგული შეფასებების დამახინჯებას;

6. **რეიტინგის სააგენტოების შეფასება უამრავ შემთხვევაში მცდარია, რაც ეჭვქვეშ აყენებს მათი შეფასებების გამოყენების მიზანშეწონილობას საინვესტიციო და სხვა საფინანსო გადაწყვეტილებების მიღების დროს;**

7. თვით სააგენტოებისა და ქვეყნებისა და კომპანიების მათეული რეიტინგების შეფასების სტატუსი ისეთია, რომ სააგენტოები ამ შეფასებების გამო პასუხს არ აგებენ; პასუხისგებაში მიცემა თითქმის შეუძლებელია;

8. **გაუმჭვირვალეა არა მხოლოდ შეფასებების სამზარეულო, არამედ სააგენტოების ქონების სტრუქტურაც; რთულია იმის გაგება, თუ ვინ არის პატრონი ან ბენეფიციარი სააგენტოსი, როგორც კერძო კორპორაციის;**

9. სააგენტოებს, რომლებიც „დიდ სამეულშია“ გაერთიანებული, მონოპოლიზებული აქვთ რეიტინგული შეფასებების ბაზარი (მათ ხელშია მსოფლიო რეიტინგების ბაზრის 90-დან 99 პროცენტი); „დიდი სამეული“ მოქმედებს, როგორც გლობალური კარტელი, ხოლო სხვადასხვა ქვეყნის ანტიმონოპოლიური დაწესებულებები ამას რატომღაც ვერ ამჩნევენ;

10. **იმ ქვეყნების ეკონომიკები და კომპანიები, რომლებიც უარს ამბობენ „დიდი სამეულის“ მომსახურებაზე, როგორც წესი, ამ კომპანიებისგან „ნაგვის რეიტინგით“ „ჯილდოვდებიან“; ეს არის აღნიშნულ ქვეყნებზე შანტაჟისა და ზემოქმედების აშკარა გამოვლენა, გაჩნდა კიდეც ტერმინი „რეიტინგული რეკეტი“.**

ხუთი-ექვსი წლის წინათ G7-სა და G20-ის სამიტებზე არაერთი წინადადება იყო წამოყენებული რეიტინგის სფეროში წესრიგის დასამყარებლად. ამ წინადადებების დიაპაზონი ფართო იყო, რაშიც თავად დარწმუნდებით, თუ ქვემოთ მიცემულ ჩამონათვალს გაეცნობით.

სამიტებზე გამოთქმული წინადადებები ასეთი იყო:

*გაუქმდეს „დიდი სამეულის“ სააგენტოები, რომელთა სრული დისკრედიტაცია მოხდა კრიზისის დროს; საჭიროების შემთხვევაში დაიწყოს სააგენტოების როლის გამოძიება საფინანსო კრიზისის მომზადების საქმეში;

* დაექვემდებაროს ისინი ცალკეული სახელმწიფოების და/ან საერთაშორისო ორგანიზაციების კონტროლს;

*განხორციელდეს „სარეიტინგო მომსახურების“ დარგის დემონოპოლიზაცია დამატებითი მსოფლიო მასშტაბის სააგენტოების შექმნის ხარჯზე;

*განხორციელდეს გადასვლა „ორმაგი რეიტინგების“ სისტემაზე (ეკონომიკური საქმიანობის სუბიექტი შეფასებას მიიღებს ორი ერთმანეთთან დაუკავშირებელი სააგენტოს მიერ);

* ყველა ქვეყანაში უნდა შეიქმნას საკუთარი ეროვნული სააგენტო, რომელთა რეიტინგები ძირითადად იქნება ჩათვლილი (უცხოეთის სააგენტოების რეიტინგები კი — დამხმარე რეიტინგებად);

* რეიტინგების შეფასების გაანგარიშების მეთოდიკები უნდა გახდეს გამჭვირვალე და გასაგები;

* კერძო რეიტინგულ ორგანიზაციებს დაევალოს, გაასაჯაროონ საკუთარებისა და „საბოლოო ბენეფიციარების“ სტრუქტურა.

წინადადებები იყო სერიოზული და საქმიანი, რომლებიც რეიტინგული შეფასებების ობიექტურობას უზრუნველყოფდა უთუოდ. მაგრამ, როგორც ყველაფერს, რასაც აშშ გავლენის ბერკეტების შესუსტება შეიძლება გამოეწვია, ამათაც განხორციელება არ ეწერა.

ხოლო „ნაგვის“ დონის მინიჭება დარჩა ისეთივე საფრთხობელად, რომლისთვისაც იმთავითვე იყო დაწესებული — „სხვაგვარად მოაზროვნე“ ქვეყნების ეკონომიკის განადგურების საშუალებად.

ეს ბერკეტი დაინტერესებულმა ძალამ 2015 წლის იანვარშიც აამოქმედა, ამჯერად რუსეთის წინააღმდეგ. თუმცა ექსპერტების დაჟინებული მტკიცებით, „დიდი სამეულის“ რეიტინგი — ეკონომიკური ომის ეს იარაღი, პირდაპირი მნიშვნელობით არ უნდა აღვიქვათ, რადგან არავითარი კავშირი არ აქვს რუსეთის ეკონომიკასთან.

ეს არის,— გვეუბნებიან ანალიტიკოსები,— 2014 წლის მარტში რუსეთის წინააღმდეგ დაწყებული ეკონომიკური ომის იარაღი, ფსიქოლოგიური მართვისა და ზემოქმედების საშუალება. ამ იარაღის ეფექტიანობის ნეიტრალიზების უპირველესი საშუალება მისი სრული უგულებელყოფაა, რადგან ეფუძნება უსინდისო მანიპულაციას, თაღლითობას, ფალსიფიკაციას, რეკეტს, ძირგამომთხრელ საქმიანობას, რომელიც ამჯერად გამოყენებულია სანქციების გამაძლიერებელ იარაღად.

რუსეთისთვის იანვარში მინიჭებული რეიტინგის თაობაზე თავისი აზრი გამოთქვა ნიუიორკელმა ეკონომისტმა მაქს ფრად ვოლფმა: „ამერიკული სარეიტინგო სააგენტოები — აბსოლუტური ძალაუფლების მფლობელები არიან სესხის ამღებთა კრედიტუნარიანობის დადგენაში. და რადგან ეს სააგენტოები ამერიკულებია, მათ ხშირად აბრალებენ, რომ იზიარებენ აშშ მთავრობის ზოგიერთ წინასწარშექმნილ ცუდ აზრს. ვფიქრობ, რომ, საბოლოო ჯამში, გველოდება აზრთა დიდი მრავალფეროვნება ამ სფეროში. ეს აუცილებელია. ამის უთუოდ მიღწევას შეძლებს მხოლოდ საერთაშორისო კონსორციუმი, რომელშიც რუსეთი და ჩინეთიც იქნებიან გაერთიანებულნი“.

ე.ი. თანამშრომლობა და არა დაპირისპირება სანქციების ორლესულით.

რუბრიკას უძღვება **არმაზ სანებლიძე**

# ვაჟა ხაჭაპურიძე: ქვეყანა დაღუპვის პირასაა, ესენი კი გაიძახიან, — მზარდი განვითარების პროცესში ვიმყოფებითო

**საქართველოს სახელმწიფოებრიობას მორიგი სილა გააწნეს — „ნაციონალების“ მიერ მოკლული ზურაბ ვაზაგაშვილის საფლავზე სიცოცხლეს გამოასალმეს მისი მამა — ბატონი იური... ქაოსით მოცული ბანდერული უკრაინიდან დაბრუნებით გვემუქრება თანამედროვე კანიბალიზმის კაშკაშა „ვარსკვლავი“ — „დემონკრატიის შუქურა“ სააკაშვილი; მანამდე კი აფხაზეთმა რუსეთთან ინტეგრაციის ხელშეკრულება გააფორმა. ამავე ნაბიჯის გადადგმას აპირებს ე. წ. სამხრეთ ოსეთი. მოკლედ, დღის წესრიგში ამოტივტივდა დღევანდელი ქართველი საზოგადოების ტრადიციული კითხვა: „რა გვეშველება?“ ან, თუ გნებავთ, „გვეშველება რამე?“ გვესაუბრება შიდა ქართლის ყოფილი გუბერნატორი, უშიშროების საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე და პრეზიდენტის ყოფილი პირადი რწმუნებული ცხინვალში — ვაჟა ხაჭაპურიძე.**



**— ბატონო ვაჟა, აფხაზეთმა ხელი მოაწერა რუსეთთან ინტეგრაციის ხელშეკრულებას. იმავეს აპირებს „სამხრეთ ოსეთი“...**

— ამჟამინდელი საქართველოს ხელისუფლების ხელში, თუ ასე გაგრძელდა, გაცილებით დიდი უბედურება გველის! სახელმწიფოს მართვა სახუმარო საქმე როდია, სახელმწიფოს მაღალკვალიფიციური პიროვნებები, პროფესიონალები უნდა მართავდნენ, ჩვენ კი რას ვხედავთ? — ვხედავთ, რომ მთავრობა გავსებულია პირტიტველა ბიჭებით, რომლებსაც მართვის საკითხებში არანაირი ცოდნა და განათლება არ აქვთ, თუმცა ერთი რამ იციან კარგად — სახელმწიფო ქონების ფლანგვა და ხალხის მოტყუება. **ქვეყანა დაღუპვის პირასაა, ესენი კი გაიძახიან: მზარდი განვითარების პროცესში ვიმყოფებითო. ზოგიერთს, ვიდრე მინისტრად დაინიშნება, შრომის წიგნაკიც კი არ აქვს გახსნილი და რა უნდა მოსთხოვო?! აი, ასეთი უვიცები მართავენ ქვეყანას, უკვე 25 წელია!**

თითქმის 7 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ცხინვალიდან და კოდორის ხეობიდან გამოგვყარეს... ვინმეს გაახსენდა ან თავი შეიწუხა ამ უმძიმესი პრობლემის მოგვარებაში ჩართულიყო და, თუნდაც ერთი საკითხი გადაეწყვიტა, მაგალითად, მავთულხლართების, და ე. წ. სასაზღვრო ზოლში დაძაბული ვითარება ცოტათი მაინც განემუხტა?!

**— რატომ, ბატონო ვაჟა? ხომ ჩადიოდნენ და იდგნენ „საზღვართან“ პოლიტიკოსები და რუსი სამხედროების წინ დემარშს მართავდნენ?**

— ჩადიოდნენ და მუშტებს იქნევდნენ კამერების წინ თავის მოსაწონებლად. ეს კადრები ხომ მომავალ არჩევნებზეც გამოადგებათ?! მერე, ვის უქნევ „საზღვარზე“ ხელს — კოღოს ბზუილი რას დააკლებს სპილოს?! **თბილისში სამი უწყება მოქმედებს: აფხაზეთის უმაღლესი საბჭო, ცხინვალის რეგიონის მთავრობა და შერიგების სამინისტრო. რისთვის შეიქმნა და რას აკეთებს ეს უწყებები? რისთვის იხარჯება მათთვის გამოყოფილი სახალხო ქონებიდან მილიონები?! ჰოდა, დაინახეს აფხაზებმა და ოსებმა, რომ ქართული მხარე მათთან დასაახლოებლად არაფერს აკეთებს, მხოლოდ დასავლელი „მეგობრების“ ინსტრუქციებსაა მიშტერებული და სთხოვეს რუსეთს მფარველობა ისევე, როგორც ჩვენ, 25 წელია, ვეხვეწებით ჩვენსავე დამანგრეველ ევროპა-ამერიკას, მფარველობა გაგვიწიოს.** მაგრამ ამაოა ეს ხვეწნა. და ღმერთმა დაგვიფაროს, რომ დასავლეთმა თავის ე. წ. მფარველობის ქვეშ მოგვაქციოს. აი, მაშინ ნახეთ ქვეყნის უბედურება!

> **«თურქეთის ხელისუფლება აფინანსებს თავის მოქალაქეებს, რომ მათ საქართველოში შეიძინონ მიწები, შენობები და ა.შ. მიზანი? — აქ სამუდამოდ დამკვიდრება! ჩვენ თვალწინ ხდება ჩვენი ქვეყნის «მშვიდობიანი» ანექსია. ასევე იქცევიან არაბები, რომლებმაც საქართველოს ყველაზე დიდი მეფის — დავით აღმაშენებლის სახელობის გამზირი, უგულავას თანხმობით, მფარველობითა და ხელშეწყობით, ბოდიში და, საროსკიპოებით «დაამშვენეს». ჩვენი ერისთვის ამ მომაკვდინებელმა პროცესმა ჯერ რომ არ მიიღო დიდი მასშტაბი, რუსეთს უნდა ვუმადლოდეთ!»**

ისიც გაიხსენეთ, რომ ერთ-ერთი ვაჟბატონი, რომელმაც რუსები გააღიზიანა თავისი „ფეკალური მასებით“, გვეპატიჟებოდა ცხინვალში, სადაც ყანწით უნდა დაელია ქვეყნის გამთლიანების სადღეგრძელო. ყანწისა და სადღეგრძელოსი რა მოგახსენოთ, 2008-ში კი იქიდან კინწისკვრით გამოგვყარეს.

25 წელია, მხოლოდ ლაპარაკით გვცნობენ და გვაღიარებენ ჩვენს საზღვრებში, მხარეებს მოუწოდებენ მოლაპარაკებისკენ, რეზოლუციას რეზოლუციაზე იღებენ, მაგრამ შედეგი? 25 წლის წინათ ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მიერ დაფინანსებული ე. წ. არაფორმალების მიერ დაწყებული ქვეყნისა და ხალხის განადგურება დღესაც არ შეჩერებულა! თუ გვინდა, რომ ეს ნგრევა და განადგურება შევაჩეროთ, უპირველეს ყოვლისა, უნდა დავუმეგობრდეთ რუსეთს და გავხდეთ ევრაზიული კავშირის წევრი!

**— სააკაშვილი გვპირდებოდა, რუსეთი ორ-სამ წელიწადში დაიშლებაო. დღეს ზოგიერთი პოლიტიკოსიც ანალოგიურად ფიქრობს.**

— ღმერთმა არ ქნას, რუსეთი დაეცეს. აი, მერე ნახავთ, რა საშინელება დატრიალდება ჩვენს თავს! მხოლოდ ერთი მაგალითი — აგერ, ჩვენი (სააკაშვილს დავესესხები) ისტორიული მეგობარი თურქეთი. **დანამდვილებით ვიცი, რომ თურქეთის ხელისუფლება აფინანსებს თავის მოქალაქეებს, რათა მათ საქართველოში შეიძინონ მიწები, შენობები და ა. შ. მიზანი? — აქ სამუდამოდ დამკვიდრება! ჩვენ თვალწინ ხდება ჩვენი ქვეყნის „მშვიდობიანი“ ანექსია. ასევე იქცევიან არაბები, რომლებმაც საქართველოს ყველაზე დიდი მეფის — დავით აღმაშენებლის სახელობის გამზირი, უგულავას თანხმობით, მფარველობითა და ხელშეწყობით, ბოდიში და, საროსკიპოებით „დაამშვენეს“. ჩვენი ერისთვის ამ მომაკვდინებელმა პროცესმა ჯერ რომ არ მიიღო დიდი მასშტაბი, რუსეთს უნდა ვუმადლოდეთ! მაგ, ასე ვთქვათ, „მშვიდობიან“ მომხდურებს რუსეთისადმი პანიკური შიში აქვთ, რომ ერთ მშვენიერ დღეს რუსეთს რაღაცა „თავში დაარტყამს“, დაქოქავს ტანკებს და მაშინ მშვიდობით თურქულ-არაბულო „ინვესტიციებო“, თანაც, სამუდამოდ!**

ბოლოს და ბოლოს, შევიგნოთ: უკვე ორი ათეული წელია, დასავლეთი გააფთრებით უტევს მართლმადიდებლობას და, უპირველეს ყოვლისა, მართლმადიდებლობის ბურჯს — რუსეთს. **მაგრამ მინდა, „დავამშვიდო“ ქართველი ლიბერალები თუ, ბოდიში, ლიბერასტები: როგორც არ განადგურდება მართლმადიდებლობა, რადგან ეს შეუძლებელია, ისე არ განადგურდება რუსეთიც! გეყოთ, „მეგობრებო“, აუხდენელი ოცნებით ცხოვრება!**

**ევრაზიული კავშირის გარეშე ჩვენ ვერ ავაღორძინებთ ვერც ჩვენს სოფლის მეურნეობას, ვერც ინდუსტრიას. ქვეყანას, რომელსაც ძლიერი ინდუსტრია არ აქვს, უპერსპექტივოა. უნდა აღდგეს მოკავშირეთა გაერთიანება, სადაც გათვალისწინებული იქნება ისეთი სასიკეთო პირობები, როგორიცაა უსაფრთხოება, სახელმწიფოთა სუვერენიტეტი, ეროვნული ინტერესები, ეკონომიკური თანამშრომლობა და სხვა მრავალი. ეს ერთადერთი გზაა საქართველოს სუვერენიტეტის აღდგენისა მისივე საზღვრებში!** სხვა ალტერნატივა არ არსებობს და ტყუილად ნუ დავკარგავთ დროს. რაც უფრო მეტი დრო გავა, მით უფრო მძიმე მდგომარეობაში მოგვიწევს იმ კავშირში შესვლა. ბრძენს უთქვამს: ჩათრევას ჩაყოლა ჯობიაო!

**— კი მაგრამ, ბატონო ვაჟა, ახლანდელი მთავრობაც ევროკავშირზე ოცნებობს და გაგონებაც არ სურს ევრაზიული კავშირის...**

— გამოსავალი ერთია — უნდა ჩატარდეს რიგგარეშე, როგორც საპარლამენტო, ისე საპრეზიდენტო არჩევნები. არსებობენ საქართველოში მაღალი რანგის პროფესიონალები, რომლებსაც აქვთ სახელმწიფოს მართვის ცოდნაც და გამოცდილებაც, რომლებიც არ ულალატებენ ეროვნულ ინტერესებსა და ტრადიციებს.

ესაუბრა
**გიორგი კორძაძე**

გამაოგნებელი ფაქტები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რომის კათოლიკური ეკლესიის მღვდელმსახურთა მიერ 1990-2000 და შემდგომ წლებში ჩადენილი სექსუალური ძალადობის ფაქტების გამოაშკარავებამ დიდი რეზონანსი გამოიწვია მსოფლიოში. გამოძიების შედეგად გაირკვა, რომ მღვდელმსახურთა დაახლოებით 5 პროცენტი ბავშვებზე ძალადობდა, 2011-2012 წლებში კი ანალოგიური დანაშაულის ჩადენისთვის 400 სასულიერო პირს აჰყარეს ჩინი და განკვეთეს ეკლესიიდან.**

# ბოროტება სათნოების ნიღბით

# კათოლიკე მღვდელმსახურთა მიერ ჩადენილი შოკისმომგვრელი დანაშაულები



**რომის კათოლიკურ ეკლესიაში სექსუალური სკანდალები სიახლე არ არის, სექსუალური ძალადობა ბავშვებზე, მონაზვნებზე ისეთივე ძველია, როგორც თვითონ ეკლესია. ოფიციალური დოკუმენტების მიხედვით, უკვე 306 წელს კათოლიკური ეკლესია მღვდელმსახურთა სექსუალური ცხოვრების რეგულირებას ცდილობდა, ხშირად იძულებული იყო, მკაცრად დაესაჯა ის მღვდლები და მაღალი რანგის სასულიერო პირები, რომლებიც მხილებულნი იყვნენ არამხოლოდ ამორალურ, არამედ დანაშაულებრივ საქციელში.**

დღეს ბევრი ადამიანი, მათ შორის, კათოლიკები, გაოგნებულია ეკლესიის წიაღში ჩადენილი უამრავი დანაშაულითა და სექსუალური სკანდალებით, რომელთა შესახებაც ხშირად იწერება პრესაში, მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მღვდელმსახურთა დანაშაულები, როგორც მასობრივი მოვლენა, დღეს ან გუშინ არ დაწყებულა.

არასასურველი პირების მოწამვლა, ორივე სქესის ბავშვების გაუპატიურება და გარყვნა, მონაზვნებზე სექსუალური ძალადობა კათოლიკური ეკლესიის ისტორიის განუყოფელი ნაწილი და, შეიძლება ითქვას, სამწუხარო ტრადიციაა.

კათოლიკე მღვდელმსახურთა მიერ ჩადენილი სექსუალური დანაშაულები საზოგადოების განხილვის საგანი პირველად 1984 წელს გახდა, როდესაც გამომზეურდა ლუიზიანის შტატის (აშშ) ქალაქ ლაფაიეტის ეკლესიის სასულიერო პირის — **გილბერტ გოტის** საქმე. ამუშავდა „დომინოს ეფექტი“ და მსგავსი დანაშაულები სხვა ქვეყნებშიც გამოაშკარავდა. კათოლიკე მღვდელმსახურთა სექსუალური ძალადობის ბევრმა მსხვერპლმა რომის კათოლიკური ეკლესიის უმაღლეს იერარქებს მიმართა და დამნაშავეთა დასჯა მოითხოვა, მაგრამ, დაცვის ნაცვლად, კათოლიკური ეკლესიის ხელმძღვანელები მსხვერპლს მუქარით აიძულებდნენ, გაჩუმებულიყო ან დუმილის სანაცვლოდ ფულს სთავაზობდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ადრეც იყო კათოლიკური მღვდელმსახურების მიმართ პრეტენზიები, 1984 წლამდე არავის შეუტანია სასამართლოში სარჩელი უმაღლესი სასულიერო პირის წინააღმდეგ.

რომის კათოლიკური ეკლესიის მღვდელმსახურთა მიერ 1990-2000 და შემდგომ წლებში ჩადენილი სექსუალური ძალადობის ფაქტების გამოაშკარავებამ დიდი რეზონანსი გამოიწვია მსოფლიოში. გამოძიების შედეგად გაირკვა, რომ მღვდელმსახურთა დაახლოებით 5 პროცენტი ბავშვებზე ძალადობდა, 2011-2012 წლებში კი ანალოგიური დანაშაულის ჩადენისთვის 400 სასულიერო პირს აჰყარეს ჩინი და განკვეთეს ეკლესიიდან. ეს ციფრები ამერიკულმა საინფორმაციო სააგენტო „ასოშიეიტედ პრესმა“ ვატიკანის ოფიციალური წარმომადგენლის პრესმდივნის — **ფედერიკო ლომბარდის** ანგარიშიდან ამოიღო და გამოაქვეყნა. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ხანს ვატიკანი მკაცრ ზომებს მიმართავს პედოფილი მღვდელმსახურების წინააღმდეგ, რომის კათოლიკური ეკლესია ბავშვებზე ძალადობას აქამდე არ მიიჩნევდა „სერიოზულ პრობლემად“, რადგან თვლიდა, რომ ეს მხოლოდ ცალკეული შემთხვევა იყო.

**სექსუალური სკანდალები რომის კათოლიკურ ეკლესიაში — გამაოგნებელი ფაქტები:**

***აშშ.** ბოლო წლებში რომის კათოლიკური ეკლესია, კერძოდ, ბოსტონის მიტროპოლია, არაერთხელ აღმოჩნდა სექსუალური სკანდალის ეპიცენტრში. 1990-იან წლებში საზოგადოებრიობის აღშფოთება გამოიწვია ბოსტონელი მღვდელმსახურების — **პოლ შენლისა** და **ჯონ ჯიგანის** დანაშაულებმა, აგრეთვე, იმან, რომ ეკლესიის უმაღლესი რანგის პირები შენლისა და ჯიგანის დანაშაულების დაფარვას შეეცადნენ. 2003 წელს ბოსტონის მიტროპოლიამ 85 მილიონი დოლარი გადაუხადა 500 მღვდელმსახურის მიერ სექსუალური ძალადობის მსხვერპლთ.

**2004 წელს კი გამოძიებამ დაადგინა, რომ აშშ-ის კათოლიკური ეკლესიის 4000-ზე მეტმა მღვდელმსახურმა ბოლო 50 წლის განმავლობაში 10 ათასზე მეტ მცირეწლოვანზე იძალადა, ძირითადად — ბიჭებზე.**

**2004 წელს გამოძიებამ დაადგინა, რომ აშშ-ის კათოლიკური ეკლესიის 4000-ზე მეტმა მღვდელმსახურმა ბოლო 50 წლის განმავლობაში 10 ათასზე მეტ მცირეწლოვანზე იძალადა, ძირითადად — ბიჭებზე. საკომპენსაციო თანხამ, რომელიც აშშ-ის რომის კათოლიკურმა ეკლესიამ მოსარჩლეებს გადაუხადა, 2 მლრდ დოლარი შეადგინა**



**საკომპენსაციო თანხამ, რომელიც აშშ-ის რომის კათოლიკურმა ეკლესიამ მოსარჩლეებს გადაუხადა, 2 მლრდ დოლარი შეადგინა.**

***ირლანდია.** ამ ქვეყანაში კათოლიკე მღვდელმსახურთა მიერ ჩადენილი დანაშაულების გამოაშკარავებამ (2010-2011) შოკი გამოიწვია — არასრულწლოვნებზე ათეული წლების განმავლობაში ძალადობდნენ და მსხვერპლთა რაოდენობა ათასობით ბავშვს ითვლის. სკანდალი გაღრმავდა იმით, რომ ირლანდიის 4 ეპისკოპოსმა და კარდინალმა **შონ ბრედიმ** ყველაფერი იცოდნენ, მაგრამ დამნაშავეებს ხელს აფარებდნენ.

ბოლო მონაცემებით, **მღვდელმსახურებმა ირლანდიაში 2000-ზე მეტი მოზარდი გააუპატიურეს, უმეტესობა — ბიჭი.**

***გერმანია.** 2010 წელს გერმანია შოკში ჩააგდო ფაქტებმა, რომლებიც გამომზეურდა ეტალის სააბატოს (ბავარია) კათოლიკურ მონასტერში. პედოფილი მღვდელმსახურების მსხვერპლი 100-ზე მეტი აღსაზრდელი აღმოჩნდა, მათ შორის, ბიჭების მომღერალთა გუნდის — **„რეგენსბურგერ დომშპატცენის“** წევრები. სიტუაცია გართულდა იმით, რომ ამ გუნდის კურატორი იყო **გეორგ რატცინგერი** — რომის კათოლიკური ეკლესიის იმჟამინდელი მეთაურის — **ბენედიქტ XVI-ს ძმა.**

ანალოგიური ინციდენტი მოხდა ბერლინის იეზუიტურ კოლეჯში, სადაც 12 პედოფილი-მასწავლებლის მსხვერპლი 115 მოსწავლე გახდა.

***ავსტრია.** ფორარლბერგის ფედერალური მიწის 16 წარმომადგენელმა მღვდელმსახურთა მიერ სექსუალური ძალადობის გამო სარჩელი სასამართლოში შეიტანა. გამოძიებამ გამოავლინა, რომ 1970-1980-იან წლებში მერარეუს სააბატოში მღვდელმსახურებმა ათეულობით ბავშვი გარყვნეს.

***შვეიცარია.** ეპისკოპოსების მიერ შექმნილმა კომისიამ გამოძიების შედეგად დაადგინა, რომ 2010 წლის მაისში მღვდელმსახურმა პედოფილებმა 104 მოზარდი გააუპატიურეს.

***მალტა.** 2010 წელს მალტაზე სამმა მღვდელმსახურმა ობოლთა თავშესაფარში მცხოვრები 10 ბავშვი გააუპატიურა.

***ავსტრალია.** 1993-2010 წლებში 100 ავსტრალიელი მღვდელმსახური გაასამართლეს მოზარდებზე სექსუალური ძალადობის გამო.

***ბელგია.** 2010 წლის სექტემბერში ბელგიის ფედერალურ პროკურატურაში 103 საჩივარი შევიდა რომის კათოლიკური ეკლესიის მღვდელმსახურთა გარყვნილი მოქმედების შესახებ. მოსარჩლეთა 76% 40 წელს გადაცილებული მამაკაცი იყო, რომლებიც ბავშვობაში მღვდელმსახურებმა გააუპატიურეს. მათგან ყველაზე უფროსი 82 წლისაა, ყველაზე უმცროსი — 23-ის. 2011 წელს რომის კათოლიკურ ეკლესიას უჩივლა 75 ბელგიელმა, რომლებზეც მღვდელმსახურებმა სექსუალურად იძალადეს.

## სკანდალური პაპები და მათი დანაშაულები

2013 წლის თებერვალში **ბენედიქტ XVI** (იოზეფ ალოიზ რატცინგერი), რომელიც რომის კათოლიკურ ეკლესიას 7 წლის განმავლობაში მართავდა და რომელმაც სახელი მუსლიმანების ლანძღვით გაითქვა, ნებაყოფლობით გადადგა (აღსანიშნავია, რომ რატცინგერი ახალგაზრდობაში ფაშისტურ ორგანიზაცია „ჰიტლერიუგენდის“ წევრი იყო), მისი ადგილი კი ახალმა პაპმა (რიგით 266-ე რომის კათოლიკური ეკლესიის ისტორიაში) **ფრანცისკმა** დაიკავა — ფრანცისკი პირველი პაპია სამხრეთ ამერიკიდან, ▶

გამაოგნებელი ფაქტები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# საუკუნეების განმავლობაში რომის პაპის ტახტისთვის თავდაუზოგავად იბრძოდნენ, კლავდნენ ადამიანებს, ჰყიდდნენ და ყიდულობდნენ ტახტსა და ტიარას, პაპის გარშემო ყოველთვის ხლართავდნენ ინტრიგებს. ალბათ, სწორედ ამიტომ რომის კათოლიკური ეკლესიის ისტორიაში არაერთი სკანდალური პაპი ყოფილა და, ალბათ, კიდევ იქნება...

## იოანე XXIII-ს ადანაშაულებდნენ მისი წინამორბედი პაპის — ალექსანდრე V-ს მკვლელობაში, სამასი მონაზვნის გაუპატიურებაში, თავისი ძმის ცოლთან სექსუალურ კავშირში, გახრწნაში ოჯახისა, რომელიც დედისგან, ვაჟისა და სამი დისგან შედგებოდა, სიმონიაში, ბოლონიასა და რომში ათასობით ადამიანის წამებაში

◀ კერძოდ, არგენტინიდან. **საუკუნეების განმავლობაში რომის პაპის ტახტისთვის თავდაუზოგავად იბრძოდნენ, კლავდნენ ადამიანებს, ჰყიდდნენ და ყიდულობდნენ ტახტსა და ტიარას, პაპის გარშემო ყოველთვის ხლართავდნენ ინტრიგებს. ალბათ, სწორედ ამიტომ რომის კათოლიკური ეკლესიის ისტორიაში არაერთი სკანდალური პაპი ყოფილა და, ალბათ, კიდევ იქნება...**



### იოანე (იოანა) VIII — ქალი პაპის ტახტზე

იოანე VIII, გადმოცემის თანახმად, იოანე კი არა, **იოანა** იყო — ქალი, რომელიც პაპის ტახტზე 818 წელს ავიდა და ორი წლის განმავლობაში მართავდა რომის კათოლიკურ ეკლესიას.

ცნობილი პუბლიცისტი ლეო ტაქსილი წერს, რომ პაპესა იოანას ერთ-ერთ ცერემონიაზე ცხენზე ჯდომისას მშობიარობა დაეწყო, რის გამოც აღშფოთებულმა მრევლმა ჩაქოლა.

მიუხედავად იმისა, რომ ვატიკანი უარყოფს პაპის ტახტზე ქალის არსებობას, ზემოაღწერილი შემთხვევის შემდეგ დაკანონდა, რომ პაპობის ყველა პრეტენდენტმა სქესის დამდგენი ტესტი უნდა გაიაროს. ამ პროცედურის ჩასატარებლად კი სპეციალურ ტაბურეტს იყენებენ, რომელსაც საჯდომი გახვრეტილი აქვს.




### სტეფან VI — გვამის მსაჯული

რომის პაპს — სტეფან VI-ს (896-897) ისე სძულდა თავისი წინამორბედი — პაპი ფორმოზა, რომ მისმა სიკვდილმაც ვერ დააკმაყოფილა. სტეფან VI-ს მიერ 897 წლის იანვარში ჩატარებულ სინოდს, რომელსაც „გვამური სინოდი“ შეარქვეს, კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე საშინელ გამოცდასა და პაპის ყველაზე სამარცხვინო საქციელს უწოდებენ.

სტეფან VI-მ განკარგულება გასცა, მიწიდან ამოეღოთ ფორმოზას გახრწნილი გვამი, ჩაეცმიათ მისთვის პაპის სამოსი, დაესვათ ტახტზე და მოეწყოთ მისთვის სასამართლო. გვამს, რა თქმა უნდა, თავის დაცვა არ შეეძლო და ფორმოზა დამნაშავედ გამოცხადდა, სხვათა შორის, შეთითხნილი ბრალდებებით. ფორმოზას მარჯვენა ხელის სამი თითი მოჰკვეთეს, რომლებითაც პირჯვარს იწერდა. შემდეგ გვამს სამოსი გახადეს და მდინარე ტიბრში გადააგდეს.

საზოგადოება აღაშფოთა პაპის საქციელმა, სტეფან VI შეიპყრეს და ჩასვეს ციხეში, სადაც დაახრჩვეს.




### ბონიფაციუს VII — ხაზინის ქურდი

ბონიფაციუს VII — ერისკაცობაში **ფრანკო ფერუჩი** — რომის კათოლიკურ ეკლესიას 974-985 წლებში მართავდა. ისტორიკოსები მას ახასიათებენ სასტიკ ადამიანად, რომელიც მიზნის მისაღწევად არაფერს ერიდებოდა, მკვლელობასაც კი.

974 წელს აჯანყების შედეგად, კრესცენტიუს უფროსის ხელმძღვანელობით, რომის იმპერატორი ოტან I მომხრე პაპი ბენედიქტე VI დაამხეს, ორი თვის შემდეგ კი ციხეში მოკლეს. პაპის ტახტზე დასვეს დიაკონი ფრანკო ფერუჩი, რომელმაც ბონიფაცის VII სახელი მიიღო. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ იმპერატორის ჯარებმა ბონიფაციუსი და მისი მომხრეები რომიდან გააძევეს.

ბონიფაციუს VII პაპის ხაზინა გაიტაცა და თავი კონსტანტინოპოლს შეაფარა. 983 წელს იმპერატორი ოტანი გარდაიცვალა, ბონიფაციუს VII რომში დაბრუნდა და იმჟამინდელი პაპი იოანე XIX დაამხო, რომელიც ციხეში წამებით გარდაიცვალა.

ბონიფაციუს XII 984 წლის 20 ივლისს მოკლეს რომის ცენტრში, მარკუს ავრელიუსის ძეგლთან.



### ბენედიქტე IX — პაპი, რომელმაც ტახტი გაყიდა

ბენედიქტე IX (ერისკაცობაში **თეოფილაქტე**) სამჯერ ავიდა რომის კათოლიკური ეკლესიის მეთაურის ტახტზე. ის იყო 145-ე (1032-1044), 147-ე (1045 წლის 10 მარტი — 1045 წლის 1 მაისი) და 150-ე (1047 წლის 8 ნოემბერი — 1048 წლის 16 ივლისი) პაპი.

ბენედიქტე IX ბევრს არ უყვარდა. მასზე წმინდა პეტრე დამიანე წერდა: „ჯოჯოხეთის მოციქული მღვდელმსახურის სახით“. პონტიფიკოს ვიქტორ III-ს აზრით კი, ბენედიქტე XI-ს ცხოვრება იყო უშინაარსო, საზიზღარი და შემაძრწუნებელი.



გასაკვირი არ არის, რომ ბენედიქტე IX, რომელიც ძალიან ახალგაზრდა გახდა რომის კათოლიკური ეკლესიის პირველი პირი (ზოგიერთი ცნობით — 20 წლისა) პირველი იყო, რომელმაც პაპის ტახტი გაყიდა — 1045 წელს მან ტახტი 680 კგ ოქროდ მიჰყიდა თავის ნათლია **ჯოვანი გრაციანოს**, შემდგომში რომის პაპს — **გრიგორი VI-ს**.

მოგვიანებით ბენედიქტე IX სიმონიაში (საეკლესიო წოდებების გაყიდვა) დაადანაშაულეს და ეკლესიიდან განკვეთეს.



### იოანე XXIII — მეკობრე პაპის ტახტზე

ნეაპოლელი მეკობრე, მკვლელი, სოდომისტი, საკუთარი შვილთან და მის ქალიშვილთან სექსუალური ურთიერთობის მქონე **ბალთაზარ კოსა** რომის კათოლიკურ ეკლესიას 1410-1415 წლებში იოანე XXIII-ს სახელით მართავდა.

იოანე XXIII-ს ადანაშაულებენ მისი წინამორბედი პაპის — ალექსანდრე V-ს მკვლელობაში, სამასი მონაზვნის გაუპატიურებაში, თავისი ძმის ცოლთან სექსუალურ კავშირში, გახრწნაში ოჯახისა, რომელიც დედისგან, ვაჟისა და სამი დისგან შედგებოდა, სიმონიაში, ბოლონიასა და რომში ათასობით ადამიანის წამებაში. ამ დანაშაულების გამო რომის კათოლიკურმა ეკლესიამ იოანე XXIII განკვეთა და სამოქალაქო სასამართლოს გადასცა, როგორც „გამოუსწორებელი ცოდვილი, უზნეო არამზადა, სიმონისტი, მკვლელი და გამხრწნელი. იოანე XXIII ფრაიბურგში (გერმანია) დააპატიმრეს, რის შემდეგაც მან უარი თქვა წოდებაზე. პატიმრობიდან გათავისუფლებული კი ეახლა ახალ პაპს — მარტინ V-ს, რომელმაც ეპისკოპოსად დანიშნა.

იოანე XXIII გარდაიცვალა 1419 წლის 22 დეკემბერს.

1958 წელს კარდინალმა რონკლიმ, რომელიც პაპად აირჩიეს, იოანე XXIII დაირქვა, რითაც ხაზი გაუსვა იმას, რომ ბალთაზარ კოსა კანონიერი პაპი არ ყოფილა.



### ინოკენტი VIII — კუდიანებზე მონადირე და სამი ბიჭის სისხლში მობანავე

რომის პაპი ინოკენტი VIII, იგივე **ჯანბატისტა ჩიბო**, 1432 წელს დაიბადა გენუაში (იტალია). პაპის ტახტზე 1484 წელს ავიდა და რომის კათოლიკურ ეკლესიას 1492 წლამდე მეთაურობდა.

ჯანბატისტა ჩიბო გულგრილი არ იყო ლამაზი ქალების მიმართ და ქორწინების გარეშე შვილიც ბევრი ჰყავდა.

1484 წელს ინოკენტი VIII-მ გამოსცა ცნობილი ბულა (განკარგულება), რომელიც მიმართული იყო კუდიანების წინაალმდეგ და რომელმაც ევროპაში ინკვიზიციური პროცესები გამოიწვია.

ყველაზე საშინელი კი, რასაც მასზე ისტორიკოსები მოგვითხრობენ, არის ის, რომ მომაკვდავ ინოკენტი VIII-ს ჯან-ლონის მოსაკრებად ექიმმა ძარღვებში სამი ბიჭის სისხლი შეუყვანა.

პაპმა იცოდა ბიჭების დახოცვის შესახებ, მაგრამ ექიმების წინადადებას მაინც დათანხმდა, თუმცა სისხლის გადასხმამ ვერ უშველა.



### ალექსანდრე VI — მექრთამე და გარყვნილი

კორუფციაში ჩაფლული, არამზადა და გარყვნილი ალექსანდრე VI (1492-1503), იგივე **როდრიგო ბორჯია**, პაპობის ისტორიაში ყველაზე ამორალურ პერსონად ითვლება. მისი გარყვნილებისა და მექრთამეობის შესახებ იმჟამინდელმა ევროპამ ყველაფერი იცოდა. წმინდა ტახტზეც კი როდრიგო ბორჯია კარდინალების მოსყიდვით ავიდა.

წმინდა პეტრეს ეკლესიაში მოკალათებულმა ალექსანდრე VI-მ თავისი ოჯახის წევრები, მათ შორის ვაჟები, და საყვარლის — ჯულია ფარნეზეს — ნათესავები, წამყვან პოზიციებზე დანიშნა: ვაჟი ჩეზარე 18 წლისა გახდა კარდინალი, ჯულია ფარნეზეს ძმა ალესანდრო ფარნეზე — 24 წლისა. როდრიგო ბორჯიას 4 შვილი ჰყავდა კიდევ ერთი საყვარლისგან — ვანოცა დეი კატანეისგან — 3 ვაჟი და ქალიშვილი ლუკრეცია, რომელიც, ისტორიკოსების გადმოცემის თანახმად, მამის სარეცელს იზიარებდა და მისგან შვილიც გააჩინა. ალექსანდრე VI ლუკრეცია პოლიტიკურ პაიკად აქცია და კიდევ უფრო მეტი გავლენის მოსაპოვებლად სამჯერ გაათხოვა მდიდარ და გავლენიან პირებზე.

აღსანიშნავია ალექსანდრე VI ინიციატივით, მიქელანჯელომ აღადგინა წმინდა პეტრეს ბაზილიკა და აიგო ცნობილი სან ანჯელოს ტაძარი.



### გრიგოლ XVI — გონებაჩლუნგი და ლოთი

პაპი გრიგოლ XVI — **ბართლომეო ალბერტო კაპელარი** — რომის კათოლიკური ეკლესიის საჭეთმპყრობელი 1831 წლის 2 თებერვლიდან 1846 წლის 1 ივნისამდე იყო.

გრიგოლ XVI ცნობილია, როგორც გონებაჩლუნგი და ძალიან სასტიკი პაპი, რომელიც გამუდმებით ლოთობდა. გრიგოლ XVI პაპობის პერიოდში ეკლესიას, ფაქტობრივად, მართავდა მისი პირადი მდივანი **გაეტანო ბორონი**. პაპის გარემოცვაში იყვნენ ხარბი და ძალაუფლების მოყვარული ამორალური პირები.

გრიგოლ XVI ებრაელებისადმი სიძულვილით გამოირჩეოდა, რომლებმაც გეტოში შეასახლა და იქიდან გამოსვლა აუკრძალა. ებრაელებისადმი სიძულვილის მიუხედავად, პაპი რეგულარულად იღებდა დიდძალ თანხას მდიდარი ებრაელი როტშილდისგან.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**პენტაგონმა გამოაცხადა, რომ 400-ზე მეტი სამხედრო გაგზავნა სირიელი ამბოხებულების მოსამზადებლად და სწავლებები, სავარაუდოდ, გაზაფხულზე დაიწყება. თუმცა აშშ-ის სამხედრო უწყებაში არავინ აზუსტებს, სად იქნება საწვრთნელი ბანაკები განლაგებული. ამ მიზნებისთვის საკუთარი ტერიტორია აშშ-ს უკვე შესთავაზეს თურქეთმა, ყატარმა და საუდის არაბეთმა.**

# შეუძლიათ თუ არა მზვერავებს წინასწარმეტყველება

**სპეცსამსახურები, მზვერავები და საიდუმლო აგენტები, ასევე ანალიტიკოსები, რომლებიც ათასგვარი სამასოიანი აკრონიმებით არიან დაშიფრულნი, ნაწილობრივ იმისთვისაც არსებობენ, რომ პასუხი გასცენ რთულ კითხვას, რომელიც უძველესი დროიდან ყველას აწუხებს: შეიძლება თუ არა მომავლის პროგნოზირება და, თუ შეიძლება, როგორ? საქმე ისაა, რომ წინასწარმეტყველება ან პროგნოზირება ერთგვარი ხელოვნებაა, ამგვარი შესაძლებლობების განვითარებისთვის კი განსაკუთრებული პირობებია საჭირო.**




**თუ სადაზვერვო სამსახურები დანერგავენ ანალიტიკოსების მომზადების სისტემას, რომელიც სამეცნიერო კვლევებზე იქნება დაფუძნებული, შესაძლოა, პროგნოზირებაც იქცეს ვარჯიშებზე დამყარებულ მეცნიერებად**

იმისათვის, რომ პროგნოზირების პრინციპს ჩასწვდომოდნენ, მეცნიერებმა ექსპერიმენტი ჩაატარეს. მონაწილეებმა გაიარეს პროგნოზირების სიზუსტეში შეჯიბრის ორი ცხრათვიანი ტური. კითხვები შეარჩია აშშ-ის სადაზვერვო უწყების პერსპექტიული კვლევების სააგენტომ (IARPA). ორწლიან ექსპერიმენტში მეცნიერებმა თითოეულ მონაწილეს სხვადასხვა თემაზე 199 კითხვა დაუსვეს. მათ შორის იყო, მაგალითად, ამგვარი კითხვები: გამოცდის თუ არა ჩრდილოეთ კორეა ბირთვულ მოწყობილობებს 2012 წლის 9 იანვრიდან 1 აპრილამდე დროის შუალედში? ან ჩამოწევს თუ არა Moodys საბერძნეთის სახელმწიფო სავალე ინსტრუმენტების საკრედიტო რეიტინგს 2011 წლის 3 ოქტომბრიდან 30 ნოემბრამდე?

ექსპერიმენტის თითოეულ მონაწილეს, სულ მცირე, 25 კითხვაზე უნდა გაეცა პასუხი. უმეტეს შემთხვევებში კითხვას მხოლოდ ორი სავარაუდო პასუხი ჰქონდა, მაგალითად, როგორც კითხვას იმის შესახებ, დარჩება თუ არა რომელიღაც მსოფლიო ლიდერი თანამდებობაზე კონკრეტულ თარიღამდე. მონაწილეებს ჰქონდათ სხვა სახის დავალებებიც, მაგალითად, უნდა განესაზღვრათ, რა ვადებში მოხდება მომავალში რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა. ექსპერიმენტის ყველა მონაწილე კითხვებზე პასუხებს იძლეოდა ონლაინ რეჟიმში.

პირველი წლის განმავლობაში მონაწილეები დაყვეს ცხრა ნაკადად მათი უნარ-ჩვევებისა და კოლექტიური მუშაობის გამოცდილების მიხედვით. ექსპერიმენტების მეორე წელს მეცნიერებმა დაასკვნეს, რომ წინათ გამომუშავებული უნარ-ჩვევებიდან ყველაზე ღირებული ალბათობებით მსჯელობის უნარია. ამიტომ მეცნიერებმა შეამცირეს ჯგუფების რაოდენობა და პროგნოზისტების მხოლოდ ოთხი კატეგორია დატოვეს: ჯგუფები, რომელთა წევრებსაც შეეძლოთ ალბათობებით მსჯელობა, ამავე უნარის მქონე ცალკეული პირები და ასევე ჯგუფები და ცალკეული პირები, რომელთაც ამგვარი უნარი არ გააჩნდათ.

**შედარებითი ექსპერიმენტების ორი ტურის შემდეგ მეცნიერებმა აარჩიეს ისინი, ვინც 30 და მეტ კითხვას უპასუხეს. ფინალისტების რაოდენობამ 743 ადამიანი შეადგინა. მეცნიერებმა შეისწავლეს პროგნოზისტი ანალიტიკოსების უმრავლესობისთვის საერთო პირადი თვისებები და მომზადების პირობები და როგორც იქნა, დაასკვნეს:** ისედაც საშუალოზე გაცილებით მაღალი შედეგების მქონე კოლეგებს შორის ყველაზე წარმატებული პროგნოზისტები გაცილებით უკეთ ფლობენ სადაზვერვო მონაცემებს და უკეთ იცნობენ პოლიტიკურ სიტუაციას. ▶

**აშშ-ში დღითიდღე მძაფრდება ეჭვი იმ სტრატეგიის სისწორეზე, რომელიც ბარაკ ობამამ „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ აირჩია. დამოუკიდებელი კვლევების მონაცემებით, აბუ ბაკრ ალ-ბაღდადის ორგანიზაციამ დაბომბვების დაწყების შემდეგ გაამყარა და გააფართოვა საკუთარი პოზიციები სირიის ტერიტორიაზე.**

# ნულოვანი ეფექტი



თავის მართლების მიზნით, თეთრ სახლს შეუძლია, თქვას, რომ ერაყში „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ გაჩაღებული საჰაერო ომის სტრატეგიამ მნიშვნელოვანი შედეგები მოიტანა და რომ იქ ისლამისტების შეტევა შეჩერებულია ძირითადად საერთაშორისო კოალიციის მოქმედებების შედეგად. ქურთებმა და ერაყის ჯარებმა ისიც კი მოახერხეს, რომ ზოგიერთი ქალაქი „ისლამური სახელმწიფოს“ კლანჭებიდან დაეხსნათ.

მაგრამ სირიაში სამთვიანი კამპანიის შედეგები მხოლოდ უკეთესის სურვილს ბადებს. ამ ქვეყანაში ახლა აშშ-ის მეთაურობით მოქმედი კოალიციის მიერ განხორციელებული ყველა დარტყმის თითქმის სამი მეოთხედი კონცენტრირებულია ქურთულ ქალაქ კუბანზე, რომელიც თურქეთის საზღვართან ახლოს მდებარეობს. საჰაერო დარტყმებმა ქურთებს საშუალება მისცა, დაეცვათ ეს სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პუნქტი, რომლისთვისაც გაცხარებული ბრძოლა კიდევ გრძელდება.

კუბანის რაიონში მიმდინარე მოქმედებების გარდა, კოალიცია განსაკუთრებულ ძალისხმევას არ იჩენს „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ბრძოლაში. ამან ჯიჰადისტებს საშუალება მისცა, არა მხოლოდ საკუთარი პოზიციის კონსოლიდაცია მოეხდინათ სირიის ჩრდილო-აღმოსავლეთში, სადაც თავიდანვე მდებარეობდა მათი ძირითადი პლაცდარმი, არამედ მიეტაცებინათ ახალი ტერიტორიები ქვეყნის დასავლეთში და შეევიწროებინათ ბაშარ ასადის რეჟიმის მიერ კონტროლირებადი სახელისუფლო ჯარები დამასკოს რაიონში.

**„ისლამურმა სახელმწიფომ“ გაიმყარა პოზიციები სირიაში,** — წერს Wall Street Journal-ი აშშ-ის ცენტრალური სარდლობის პრესმდივნის, პოლკოვნიკ პატრიკ რაიდერის კომენტარს, — **მაგრამ ჩვენი მთავარი მიზანი ეს არაა. სირიას „ისლამური სახელმწიფოსთვის“ უსაფრთხო თავშესაფარს ვერ ვუწოდებდი. ეს უფრო ის ადგილია, სადაც მათ ერაყთან შედარებით უადვილდებათ საკუთარი ქმედებების დაგეგმვა და დამალვა“.**

ამერიკული მედიის მონაცემებით, თეთრ სახლში ახლა განიხილავენ იმას, რომ ერაყში მოქმედების სტრატეგიაზე უარი თქვან, ხოლო სირიის ტერიტორიაზე უფრო ენერგიულ ქმედებებზე გადავიდნენ.

ახლა ვაშინგტონში სხვადასხვა ვარიანტს ამუშავებენ. მაგალითად, პენტაგონი თურქეთის საზღვრის გასწვრივ ბუფერული ზონის შექმნას აპირებს და ეს ზონა ამერიკულმა ავიაციამ უნდა დაიცვას. ამერიკელმა სამხედროებმა ასევე შეიძლება დაიწყონ კოალიციის დარტყმების კოორდინირება სირიის ზომიერი ოპოზიციის მეთაურობასთან და გაცილებით უფრო თანამედროვე იარაღის მიწოდება ამჟამად სირიაში მეომარი ქურთების რაზმებისთვის.

სირიის ტერიტორიაზე „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ბრძოლის აქტივიზირებას ამერიკის დედაქალაქში უამრავი მოწინააღმდეგე ჰყავს. მათ არგუმენტებს საფუძვლად უდევს ის, რომ არავის სურს ამერიკის ჩათრევა სირიის სისხლიან სამოქალაქო ომში. ამის საშიშროება თვალნათლივ ჩანს ახლახან დამთავრებული ერაყისა და ავღანეთის ომების მაგალითზე, მაგრამ ასევე თვალნათელია საფრთხეები, რომელთაც ბაღდადში ჯიჰადისტების გაძლიერება ქმნის.

სირიასა და ერაყს შორის პრიორიტეტის საკითხი, შესაძლოა, თებერვლის დასაწყისშივე მწვავედ დადგეს, რადგან აშშ-ის ახალი თავდაცვის მინისტრის დამტკიცებისას კონგრესში, სავარაუდოდ, მოინდომებენ „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიის განხილვას. აქ გასათვალისწინებელი იქნება, რომ უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ორივე პალატა ახლა რესპუბლიკელების მიერ კონტროლდება, ესენი კი დაჟინებით მოითხოვენ აშშ-ის უფრო აქტიურ მონაწილეობას სირიის მოვლენებში. ასევე გასათვალისწინებელი გარემოებაა ისიც, რომ სენატის შეიარაღებული ძალების კომიტეტში ახალი თავმჯდომარე ჰყავთ. ახლა კომიტეტს სათავეში უდგას სენატორი ჯონ მაკკეინი, რომელსაც არასდროს დაუმალავს საკუთარი უკმაყოფილება ახლო აღმოსავლეთში ადმინისტრაციის მიერ გატარებული „უკბილო“ პოლიტიკის გამო.

ობამას ადმინისტრაცია კვლავაც მიიჩნევს, რომ საჭიროა, სირიაში შემოიფარგლონ ზომიერი სირიული ოპოზიციის მეომრების მომზადებით, თუმცა ისიც ესმით, რომ ეს ძალზე გრძელვადიანი საქმეა. სხვათა შორის, რამდენიმე დღის წინათ **პენტაგონმა გამოაცხადა, რომ 400-ზე მეტი სამხედრო გაგზავნა სირიელი ამბოხებულების მოსამზადებლად და სწავლებები, სავარაუდოდ, გაზაფხულზე** ▶



## ისლამური სახელმწიფო ნინევიას კედელს აფეთქებს

**ნინევიის პროვინციაში „ისლამური სახელმწიფოს“ ტერორისტულმა ორგანიზაციებმა ისტორიული ძეგლების დაბომბვა დაიწყეს. აფეთქებულია ისტორიული კედელი ქალაქ მოსულის ცენტრში.** წყაროს ინფორმაციით, ტერორისტებმა დიდი რაოდენობით ასაფეთქებლები გამოიყენეს. ნინევიის კედელი ითვლება ისტორიულ ძეგლად პროვინციაში და ზოგადად რეგიონში, ის ასურეთის ცივილიზაციის პერიოდს მიეკუთვნება. „ისლამური სახელმწიფოს“ ტერორისტულმა დაჯგუფებებმა, ასევე, გაანადგურეს ბევრი არქეოლოგიური, ისტორიული და რელიგიური ღირსშესანიშნაობები მოსულის მოვლენების შემდეგ. ეს ნგრევა კულტურული და სამოქალაქო წრეებში ფასდება, როგორც კაცობრიობის მემკვიდრეობისა და კულტურის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული.



**ამერიკელთა 20-25%, მრავალრიცხოვანი კვლევების თანახმად, ობამას ახლაც საიდუმლო მუსლიმანად მიიჩნევს. კონსერვატიული ამერიკელი ექსპერტების აზრით, აშშ-ის 44-ე პრეზიდენტის აღმსარებლობა არის გადამწყვეტი ფაქტორი მის ისლამურ პოლიტიკაში.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ **ყველაზე წარმატებულების კოგნიტური სტილი ახალი ცოდნის მიმართ ღიაობით გამოირჩევა. მათი წარმატება განაპირობა წინამოსამზადებელმა პერიოდმა, მათ გამოადგათ წინათ შეძენილი ალბათობითი მსჯელობის უნარები და გუნდური მუშაობის გამოცდილება. აკეთებდნენ რა საკუთარ პროგნოზებს, ისინი მეტ დროს ხარჯავდნენ მათ გააზრებასა და დაზუსტებაზე.**

ახლა მეცნიერებს სურთ, დაარწმუნონ სადაზვერვო სამსახურების წარმომადგენლები, რომ პროგნოზების შედგენისას არ იმსჯელონ პრინციპით „არ გაიმეორო ძველი შეცდომები". ისინი განსაკუთრებულად უსვამენ ხაზს ორ შეცდომას, რომლებიც ამერიკულმა სადაზვერვო სამსახურმა დაუშვა, და ამ შეცდომებზე სადაზვერვო სამსახურების არასწორ რეაგირებას.

თუ სადაზვერვო სამსახურები დანერგავენ ანალიტიკოსების მომზადების სისტემას, რომელიც სამეცნიერო კვლევებზე იქნება დაფუძნებული, შესაძლოა, პროგნოზირებაც იქცეს ვარჯიშებზე დამყარებულ მეცნიერებად და არა უსისტემო „ხელოვნებად", რომელიც შემთხვევით გამართლებას ემყარება.

Popular Science

◀ **დაიწყება. თუმცა აშშ-ის სამხედრო უწყებაში არავინ აზუსტებს, სად იქნება საწვრთნელი ბანაკები განლაგებული. ამ მიზნებისთვის საკუთარი ტერიტორია აშშ-ს უკვე შესთავაზეს თურქეთმა, ყატარმა და საუდის არაბეთმა.**

თეთრ სახლში არ სურთ, უფრო ენერგიულად დაბომბონ „ისლამური სახელმწიფოს" პოზიციები სირიაში იმის გამოც, რომ, მათი აზრით, დაბომბვების შედეგებით ისარგებლებს დამასკოც, რომელიც არამხოლოდ ოპოზიციის, არამედ „ისლამური სახელმწიფოს" წინააღმდეგაც იბრძვის. ვაშინგტონი მჭიდროდ თანამშრომლობს ბაღდადთან ერაყში „ისლამური სახელმწიფოს" წინააღმდეგ ბრძოლის მიმათულებით, მაგრამ სირიაში თავს იმავე ფუფუნების ნებას ვერ აძლევს.

სირიაში „ისლამური სახელმწიფოს" გავლენის პრობლემა ძალიან ჰგავს პრობლემას, რომელსაც ამერიკელები ავღანეთში გადააწყდნენ და რომლის გადაჭრაც ბოლომდე ვერ შეძლეს. ავღანელი თალიბები, რომლებიც უდიდესი ძალისხმევისა და მსხვერპლის შედეგად ბოლოს და ბოლოს განდევნეს ავღანეთიდან, მეზობელ პაკისტანში გადაბარგდნენ და იქიდან დაიწყეს წარმატებული ბრძოლა ნატოს კოალიციის ჯარების წინააღმდეგ.

topwar.ru

# «ისლამური სახელმწიფოს» ამერიკული ისტორია

**აშშ-ის სპეცსამსახურები ყველაზე მძლავრი რადიკალური ისლამური ქსელების შექმნის სათავეებთან იდგნენ. 80-იანი წლების დასაწყისში ავღანეთში საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ საბრძოლველად შეიქმნა „ალ ქაიდა". 90-იან წლებში ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ ამ ქვეყანას მოავლინა „თალიბანიც". მალე არც ერთი დაჯგუფება აღარ ექვემდებარებოდა შემქმნელების კონტროლს. 2001 წლის სექტემბერში ამერიკა თავად იქცა სამიზნედ და საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა იმ დროიდან თითქოს მთავარ გლობალურ პრიორიტეტად უნდა ქცეულიყო, მაგრამ დღეისათვის დღის წესრიგში ისევ რელიგიური ტერორი დგას და, რაც ძალიან საინტერესოა, ყბადაღებული „ისლამური სახელმწიფოდანაც" უხილავი ძაფები ვაშინგტონამდე მიდის.**





ამერიკის 44-ე ლიდერად გახდომის მსურველები შედარებით ცოტანი იყვნენ. კონსპიროლოგია და მისტიკა ოკეანის გაღმა პოლიტიკური კულტურის განუყოფელი ნაწილია. სხვადასხვა დროს რამდენიმე გავლენიანი ჯგუფი წინასწარმეტყველებდა, რომ პრეზიდენტების სწორედ ეს რიგითი ნომერი გახდებოდა უკანასკნელი აშშ-ის ისტორიაში.

ამრიგად, ილინოისის შტატის ახალგაზრდა შავკანიანი სენატორი ბარაკ ჰუსეინ ობამა შემთხვევის წყალობით აღმოჩნდა სახელისუფლო პირამიდის მწვერვალზე. პროგრესულმა კაცობრიობამ, რომელსაც გარკვეულწილად გაუკვირდა მოვლენათა ამგვარი შემობრუნება, აფროამერიკელისთვის მრავალრიცხოვანი ავანსების გაცემა დაიწყო და ამ ავანსებს შორის უმნიშვნელოვანესად უდავოდ უნდა ჩაითვალოს 2009 წლის მშვიდობის ნობელის პრემია.

**ობამამ იმედები ვერ გაამართლა. მისი ადმინისტრაციის პოლიტიკა არის ამბიციური, მან მთელი პლანეტა გახვია ქაოსის ნისლში. აქ აუცილებელია, გავიხსენოთ მხარდაჭერა, რომელიც აშშ-მა გაუწია „არაბული გაზაფხულის" მომხრეებს და რომლის შედეგადაც პრაქტიკულად აფრიკის მთელი ჩრდილოეთი იქცა სისხლისმღვრელი შეტაკებების ეპიცენტრად, ლიბია კი დე ფაქტო საერთოდაც გაქრა რეალური პოლიტიკური რუკიდან.**

არ ღირს ზედმეტად აღფრთოვანება ერაყიდან და ავღანეთიდან ნატოს კონტიგენტის ევაკუაციასთან დაკავშირებითაც — ეს გადაწყვეტილებები მხოლოდ ერთი შეხედვით ჰგავს ახლო და შუა აღმოსავლეთში ომების შეწყვეტის სურვილით ნაკარნახევს. სინამდვილეში ისინი სიტუაციაზე კონტროლის დაკარგვის შედეგად გაჩნდა და წარმოადგენს სამარცხვინო გაქცევას, რომელსაც რეგიონისთვის თვალნათელი პრობლემა — შეიარაღებული კონფლიქტების ესკალაცია მოჰყვა შედეგად. სინამდვილეში გამოუსადეგარი რეჟიმების დამხობა და სახელმწიფო სტრუქტურების რღვევა ერაყსა და ავღანეთში, კოალიციური ძალების სუსტი თავდაცვითი ტაქტიკა და შემდგომ მათი თითქმის სრულად გაყვანა ქვეყნის ტერიტორიიდან მხოლოდ მტკიცებულება იყო „ალ ქაიდას", „თალიბანისა" და „ისლამური სახელმწიფოს" მეთაურებისთვის, რომ ისინი დაუმარცხებელი არიან.

დღეს ყველაზე დიდი საფრთხე მოსალოდნელია ზემოხსენებული სამიდან უკანასკნელი ტერორისტული ორგანიზაციისგან. 2014 წელს ბარაკ ობამამ არა ერთხელ მოიხსენია ის კაცობრიობის მთავარი საფრთხეთა შორის, მიუხედავად იმისა, რომ სულ ახლახან სწორედ აშშ აწვდიდა იარაღს „ისლამურ სახელმწიფოს" სირიაში ბაშარ ასადის დასამხობად.

**სიმბოლურია, რომ ამერიკელთა 20-25%, მრავალრიცხოვანი კვლევების თანახმად, ობამას ახლაც საიდუმლო მუსლიმანად მიიჩნევს. კონსერვატიული ამერიკელი ექსპერტების აზრით, აშშ-ის 44-ე პრეზიდენტის აღმსარებლობა არის გადამწყვეტი ფაქტორი მის ისლამურ პოლიტიკაში.**

ობამა ბავშვობაში ხშირად იცვლიდა საცხოვრებელ ადგილს. დედამისი საკმაოდ თავისუფლად ცხოვრობდა. იგი მალე გასცილდა აშშ-ის მომავალი პრეზიდენტის მამას — ჰავაის უნივერსიტეტის კენიელ სტუდენტს და ცოლად გაჰყვა სხვა უცხოელ სტუდენტს — ინდონეზიის მოქალაქეს. ახალგაზრდა ობამაც ოჯახთან ერთად იქ გადავიდა საცხოვრებლად. ინდონეზიურ ჯაკარტაში შეიყვანეს იგი დაწყებით სკოლაში. ინდონეზია მკაცრად მუსლიმანური ქვეყანაა. ობამას ყურანით გატაცებამ განაპირობა ის, რომ 10 წლის ასაკში დედამ იგი ჰავაიში გაგზავნა, ბებიასთან. დედა სამართლიანად შიშობდა, რომ იმხანად ინდონეზიის სკოლებში პოპულარული ვაჰაბიზმი ბიჭზე ცუდ გავლენას მოახდენდა, როგორც ჩანს, ობამას სამუდამოდ გულში ჩარჩა პირველი გაკვეთილები...

ისეთი ორგანიზაციები, როგორებიცაა „ალ ქაიდა" და „ისლამური სახელმწიფო", თავისით არ ყალიბდებიან. ცხადია, სავარაუდოდ, არავინ დაადასტურებს ვაშინგტონის კავშირს „ისლამურ სახელმწიფოსთან", მაგრამ ამერიკელები ამ მხრივ საკუთარი თავდაჯერებულობისა და ტრაბახის ნაყოფს იმკიან — ჰოლივუდისა და დასავლური მასმედიის საშუალებით მათ თავად მიაჩვიეს მსოფლიო ამგვარი პროცესების ერთგვაროვან აღქმას. შემთხვევითი არ არის, რომ **თვით სერიოზულ ექსპერტთა შორისაც ახლა თითქმის არ დგება ეჭვქვეშ „ისლამური სახელმწიფოს" ამერიკული წარმომავლობა.**

ითვლება, რომ ვაჰაბისტური ტერორისტული ქსელების შექმნაში ვაშინგტონის მონაწილეობა რამდენიმე საკითხის გადაჭრას უკავშირდებოდა. პირველი არის ისეთი პერმანენტური გლობალური საფრთხის ფორმირება, რომელთან გამკლავებასაც მხოლოდ ამერიკული სპეცსამსახურები შეძლებდნენ. მეორე იყო კვლავწარმოებადი ადამიანური საბრძოლო რესურსის შექმნა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში „ბინძური" საქმეების მოსაგვარებლად. როგორც ზოგიერთი მედიასაშუალება წერს, ახლა ამერიკული სპეცსამსახურები იურიდიულად დაკავშირებული სტრუქტურების საშუალებით ყიდულობენ მიტაცებულ ტერიტორიებზე ისლამისტების მიერ მოპარულ ნავთობს. გარიგებებიდან მიღებული სახსრები იხარჯება შეიარაღებაზე და სომალისა და იემენში მდებარე საწვრთნელ ბანაკებში ბოევიკების მომზადებაზე. ამ ბანაკების კურსდამთავრებულები მონაწილეობდნენ ახლო აღმოსავლეთში, აფრიკაში, ჩრდილოეთ კავკასიაში მიმდინარე კონფლიქტებში, გამოიყენებოდნენ კონკრეტული ხელისუფლებების თუ პოლიტიკოსების დასაშინებელ აქციებში. საუბარია დასავლეთ ევროპაში განხორციელებული ტერაქტების სერიაზე, რომელმაც უკიდურესად ლიბერალურ ადგილობრივ მიგრაციულ პოლიტიკასთან ერთად „ისლამური ტერორიზმის" წინააღმდეგ მდგრადი შიში ჩანერგა. ლოგიკურია, ვივარაუდოთ, რომ პერმანენტული „სამხრეთული საფრთხის" პირობებში ვაშინგტონისთვის გაცილებით იოლია ევროპული ისტებლიშმენტის მართვა, მისი გადახრა ამა თუ იმ გადაწყვეტილებისკენ, რომელიც მომგებიანია აშშ-ისთვის.

**ობამას საგარეო პოლიტიკისა და აშშ-თან „ისლამური სახელმწიფოს" კავშირების სერიოზული გაანალიზების შემდეგ უნებურად იწყება სერიოზული ფიქრი ამერიკული სახელმწიფოებრიობისთვის ყველაზე აპოკალიფსურ წინასწარმეტყველებებზე. გასულ წელს ობამა „კაცობრიობის გლობალური საფრთხეების" საკუთარ სიას აფრიალებდა, მაგრამ თამამად შეიძლება ითქვას, რომ, ვიდრე ოვალური კაბინეტის სავარძელში ზის, იგი გარკვეულწილად თავად წარმოადგენს გლობალურ საფრთხეს.**

portal-kultura.ru

მოკლედ



## ეგვიპტეში ტერაქტს 26 ადამიანი ემსხვერპლა

**ისლამისტი მებრძოლების თავდასხმას სინაის ნახევარკუნძულზე 26 ადამიანის, ძირითადად, ეგვიპტელი ჯარისკაცების სიცოცხლე ემსხვერპლა. ისინი „ელ არიშეს" ადმინისტრაციულ ცენტრში იმყოფებოდნენ.** თავდასხმაზე პასუხისმგებლობა სინაის პროვინციის მებრძოლთა ჯგუფმა „ანსარ ბეით ალ-მაქდისმა" აიღო. მანამდე კი ამავე ჯგუფმა განაცხადა, რომ მხარს უჭერდა „ისლამურ სახელმწიფოს". ეგვიპტელი ანალიტიკოსები თვლიან, რომ ტერორისტები იჩენენ კოორდინაციის ისეთ უნარს, რომელიც აქამდე შეუმჩნეველი იყო. ამბოხებულებმა თავდასხმები გააძლიერეს მას შემდეგ, რაც ეგვიპტის პრეზიდენტი მუჰამეს მორსი გადააყენეს 2013 წელს.



მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამ ნაბიჯით ცენტრალურმა ბანკმა ქვეყნის ოქროს რეზერვი ერთბაშად 100-120 მილიარდი ფრანკით შეამცირა. ახლა დროულია იმის გახსენებაც, რომ შვეიცარიის კომერციულ ბანკებს დაახლოებით 1,36 ტრილიონი ფრანკი ასევე უცხოურ ვალუტებში აქვთ ნომინირებული.**

# შვეიცარია მიხვდა, ევროს უკიდურესი კრიზისი ელის



**ფულს სიწყნარე უყვარს. ეს ცნობილი გამონათქვამია. როგორც წესი, სტრატეგიული ხასიათის ყველა სერიოზული შეთანხმება მიიღწევა მხოლოდ დაკეტილი კაბინეტების სიწყნარეში, პრესისგან მოფარებულად. როგორც არმიაში, სანამ უბრალო ობივატელი დილის ყავის არომატით ტკბება, შტაბის ოფიცრები სხვებისგან შეუმჩნევლად რაღაცას ითვლიან, რაღაცას ხატავენ რუკებზე, ათასგვარ ცნობარს ფურცლავენ, რაღაცებს იწერენ და მერე ამ ჩანაწერებს საიდუმლო საქაღალდეებში აკერებენ. შემდეგ კი მოულოდნელად ჩნდება ვისლო-ოდერსკის ოპერაცია ან „სანტიაგოში წვიმს“. სწორედ ამგვარ ევროპულ კაბინეტებში 12-დან 16 იანვრამდე ფინანსისტებმა მიიღეს რაღაც ძალზე სერიოზული გადაწყვეტილება მთელი ევროპის ფინანსური ბაზრების მომავალთან დაკავშირებით. კონკრეტულად რა გადაწყვეტილებაა ეს, არავინ ამხელს, მაგრამ მიახლოებით რაღაცის გამოთვლა შეიძლება.**




რატომ მაინც და მაინც ზემოხსენებულ ვადებში? იმიტომ, რომ არსებობს ისეთი ქვეყანა, როგორიცაა შვეიცარია. ტერიტორიულად ის დიდი არ არის — მოსკოვის ოლქს ოდნავ ჩამოუვარდება. მოსახლეობის მხრივაც მოსკოვზე ნაკლებია — დაახლოებით რვა მილიონი. საერთო შიგა პროდუქტის მოცულობა, 2013 წლის მონაცემებით, 651 მილიარდ დოლარს შეადგენდა. შვეიცარია არა მხოლოდ უნიკალური ყველის, შოკოლადის, საათებისა და დანების სამშობლოა, ტრადიციულად წარმოადგენს ერთგვარ სარეზერვო ბუნკერს მთელი მსოფლიოს კაპიტალისთვის. ზოგიერთი მონაცემის მიხედვით, ამ ქვეყნის ბანკებში დაახლოებით შვეიცარიის ოქროს რეზერვის ექვივალენტის თანაბარი უცხოური, კერძო და კორპორატიული კაპიტალი ინახება. 2008 წელს ამან პრობლემებიც კი შეუქმნა ნაციონალურ ეკონომიკას.

მთლიანობაში შვეიცარია ძალზე კონსერვატიული ქვეყანაა. ამის გამოა მისი ეკონომიკაც საკმაოდ სტაბილური, მაგრამ ნელი ტემპებით ვითარდებოდა. მას საშუალება ჰქონდა, საკუთარი თავისთვის ამგვარი განვითარების უფლება მიეცა ხელისუფლების აწონილ-დაწონილი, გამოცდილი და მკაცრად თანმიმდევრული პოლიტიკის წყალობით; პირველ რიგში მონეტარული პოლიტიკა იგულისხმება. შვეიცარიელებმა ძალიან მალე გაარკვიეს, რომ 2010 წლის კურსის (0,7 ევრო — ერთი შვეიცარული ფრანკი) ზრდა და 2011 წელს ევროსა და ფრანკის გათანაბრება განპირობებული იყო მხოლოდ უცხოური საბანკო ანაბრების ნაციონალურ ვალუტაში კონვერტირებით. ფრანკებზე მოთხოვნილებამ უმალ უბიძგა კურსს ზემოთ, რამაც ნეგატიური გავლენა მოახდინა ეკონომიკაზე. უპირველეს ყოვლისა, ეს აისახა ტრადიციული შვეიცარიული საქონლის ექსპორტირებაზე. ამის გამო 2011 წლის ზაფხულში შვეიცარიის ნაციონალურმა ბანკმა (CNB) გამოაცხადა, რომ შემოღებულ იქნა ფრანკის მიმართ ევროს მაქსიმალური კურსი და ის 1,2-ს გაუტოლდა.

დღემდე შვეიცარია მკაცრად იცავდა ამ სიდიდეს ყველა შესაძლო საშუალებით, მათ შორის სავალუტო ინტერვენციებითაც. **მხოლოდ 2012 წლის განმავლობაში ქვეყანამ კურსის სტაბილურობაზე 200 მილიარდ დოლარზე მეტი დახარჯა და ამ თანხით გაზარდა თავისი საერთო შიგა პროდუქტიც. ფაქტობრივად, ეს ნიშნავდა ფრანკის მკაცრად მიბმას ევროზე, რადგან, სადამდეც უნდა ასულიყო ან ჩამოსულიყო ევროს კურსი სხვა ქვეყნებში, შვეიცარიაში ფრანკი 1,2 ევროს უდრიდა.** ამას ელემენტარული ეკონომიკური ლოგიკა მოითხოვდა. ძვირადღირებული ფრანკი შვეიცარიის კონკურენტუნარიანობას ვარდნის რისკს შეუქმნიდა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ, მაგალითად, ქვეყნის შემოსავლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფრთა მედიკამენტების ექსპორტია. მედიკამენტები კი ისედაც საკმაოდ ძვირია. იგივე შეიძლება ითქვას ყველა შვეიცარიულ საქონელზე. ისევ საერთაშორისო კონკურენცია. შვეიცარიული შოკოლადი თუნდაც 15%-ით რომ გაძვირდეს, მას უმალ განდევნის ბაზრიდან ფრანგული ან ბელგიური შოკოლადი. ამას ემატებოდა ტურიზმის მოცულობის შემცირების რისკიც, ამ დარგით კი ქვეყნის საერთო შიგა პროდუქტის 7% ივსება.

**მხოლოდ 2012 წლის განმავლობაში ქვეყანამ კურსის სტაბილურობაზე 200 მილიარდ დოლარზე მეტი დახარჯა და ამ თანხით გაზარდა თავისი საერთო შიგა პროდუქტიც. ფაქტობრივად, ეს ნიშნავდა ფრანკის მკაცრად მიბმას ევროზე, რადგან, სადამდეც უნდა ასულიყო ან ჩამოსულიყო ევროს კურსი სხვა ქვეყნებში, შვეიცარიაში ფრანკი 1,2 ევროს უდრიდა**

ამ მიზეზების გამო სამ-ნახევარი წლის მანძილზე შვეიცარიის ნაციონალური ბანკი წინასწარ განსაზღვრულ კურსს იცავდა სისხლის უკანასკნელ წვეთამდე. სულ ორიოდე კვირის წინ, 12 იანვარს, CNB-ს ვიცეპრეზიდენტმა ოფიციალურად განაცხადა, რომ ევროს მიმართ ფრანკის კურსის მაქსიმუმი ქვეყნის მონეტარული პოლიტიკის ერთ-ერთი საფუძველია. 16 იანვარს კი მანვე ამცნო მსოფლიოს ფინანსურ ბაზრებს იმის თაობაზე, რომ CNB-მ გადაწყვიტა, უარი თქვას რაიმე შეზღუდვებზე სავალუტო ბაზარზე.

კურსი მომენტალურად ავარდა. მატებამ 30% შეადგინა. ქვეყნის საფონდო ბაზრები კი ჩამოინგრა. ორ დღეში ვარდნამ 15% შეადგინა, რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელია უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში. სავალუტო ბროკერების უმრავლესობა, ისინი, ვინც ფრანკზე მუშაობდნენ, ერთ დღეში გაკოტრდნენ. მხოლოდ Everest Capital's Global Fund-მა ამაზე დაახლოებით 850 მილიონი დოლარი დაკარგა. მთლიანად დაიკეტა კომპანია ალპარის „ლონდონური ოფისი“. ამერიკულმა სავალუტო ბროკერმა FXCM-მა განაცხადა, რომ მისმა დანაკარგებმა 225 მილიონი დოლარი შეადგინა. სრულად გაკოტრდა Excel Markets-I ახალი ზელანდიიდან. დავუშვათ, ეს ის კომპანიაა, რომლის შესახებაც ბევრმა არც კი იცოდა, მაგრამ FXCM არის კორპორაცია, რომელიც მთელი მსოფლიოს მასშტაბით მუშაობს, მისი აქციებით ვაჭრობენ ბირჟებზე. უფრო მეტიც, შვეიცარიული LIBOR-ი მინუს 0,4%-მდე დაეცა. უბრალო მოკვდავთა ენაზე თარგმანში ეს ნიშნავს, რომ CNB იქით გადაგიხდით ფულს, თუ მისგან ფულს აიღებთ. ახლა იტყობინებიან, რომ LIBOR-I კიდევ უფრო დაეცა — 1,25-0,75%-მდე.

ვიღაც იკითხავს: რად უნდოდა შვეიცარიის ცენტრალურ ბანკს ამგვარი სალტოს შესრულება? თავი დავანებოთ მთელ დანარჩენ ეკონომიკას, 5-7 უმსხვილეს საერთაშორისო ფინანსურ ბროკერს, რომლებიც გაკოტრების ზღვართან აღმოჩნდნენ, მაგრამ თვით CNB-ს სავალუტო რეზერვებში ხომ 475 მილიარდი ფრანკი აქვს ჩადებული უცხოურ აქტივებში, ანუ მათ მხოლოდ ითვლიან ფრანკებში, ფაქტობრივად კი, ახლა მათი 29% გამოხატულია დოლარებში, 44,5% — ევროში, 8,3% — იაპონურ იენებში, 7% — ბრიტანულ ფუნტებში, 12% კი — დანარჩენ ვალუტებში.

**სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამ ნაბიჯით ცენტრალურმა ბანკმა ქვეყნის ოქროს რეზერვი ერთბაშად 100-120 მილიარდი ფრანკით შეამცირა. ახლა დროულია იმის გახსენებაც, რომ შვეიცარიის კომერციულ ბანკებს დაახლოებით 1,36 ტრილიონი ფრანკი ასევე უცხოურ ვალუტებში აქვთ ნომინირებული. მხოლოდ პირდაპირი დანაკარგების ზუსტად განსასაზღვრად ჯერ კიდევ გათვლებია საჭირო, მაგრამ ახლავე შესაძლებელია კონსტატირება, რომ შვეიცარიამ ამ გადაწყვეტილებით წამში გაატანა ქარს 450-500 მილიარდი შვეიცარიული ფრანკი, ანუ დაახლოებით 415 მილიარდი ევრო.**

და ეს ჯერ კიდევ არ არის ყველაფერი. როგორც აღმოჩნდა, მიუხედავად იმისა, რომ შვეიცარია პატარა ქვეყანაა, მის ფრანკში კრედიტირებით აქტიურად სარგებლობდნენ პოლონეთში, უნგრეთსა და ავსტრიაშიც კი. ამ უკანასკნელ ქვეყანაში ფრანკებით კრედიტების გაცემა სახელმწიფომ ჯერ კიდევ 2009 წელს შეამცირა, ამჟამად იქ ფრანკებში ნომინირებული კრედიტები დაახლოებით 25 მილიარდი ევროს ოდენობითაა გაცემული. უნგრეთი ცდილობს, იპოთეკური კრედიტები ფრანკიდან ადგილობრივ ფორინტებში დააკონვერტიროს. ამისათვის იქ უკვე დახარჯეს 8 მილიარდი ევრო. და როგორც ჩანს, უნგრეთი იქნება ერთადერთი ქვეყანა, რომელიც მომხდარს შედარებით უმტკივნეულოდ გადაიტანს. ავსტრიელები მათ შენატრიან. მაგრამ ყველაზე მეტად უნგრელების პოლონელებს შურთ. როგორც აღმოჩნდა, პოლონურ ბანკებს შვეიცარიულ ფრანკში ნომინირებული კრედიტები გაცემული აქვთ 131 მილიარდი ზლოტის, ანუ 36 მილიარდი დოლარის მო- ▶

მსოფლიო



## ჯონ ქერი დააჯარიმეს

**ამერიკული ჟურნალის — Politoco-ს ცნობით, აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჯონ ქერი 50 დოლარით დააჯარიმეს იმის გამო, რომ მისი სახლის წინ ტროტუარი თოვლისგან არ იყო გაწმენდილი.** სახლი ქალაქ ბოსტონში მდებარეობს. ჯონ ქერის მეზობლებმა მუნიციპალიტეტს შეატყობინეს, რომ სახელმწიფო მდივანმა ქალაქის მერის — მარტინ უოლშის განკარგულება არ შეასრულა და მიმდებარე ტროტუარი თოვლისგან არ გაწმინდა. მოქალაქეებმა მერიის საიტზე ბოსტონელებისთვის განკუთვნილ ინტერაქტიულ გვერდზე განათავსეს დარღვევის ამსახველი ფოტოც, რომელიც 28 იანვარსაა გადაღებული. ჯონ ქერის პრესმდივანმა გლენ ჯონსონმა განმარტა, რომ სახელმწიფო მდივანს არ შეეძლო, პირადად დაესუფთავებინა ტროტუარი, რადგან ამ დროს ვიზიტით საუდის არაბეთში იმყოფებოდა. „სახელმწიფო მდივანი სიამოვნებით გადაიხდის ჯარიმას. მოდით, იმედი ვიქონიოთ, რომ ეს იყო ყველაზე ძლიერი ქარბუქი წელს,“ — განაცხადა ჯონსონმა.



**სხვათა შორის, მოვლენათა ამგვარი განვითარების შემთხვევაში არც ნატოს დაშლაა გამორიცხული. რაც უნდა სურდეს ამერიკას, სამხედრო კავშირი თავისთავად ნიშნავს თვით გერმანიისა და საფრანგეთისთვისაც კი მაღალ სამხედრო ხარჯებს. იმ პირობებში, როდესაც რეალური საგარეო სამხედრო საფრთხე არ არსებობს, ეკონომიკა კი არა მხოლოდ დიდ კრიზისს განიცდის, არამედ ღრმა კატაკლიზმებშია ჩაძირული, გასაკვირი არ იქნება, რომ ევროპის წამყვანი ქვეყნები, თუნდაც ბიუჯეტის დაზოგვის მიზნით, საერთოდ გავიდნენ ნატოდან.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ცულობით. აქედან 22% საცალო კრედიტირებაა, 77% კი — იპოთეკა. ეს დაახლოებით 8%-ს შეადგენს უკრაინის საერთო შიგა პროდუქტთან მიმართებაში. ზოგიერთი პოლონური ბანკის კაპიტალი 20%-ზე მეტად არის დამოკიდებული შვეიცარიის ვალუტაზე. ფრანკის მიმართ ზლოტის კურსის დაკარგვა პოლონეთის საბანკო სისტემას წლიური შემოსავლის 3%, ანუ საერთო შიგა პროდუქტის 0,8% უკვე დაუჯდა.

შვეიცარიის ბანკირები აქამდე არასდროს ყოფილან შემჩნეულნი არც პოპულიზმში, არც უპასუხისმგებლობაში და მით უფრო არც არაპროფესიონალიზმში. პირიქით, ისინი მსოფლიოში საუკეთესო ფინანსური სპეციალისტები არიან. მაშ, რატომ მოხდა, რომ ქვეყანამ, რომელსაც მრავალი წლის მანძილზე ჰქონდა სტაბილური საბიუჯეტო პროფიციტი და რეზერვები, რომლებიც ერთნახევარჯერ აღემატებოდა ნაციონალურ საერთო შიგა პროდუქტს (საუკეთესო მაჩვენებელი მსოფლიოში!), ესოდენ დამანგრეველი ნაბიჯი გადადგა საკუთარი და არა მხოლოდ საკუთარი ეკონომიკისთვის? თანაც მან ეს პრაქტიკულად მოულოდნელად გააკეთა. ჯერ კიდევ 12 იანვარს განსაცდელსა და უბედურებას არაფერი მოასწავებდა, სულ რაღაც 4 დღის შემდეგ კი ყველაფერი თავდაყირა დადგა.

მოცემული მომენტისთვის ზუსტი მონაცემები არ არსებობს. ეს მონაცემები მოგვიანებით გაჩნდება, მაგრამ ახლავე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ 12-დან 16 იანვრამდე შვეიცარიელმა ბანკირებმა რაღაც ისეთი გაიგეს, რაც აბსოლუტურად ამართლებს ყველა ზემოხსენებულ დანაკარგს. ეს „რაღაც“, სავარაუდოდ, ისე ჟღერს, როგორც ფრაზა „დღეს ნაწილის დაკარგვა სჯობს ხვალ ყველაფრის დაკარგვას“. და ვინაიდან თავიდანვე საქმე ეხებოდა ევროს მიმართ ფრანკის კურსს, თავისთავად ჩნდება აბსოლუტურად ერთმნიშვნელოვანი დასკვნები: **ევროპის ცენტრალურმა ბანკმა რაღაც გაიგო ევროს, როგორც მსოფლიო ვალუტის, მომავლის შესახებ.**

**თუ ერთი წუთით ვივარაუდებთ, რომ ევრო კატასტროფულად დაეცემა, მაშინ მასზე მიბმულ ფრანკს ის ავტომატურად ჩაძირავს. შვეიცარია, რა თქმა უნდა, მდიდარი და ინდუსტრიული ქვეყანაა, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მსოფლიო ეკონომიკის მასშტაბში ის ზღვაში წვეთია. რაღაც 600 მილიარდი დოლარი — შვეიცარიის საერთო შიდა პროდუქტი — ვერაფერს შეცვლის ევროკავშირის 15 669 მილიარდის წინააღმდეგ.**

ჩნდება ერთადერთი დასკვნა, რომელიც არ ეწინააღმდეგება ყველაფერს, რაც უკვე მოხდა. უკვე იმდენად მნიშვნელოვანი აღარ არის, რა მიზეზით — ევროზონიდან საბერძნეთის გასვლის რისკის გამო თუ რაიმე სხვა მიზეზით — ევროს უკიდურესად სერიოზული კრიზისი ელის, თანაც ძალიან მალე. ეს კრიზისი იმდენად ახლოსაა, რომ ეშმაკური მანევრების მოსაფიქრებლად და შემოვლითი გეგმების დასაწყობად, უბრალოდ, დრო არ კმარა. შვეიცარიელმა საბანკო პროფესიონალებმა მარათონიდან გასვლა გადაწყვიტეს, ამიტომაც გამოიხსნეს თავიანთი ფრანკი ევროპული ვალუტისგან და არანაირ დანაკარგებს არ მოერიდნენ.

შვეიცარიის ამ გადაწყვეტილების ფონზე საინტერესოა იგივე მიმართულებით სხვა, უპირველეს ყოვლისა, ბალტიისპირეთის მსგავს პატარა ქვეყნებში მიმდინარე მოვლენები. განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ მათი ეკონომიკები ძირითადად სამ „ვეშაპზე“ — რუსეთთან ვაჭრობაზე, რუსული ნედლეულისა და სატრანსპორტო ტრანზიტზე და ევროპულ დოტაციებზე იდგა.

თუ იმის მიხედვით ვიმსჯელებთ, რა ტემპებით ებრძვის ბალტიისპირეთი რუსეთს და ანადგურებს საკუთარი არსებობის ორ უმთავრეს ზემოხსენებულ წყაროს, იქმნება შთაბეჭდილება, რომ მომავალში ბალტიისპირელები მხოლოდ ბრიუსელის ხარჯზე აპირებენ ცხოვრებას. იმ ევროდოტაციებზე, რომელთა ბედიც, ყველაფერი ზემოთქმულის გათვალისწინებით, უკიდურესად ბუნდოვანია, **არც თუ შორეულ მომავალში ადვილი შესაძლებელია, ისეც მოხდეს, რომ ევროკავშირისთვის აბსოლუტურად სულერთი გახდეს ბალტიის ქვეყნები.** როდესაც ევრო დაეცემა, დონორი ქვეყნები საკუთარი თავის გადარჩენით იქნებიან დაკავებულნი ან სულაც ცხოვრების ახალი წესების კონსტრუირებით ერთიანი ევროპის ნანგრევებზე.

**სხვათა შორის, მოვლენათა ამგვარი განვითარების შემთხვევაში არც ნატოს დაშლაა გამორიცხული. რაც უნდა სურდეს ამერიკას, სამხედრო კავშირი თავისთავად ნიშნავს თვით გერმანიისა და საფრანგეთისთვისაც კი მაღალ სამხედრო ხარჯებს. იმ პირობებში, როდესაც რეალური საგარეო სამხედრო საფრთხე არ არსებობს, ეკონომიკა კი არა მხოლოდ დიდ კრიზისს განიცდის, არამედ ღრმა კატაკლიზმებშია ჩაძირული, გასაკვირი არ იქნება, რომ ევროპის წამყვანი ქვეყნები, თუნდაც ბიუჯეტის დაზოგვის მიზნით, საერთოდ გავიდნენ ნატოდან.**

www.regnum.ru

# აშშ-ში მუსლიმანური «ჩაკეტილი ზონები» არსებობს

**უკვე ცნობილი ფაქტია, რომ საფრანგეთში და ევროპის სხვა ქვეყნებშიც მუსლიმანური „ჩაკეტილი ზონები“ არსებობს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ამგვარი ზონები უკვე ამერიკის შეერთებულ შტატებშიც გაჩნდა. იუსტიციის სამინისტრომ მშვენივრად იცის ამის თაობაზე, მაგრამ უმოქმედოდაა.**




15 იანვარს ეთერში გავიდა ტელეგადაცემა PBS Newshour, რომელიც აშშ-ისა და კანადის ტერიტორიაზე ტერორისტული საფრთხის ზრდასთან დაკავშირებით ანალიტიკოსების შეშფოთებას აღწერდა. ტელეკომპანია ABC-მ ასევე წარმოადგინა მთელი რიგი მასალების აშშ-ის ტერიტორიაზე ტერორიზმის პრობლემასთან დაკავშირებით. კონგრესის წევრები აცხადებენ, რომ ახლა უკვე საუბარია არა მხოლოდ იმაზე, მოხდება თუ არა მორიგი ტერორისტული აქტი, არამედ იმაზეც, სად და როდის მოხდება ის. თვით იუსტიციის სამინისტროშიც კი აცხადებენ, რომ ტერორისტები მორიგ თავდასხმებს ამზადებენ.

ცნობილია, რომ აშშ-ის ტერიტორიაზე ჯიჰადისტების, სულ მცირე, 22 საწვრთნელი ბანაკი ფუნქციონირებს.

კერძოდ, ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე მოქმედებს ორგანიზაცია Jamaat ul-Fuqra, რომელიც ასევე ცნობილია სახელწოდებით „ამერიკის მუსლიმანები“. ეს ორგანიზაცია „ალ ქაიდას“ ერთ-ერთი განშტოებაა. აშშ-ში სულ ამ ორგანიზაციის 35 განშტოებაა ცნობილი, მათგან 22-ის მოღვაწეობის შესახებ დადასტურებული ინფორმაცია ინახება გამოძიების ფედერალური ბიუროს დოკუმენტაციაში. ეს უწყება ზემოხსენებულ განშტოებებს 1991 წლიდან უთვალთვალებს.

გამოძიების ფედერალურ ბიუროს არ შეუძლია, რაიმე ზომებს მიმართოს, რადგან პრეზიდენტი ობამა და ნაციონალური უსაფრთხოების სამინისტრო Jamaat ul-Fuqra-ს არ აძლევენ უცხოური ტერორისტული ორგანიზაციის სტატუსს, მიუხედავად არსებული უამრავი მტკიცებულებისა. კიდევ უფრო საგანგაშოა ის ფაქტი, რომ, ზოგიერთი მონაცემის თანხმად, ნაციონალური უსაფრთხოების სამინისტროსა და სამართალდამცავი ორგანოების მაღალი რანგის ჩინოვნიკებს შორის ამ ორგანიზაციის წევრებიც გვხვდებიან.

ქრისტიანული ორგანიზაცია Christian Action Network-ის პრეზიდენტმა მარტინ მოიერმა საკუთარ თავზე გამოსცადა, თუ რით შეიძლება დამთავრდეს ამ ადამიანებთან მიახლოების მცდელობა თუნდაც კორესპონდენტის რანგში.

ისინი არამხოლოდ სიძულვილს აწყდებიან, არამედ მათ ფიზიკურადაც უსწორდებიან.

## მუსლიმანური ორგანიზაციის წევრები უკვე გახდნენ ტეხასის, ნიუ იორკის, ვირჯინიისა და სხვა შტატების პოლიციის ოფიცრები

საოცარია, მაგრამ პრესის წარმომადგენლებს (ქრისტიანებს) გაცილებით უფრო თბილად ევროპულ „აკრძალულ ზონებში“ იღებენ, ვიდრე „პირველი შესწორების“ ქვეყანაში. ევროპაში ამ ადამიანებს საშუალება აქვთ, ჩაერთონ დისკუსიაში. შეიძლება მათ ტერიტორიაზე შესვლა და მათთვის შეკითხვის დასმა, ცხადია, იმ შემთხვევაში, თუ ამ დროს შეურაცხყოფას არ აყენებთ წინასწარმეტყველ მუჰამედს.

მაგრამ სცადეთ და კამერით მიუახლოვდით რომელიმე ამგვარ ზონას აშშ-ში — მუშტებით დაგხვდებიან. თუ რაიმეზე კომენტარს სთხოვთ, მინიმალური შანსია, რომ ვინმემ პასუხი გაღირსოთ.

ძალადობასა და საწვრთნელი ბანაკების არსებობაში ახალი არაფერია. **2012 წლის აპრილში მემკვიდრეობის ფონდმა გამოაქვეყნა ინფორმაცია, რომელიც 9/11-ის შემდეგ ამერიკელი მუსლიმანების მიერ ორგანიზებულ 50 ტერორისტულ შეთქმულებას ეხებოდა. მხოლოდ 2007 წელს თავიდან იქნა აცილებული 19 ტერაქტი.**

2009 წელს ორგანიზაცია Christian Action Network-ის განკარგულებაში აღმოჩნდა ვიდეო, რომელზეც ნიუ იორკის შტატის ქალაქ ჰენკოკში მდებარე ტერორისტული ბანაკი იყო ასახული.

ამერიკის მუსლიმანებმა ზემოხსენებულ ორგანიზაციას სასამართლოში უჩივლეს ამ ვიდეოს გამოქვეყნების გამო და ერთ-ერთ ოპერატორს თავს დაესხნენ. მოსამართლემ საქმის აღძვრაზე უარი განაცხადა.

ამის შემდეგ მარტინ მოიერმა გამოაქვეყნა თავისი ცნობილი წიგნი „ამერიკის ნისლი“. ამერიკის მუსლიმანებმა ისევ სასამართლოს მიმართეს, ამჯერად წიგნის გამო. აპრილში ფედერალურმა მოსამართლემ საქმის წარმოება შეწყვიტა. ამის შემდეგ მუსლიმანებმა რამდენიმეჯერ სცადეს დავის განახლება.

გამომცემლობამ Law Enforcement Today შეადგინა 2012 წელს ბანაკების მოღვაწეობის ქრონიკა და შეაფასა საფრთხეები, რომელთაც ისინი ქმნიან:

„მათი ქალების 90%-ზე მეტი სახელმწიფო დახმარებას იღებს. ამ ფულის ნაწილი პაკისტანში იგზავნება. ბანაკებში ბევრი ბავშვია და დედებს არაფერი გააჩნიათ მათ გასაზრდელად. ამ ქალებს არც ფული აქვთ, არც ნორმალური საცხოვრებელი, მხოლოდ მათი ქმრების ბრუტალურობა და ბევრი ბავშვი“.

ამ ბანაკებს ბევრი საერთო აქვთ 1930-იანი წლების ჩიკაგოს მაფიასთან. **მუსლიმანური ორგანიზაციის წევრები უკვე გახდნენ ტეხასის, ნიუ იორკის, ვირჯინიისა და სხვა შტატების პოლიციის ოფიცრები.**

დამატებით საფრთხეს წარმოადგენს ამერიკის საიმიგრაციო სისტემა. ოფიციალური მონაცემების თანახმად, 2010 წლის ივლისიდან 2013 წლის ივნისამდე ამერიკის შეერთებულმა შტატებმა 41,3 მილიონი იმიგრანტი მიიღო. 2010 წლის ივლისიდან ლეგალური და არალეგალური იმიგრანტების რაოდენობა 1,4 მილიონი ადამიანით გაიზარდა.

გამოძიების ფედერალური ბიურო და იუსტიციის სამინისტრო ცდილობენ, რამენაირად ადევნონ თვალი მათ გადაადგილებას, მაგრამ ეს იოლი საქმე არ არის, რადგან მიგრანტებს ნებისმიერ წუთს შეუძლიათ, ავიდნენ რომელიღაც ავტობუსში და აშშ-ის ტერიტორიის რომელიღაც წერტილში გაემგზავრონ. **არალეგალური მუსლიმანი იმიგრანტებისთვის საწვრთნელი ბანაკები საიმედო თავშესაფარია. ისინიც სწორედ ამ ბანაკებისკენ მიემართებიან და სწავლობენ, როგორ ხოცონ ამერიკელები...**

mixednews.ru

მოკლედ



## საბერძნეთი გერმანიისგან «ჰიტლერის ვალის» დაბრუნებას მოითხოვს

**საბერძნეთის ახალი პრემიერი და ულტრამემარცხენე კოალიციის ლიდერი ალექსის ციპრასი გერმანიისგან მილიარდობით ევროს ანაზღაურებას მოითხოვს.** მეორე მსოფლიო ომის დასრულებიდან 70 წლის შემდეგ ათენმა ბერლინისგან ფაშისტური ოკუპაციისთვის რეპარაციის (მიყენებული ზარალის მატერიალური ანაზღაურება) საკითხი დააყენა. 1941 წელს საბერძნეთი ვერმახტმა დაიკავა და ქვეყანა 1944 წლამდე ოკუპირებული იყო. ოკუპაციის შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურების თემა ციპრასმა დღის წესრიგში დააყენა. ათენში თვლიან, რომ ფაშისტური გერმანიის კრახის შემდეგ რეპარაციის საკითხი მისი ინტერესების შელახვით გადაწყდა. საბერძნეთის ახალი პრემიერი ალექსის ციპრასი ამ საhკითხის ხელახლა განხილვას მოითხოვს. ის თვლის, რომ გერმანიას საბერძნეთის მილიარდობით ევრო მართებს. გერმანიის ხელისუფლება მსგავს მოთხოვნებს უარყოფს და მიუთითებს, რომ ფაშისტური ოკუპაციის ვალები ბერლინმა დიდი ხნის წინათ გაისტუმრა.



ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ქართველების წინაპართა რომელი თაობა იყო ევროპასთან წილნაყარი? იქნებ არაბების, მონღოლების, სპარსელების ბატონობისდროინდელი ან იქნებ დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის, გიორგი ბრწყინვალის? შეიძლება, ევროპელობის პერიოდად თვლიან სულხან-საბა ორბელიანის საფრანგეთიდან გამოპანღურებას? იქნებ ეს ბიზანტიის ბატონობის პერიოდია, როდესაც ჯვაროსნებმა ხუთჯვრიანი დროშის ფრიალით დაანგრიეს იერუსალიმი, „ნაციონალებმა“ კი ეს დროშა სახელმწიფოს სიმბოლოდ შემოგვასაღეს?! ევროპელებად ვითვლებოდით 1812 წელს რუსეთზე ნაპოლეონის ლაშქრობისას, მთელი ამიერკავკასია სპარსეთსა და თურქეთს რომ გადაულოცა გაცვეთილი მუნდირივით?! იმას კი ვერ იხსენებენ, რომ ქართველები ევროპასთან დაახლოებას რუსეთის გზით ეზიარნენ.**

# ამერიკის ელჩის ხუნვეიბინები

**ევროატლანტიკურ რვაფეხას თავისი საცეცებით საქართველო ისე მაგრად ჰყავს შებოჭილი და ქართველი ხალხის გადაჯიშების პროგრამას ისეთი ინტენსიურობით ანხორციელებს, რომ ქართული ჯიშისა და ჯილაგის საამაყო ქართველი სანთლით საძებარი, შეიძლება, გახდეს. ჩვენზე უარეს დღეში იყო კუბა, რომელსაც სასტუმროებით, კაზინოებით, საროსკიპოებით, შეერთებული შტატების მდიდარი მოქალაქეებისთვის გასართობი ადგილებით მსოფლიოს ბორდელის რეპუტაცია ჰქონდა. ზეიმობდა ერთი მუჭა კუბელ მაგნატთა კასტა; გაჭირვებაში, გარყვნილებაში, გაუსაძლის უბედურებაში ფართხალებდა ქვეყანა. ვერავინ იფიქრებდა, თუ ეს შებოჭილ-დაბეჩავებული ხალხი დამცირებისა და აბუჩად აგდების უღელს გადააგდებდა და თავისუფლად ამოსუნთქვას შეძლებდა შეერთებული შტატების ცხვირწინ, რომელიც 1961 წლიდან ინტერვენციით, ეკონომიკური ბლოკადით, სანქციებით, დივერსიებით, ტერორისტების მიგზავნით ცდილობდა კუბელი ხალხის დაჩოქებას, თავისუფლებისთვის ბრძოლის სიმბოლოდ რომ იქცა ლათინურ ამერიკასა და მსოფლიოში.**



**ხალხი საშინელ გაჭირვებაშია და გამოსავალს მთავრობისგან ელოდება, რომელსაც მკბენარივით დასევია გრანტისა და უცხოეთის შექების უამრავი მაძიებელი. მდგომარეობას კი ფხიზლად აკონტროლებს ამერიკის ელჩი — ნორლანდი, ვინმეს მიერ ქვეყნის სასიკეთოდ გაფაჩუნება რომ არ გამოეპაროს; მას ურჩთა მოსაშთობად აუარებელი ფარული საცეცები აქვს — ღიად საყეფად და საყაყანოდ ჰყავს „ნაციონალები“, მათი ბიძაშვილ-მამიდაშვილი პარტიებითა და ხუნვეიბინებად მომრავლებული, პირზე რძეშეუშრობი არასამთავრობო გოგო-ბიჭები**

**ნუთუ შეერთებულ შტატებს ნორლანდის მსგავსი ელჩი არ ეჯდა კუბაში ან არასამთავრო ორგანიზაციების ხუნვეიბინების გამოყენების გამოცდილება ჯერ არ ჰქონდა? — ელჩიც ჰყავდა, აგენტურის მძლავრი ქსელიც და უამრავი მოსყიდული კუბელი კუჭისგლახებიც. ისე იყვნენ თავდაჯერებული და ისეთი ბერკეტები ჰქონდათ კუბის დასაჩოქებლად, ვერაფრით წარმოიდგენდნენ, კუბა თუ დამოუკიდებლად ამოსუნთქვას გაბედავდა, მაგრამ მოხდა სასწაული და კუბელმა ხალხმა თავისუფალი ცხოვრება დაიწყო...**

იქნებ ვინმე თავდაჯერებულ ყეყეჩს ჰგონია, რომ უამრავ მძვინვარე დამპყრობელთან ბრძოლაში ნაწრთობი ქართველი ერის ახლანდელ თაობას სამშობლოსთვის თავდადების სხივნათელი გენი უცხოეთის ჯადოქართა მაგიით დაუჟანგდა და ბნელეთის მოციქულთა გავლენითა და მედროვე ქართველთა მუხთლობით გადაჯიშდებიან?! **ქართველ ერს თავმოყვარეობის, დამოუკიდებლობის, უძველესი კულტურის, ლიტერატურის, ენის, მამულისა და სარწმუნოების, ტრადიციებისა და ერთგულების ცეცხლი რომ არ განელებია, ამას ახლო მომავალი დაგვანახვებს?**

ასოცირების ხელშეკრულების მიღებაზე მიწვეული საქართველოს დელეგაციის ქათმებივით ქანდარაზე წამოსკუპების, წინა რიგში კი, კაცობრიობის წინაშე დამნაშავე, ცრუპენტელა და თაღლითი სააკაშვილის ნებივრობის შემხედვარე ჭეშმარიტ ქართველ მამულიშვილს როგორ შეიძლება, თავმოყვარეობის ნერვი არ შეუტოკდეს?! გამოდის, ევროპის სახალხო პარტიისა წარმომადგენლებისა და მათნაირებისთვის საქართველოს პრეზიდენტი ისევ სააკაშვილია.

აქ კი გახარებულები აცხადებენ, ჩვენ წინაპრების გზას ვადგავართო. **საკითხავია, ქართველების წინაპართა რომელი თაობა იყო ევროპასთან წილნაყარი? იქნებ არაბების, მონღოლების, სპარსელების ბატონობისდროინდელი? ან იქნებ დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის, გიორგი ბრწყინვალის?! შეიძლება, ევროპელობის პერიოდად თვლიან სულხან-საბა ორბელიანის საფრანგეთიდან გამოპანღურებას?! იქნებ ეს ბიზანტიის ბატონობის პერიოდია, როდესაც ჯვაროსნებმა ხუთჯვრიანი დროშის ფრიალით დაანგრიეს იერუსალიმი, ნაციონალებმა კი ეს დროშა სახელმწიფოს სიმბოლოდ შემოგვასაღეს?! ევროპელებად ვითვლებოდით 1812 წელს რუსეთზე ნაპოლეონის ლაშქრობისას, მთელი ამიერკავკასია სპარსეთსა და თურქეთს რომ გადაულოცა გაცვეთილი მუნდირივით?!** იმას კი ვერ იხსენებენ, რომ **ქართველები ევროპასთან დაახლოებას რუსეთის გზით ეზიარნენ.**

ქართველი ხალხის უპირველესი და სისხლხორცეული ამოცანა საქართველოს გაერთიანება და ერთიან ძმურ ოჯახში ცხოვრებაა. **ვის აძლევდა ხელს „დინების საწინააღმდეგოდ მოცურავე“ საქართველოს ეროვნული ხელისუფლების დამხობა და სამეგრელოს აწიოკება; ვინ დაგვიტოვა აფხაზეთი შეუხორცებელ ღია ჭრილობად და რუსეთთან სავიზო რეჟიმის შემოღებით დაგვასაჩუქრა?! კიდევ უფრო დიდ უბედურებად შეგვატოვა მის მიერ გამოწრთვნილთა ხროვა „ნაციონალური მოძრაობის“ სახით,** რომელმაც თავისი მუხთალი ბრჭყალებით კიდევ უფრო გააფართოვა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ღია ჭრილობები. უცხოეთის მარიონეტი ხელისუფლება თავისი ხალხის მტერია! უამრავჯერ დაღვარეს ქართველთა საამაყო ახალგაზრდების სისხლი „ნაციონალმა“ უხსენებლებმა და ცხინვალის სამარცხვინო ავანტიურა რუსეთ-საქართველოს ომად, უნდათ, შემოგვასაღონ თავიანთი ევროატლანტიკური მწვრთნელების მხარდაჭერით.

ოსებისთვის საქართველო დედასამშობლო იყო. ვინ ამოაფრქვია სიძულვილის ისეთი შხამი, რომ აფხაზებსა და ოსებს ჩვენთან ერთად ყოფნა აღარ სურთ?! ვის შეეძლო, მძინარე ცხინვალის„თვის „გრადებიდან“ ჭურვების სეტყვა დაეშინა? მძინარე მოსახლეობას ვინ ესხმის თავს?! — საქართველოს ერთიანობისა და ხალხების ერთიან ძმურ ოჯახში ცხოვრების მტერი.

რუსეთმა მაშინვე მოითხოვა გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭოს შეკრება, რომელსაც ევროპელებმა მხარი არ დაუჭირეს. რუსეთის მეორე მოთხოვნის შემდეგ გაიმართა გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომა, მაგრამ საბჭოს წევრებმა ცეცხლის შეწყვეტას მხარი არ დაუჭირეს. **დაიხოცნენ გაეროს ეგიდით სამაჩაბლოში მყოფი რუსი სამხედროები. დღეს კი გამოცანად გვიქციეს, — ვინ დაიწყო ომი. კიდევ უფრო სამწუხაროა, რომ „ნაციონალთა“ ამ ავანტიურას რუსეთ-საქართველოს ომად ნათლავენ.**

ბრძენი და მადლიერი ქართველი ხალხი არასოდეს იომებს რუსეთის წინააღმდეგ, რომელთანაც ერთად ზღვა სისხლი აქვს დაღვრილი საქართველოს მიტაცებული ტერიტორიების დასაბრუნებლად და კაცობრიობის საზარელი ჭირის — ფაშიზმის გასანადგურებლად!

საქართველოს გამთლიანების ერთადერთი გზა რუსეთზე რომ გადის, არც მოყვარეს ეპარება ეჭვი და არც მტერს. სწორედ ამიტომაა, რომ საქართველოს გაერთიანების მტრები ასე თავაშვებულად ლანძღავენ რუსეთს, რათა შეუძლებელი გახდეს ქართველი ხალხის ნატვრის ახდენა და რუსეთმა დაკარგოს საქართველოსთან მეგობრული ურთიერთობის აღდგენის იმედი.

ყველა თაღლით პოლიტიკოსს სჩვევია ხალხის სახელით ლაპარაკი, როგორც მეძავს, პატიოსნებას რომ იბრალებს თავისი გარყვნილი არსებობის შესანიღბავად. თაღლითმა იცის, ხალხის ინტერესებისთვის ბრძოლა საამაყო რომ არის, მაგრამ ამას მსხვერპლის გაღება სჭირდება, ის კი თავისი კეთილდღეობის მონაა და სხვა ყველაფერს კუჭის კარნახს ანაცვლებს.

**არც ერთ მძვინვარე დამპყრობს ისეთი ზიანი არ მიუყენებია საქართველოსთვის, როგორიც მოღალატე „ნაციონალ“-თაღლითებს, რომლებმაც მძიმედ დაარტყეს განათლებას, მეცნიერებას, კულტურას, ჯანდაცვას, ლიტერატურას და ყველაფერს, რაც ქართულთანაა დაკავშირებული. ქართული მიწების სრულად გაყიდვისა და საქართველოს საბოლოოდ დაქუცმაცების საშუალება კი მათ „ქართული ოცნების“ გამარჯვებამ აღარ მისცა.**

„ნაციონალთა“ ძალადობის დამხობის შემდეგ ქართველმა ხალხმა შვებით ამოისუნთქა და დიდი იმედი ჰქონდა, დამნაშავეთა დასჯით სამართლიანობა აღდგებოდა, მაგრამ ამას ენერგიულად უშლიან ხელს „ნაციონალთა“ უცხოელი მფარველები და ქართველი ხალხის მიმართ მძიმე დანაშაულების ჩამდენთა დასჯის მცდელობას პოლიტიკურ დევნად ასაღებენ. ისინი საქართველოს ხელისუფლებაზე ზემოქმედების ყველა ბერკეტს იყენებენ. ამას ჩვენ, უბრალო ადამიანებიც, ვხვდებით.

ქართველი ხალხი ისე იყო „ნაციონალთა“ ღალატით, მტრობითა და თავხედობით აღშფოთებული, რომ მის წინააღმდეგ მებრძოლ რეალურ ძალას — „ქართულ ოცნებას“ უყოყმანოდ დაუჭირა მხარი. ეს მოხდა იმის მიუხედავად, რომ კოალიციას ისეთმა პარტიებმაც შეაფარეს თავი, „ნაციონალებთან“ რომ თანამშრომლობდნენ. დროთა განმავლობაში კი ეს თანამშრომლობა და კავშირები კოაბიტაციამ ისე გაანებივრა, რომ ვირთხის სოროში შესაძრომად გამზადებული „ნაცები“ და მათი მეგობრები ახლა პატიოსნებადაბრალებული მეძავის ენერგიით საქართველოს განვითარებას ებრძვიან შინ და გარეთ. „ქართულ ოცნებას“ კი აშკარად გაუძნელდა სამართლიანობის აღდგენის ბასრი მახვილის გამოყენება.

„ნაციონალთა“ ტრიბუნა-ტელევიზიებიდან განაწყენებული თავისუფალი დემოკრატების რეპლიკები „ქართული ოცნების“ მიმართ ასე შეიძლება შეფასდეს: მგელს დაუძმობილდები, მგლად იქცევი; მგლის მეგობარი ძაღლი კი მგელზე უარესია.

ტელევიზიები კიდევ უხერხულ მდგომარეობაში აგდებენ პარტიების, მთავრობისა თუ პარლამენტის წარმომადგენლებს და მიწა იძრა თუ ციკანმა დაიკიკინა, ყველაფერზე ინტერვიუს სთხოვენ. ისინი კი თავიანთი ტვინის ჭყლეტის პროდუქტით გვაოცებენ. შერიგების მინისტრმა პაატა ზაქარეიშვილმა თავისი გამჭრიახობით გაგვაკვირვა: **„როგორც ჩანს, პუტინი რუსეთის ინტერესების შესაბამისად მოქმედებს“**-ო. წარმოგიდგენიათ, ამას ამოც- ▶



## ჩრდილოეთ კორეამ, შესაძლოა, ბირთვული რეაქტორი აამოქმედოს

**ამერიკის ანალიტიკურ ინსტიტუტში აცხადებენ, რომ ჩრდილოეთ კორეა, შესაძლოა, ბირთვული რეაქტორის ამოქმედებას ცდილობდეს.** ამ რეაქტორს ატომური ბომბისთვის საწვავის წარმოქმნა შეუძლია. ამერიკა-კორეის ანალიტიკური სამსახურის ვებგვერდზე აღნიშნულია, რომ სატელიტურმა გამოსახულებებმა იონგბიონის რეაქტორის მიერ გამოყოფილი ორთქლისა და დამდნარი თოვლის რაოდენობის ზრდა დააფიქსირა. მაგრამ დამკვირვებლები აცხადებენ, რომ საბოლოო დასკვნის გასაკეთებლად აღნიშნული ინფორმაცია საკმარისი არ არის. იონგბიონის რეაქტორი 2007 წელს გამორთეს, მაგრამ 2013 წელს ისევ ამოქმედდა. კორეაში ჩასულმა ამერიკელმა მაღალჩინოსნებმა ხაზი გაუსვეს, რომ მათი პრიორიტეტი ჩრდილოეთ კორეის ატომური მასალებისგან გაწმენდა იყო.



# საქართველოში კი „ნაციონალთა“, მათი მონათესავე პარტიებისა და არასამთავრობო ხუნვეიბინების ნებივრობით აღშფოთებული ხალხის მოთმინების ნერვი უკიდურესად დაიჭიმა და ამ უცხოეთის ლაქიებს რაც დაემართებათ, გადახვეწილ ტაკიმასხარა სააკაშვილს მოახსენონ.

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ნობა არ უნდოდა?! ხომ შეიძლებოდა, პუტინი სვაზილენედის ან შრი-ლანკის ინტერესების დამცველი გვგონებოდა?!

**„თუკი ევროპა და ამერიკა დაარწმუნებენ რუსეთს, რომ ომისთვის მზად არიან, რუსეთი შეშინდება“,** — გაგვანათლა ქალბატონმა ხიდაშელმა. მაგრამ როგორ უნდა დაარწმუნონ რუსეთი ევროპამ და ამერიკამ, ამ საიდუმლოს ქალბატონი არ ხსნის. როგორც ფილმ „არაჩვეულებრივ გამოფენაშია“, — უკბინონ ან დედა დაიფიცონ? უფრო ეფექტიანი იქნება, კარლოს XII-ს, ნაპოლეონს ან ჰიტლერს ჰკითხონ, როგორ შეაშინეს რუსეთი.

საგარეო საქმეთა მინისტრმაც დახვეწილად გაგვაცნო თავისი სამსახურებრივი ფაფხურის შესახებ: **„ჩემი ამოცანა იქნება, მეტი ევროპა საქართველოში, მეტი საქართველო ევროპაში; მეტი ნატო საქართველოში“,** ანუ ერთი ევროპა აღარ გვაკმარა, თანაც სხვისკენ არ უნდა გაიხედო, მეტიდან რომელიმე ევროპა რომ არ დაგეკარგოს.

**ხალხი საშინელ გაჭირვებაშია და გამოსავალს მთავრობისგან ელოდება, რომელსაც მკბენარივით დასევია გრანტისა და უცხოეთის შექების უამრავი მაძიებელი. მდგომარეობას კი ფხიზლად აკონტროლებს ამერიკის ელჩი — ნორლანდი, ვინმეს მიერ ქვეყნის სასიკეთოდ გაფაჩუნება რომ არ გამოეპაროს; მას ურჩთა მოსაშთობად აუარებელი ფარული საცეცები აქვს — ღიად საყეფად და საყაყანოდ ჰყავს „ნაციონალები“, მათი ბიძაშვილ-მამიდაშვილი პარტიებითა და ხუნვეიბინებად მომრავლებული, პირზე რძეშეუშრობი არასამთავრობო გოგო-ბიჭები.**

სამაჩაბლოში საზღვრის გადმოწევასა და მავთულხლართების გავლების საკითხზე ოსებსა და რუსებს კი არ ხვდებიან, ევროპაში გარბიან საჩივლელად, ისინიც აწრიალდებიან, — ეს რა ჩაუდენიათო და ამით სრულდება ყველაფერი. არავითარი ურთიერთობა რუსეთთან საქართველოს ერთიანობის აღსადგენად. მხოლოდ ფუქსავატთა ლავლავი რეალური ნაბიჯების გარეშე, რადგან კარგად იციან, რომ ერთიანი საქართველო მათ დამამცირებელ პრეტენზიებზე მორჩილად აღარ წაიგრძელებს კისერს უღლის დასადგმელად; ვერც ასე ენერგიულად ვერ გაუწევს სამსახურს რუსეთის ლანძღვა-გინებაში. არც ის ენაღვლებათ, თუ რუსეთი საქართველოს ტყავს შემოაფხრეწს ისე, როგორც „ნაციონალთა“ ცხინვალის ავანტიურისას მოხდა. რუსეთთან ნორმალური ურთიერთობის აღდგენის პირობებში კი დღეს საქართველო გაერთიანებული იქნებოდა.

ჟურნალისტის კითხვაზე



დიზმით გააოცეს რაინდულად მებრძოლი ალადინი და შედეგად მიიღეს უარესი სადიზმითა და კაცთმოძულებით ქრისტიანების ჟლეტა.

შეთითხნილი ბრალდებებით ამერიკა-ნატოს შეჭრა ერაყში, დღეს მსოფლიოს მწარე ღიმილს ჰგვრის. ამოწყვიტეს სადამ ჰუსეინი ოჯახით; სიკვდილი და უბედურება დაეპატრონა ამ ქვეყანას; განადგურდა ცივილიზაციის სათავის უნიკალური ექსპონატები... ჯორჯ ბუში განსასჯელის სკამზე უნდა იჯდეს, ის კი უდარდელად ცხოვრობს, რადგან ამერიკის პრეზიდენტი იყო. ან ვისი დამსახურებაა ერაყში „ისლამური სახელმწიფო“ წარმოშობა და მისი სისასტიკე?!

**რომელ ქვეყანაში დად-**

**ასოცირების ხელშეკრულების რატიფიცირებისას ევროპარლამენტში სააკაშვილის მიწვევა ქართველი ხალხის აბუჩად აგდება და ევროპული მისწრაფებების გაშარჟება იყო. მაგრამ რა შეიძლება ეწოდოს უსუფაშვილის მიერ სააკაშვილისთვის ახალი წლის მილოცვას? ამ კითხვის პასუხი სააკაშვილის მიერ დარბეულმა, ნაწამებმა, სისხლდადენილმა და სამშობლოაოხრებულმა ქართველმა ხალხმა იცის**

პუტინის პასუხი, რომ ის შეხვდება საქართველოს ხელმძღვანელებს მოსკოვში, საღად მოაზროვნე პოლიტიკოსის პასუხი იყო. ტელევიზიებმა კი დროულად ააყიყინეს ჭიანაჭამი პოლიტიკოსები: თურმე რუსეთის ხელისუფლებას გაუჭირდა და ახლა იხვეწება, საქართველოს ხელმძღვანელებთან შემახვედრეთო, ჩვენები კი არ უნდა შეხვდნენ, ვიდრე რუსეთი ტერიტორიებს არ დააბრუნებსო. აბა, როგორ — მათ ყიყინს სადღაც ხომ ისმენენ?! რაც უფრო ენერგიულად დაამუხრუჭებენ საქართველოს გაერთიანებას, მით უფრო საიმედოდ ჩაითვლებიან ევროატლანტიკური დამფინანსებლების თვალში. რა ქნან, როცა კუჭის კარნახითა და უცხოელთა სურვილის მიხედვით აწარმოებენ თავიანთ პოლიტიკას?! წვიმის შემდეგ აღმოცენებული სოკოებივით მომრავლებული პარტიების უმრავლესობა ერთმანეთს ბრძღვნიან, ვინ უფრო უკეთესად გამოხატავს ევროატლანტიკურ მისწრაფებებს. ვაი მას, ვინც რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზაციაზე დაილაპარაკებს — მოღალატის იარლიყი მზად აქვს...

ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას ნათელი აზრის, შემოქმედებითი, მეცნიერული მოღვაწეობისთვის კოცონზე არავინ დაუწვია; იგი გმობს ყოველგვარ სქესობრივ გაუკუღმართებას, რაც ერის დაკნინება-გადაგვარების საწინდარია. კათოლიკური ეკლესია კი ერთსქესიანთა ქორწინებას ღვთისგან მინიჭებულ მადლად თვლის. ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას ევროპელებივით ინდულგენციებით არ უთაღლითია. იმხანად ასე უსაშველოდ რომ გვქონოდა შეყრილი ბევრი ევროპისა და ბევრი ნატოს ვირუსი, ერის ბრძენი მამულიშვილების ინკვიზიციის კოცონზე დაწვას არ დაგვაძალებდნენ და დღეს ხომ მოგვგვრიდა სირცხვილის ოფლს წინაპართა უღირსი საქციელი?! რა გარანტიაა, რომ მომავალი თაობა სირცხვილის შავ დაფაზე არ გააკრავს მათ სახელებს, ვინც ქართველ ხალხს ელ-გე-ბე-ტე საზოგადოების კანონი მოახვია თავს და ევროპას წყევლა-კრულვით არ აიკლებს?!

**ასოციერების ხელშეკრულების რატიფიცირებისას ევროპარლამენტში სააკაშვილის მიწვევა ქართველი ხალხის აბუჩად აგდება და ევროპული მისწრაფებების გაშარჟება იყო. მაგრამ რა შეიძლება ეწოდოს უსუფაშვილის მიერ სააკაშვილისათვის ახალი წლის მილოცვას? ამ კითხვის პასუხი სააკაშვილის მიერ დარბეულმა, ნაწამებმა, სისხლდადენილმა და სამშობლოაოხრებულმა ქართველმა ხალხმა იცის.**

ევროპელმა ჯვაროსნებმა სისასტიკით, ორსული ქალების, ბავშვების, მოხუცების ჟლეტით, ადამიანების ქვაბში მოხარშვით, საზარელი სა**გა ამერიკა-ნატომ ფეხი და მის სისხლიან ნაკვალევს სად მოჰყვა მშვიდობა და ბედნიერება?!**

ახლა უკრაინას გაეჩხირა ყელში ევროატლანტიკური ორცხობილა და ხუთი მილიარდი დოლარის მაიდნური „განცხრომა“. უკრაინელ ხალხს ეს ჯოჯოხეთი, ალბათ, ევროამერიკელ კეთილისმსურველებს უნიღბოდ გააცნობს და ისინიც საჩუქრად გაწამებული ხალხის რისხვას მიიღებენ.

**საქართველოში კი „ნაციონალთა“, მათი მონათესავე პარტიებისა და არასამთავრობო ხუნვეიბინების ნებივრობით აღშფოთებული ხალხის მოთმინების ნერვი უკიდურესად დაიჭიმა და, ამ უცხოეთის ლაქიებს რაც დაემართებათ, გადახვეწილ ტაკიმასხარა სააკაშვილს მოახსენონ.**

იური ვაზაგაშვილის საზარელმა მკვლელობამ შვილის საფლავზე ქართველი ხალხი საბოლოოდ დაარწმუნა, რომ უხსენებელი უბეში უზის, რომელიც, ხელისუფლების უმოქმედობით გამთბარი და დაუსჯელობით გათამამებული, ქართველი ხალხის დასაგესლად აგროვებს შხამს...

**გივი სომხიშვილი,**
**მწერალი, დავით აღმაშენებლის სახელობის პრემიის ლაურეატი, აკადემია „აიას“ ნამდვილი წევრი**



# აფხაზური მედია: ევროკავშირს სოხუმში ოფისის გახსნა სურს

**აფხაზური საინფორმაციო სააგენტო „აპსნიპრესი“ იუწყება, რომ სამხრეთ კავკასიასა და საქართველოს კრიზისის საკითხებში ევროკავშირის წარმომადგენელმა ჰერბერტ ზალბერმა აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტ რაულ ხაჯიმბას შეხვედრისა და დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრ ვიაჩისლავ ჩირიკბასთან კონსულტაციების შემდეგ, იმედი გამოთქვა, რომ მისი მისიის საქმიანობა, გალის გარდა, აფხაზეთის სხვა რაიონებზეც გაფართოვდება. ზალბერი სოხუმში ევროკავშირის სპეცწარმომადგენლის ოფისის გახსნის შესაძლებლობით დაინტერესდა, რათა „მუდმივი კონტაქტი ჰქონდეთ კოლეგებთან ევროკავშირის წარმომადგენლობიდან თბილისში“.**

ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტმა, თავის მხრივ, აღნიშნა, რომ აფხაზეთი არა საქართველოს ჭრილში, არამედ მოლაპარაკებების დამოუკიდებელ მოთამაშედ უნდა განიხილებოდეს.

**„ამჟამად ევროკავშირი არ არის იმ მდგომარეობაში, რომ აფხაზეთი აღიაროს, მაგრამ ჩვენ მზად ვართ ზოგიერთი პრაქტიკული ნაბიჯისთვის, რომელიც ყველასთვის სასარგებლო იქნება“,** — განაცხადა ევროკავშირის სპეციალურმა წარმომადგენელმა ჰერბერტ ზალბერმა.



# კონსტანტინე ქავთარაძე და მალხაზ მიქელაძე ელჩის თანამდებობებს დატოვებენ

**შვედეთსა და ფინეთში საქართველოს ელჩი კონსტანტინე ქავთარაძე და მექსიკაში საქართველოს ელჩი მალხაზ მიქელაძე თანამდებობებს დატოვებენ.**

მთავრობის განკარგულებით, მალხაზ მიქელაძის მექსიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ საქართველოს პრეზიდენტისთვის წინადადების წარდგენის თაობაზე შესაბამისი განკარგულება მთავრობამ უკვე გამოსცა.

პოსტს, აგრეთვე, დატოვებს შვედეთის სამეფოსა და ფინეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი კონსტანტინე ქავთარაძე.

მალხაზ მიქელაძე საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად მექსიკაში 2010 წლის დეკემბერში დაინიშნა. კონსტანტინე ქავთარაძე კი შვედეთის სამეფოსა და ფინეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის ფუნქციას 2011 წლის ივნისიდან დღემდე ახორციელებს.

# დავით სერგეენკო მედიკამენტების გაძვირებას ლარის კურსს უკავშირებს

**საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ ზოგიერთი მედიკამენტის გაძვირებაზე ისაუბრა.**

„რიგი მედიკამენტების ფასები მართლაც გაზრდილია... ძირითადად, ეს დამოკიდებულია ლარის კურსის ცვლილებებზე. რაც შეეხება პირველადი მოხმარების მედიკამენტებზე ხელისაწვდომობის გაზრდას, ანუ ფასების დაკლებას, ამ პროგრამაზე ვმუშაობთ და ვფიქრობთ, რომ გაზაფხულიდან ამოქმედდება“, — განაცხადა დავით სერგეენკომ.

# ტექდათვალიერების ვალდებულება ორი წლით გადაიწევს

**„საგზაო მოძრაობის შესახებ“ ჯერ კიდევ მოქმედი კანონის თანახმად, საქართველოში ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური დათვალიერება მიმდინარე წლის 1 მარტიდან სავალდებულო ხდება. პარლამენტში წარდგენილი პროექტის მიხედვით კი, ეს ვადა 2017 წლის 31 დეკემბრისთვის გადაიწევს. ტექნიკური მდგომარეობის განსაზღვრის მიზნით, სავალდებულო ტესტირებას მხო**ლოდ ის სატრასპორტო საშუალებები ექვემდებარება, რომლებიც ახორციელებენ ადგილობრივ საქალაქო რეგულარულ სამგზავრო გადაყვანას, საერთაშორისო გადაყვანა-გადაზიდვას, სახიფათო ტვირთის გადაზიდვას და რომლებსაც სამი და მეტი ტონის ტვირთამწეობა აქვს. სხვა სახის ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელისთვის ტექდათვალიერების განხორციელება ნებაყოფლობითია.



მსოფლიოს გარშემო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ირანის ისტორია თითქმის 5 ათას წელს მოიცავს. მის ტერიტორიაზე პირველი სახელმწიფო ჩვ.წ. აღ.-მდე III საუკუნეში წარმოიშვა. მეფე დარიუს I ზეობის ხანაში სპარსეთის იმპერია საბერძნეთიდან მდინარე ინდამდე იყო გადაჭიმული.**




# ჰალე შომა ჩეთოურ-ესთ, ირანო?

## გეოგრაფიული და დემოგრაფიული მონაცემები

ირანის ისლამური სახელმწიფო (1935 წლამდე — სპარსეთი) სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის სახელმწიფოა. დასავლეთით ესაზღვრება ერაყს, ჩრდილო-დასავლეთით — აზერბაიჯანს, სომხეთსა და თურქეთს, ჩრდილოეთით — თურქმენეთს, აღმოსავლეთით — ავღანეთსა და პაკისტანს. ჩრდილოეთით აქვს სანაპირო ზოლი კასპიის ზღვაზე, სამხრეთით — სპარსეთისა და ომანის ყურეებში, აგრეთვე, ორმუზის სრუტეში.

ირანის ისტორია თითქმის 5 ათას წელს მოიცავს. მის ტერიტორიაზე პირველი სახელმწიფო ჩვ.წ. აღ.-მდე III საუკუნეში წარმოიშვა. მეფე დარიუს I ზეობის ხანაში სპარსეთის იმპერია საბერძნეთიდან მდინარე ინდამდე იყო გადაჭიმული. ტერიტორია 1,6 მლნ კვ.კმ-ს შეადგენს (მე-17 მსოფლიოში). საერთოდ კი, მთაგორიანი ქვეყანაა. ყველაზე მაღალი წერტილია **დემავენდის პიკი (5604 მ).**

უდიდესი მდინარეა **კასუნი,** ტბა — **ურმია.**

**კლიმატი.** ირანის კლიმატი, ძირითადად, სუბტროპიკულთა. ზოგ ადგილას ზამთარში ტემპერატურა 0 გრადუსს ქვემოთ ეცემა, ზაფხულში კი 30 გრადუსს აღწევს (უდაბნოში — პლუს 40-ს).

**ფლორა.** ქვეყნის ტერიტორიის 10%-ს ტყე შეადგენს, სადაც ხარობს მუხა, ნეკერჩხალი, თელა, თხილი, ქლიავი, ალუჩა, ნუში, ფისტის ხე.

**ფაუნა.** ქვეყნის ტერიტორიაზე ბინადრობს ირანის ირემი, ქურციკი, კანჯარი, ტახი, დათვი, ლეოპარდი, მგელი, ტურა, მანგუსტი, ჭაობის ნიანგი და სხვ.

ფრინველთა შორის აღსანიშნავია იხვი, წერო, ყარყატი, ხოხობი და სხვ. სპარსეთის ყურის წყლებში ბინადრობს ზუთხი, სვია, ქაშაყი და სხვ.

ირანის ძირითადი ადმინისტრაციული ერთეულია **ოსტანი** (პროვინცია) რომელიც, თავის მხრივ, იყოფა **შაჰრესტანებად** (ოლქებად), შაჰრესტანები კი — **ბაჰშებად** (რაიონებად). ოსტანის უდიდესი ქალაქი ხშირად მისი დედაქალაქიცაა, თითოეულ ოსტანს მართავს ოსტანდარი (გუბერნატორი). **ირანი იყოფა 31 ოსტანად.**

**მოსახლეობა.** 1950-1990 წლებში ირანში დემოგრაფიული აფეთქების შედეგად მოსახლეობა გაორმაგდა და 70 მლნ-ს მიაღწია. ამჟამად კი ირანში **80,9 მლნ** (მე-16 ადგილი მსოფლიოში) ადამიანი ცხოვრობს.

დედაქალაქია **თეირანი** (8,7 მლნ კაცი, გარეუბნებით — 13 მლნ). უდიდესი ქალაქები: **მეშჰედი** (2,4 მლნ); **ქერეჯი** (1,6 მლნ); **ისპაჰანი** (1,6 მლნ); **თავრიზი** (1,4 მლნ); **შირაზი** (1,3 მლნ).

ირანი პოლიეთნიკური სახელმწიფოა. ოფიციალური ცნობები ეთნიკური შემადგენლობის შესახებ საჯარო არ არის. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ირანში მცხოვრებთა 61% სპარსია, 16% — აზერბაიჯანელი, 10% — ქურთი, 6% — ლური, 2% — არაბი, 2% — ბელუჯი, 2% — თურქები და თურქმენები. ცხოვრობენ, აგრეთვე, სომხები და **ქართველები** (0,01%).

**ოფიციალური ენა:** სპარსული.

## მმართველობის ფორმა და რელიგია

1979 წელს ირანში მოხდა ისლამური რევოლუცია აიათოლა ჰომეინის წინამძღოლობით, რის შემდეგაც დაემხო მონარქია და გამოცხადდა ისლამური რესპუბლიკა. სახელმწიფოს მეთაურია **რაჰბარი — უმაღლესი ხელმძღვანელი,** რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის საერთო პოლიტიკას. ამჟამად ამ თანამდებობაზეა **ალი ჰოსეინ ჰამენეი.** მნიშვნელობით მეორე პირია პრეზიდენტი, რომელიც კონსტიტუციის გარანტად და აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურად ითვლება. ამჟამად ირანის პრეზიდენტია **ჰასან რუჰანი.**

ირანის შეიარაღებული ძალები შედგება ორი კომპონენტისგან: არმია და ისლამური რევოლუციის დამცველები, ორივე ექვემდებარება ქვეყნის უმაღლეს ხელმძღვანელს. ირანის შეიარაღებულ ძალებში 1,5 მლნ სამხედრო მოსამსახურეა.

ოფიციალური რელიგიაა შიიტური მიმართულების ისლამი. **მოსახლეობის 89% შიიტი მუსლიმანია; 9% — სუნიტი, 2%-ს შეადგენენ ინდუსები, იეზიდები, ზოროასტრები, იუდეველები და ქრისტიანები.**

## ეკონომიკა

ირანი ნავთობის ექსპორტიორ ქვეყნების ორგანიზაციაში (OPEC) მეორე ადგილზეა ნავთობისა და გაზის მოპოვებისა და ექსპორტის მხრივ. ქვეყანაში მოქმედებს ნავთობგადამამუშავებელი და ნავთობქიმიური საწარმოები, მოიპოვებენ სპილენძს, რკინას, ტყვიას, თუთიას. განვითარებულია მანქანათმშენებლობა, აგრეთვე კვებისა და მსუბუქი მრეწველობები. საექსპორტოდ გააქვთ ხალიჩები, ხიზილალა, ფისტები, თამბაქო, ჩაი, თხილი, შაქრის ლერწამი.

ქვეყნის მთლიანი შიგა პროდუქტი 987,1 მლრდ დოლარია (მე-19 მსოფლიოში), ეს მაჩვენებელი მოსახლეობის ერთ სულზე — 12,2 ათასს შეადგენს.

ირანის ეროვნული ვალუტა: **ირანული რიალი** (0,000036 აშშ დოლარი). **ინტერნეტდომენი: IR; სატელეფონო კოდი: *+98.* საათობრივი სარტყელი: +3:30 (ზაფხულში UTC +4:30).**

## კულტურა

ირანულ არქიტექტურაში შერწყმულია ის სტილები, რომლებიც სპარსეთის იმპერიის მიერ დაპყრობილ ქვეყნებში არსებობდა. სპარსული არქიტექტურის პირველი ძეგლები ჩვ.წ. აღ. III საუკუნით თარიღდება და მიმოფანტულია თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე, ინდოეთის ჩრდილოეთ ნაწილში, ჩინეთის საზღვართან და კავკასიაში.

აღსანიშნავია **პერსეპოლისის** (აქამენიდელთა სპარსეთის დედაქალაქი) ნანგრევები, ტაძრების კომპლექსი — ზიკურატი **ჩოგა-ზენბული** ჰუზესტანში, **კიროსის მავზოლეუმი** და სხვ.


თეირანი


შაჰნამე


ომარ ხაიამის აკლდამა ნიშაპურში

სპარსული ლიტერატურა, სათავეს იღებს თანამედროვე ირანის ტერიტორიიდან და ცენტრალური აზიის იმ ქვეყნებიდან, რომლებშიც სპარსული დამწერლობა იყო გავრცელებული. მისი ძირითადი ნაწილი ისლამის გავრცელებამდე შეიქმნა. მსოფლიოში სახელგანთქმულია პოეტი **ნიზამი განჯევი** („ლეილა და მეჯნუნი“), ფილოსოფოსი, მათემატიკოსი, ასტრონომი და პოეტი **ომარ ხაიამი**, აგრეთვე, **რუდაქი, ფირდოუსი** („შაჰნამე“) **საადი** („ბუსტანი“), **რუმი.** სპარსული ლიტერატურის შედევრებია **„ქილილა და დამანა“** და **„ათას ერთი ღამე“.** თანამედროვე ირანელი მწერლებიდან კი აღსანიშნავია **რეზა მირხანი** („მისი მე“), **მაჰბიდ სერაჯი** („თეირანის საბურავები“), **ანიტა ამირეზვანი** („ყვავილების სისხლი“) და სხვ.

ირანის ღირსშესანიშნაობებია: თეირანში — არქეოლოგიის მუზეუმი; ხალიჩების მუზეუმი; იმამის მეჩეთი; თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი; ისპაჰანი — სპარსეთის ოქროს ხანის ქალაქი; თავრიზში — ცისფერი მეჩეთი. იაზდში — ზოროასტრების ტაძარი; ნიშაპურში — ომარ ხაიამის აკლდამა და სხვ.

## სამზარეულო

ირანული კერძების თავისებურება არის ის, რომ, ძირითადად, ქვეყნის ტერიტორიაზე მოწეული პროდუქტებით მზადდება. ირანელებს ძალიან უყვართ ბადრიჯანი, პომიდორი, ლობიო, კარტოფილი, წიწაკა, კომბოსტო და სხვა. აგრეთვე, ხბოსა და ცხვრის ხორცის კერძები, ქათმის ფილე, თევზეული, ხიზილალა. პოპულარობით სარგებლობს თხილი და ნუში, რომლებსაც სალათებში იყენებენ. აგრეთვე სანელებლები: კოწახური, ზაფრანა, დარიჩინი. განსაკუთრებით პოპულარულია ბრინჯი.

საყოველთაოდ ცნობილია ირანული ტკბილეული: ფაჰლავა, ნუგა; ჰალვა, ფალუდე.



### ირანული ფესენჯან ფლავი

**ინგრედიენტები:**
***ბრინჯი** — 140 გრ;
***ქათმის ბარკლები** — 450 გრ;
***წყალი (ან ბულიონი)** — 200 მლ;
***ბროწეულის წვენი** — 50 მლ;
***ნიგოზი (ან არაქისი)** — 60 გრ;
***ხახვი** — 1 თავი;
***ბროწეულის მარცვლები** — 4 კოვზი
***ყვითელი კოჭა** — 1/4 ჩაის კოვზი.
***ზაფრანა** — 1 ჩაის კოვზი;
***ზეითუნის ზეთი** — 2 სუფრის კოვზი;
***მარილი და პილპილი** — გემოვნების მიხედვით;

**მომზადება:**

ნიგოზი მოხალეთ და დანაყეთ. დაუმატეთ 100 მლ წყალი ან ბულიონი. მიღებული მასა ქვაბში გადაიტანეთ და ნელ ცეცხლზე 20 წთ-ის განმავლობაში ხარშეთ. ამ პერიოდში ზეითუნის ზეთში მოხრაკეთ წვრილად დაჭრილი ხახვი, შემდეგ დაუმატეთ ქათმის ბარკლები, ყვითელი კოჭა და პილპილი. გამუდმებით უნდა მოურიოთ.

ზაფრანას დაასხით ადუღებული წყალი (2-3 სუფრის კოვზი) და დადგით გასაცივებლად.

შემდეგ ქათმის ბარკლებს დაუმატეთ მოხალული ნიგოზი, ბრინჯი აურიეთ ერთმანეთში და ნელ ცეცხლზე 30 წთ-ის განმავლობაში ხარშეთ.

მიღებულ მასას დაუმატეთ 2-3 სუფრის კოვზი ბროწეულის მარცვლები, ბროწეულის წვენი და კიდევ 30 წუთის განმავლობაში ნელ ცეცხლზე ხარშეთ დახურულ ქვაბში. ხარშვის დასრულებამდე ათი წუთით ადრე კი წყალდასხმული ზაფრანა დაუმატეთ. ამის შემდეგ მოაყარეთ მარილი, პილპილი და მორთეთ ბროწეულის მარცვლებით.


შაჰიადის კოშკი თეირანში

**P.S. ჰალე შომა ჩეთოურ-ესთ ირანული სიტყვებია და ნიშნავს: როგორ მიდის შენი საქმეები?**

მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძე**

**ამ პერიოდში ადამიანებს ახალი მისწრაფებები გაუჩნდებათ, თუმცა გაიზრდება შფოთვა და უკმაყოფილება იმის მიმართ, რაც ქვეყანაში ხდება, მოიმატებს მოქალაქეების აქტიურობა და არ არის გამორიცხული, აქციებისა და ხმაურიანი დებატების გამართვა. წარმატებული პერიოდია ტყუპისა და მერწყულის ნიშნებით დაბადებულთათვის.**

ჰოროსკოპი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რას გვიქადიან ვარსკვლავები

**4 - 10 თებერვლის ასტროლოგიური პროგნოზი**

## ვერძი — 21 მარტი – 20 აპრილი

ვერძებს თითქმის ყველა სფეროში ელით ცვლილებები და, სავარაუდოდ, ეს ცვლილებები არა ობიექტური მიზეზებითა და გარე ფაქტორებით, არამედ მათივე ნებით იქნება გამოწვეული. დიდია ალბათობა, რომ მკვეთრად შეცვალოთ საქმიანობის სფერო ან საცხოვრებელი ადგილი.

გარდა ამისა, გელით საეტაპო მიღწევები, რომლებიც სრულიად განსხვავებულ პროფესიულ დონეზე გადაგიყვანთ. ეცადეთ, თქვენი სურვილები გარშემომყოფთა მოთხოვნილებებს შეუსაბამოთ, რათა კონფლიქტურ სიტუაციებში არ ამოჰყოთ თავი.

**ამ პერიოდში თქვენი ფინანსური მდგომარეობა ისეთივე იქნება, როგორიც წლის დასაწყისში იყო. შეყვარებულ ვერძებს მრავალი დაბრკოლება შეექმნებათ და მათი დიდი ნაწილი ჯერ კიდევ იანვარში წარმოშობილი უთანხმოების შედეგი იქნება. მეუღლეებს შორის კამათის საგნად შვილები შეიძლება იქცნენ.**

**დადებითი დღე: 8 თებერვალი.**
**ნეგატიური დღე: 6 თებერვალი.**

## კურო — 21 აპრილი – 21 მაისი

კუროებს მოუწევთ თავიანთი რეპუტაცია არა მხოლოდ სიტყვით, არამედ საქმითაც დაიცვან. გამოიჩინეთ შეუპოვრობა და ყველაფერი გამოგივათ. ძველ მეგობრებთან ან პარტნიორებთან შეიძლება სირთულეები შეგექმნათ ფინანსებისა და ბიზნესის განვითარების საკითხებზე. ეცადეთ, კომპრომისული გადაწყვეტილებები მიიღოთ, რადგან ამ ეტაპზე საქმის დამოუკიდებლად გაძღოლა გაგიჭირდებათ. თუმცა ადამიანებს მაინცდამაინც ნუ ენდობით, რადგან ამ პერიოდში მათი სიტყვა და საქმე, შესაძლოა, ერთმანეთს არ ემთხვეოდეს. კუროების მატერიალური მდგომარეობა სტაბილური არ იქნება. მიზეზი კი ძველი ვალების გასტუმრების აუცილებლობაა. თუ დაგეგმილი გაქვთ მსხვილი გარიგებების დადება ან ახალი სახლის შეძენა, ან სულაც ოჯახური ბიზნესის წამოწყება, რჩევისათვის ახლობელ ადამიანებს მიმართეთ.

**დადებითი დღე: 6 თებერვალი.**
**ნეგატიური დღე: 10 თებერვალი.**

## ტყუპი — 22 მაისი–21 ივნისი

ტყუპის ნიშნით დაბადებულები კარიერის კიბეზე მაღლა და მაღლა მიიწევენ, შესაბამისად, პასუხისმგებლობაც ეზრდებათ. თქვენ გარშემო პროცესები მეტ-ნაკლებად ნორმალურად განვითარდება, თუმცა პარტნიორებთან ან ხელმძღვანელებთან კონფლიქტის წარმოშობის ალბათობა მაინც არსებობს. მოსალოდნელია შემოსავლების მატება და, შესაბამისად, ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება. პირადი ცხოვრება კი წინააღმდეგობებითაა სავსე. შეყვარებული ტყუპები შეიძლება გაიხლართონ თავიანთ გრძნობებში და ახალ და ძველ გატაცებებს შორის არჩევანის გაკეთება მოუწიოთ. ნუ იჩქარებთ გადაწყვეტილების მიღებას და საფუძვლიანად დაფიქრდით.

ამ პერიოდში თქვენი ენერგეტიკული პოტენციალი მაღალია, ამიტომ ავადმყოფობის შიში ნუ გექნებათ. ავტომობილის მართვისას კი მეტი სიფრთხილე გამოიჩინეთ.

**დადებითი დღე: 5 თებერვალი.**
**ნეგატიური დღე: 10 თებერვალი.**

## კირჩხიბი — 22 ივნისი–22 ივლისი

კირჩხიბებისთვის წინააღმდეგობებით აღსავსე პერიოდია. ეცადეთ, ყურადღებით ადევნოთ თვალი მიმდინარე მოვლენებს და არ იჩქაროთ. მოგიწევთ ფინანსური საკითხების გადაწყვეტა. სწორედ ამ სფეროში შეგექმნებათ პრობლემები ბიზნესპარტნიორებთან. თამამად დაიცავით თქვენი პოზიციები. ზოგიერთმა კირჩხიბმა შეიძლება დაიწყოს ახალი სამსახური, სადაც გაცილებით უკეთესი ანაზღაურება ექნებათ.

შეყვარებულ კირჩხიბებს, შესაძლოა, სირთულეები შეექმნათ საყვარელ ადამიანთან. ემოციებს ნუ აჰყვებით, გამოიჩინეთ სიბრძნე, მოთმინება და კონფლიქტს იოლად მოაგვარებთ.

ამ პერიოდში თქვენი ენერგეტიკული პოტენციალი მაინცდამაინც შესაშური არ იქნება, ამიტომ მეტი დაისვენეთ, სწორად იკვებეთ და თავს გაუფრთხილდით.

**დადებითი დღე: 5 თებერვალი.**
**უარყოფითი დღე: 7 თებერვალი.**

## ლომი — 23 ივლისი –22 აგვისტო

ამ პერიოდში ლომებმა შეიძლება, დაიწყონ ისეთი იდეების განხორციელება, რომლებსაც, გარკვეული მიზეზების გამო, ახლობლები მხარს არ უჭერენ. არ არის გამორიცხული, ოჯახის წევრების წინააღმდეგაც წახვიდეთ და დაიწყოთ პროექტი, რომელიც ძალიან პერსპექტიული გეჩვენებათ. თუმცა, იმისთვის რომ ეს პროექტი მართლა მომგებიანი აღმოჩნდეს, ერთი ადამიანის მხარდაჭერა მაინც მოიპოვეთ. საქმიანი პარტნიორები, შესაძლოა, დაეჭვდნენ, არის თუ არა ხელსაყრელი თქვენთან თანამშრომლობა და ამ ეჭვს ხმამაღლა გამოთქვამენ. ნუ იღელვებთ, ცოტა ხანში ყველაფერი ჩვეულ კალაპოტში ჩადგება — თქვენი გამოცდილება და ცოდნა დადებით შედეგს მოიტანს. თქვენი პირადი ურთიერთობები სტაბილური არ იქნება და ეს ეხება როგორც დიდი ხნის დაოჯახებულ, ისე ახალშეყვარებულ წყვილებს. დაიწყება გაუგებრობები, რამაც შეიძლება, დროებით დაშორებამდე მიგიყვანოთ, რათა ორივე დაფიქრდეთ, — ღირს თუ არა შერიგება.

**დადებითი დღე: 9 თებერვალი.**
**უარყოფით დღე: 7 თებერვალი.**

## ქალწული — 23 აგვ. –23 სექტემბ.

ქალწულების ხასიათის სიმტკიცეს ბევრი ცხოვრებისეული პრობლება გამოცდის, მაგრამ პრაქტიკულად ყველა განსაცდელიდან უვნებელი გამოვლენ. გარემოებები ქალწულს უძრავი ქონების საქმეებში ჩაფლობას აიძულებს. საქმე ნელა და რთულად წაიწევს. მოგიწევთ თქვენდამი დაქვემდებარებული თანამშრომლების კეთილსინდისიერების შემოწმება და ზოგიერთის არაკომპეტენტურობით გამოწვეული შედეგების გამოსწორება.

ბევრი ქალწულის ოჯახში სწორედ ახლაა მოსალოდნელი მნიშვნელოვანი ცვლილებები. შეიძლება, საცხოვრებელი ადგილის შეცვლის აუცილებლობაც კი გაჩნდეს. დაოჯახებული ქალწულები მშვიდად იქნებიან, თუმცა ბავშვების აღზრდის საკითხზე შეიძლება მეუღლეს დაუპირისპირდეთ.

გაუფრთხილდით თავს — დაიცავით რეჟიმი და ფიზიკურ აქტიურობას მოუმატეთ.

**დადებითი დღე: 8 თებერვალი.**
**უარყოფითი დღე: 10 თებერვალი.**

## სასწორი — 24 სექტ. – 23 ოქტ.

სასწორებისთვის საინტერესო ცვლილებებით აღსავსე პერიოდია. შესაძლოა, ძველმა პრობლემებმა შეგახსენოთ თავი, მაგრამ მათ ადვილად გაუმკლავდებით. ფორტუნა თქვენდამი კეთილგანწყობილი იქნება და დასახული მიზნის მიღწევის შანსს ხელიდან ნუ გაუშვებთ. ჰორიზონტზე ახალი პარტნიორები გამოჩნდებიან, ახალი ინტერესებითა და იდეებით. ურთიერთობებს აღადგენთ სხვა ქვეყნებში ან ქალაქებში მცხოვრებ ძველ მეგობრებთან და კოლეგებთან, რომელსაც შედეგად საზღვარგარეთ მივლინება შეიძლება მოჰყვეს. თქვენი ფინანსური მდგომარეობა სტაბილური არ იქნება, ამიტომ ფული ეკონომიურად ხარჯეთ. ოჯახურ ურთიერთობებში მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრა მოგიწევთ. პრობლემები ძირითადად თქვენი ოჯახის მცირეწლოვან წევრებთან იქნება დაკავშირებული. დაანებეთ ყველა საქმეს თავი და მიხედეთ ბავშვებს.

**დადებითი დღე: 7 თებერვალი .**
**უარყოფითი დღე: 10 თებერვალი.**

## მორიელი — 24 ოქტ. – 22 ნოემბ.

მორიელები მოულოდნელი სირთულეების წინაშე დადგებიან. არ არის გამორიცხული, პროექტი, რომელიც თქვენ უნდა დაგეწყოთ, გადაიდოს, რადგან ვიღაც გადაწყვეტს, რომ თქვენ არ შეგიძლიათ მისი განხორციელება. შეეცადეთ, იპოვოთ დამაჯერებელი არგუმენტები თქვენი პოზიციის დასაცავად, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაზარალდებით. ძალები სწორად გაანაწილეთ და დეტალებს ყურადღება მიაქციეთ.

თქვენი ფინანსური მდგომარეობა საიმედოა, რადგან რეგულარული შემოსავლები გექნებათ. ხარჯები კი, ძირითადად, ოჯახის წევრებსა და ახლობელი ადამიანების საჭიროებებთან იქნება დაკავშირებული, ამიტომ ეცადეთ, გასავლები ადრევე დაგეგმოთ.

ამ პერიოდში აქტიური, ენერგიული და ჯანმრთელი იქნებით და ყველა დაავადება გვერდს აგივლით.

**დადებითი დღე: 6 თებერვალი.**
**უარყოფითი დღე: 10 თებერვალი.**

## მშვილდოსანი — 23 ნოემ. – 21 დეკ.

ამ პერიოდში მშვილდოსნებმა, შესაძლოა, დასახული მიზნების განხორციელების მეთოდები შეცვალონ, რაც მათ საშუალებას მისცემთ, წარმატებას მიაღწიონ. თუ არ იცით, როგორ უნდა გადაწყვიტოთ პრობლემა, რჩევისთვის ოჯახის წევრებს მიმართეთ. თუ თავდაუზოგავად იმუშავებთ, გაქრება ბიზნესსაქმიანობის ბევრი შემაკავებელი ფაქტორი და მოგეცემათ შემოსავლების მომატების შანსი.

რომანტიკული ურთიერთობისთვის კარგი პერიოდია. არ არის გამორიცხული, მარტოხელა მშვილდოსნები მომავალ მეუღლეს შეხვდნენ — შეიძლება, მათი ყურადღება შორიდან ჩამოსულმა ადამიანმა დაიმსახუროს, ამიტომ არ გააცდინოთ არც ერთი საქმიანი თუ გასართობი საღამო და შეეცადეთ, წვეულებებზე კარგად გამოიყურებოდეთ. ამ პერიოდში თქვენს ჯანმრთელობას არაფერი ემუქრება.

**დადებითი დღე: 7 თებერვალი.**
**უარყოფითი დღე: 4 თებერვალი.**

## თხის რქა — 22 დეკემ. – 20 იან.

ბევრი თხის რქა შეიძლება, საცხოვრებელი ადგილის შეცვლაზე დაფიქრდეს, ლაპარაკია არა მხოლოდ ახალი ბინის ან სახლის შეძენაზე, არამედ სხვა ქვეყანაში გადასახლებაზე. ყველაფერი თხის რქების სურვილსა და შესაძლებლობაზე იქნება დამოკიდებული.

მოგეცემათ შანსი, დაიბრუნოთ ის, რაც წლების წინათ დაკარგეთ და რაც ახლა ძალიან გაკლიათ. ზოდიაქოს ამ ნიშნების წარმომადგენელთა რთული ურთიერთობები ნათესავებთან მკვეთრად გაუმჯობესდება. ოჯახებში, რომლებშიც თხის რქას მეუღლესთან დაძაბული ურთიერთობა აქვს, შედარებით სიმშვიდე იქნება, თუმცა პრობლემები შეიძლება ნებისმიერ მომენტში გააქტიურდეს. ამ პერიოდში თხის რქების ენერგეტიკული პოტენციალი მაინც და მაინც მაღალი არ არის, ამიტომ გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

**დადებითი დღე: 7 თებერვალი.**
**უარყოფითი დღე: 9 თებერვალი.**

## მერწყული — 21 იან. – 19 თებ.

მერწყულებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი პერიოდია. მათ ცხოვრებაში ბევრი რამ შეიცვლება და თითოეული ცვლილება დადებითი იქნება. გააანალიზეთ ურთიერთობები საქმიან პარტნიორებთან, მათთან ერთად განიხილეთ ფინანსური და საორგანიზაციო საკითხები, კორექტივები შეიტანეთ მიღწეულ შეთანხმებებში და დაწყებულ პროექტებში. რთულ ვითარებაში დახმარებისთვის მეგობრებს მიმართეთ, რომლებთანაც საიმედო ურთიერთობა გაკავშირებთ. ყველა მნიშვნელოვანი პროექტი, რომლებზეც დიდი ხანია, მუშაობდით, გადამწყვეტ ფაზაში შევა და წარმატებით განვითარდება. შესაბამისად, თქვენი ფინანსური მდგომარეობაც საგრძნობლად გაუმჯობესდება. ეს პერიოდი ცოტა სახიფათოა დაქორწინებული მერწყულებისთვის, რადგან გარემოებები ახალი ურთიერთობების წამოწყებისა და ფლირტის გაჩაღებისკენ გიბიძგებთ.

**დადებითი დღე: 10 თებერვალი.**
**უარყოფითი დღე: 5 თებერვალი.**

## თევზები — 20 თებ. – 20 მარტი

თევზებმა ამ პერიოდში სიფრთხილე და თავშეკავებულობა უნდა გამოიჩინონ. სწორედ ასე აიშორებთ თავიდან დანაკარგებს. შეეცადეთ, გადაწყვეტილებები ყველა დეტალის გაანალიზების შემდეგ მიიღოთ და სიტუაცია გააკონტროლოთ. ყურადღება გამოიჩინეთ თანამშრომლების მიმართაც. გახსოვდეთ, რომ კოლეგებს თქვენს ზურგს უკან ინტრიგების ხლართვაც მშვენივრად შეუძლიათ. მეტი მოისმინეთ, ვიდრე ილაპარაკებთ და პოზიციები არ დათმოთ. თუ ხედავთ, რომ ინტრიგები გაღრმავდა, შეეცადეთ, ავის მსურველებს სათანადო პასუხი გასცეთ. ამ პერიოდში თქვენი ფინანსური მდგომარეობა სტაბილური იქნება, თუმცა, შესაძლოა, წვრილმანმა საყოფაცხოვრებო პრობლემებმა შეგაწუხოთ. ყურადღება მიაქციეთ ჯანმრთელობას, რადგან მაღალია ქრონიკული დაავადებების გამწვავების ალბათობა.

**დადებითი დღე: 6 თებერვალი.**
**უარყოფითი დღე: 9 თებერვალი.**

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ტკბილი გაზიანი სასმელები სასიკვდილო დაავადებებს იწვევს. ამ დასკვნამდე ჰარვარდის სამედიცინო სკოლის მეცნიერები მივიდნენ. მკვლევართა გათვლებით, წელიწადში 200 000 ადამიანი სწორედ გაზიანი სასმელით გამოწვეული დაავადებებით იღუპება.**



# ყველაფერი გაზიანი სასმელების შესახებ

**მსოფლიოს მოსახლეობის 20% ჭარბი წონისგან იტანჯება, ყოველ მეორე ადამიანს კი სიმსუქნით გამოწვეული პრობლემები აწუხებს. დღეს აქტუალურია ჯანსაღი ცხოვრების წესი, მოდურია სპორტით დაკავება, სხვადასხვაგვარი დიეტის დაცვა, საკუთარი რაციონისთვის ყურადღების მიქცევა, მაგრამ ბევრს ავიწყდება, რომ ჯანმრთელ საკვებთან ერთად ჯანმრთელი სასმელიც მნიშვნელოვანია, რადგან შეიძლება სწორედ სასმელი ავსებდეს დღიური რაციონის კალორიების ნახევარს. მანვე შეიძლება გამოიწვიოს ნივთიერებათა ცვლის დარღვევა, ჰიპერტონია, გულ-სისხლძარღვთა, სასუნთქი გზებისა და კანის დაავადებები.**



ჩვენი ორგანიზმის 60% სითხეა. წყალმარილოვანი წონასწორობის შესანარჩუნებლად ადამიანი ყოველდღე სვამს წყალს, ყავას, ჩაის, ლუდს, წვენებსა და გაზიან სასმელს. ყველა სასმელი, გარდა წყლისა, შეიცავს ნივთიერებებს, რომლებიც გარკვეულ გავლენას ახდენს ორგანიზმზე, — ზოგჯერ პოზიტიურს, ზოგჯერ კი ნეგატიურს, რაც მიღებული სასმლის მოცულობასა და გამოყენების რეგულარულობაზეა დამოკიდებული.

**კარბონატული წყალი, ანუ ცნობილი, როგორც გაზიანი ან სოდიანი წყალი, არის სასმელი წყალი, რომელშიც გახსნილია ნახშირორჟანგის აირი, და მნიშვნელოვანი და განმსაზღვრელი კომპონენტია მრავალ უალკოჰოლო სასმელში. ნახშირორჟანგის აირის წყალში გახსნის პროცესს კარბონაცია ეწოდება. მისი შედეგია ნახშირმჟავას წარმოქმნა.**

გაზიანი სასმელები მხოლოდ და მხოლოდ ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს ჩვენს ორგანიზმზე. მათი უმრავლესობა ჯანმრთელობისთვის საზიანო ქიმიურ მინარევებსა და სხვადასხვა დასახელების ემულგატორებს შეიცავს. ხშირად, მომხმარებელს ამის შესახებ ინფორმაცია არ აქვს.

თავისთავად გაზიანი წყალი სუფთა წყალია, რომელშიც შერეულია ნახშირორჟანგი, შუშხუნისა და განსხვავებული გემოს მისანიშნებლად. გაზიან სასმელებს აქვთ დამატებული სხვა ინგრედიენტები, რომლებიც, შესაძლოა, იყოს ჯანმრთელობისთვის მავნე.

გაზიანი სასმელების შემადგენლობა მხოლოდ ნაწილობრივ არის ცნობილი, რადგან სრულ შემადგენლობას ასაიდუმლოებს თვით მწარმოებელი კომპანია, მაგ., „კოკა-კოლა“.

გაეროს მონაცემებით, მსოფლიოში ცხოვრების დონის გაუმჯობესების პარალელურად, იკლებს იმ ადამიანთა რაოდენობა, რომლებიც საკვების ნაკლებობას განიცდიან, სამაგიეროდ იზრდება სიმსუქნის პრობლემის მქონე ადამიანთა რაოდენობა. მეცნიერები განსაკუთრებულ შეშფოთებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ სიმსუქნე სერიოზულ პრობლემად იქცა მოზარდებსა და ბავშვებში. მეცნიერებამ დაადგინა, რომ ქვეყანაში სიმსუქნით დაავადებულ ადამიანთა რაოდენობის გაზრდა პირდაპირი უკავშირდება მოსახლეობის ცხოვრების დონეს.

**ტკბილი გაზიანი სასმელები სასიკვდილო დაავადებებს იწვევს. ამ დასკვნამდე ჰარვარდის სამედიცინო სკოლის მეცნიერები მივიდნენ. მკვლევართა გათვლებით, წელიწადში 200 000 ადამიანი სწორედ გაზიანი სასმელით გამოწვეული დაავადებებით იღუპება.**

უმრავლეს შემთხვევაში (წელიწადში 133 000 სიკვდილის შემთხვევა) ფატალური შედეგის მიზეზი დიაბეტი ხდება. 44 000 ადამიანი — გულსისხლძარღვთა დაავადებებით, 6000 კი კიბოთი იღუპება. სტატისტიკის თანახმად, ამ შემთხვევების 78% იმ ქვეყნებზე მოდის, სადაც ერთ სულ მოსახლეზე დაბალი შემოსავალი აღირიცხება.

**მექსიკაში, რომელიც ტკბილი სასმელების მოხმარების მხრივ პირველ ადგილზეა, მილიონი ადამიანიდან 318 სწორედ ამ სასმელებით გამოწვეული დაავადებებით იღუპება. საპირისპირო ვითარებაა იაპონიაში, სადაც გაზიან სასმელებს, პრაქტიკულად, არ სვამენ. იქ მილიონ მოსახლეზე მხოლოდ 10 ადამიანი ხდება ასეთი დაავადებების მსხვერპლი.**

იმ ფაქტს, რომ ტკბილ სასმელებსა და სხვა პროდუქტებში შემავალი კალორიები სხვადასხვანაირად მოქმედებს ადამიანის ორგანიზმზე, სტენფორდის უნივერსიტეტის მეცნიერთა კვლევაც ადასტურებს. მათი დასკვნით, შაქრის ყოველი 150 დამატებითი კალორია მეორე ტიპის, განსაკუთრებით საშიში დიაბეტის ჩამოყალიბებას შემთხვევათა 1%-ში იწვევს. მაშინ, როდესაც სხვა პროდუქტებში შემავალი კალორიები დიაბეტის რისკს 0,1%-ში იწვევს.

დიდი ბრიტანეთის შეფილდის უნივერსიტეტის პროფესორი მოლეკულურ ბიოლოგიასა და ბიოტექნოლოგიების დარგში — პიტერ ფაიფერი ერთ-ერთი ბოლო გამოკვლევის ჩატარებისას დააკვირდა ნატრიუმის ბენზონატის მოქმედებას ცოცხალი ორგანიზმების უჯრედებზე და აღმოაჩინა, რომ ეს შენაერთი მნიშვნელოვან ზიანს აყენებს დნმ-ს.

**გაზიანი სასმელები მხოლოდ და მხოლოდ ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს ჩვენს ორგანიზმზე. მათი უმრავლესობა ჯანმრთელობისთვის საზიანო ქიმიურ მინარევებსა და სხვადასხვა დასახელების ემულგატორებს შეიცავს. ხშირად მომხმარებელს ამის შესახებ ინფორმაცია არ აქვს**



ფაიფერის თქმით, ნატრიუმის ბენზონატი წარმოადგენს კონსერვანტების აქტიურ კომპონენტს, რომელსაც ფართოდ იყენებენ უმეტესად გაზიან სასმელებში. აღნიშნული შენაერთი კი არ ანადგურებს დნმ-ს, არამედ მის დეაქტივირებას ახდენს. შედეგს მივყავართ ღვიძლის ციროზთან და სხვა დეგენერაციულ დაავადებებთან (მაგ. პარკინსონის დაავადება).

ნატრიუმის ბენზონატი სამრეწველო მასშტაბებით მიიღება ბენზონის მჟავიდან, რომელიც, თავის მხრივ, შედის ზოგიერთი კენკრის შემადგენლობაში. ნატრიუმის ბენზონატი კონსერვანტის სახით გამოიყენება არამხოლოდ გაზიან სასმელებში, არამედ სოსისისა და მარინადის წარმოებაში.

ნატრიუმის ბენზონატმა მეცნიერების ყურადღება აქამდეც მიიქცია, კერძოდ, კიბოს დაავადების კვლევისას. საქმე ისაა, რომ ნატრიუმის ბენზონატის C ვიტამინთან შეერთებისას წარმოიქმნება ბენზოლი, რომელიც წარმოადგენს კანცეროგენულ ნივთიერებას. საკვები პროდუქტების სტანდარტიზაციის სააგენტოს (FSA) მიერ ჩატარებულმა პოპულარული გაზიანი სასმელების ანალიზმა აჩვენა მათში ბენზოლის მაღალი შემცველობა. სასმელები ამოღებულ იქნა მოხმარებიდან. FSA-ს და ევროკავშირის მთავრობის მიერ მიღებული სტანდარტების მიხედვით, დაშვებულია ნატრიუმის ბენზონატის გამოყენება საკვებ პროდუქტებში. თუმცა ფაიფერის განცხადებამ გამოიწვია მაღალჩინოსანთა მიერ დეტალური გამოძიების ინიცირება, აღსანიშნავია, რომ ფაიფერის მუშაობა დაფინანსებულია სამთავრობო ორგანოების მიერ.

აბერდინის (დიდი ბრიტანეთი) და მაასტრიხტის (ჰოლანდია) უნივერსიტეტების სპეციალისტების მიერ ჩატარებული გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ ბოლო 20 წლის განმავლობაში ადამიანი სულაც არ ხარჯავს ნაკლებ ენერგიას თავისი ყოველდღიური საქმიანობისას, როგორც ამას მიიჩნევენ. XXI საუკუნის ადამიანის მიერ დახარჯული ენერგიის რაოდენობა არ განსხვავდება XX საუკუნის მიწურულის ადამიანის მიერ დახარჯული ენერგიის რაოდენობისგან, როდესაც ავტომანქანა არა გადაადგილების საშუალება, არამედ ფუფუნების საგანი იყო, თანამედროვე ტექნიკა კი — დიასახლისების აუხდენელი ოცნება.

**სამაგიეროდ ბოლო 30-35 წლის განმავლობაში სასმელებიდან მიღებული კალორიულობა ორჯერ გაიზარდა. არც ისე დიდი ხნის წინათ ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვის თანახმად, დღევანდელი ამერიკელი მოზარდები მოიხმარენ ბევრად მეტ გაზიან სასმელს, ვიდრე მათი ასაკის მოზარდები 10 წლის წინათ. ამრიგად, მოზარდთა 84% ყოველდღე სვამს გაზიან სასმელს და იღებს დამატებით 356 კალორიას.**

რუსეთში ასეთი სტატისტიკა ჯერჯერობით არ არსებობს, მაგრამ მთავრობა აცნობიერებს ფასთ-ფუდისა და გაზიანი სასმელების საშიშროებას, ამიტომ ჯანდაცვის სამინისტრომ აკრძალა სკოლებში ჩიფსი, კარამელი და ტკბილი გაზიანი სასმელები. ისინი ჩაანაცვლეს რძით, კეფირითა და წყლით.

ფოსფატი, რომელიც განსაკუთრებულ გემოს აძლევს სასმელს, კანსა და კუნთოვან ქსოვილს აშრობს. მას ასევე შეუძლია დააზიანოს გული და თირკმელები. ორგანიზმზე ჭარბი ფოსფატის უარყოფითი ზემოქმედება ჰარვარდის უნივერსიტეტში თაგვებზე ჩატარებულმა კვლევებმაც დაადასტურა.

**სტატისტიკური მონაცემები გვიჩვენებს, რომ ქალებში, რომლებიც სვამენ დღეში 2 ქილაზე მეტ გაზიან სასმელს, ორჯერ უფრო ხშირად აღინიშნება თირკმლის დაავადებები იმ ქალებთან შედარებით, რომლებიც უპირატესობას მინერალურ სასმელს ან წვენს ანიჭებენ.**

გაზიანი სასმელების არარაციონალური მოხმარება კარიესსაც გვიქადის. პრობლემას იწვევს სასმელში არსებული მჟავა, რომელიც კბილის მინანქარს აზიანებს. ზოგჯერ მწარმოებლები მჟავას ნაცვლად ეტიკეტზე წერენ ციფრულ კოდს E330, რომელიც ლიმონმჟავას აღნიშნავს. ეტიკეტზე ასევე ხშირად ამოიკითხავთ E338-ს — ორთოფოსფორმჟავა. ეს უკანასკნელი ძვლებიდან კალცის სწრაფად გამორეცხვას უწყობს ხელს. ზოგჯერ პროცესი ძვლოვანი ქსოვილის შესუსტებასა და მოტეხილობასაც იწვევს. გაზიანი სასმელები, განსაკუთრებით ტკბილი, რეკომენდებული არ არის ხანშიშესულთათვის.

2006 წელს კვლევა ჩაატარა სამხრეთ ამერიკის კეკის უნივერსიტეტმა. აღმოჩნდა, რომ აბსოლუტურად ჯანმრთელი ადამიანების 62%-ს აღენიშნება საყლაპავის ქვედა სფინქტერის ტონუსის მოდუნება, რაც იწვევს კუჭის წვენის გადმოსვლას საყლაპავში და გულძმარვას.

**2006 წელს „კიბოს ნაციონალური ინსტიტუ-** ▶



## არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, დავალევინოთ გაზიანი სასმელი 3 წლამდე ბავშვებს და ადამიანებს, რომელთაც ქრონიკული დაავადებები, მაგალითად ალერგია, დიაბეტი, კუჭის დაავადებები აწუხებთ. მათ შემადგენლობაში შემავალმა ნივთიერებებმა, შესაძლოა, გამოიწვიოს ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება ან მორიგი შეტევის ინიცირება.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**◀ტის" ჟურნალმა გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც ხაზგასმული იყო, რომ გაზიანი სასმელების მომხარებასა და საყლაპავის კიბოს შორის პიდაპირი კავშირი არსებობს.**

2010 წლის თებერვალში ჟურნალ Cancer Epidemiology, Biomarkers & Prevention-ში (გამოდის ამერიკის კიბოს კვლევის ასოციაციის ეგიდით) დაიწერა, რომ უალკოჰოლო გაზიანი სასმელების მუდმივი გამოყენება (2 სტანდარტულ ბოთლზე მეტი კვირაში) კუჭქვეშა ჯირკვლის კიბოს რისკს 2-ჯერ ზრდის იმათთან შედარებით, ვინც საერთოდ არ მოიხმარს ამ სასმელებს.

ტკბილ გაზიან სასმელებს მთელ მსოფლიოში ებრძვიან. ამერიკასა და ევროპის უმეტეს ქვეყნებში შემოღებულია შესაბამისი აკრძალვები სკოლებში ტკბილი გაზიანი სასმელების გაყიდვაზე. ბევრი თვლის, რომ აკრძალვებით პრობლემა არ მოგვარდება და საჭიროა სხვა მეთოდის პოვნა. დიდ ბრიტანეთში ბავშვებზე გამოსცადეს დარწმუნების მეთოდი. 7-11 წლის ბავშვებს ჩაუტარეს გაკვეთილი, მედდა არწმუნებდა მათ, შეემცირებინათ გაზიანი სასმელის მიღება. იმავე თხოვნით მიმართავდნენ მასწავლებლებიც. სხვა 14 კლასი არ იღებდა სპეციალურ რეკომენდაციებს. ყველა ბავშვი თვითონ ირჩევდა თავის საჭმელს და სასმელს; წლის ბოლოს მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ბავშვებმა, რომელთაც ჩაუტარდათ სპეციალური გაკვეთილები, შეამცირეს გაზიანი სასმელის მიღება 60%-ით, ხოლო იმ ბავშვებმა, რომლებსაც არ მიუღიათ არანაირი სპეციალური რეკომენდაციები, 20%-ით გაზარდეს გაზიანი სასმელების მოხმარება. იმავე წელს 8%-ით გაიზარდა იმ ბავშვთა რაოდენობა, რომლებიც სიმსუქნით იტანჯებიან.

**უმჯობესია, ტკბილი სასმელები საერთოდ ამოვიღოთ რაციონიდან, განსაკუთრებით კი გაზიანი ტკბილი სასმელები. გარდა კალორიულობისა, ეს სასმელები შეიცავს ორგანიზმისთვის მავნე ნივთიერებებს.** ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი საკვები დანამატია ასპარტამი — დამატკბობელი, რომელიც გამოიყენება ეგრეთ წოდებულ დიეტურ სასმელებში. ასპარტამი შაქარზე 200-ჯერ ტკბილია, მაგრამ არ შეიცავს ნახშირწყლებს. მისი გამოყენება ნებადართულია ასამდე ქვეყანაში. ითვლება, რომ დღიური დოზა 40 მლგ 1კგ-ზე არ არის მავნე (1 ქილა გაზიანი სასმელი შეიცავს 50მლგ ასპარტამს). სხვა ყველა გაზიან სასმელში გამოიყენება შაქარი. პეპსის პატარა ბოთლი შეიცავს 8 ნაჭერ შაქარს (58კკალ/100მლგ), მავნებელია ორივე — დიეტური და ჩვეულებრივი გაზიანი სასმელი, თუმცა ზუსტი კვლევა ჯერჯერობით არ ჩატარებულა იმის თაობაზე, თუ რომელი უფრო დიდ ზიანს აყენებს ორგანიზმს — შაქარი თუ ასპარტამი.

**არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, დავალევინოთ გაზიანი სასმელი 3 წლამდე ბავშვებს და ადამიანებს, რომელთაც ქრონიკული დაავადებები, მაგალითად ალერგია, დიაბეტი, კუჭის დაავადებები აწუხებთ. მათ შემადგენლობაში შემავალმა ნივთიერებებმა, შესაძლოა, გამოიწვიოს ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება ან მორიგი შეტევის ინიცირება.** თირკმლის დაავადების დროს ექიმი დიეტის დანიშვნისას აუცილებლად ხაზს უსვამს გაზიანი სასმელების უკუჩვენებებს.

მძიმე წონიანმა ადამიანებმა ან მათ, ვისაც, უბრალოდ, წონის დაკლება სურთ, გაზიანი სასმელი საერთოდ უნდა ამოიღონ მოხმარებიდან. არსებობს ამერიკელი სპეციალისტების კვლევები, რომელთა წყალობითაც დამტკიცდა, რომ გაზიანი ტკბილი სასმელები აორმაგებს სიმსუქნის ალბათობას.

ზემოთქმულის გარდა, გაზიანმა სასმელმა შეიძლება ჯანმრთელი ადამიანიც დააავადოს. რაც შეეხება მოზარდებს, 9-დან 18-წლამდე ორგანიზმში კალციუმის დაგროვება მიმდინარეობს, ტკბილი გაზიანი სასმელი კი არამხოლოდ გამოდევნის კალციუმს ორგანიზმიდან, არამედ ბავშვებში რძის ალტერნატივა ხდება. რძე კი კალციუმის წყაროა. კალციუმის ნაკლებობა ბავშვებში იწვევს ზრდის შეჩერებას და მოსალოდნელია ოსტეოპოროზი დიდ ასაკში.

აუცილებლად უნდა მივაქციოთ ყურადღება იმ ფაქტს, რომ, როგორც დიდების, ისე პატარების რაციონში გაზიანი ტკბილი სასმელი ჩანაცვლდეს რძით, მწვანე ან ბალახეული ჩაით, ბურახით, ახალდაწურული ხილის წვენით შაქრის გარეშე და წყლით. ამ ჩამონათვალში წყალი ყველაზე სასურველია. წყალს საკვების იდეალური გამხსნელის ფუნქცია აქვს. ექსპერტების თქმით, ჩვენი ორგანიზმი ყველანაირ სასმელს აღიქვამს საკვებად, გარდა წყლისა.

ამერიკელმა მეცნიერებმა ჩაატარეს კიდევ ერთი კვლევა, რომლის მიხედვითაც აღმოჩნდა, რომ მოზარდებში აგრესიის გამოსაწვევად მხოლოდ ალკოჰოლი არაა აუცილებელი. არანაკლები აგრესორია გაზიანი გამაგრილებელი სასმელები, რომლებსაც ყოველდღიურად მივირთმევთ. მეცნიერების აზრით, მათი დიდი რაოდენობით მიღება ისეთსავე აგრესიულ გამოვლინებებს იწვევს, როგორსაც ალკოჰოლიანი სასმლისა.

ექსპერიმენტში მონაწილეობა 1878-მა მოზარდმა მიიღო. უმეტესობა სკოლის მოსწავლე იყო. მათ სათითაოდ ჩაუტარეს ტესტირება და ჰკითხეს, თუ რამდენ ქილა გაზიან სასმელს მიირთმევენ შვიდი დღის განმავლობაში. აღმოჩნდა, რომ საშუალო მაჩვენებელია ხუთი ქილა.

ამ ექსპერიმენტში ფსიქოლოგებიც ჩაერთნენ. მათი კვლევის მიზანი მდგომარეობდა შემდეგში: უნდა გაეგოთ, რამდენად გამოხატავენ მოზარდები აგრესიას მშობლებისა თუ თანაკლასელების მიმართ; ასევე აინტერესებდათ, ატარებდნენ თუ არა მოზარდები სკოლაში ცივ იარაღს, მაგალითად, დანას.

შედეგები ძალიან საინტერესო აღმოჩნდა: გაირკვა, რომ იმ მოზარდების 24%, რომლებიც პირველ ჯგუფში მოხვდნენ (ანუ ყველაზე მეტ გაზიან სასმელს იღებდნენ), ატარებდა ცივ იარაღს.

ყველაზე მთავარი ამ ექსპერიმენტში არის თვითონ მიზეზი, თუ რა იწვევს ადამიანში აგრესიას ან რა კავშირი აქვს გაზიან სასმელს და აგრესიულ გამოვლინებას ერთმანეთთან. ექიმების აზრით, ყოველივე ამის გამომწვევი არის კოფეინი.



**უმჯობესია, ტკბილი სასმელები საერთოდ ამოვიღოთ რაციონიდან, განსაკუთრებით კი გაზიანი ტკბილი სასმელები. გარდა კალორიულობისა, ეს სასმელები შეიცავს ორგანიზმისთვის მავნე ნივთიერებებს**

როგორც იცით, გამაგრილებელი სასმელების უმეტესობა კოფეინს მცირე დოზით შეიცავს. ეს მცირე დოზა კი შეიძლება დასაშვებზე საკმაოდ მეტი გახდეს იმ შემთხვევაში, თუ ადამიანი ბევრ გაზიან სასმელს სვამს.

**კოფეინი ტვინის სტიმულატორია და არ არის გამორიცხული, საკმაოდ მძიმე შედეგებიც გამოიწვიოს; მაგალითად, ტვინის სტიმულირებამ, შესაძლოა, ადამიანს აზროვნებაც დააკარგვინოს რაღაც მომენტში.**

ნებისმიერ ტკბილ გაზიან სასმელს ტკბილ-მჟავე ფუძე აქვს. შეიცავს გარკვეული რაოდენობით შაქარს (ან მის შემცვლელს) და მჟავებს. შაქარიც და მჟავაც (განსაკუთრებით ლიმონმჟავა) თანაბრად დამღუპველად მოქმედებს კბილებზე, შლის კბილის მინანქარს და ხელს უწყობს კარიესის განვითარებას.

ამას გარდა, ნებისმიერი გაზიანი სასმელი გარკვეული რაოდენობით შეიცავს ნახშირორჟანგს, რომელიც უვნებელია (მას იყენებენ სასმელის უკეთ შენახვისთვის), მაგრამ აირის დიდი კონცენტრაცია იწვევს კბილის ემალის დაშლას, რაც, თავის მხრივ, იწვევს აწეულ მგრძნობელობას ტემპერატურულ გამღიზიანებელზე (ცივი და ცხელი).



წამყვანი ქვეყნების სტომატოლოგები ხშირად აკრიტიკებენ აღნიშნული სასმელების მწარმოებელ კომპანიებს. ისინი მოითხოვენ შაქრისა და აირის რაოდენობის მაქსიმალურად შემცირებას და კბილის მინანქრის გასამყარებლად მინერალების დამატებას.

სტომატოლოგები გვირჩევენ, რომ ასეთი სასმელების მიღების შემდეგ კბილები რამდენიმე ხნის დაყოვნების შემდეგ გავიხეხოთ. და მაინც, თუ ცხელ ამინდში გაზიანი სასმელის დალევის სურვილი გაგიჩნდებათ, უარყოფითი შედეგების შესამცირებლად დაიცავით შემდეგი წესები:

**1. მიიღეთ გაზიანი სასმელი საწრუპავი მილაკით.**

**2. არასდროს დალიოთ უზმოზე.**

**3. დალიეთ საკვებთან ერთად.**

**4. გაზიანი სასმელის დალევისთანავე არ გამოიხეხოთ კბილები, ამით მხოლოდ მინანქარს დაიზიანებთ.**

ბევრი ადამიანი ტკბილი გაზიანი სასმელის მოხმარებას უწოდებს დამოკიდებულებას. ამას იმით ხსნიან, რომ რთულია მათზე უარის თქმა. იმისათვის, რომ შეეჩვიოთ ჩვეულებრივი წყლის დალევას, გაითვალისწინეთ რამდენიმე რჩევა:

ტკბილ გაზიან სასმელზე უარი ნელ-ნელა უნდა ვთქვათ. დავიწყოთ მისი შეცვლა უბრალო გაზიანი წყლით. „კოლასთან" ერთად ატარეთ გაზიანი წყლის ბოთლი.

იმისათვის, რომ უარი თქვათ თქვენს ჩვევებზე, გჭირდებათ ძლიერი მოტივაცია, ამიტომ, სანამ უარს იტყვით ტკბილ გაზიან სასმელზე, მოიძიეთ ბევრი ინფორმაცია მის უარყოფით თვისებებზე, მათ შორის გამოიყენეთ ეტიკეტზე არსებული ინფორმაციაც.

უნდა აღინიშნოს, რომ ყოველივე ზემოთქმული არ ეხება ბუნებრივ მინერალურ წყლებს. მათ შემთხვევაში სულ სხვა მდგომარეობაა.

იტალიაში ჩატარდა კვლევა, რომელშიც მონაწილე ადამიანებს განესაზღვრათ სისხლში ქოლესტერინი და დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინები, შემდეგ კი 9 კვირის მანძილზე ეძლეოდათ გაზიანი მინერალური წყალი. აღმოჩნდა, რომ გაზირებული მინერალური წყლის 9 კვირის მანძილზე მიღებამ ქოლესტერინის დონე შეამცირა 7,5%-ით, ხოლო დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების დონე — 12,5%-ით. კვლევის შედეგად გამოტანილ იქნა დასკვნა, რომ გაზიანი მინერალური წყალი, შესაძლოა, ეფექტური იყოს ქოლესტერინის დონის დაწევისთვის.

**თერმული წყლები არის მინერალური წყლები, რომლებიც შეიცავს ვიტამინებსაც, მინერალებსაც და გაზირების შემდეგ არის გაყიდვაში. 2007 წელს ჩატარდა კვლევა, რომელშიც გამოყენებული იქნა თერმული წყლები, რომლებიც შედგება ბიკარბონატებისგან, კალციუმის სულფატისგან. კვლევის პროცესში ეს წყლები ეძლეოდა დისპეპსიის მქონე ადამიანებს 12 დღის განმავლობაში.**

პაციენტების უმრავლესობაში აღინიშნა გლობალური ნიშნების კლება, სიმპტომების ინტესივობის ისეთი კლება, რომელიც ხელს არ უშლის ადამიანს ყოველდღიურ საქმიამონაში. აგრეთვე, დადგინდა, რომ ეს წყლები აძლიერებს კუჭის მოტორულ-სეკრეტორულ ფუნქციას.

ესპანეთში 2004 წელს „ამერიკის დიეტოლოგიის საზოგადოების" მიერ აბსულოტურად ჯანმრთელ ქალებზე პოსტმენოპაუზალურ პერიოდში ჩატარდა კვლევა. გამოიყო ორი ჯგუფი, რომელთაგან ერთი სვამდა დღეში 1 ლიტრ წყალს მინერალების დაბალი შემცველობით, ხოლო მეორე — მინერალებით გამდიდრებულ წყალს. ქალების ასაკი, სქესი, სიმაღლე, წონა და არტერიული წნევა, ქოლესტერინის, გლუკოზის დონე, კონტროლდებოდა მთელი კვლევის პერიოდში.

საბოლოო ჯამში გაუმჯობესდა თითქმის ყველა მაჩვენებლი — ქოლესტერინისა და გლუკოზის დონე სისხლში შემცირდა. საბოლოო ჯამში გამოიტანეს დასკვნა, რომ მინერალური გაზიანი წყლები ხელს უწყობს მეტაბოლური სინდრომის მოხსნას, გულსისხლძარღვთა სისტემის პათოლოგიების, დიაბეტისა და ინსულტის პროფილაქტიკას.

2005 წლის „კვების ბრიტანული ჟურნალის" მიერ ესპანეთში ჩატარებული გამოკვლევების თანახმად, ქალები, რომლებიც სვამდნენ დღეში 1ლ მინერალურ წყალს, კარგავდნენ იმაზე ცოტა კალციუმს, ვიდრე ქალები, რომლებიც სვამდნენ ონკანის წყალს. მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ კარბონატების ჭარბი შემცველობის გამო, ორგანიზმში რეგულირდება მჟავიანობა და კალციუმი „ჩაკეტილია" ძვლებში.



ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ინდოეთში სიამის ტყუპი გაჩნდა

**ინდოეთში გაჩნდა სიამის ტყუპი შეზრდის იშვიათი ტიპით, რომელსაც დიცეფალიკ პარაპაგუსი ეწოდება.** ეს მდგომარეობა გულისხმობს იმას, რომ ამ სიამის ტყუპს ერთი სხეული აქვს. ასეთი შეზრდის სახეობა სიამის ტყუპების მხოლოდ 5%-ში გვხვდება. ამ შემთხვევაში ბავშვების დაშორების შესაძლებლობა არ არსებობს. სიამის ტყუპის მშობლები უბრალო ფერმერები არიან. მათ იმედი აქვთ, რომ ახალშობილები გადარჩებიან, თუმცა ინდოელი სპეციალისტები ცუდ პროგნოზებს აკეთებენ.





## მაგიდა მონეტებისგან

**ადამიანები იხდიან ბევრ ფულს ისეთი პროექტების განხორციელებაში, რომლებიც მათ ჰობებს უკავშირდება, თუმცა ამ ბიჭმა თავისი ჰობისთვის ფული პირდაპირი მნიშვნელობით გამოიყენა.** მან აიღო ძველი ხის მაგიდა და ყველა პენი, რომელიც მანამდე კარგა ხანს აგროვა. იმის გამო, რომ ზოგიერთი ხურდა უფრო ძველი იყო და ზოგიერთი უფრო ახალი, მათ სხვადასხვა ფერი ჰქონდათ. ბიჭს ისინი არეულად არ დაუწებებია მაგიდაზე — ფერების მიხედვით დააწყო. იმისათვის, რომ მაგიდის ზედაპირი გლუვი ყოფილიყო, ბიჭმა მას ზემოდან ლაკის მსგავსი სითხე გადაუსვა.



## ალმოაჩინეს თევზის ახალი ჯიში

**წყნარ ოკეანეში ახალი ექსპედიციის დროს მეცნიერებმა უცნობი სახეობის თევზი შენიშნეს, რომელიც ფსკერზე ცურავდა რეკორდულ სიღრმეში — 8 143 მეტრის სიღრმეში.**

თევზის სხეულის ფორმა აქამდე ცნობილი სახეობებისგან განსხვავდება: მას ფართო და ნახევრადგამჭვირვალე ფარფლები აქვს.

**„ჩვენ დავინახეთ თევზი, რომელიც 8 000 მეტრის სიღრმეზე წყნარად დაცურავდა. ის არის ახალი ჯიშის წარმომადგენელი, მეცნიერება ამ სახეობას აქამდე არ შეხვედრია. ის ძალიან მოწყვლადია და უცნაური გარეგნობა აქვს, თითქოს ანიმაციური ფილმის პერსონაჟ ძაღლს წააგავს,“** — განაცხადა აბერდინის უნივერსიტეტის მკვლევარმა **ალან ჯეიმსონმა.**

ახალი სახეობის კლასიფიცირებისთვის აუცილებელია თევზის დაჭერა და მეცნიერული გამოკვლევა, რაც ვერ მოახერხეს.

აქამდე ყველაზე ღრმა წყლებში აღმოჩენილი თევზი იყო პი ამბლისტომოფსისი, რომელიც 7 703 მეტრზე სიღრმეში ცურავდა. გამოთვლების მეშვეობით დამტკიცებულია, რომ 8 200 მეტრზე ღრმად თევზებს არ შეუძლიათ არსებობა, თუმცა ამ ახალმა აღმოჩენამ, შესაძლოა, ეს დასკვნა ეჭვქვეშ დააყენოს.

# ყველაზე ცნობილი მექალთანეები

**გავრცელებული აზრის მიხედვით, ქალებს შორის ყველაზე დიდი პოპულარობით მსახიობები, მუსიკოსები და ზოგადად, ხელოვანი ადამიანები სარგებლობენ. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ეს სულაც არ შეესაბამება სიმართლეს, რადგან ყველაზე დიდი მექალთანეების სიაში, რომელსაც ქვემოთ შემოგთავაზებთ, სხვადასხვა პროფესიის ადამიანებმა დაიკავეს ადგილი.**



## ფიდელ კასტრო

**ალბათ, ფიქრობდით, რომ ყველაზე დიდი მექალთანეების სია რომელიმე მსახიობით ან მომღერლით დაიწყებოდა, მაგრამ არა!**

გავრცელებული ხმების მიხედვით, კუბის დიქტატორ ფიდელ კასტროს 35 000 ქალთან ჰქონდა ურთიერთობა. კასტროს ადმინისტრაციის ერთ-ერთი წევრის თქმით, მას ოთხი ათწლეულის განმავლობაში, დღეში, სულ ცოტა, 2 ქალი ჰყავდა. მართალია, ზემოთ თქმული, შესაძლოა, არ შეესაბამებოდეს სინამდვილეს, მაგრამ, როდესაც 1993 წელს ჟურნალისტმა ანა ლუიზა ბარდახმა მას დაუსვა კითხვა შვილებთან დაკავშირებით, კასტრომ უპასუხა, რომ მათი რაოდენობა თითქმის ერთ ტომში მყოფი ადამიანების რაოდენობას უდრის. გარდა ამისა, ინტერვიუში კასტრომ აღნიშნა, რომ სექსს ყველა ადამიანის სასიცოცხლოდ აუცილებელ პირობად მიიჩნევს.



## სქრიმინგ ჯეი ჰოუკინსი

**2000 წელს, გარდაცვალების წინ, ექსცენტრულმა ბლუზის შემსრულებელმა ჰოუკინსმა საკუთარ ახლობლებს გაუმხილა, რომ 57 ბავშვის მამაა.** საოცარი გამოსვლებით ცნობილი მომღერალი, რომელმაც მსოფლიო პოპულარობა ჰიტით I put a spell on you მოიპოვა, ცნობილი არა მხოლოდ მუსიკით, არამედ მექალთანეობითაც იყო, თუმცა დრამის გარეშე არც მის ცხოვრებას ჩაუვლია. ერთ-ერთმა პარტნიორმა ქალმა მას ზურგში დანა ღალატის გამო ჩაარტყა. სიკვდილის წინ ჰოუკინსმა აღიარა, რომ ყველაზე მეტად ცხოვრებაში იმას განიცდიდა, რომ არ იცოდა, ზუსტად რამდენი ვაჟი ჰყავდა. მოცემული მომენტისთვის აღმოჩენილია ოფიციალურად დადასტურებული 33 მემკვიდრე.



## უილტ ჩემბერლენი

**1991 წელს გამოსულ ავტობიოგრაფიულ წიგნში „ხედი ზემოდან“, კალათბურთის სუპერვარსკვლავი უილტ ჩემბერლენი აღნიშნავს, რომ ცხოვრების განმავლობაში 20 ათასზე მეტ ქალთან ჰქონია სექსი.** 1999 წელს, სიკვდილამდე რამდენიმე ხნით ადრე, უილტმა სხვა მამაკაცებს სთხოვა, არ აღფრთოვანებულიყვნენ მისი „მიღწევებით“ და არ მიებაძათ მისთვის. მისი თქმით, ერთ ქალთან გატარებული ხანგრძლივი პერიოდი უფრო დიდი სიამოვნების მომტანია, ვიდრე ერთჯერადი ურთიერთობები.



## ჯეკ ნიკოლსონი

**მსახიობი ჯეკ ნიკოლსონი ყოველთვის ეხსომებათ „გუგულის ბუდეში“ შესრულებული ოსკაროსანი როლით, თუმცა მსახიობის მიღწევად, კინოროლების გარდა, მის აურაცხელ საყვარლებსაც მიიჩნევენ.**

როგორც ამბობენ, ნიკოლსონს სექსი 2000-ზე მეტ ქალთან ჰქონია. მას კავშირი ჰქონდა ანჟელიკა ჰიუსტონთან, მიშელ ფილიპსთან, ლარა ფლინ ბოილთან, ჯონი მიჩელთან, მელანი გრიფიტთან, მერილ სტრიპთან და ა. შ.

**„თუკი ვინმე მეუბნება, რომ მექალთანე ვარ, მე ამას არ უარვყოფ, თუმცა ჟიგოლოს ცხოვრება ყოველთვის ძალიან ცუდად მთავრდება. ეს ერთ-ერთი მიზეზია, რატომ ვგრძნობდი თავს ცუდად, როდესაც „სექს-სიმბოლოს“ მიწოდებდნენ. ახლა ძალა არ მაქვს, რომ ერთმანეთს მუშაობა და „ცულლუტობა“ შევუთავსო“,** — აღნიშნავს ჟურნალისტებთან საუბრის დროს 77 წლის ნიკოლსონი.

# დედამიწაზე ცხოველებს განადგურება ემუქრებათ



**დედამიწის ფაუნა შემაძრწუნებელი სიჩქარით განაგრძობს განადგურებას. ცხოველების ათასობით ჯიში ქრება, მიუხედავად გარემოს შენარჩუნებისა და მოფრთხილების პოლიტიკისა, რომელსაც მხარი ბევრმა ქვეყანამ აუბა.**

მსოფლიოს გარემოს დაცვის მონიტორინგის ცენტრის თანამშრომელი დერეკ ტიტენსონი აცხადებს, რომ წითელ წიგნში შესულია 46 000 სხვადასხვა ჯიშის არსება, რომელიც გადაშენების ზღვარზე იმყოფება. როგორც ჟურნალისტები აღნიშნავენ, ყველაზე სახიფათო სიტუაციაში ხმელეთის მკვიდრნი არიან, რომელთა რაოდენობა და ჯიშთა მრავალფეროვნება, შესაძლოა, უახლოეს მომავალში 41%-ით შემცირდეს. მათ მოსდევს ძუძუმწოვრები — 26%, ასევე საფრთხე ემუქრება ფრინველების 13%-ს.

ცხოველების სიკვდილის მიზეზად ადამიანების ისეთი საქმიანობა სახელდება, როგორიცაა ნადირობა, და, აგრეთვე, გლობალური კლიმატური ცვლილებები. 3,5 მილიარდი წლის განმავლობაში დედამიწაზე ფაუნის 95%-ზე მეტი წარმომადგენელი განადგურდა.

ქრონოგრაფი

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ყველაზე ლამაზი წიგნის მაღაზია

**ეს არ არის, უბრალოდ, იარლიყი, რომელსაც რეალობასთან არაფერი აქვს საერთო. ლათინურ ამერიკაში არსებული წიგნის მაღაზია, სახელწოდებით El Ateneo Grand Splendid, მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ლამაზ წიგნის მაღაზიად ითვლება.** მაღაზია არგენტინის დედაქალაქ ბუენოს-აირესში მდებარეობს. 1920 წლამდე შენობა თეატრ Teatro Grand Splendid-ს ეკუთვნოდა, სადაც არაერთი გრანდიოზული შოუ გამართულა. გასული საუკუნის შუა წლებიდან, თეატრი შეცვალა კინოთეატრმა, რომელიც 1991 წლამდე არსებობდა. ერთი პერიოდი ქალაქის მთავრობა შენობის დანგრევასაც ფიქრობდა, თუმცა, კომპანია Pero and Torres Armengol-ის არქიტექტორების დახმარებით, იგი გიგანტურ წიგნის მაღაზიად აქციეს და ამასთან, შეინარჩუნეს არქიტექტურა და შენობის ფრესკები.

## ყველაზე ქველმოქმედი ქვეყნები

**მსოფლიო ქველმოქმედების ინდექსს Charities Aid Foundation-ი გელაპის უნივერსიტეტის მონაცემებზე დაყრდნობით ადგენს.** იგი 153 ქვეყანას მოიცავს და გვიჩვენებს, რამდენად აქტიურია ამ ქვეყნების მოსახლეობა ქველმოქმედების სფეროში. პირველი მონაცემები 2010 წელს გავრცელდა, მაშინ რეიტინგის სათავეში ახალი ზელანდია, ავსტრალია და ირლანდია მოექცნენ. კვლევამ ნათელი გახადა, რომ ქველმოქმედების დროს ბედნიერება უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებს, ვიდრე სიმდიდრე, ანუ, რაც უფრო ბედნიერია ადამიანი, მით უფრო მეტია ალბათობა, რომ იგი სხვას დაეხმარება.

მსოფლიო ქველმოქმედების ინდექსი სამ ქცევას ეფუძნება: ქველმოქმედებისთვის გამოყოფილი თანხა, მოხალისეობა და უცნობი ადამიანისთვის დახმარების გაწევა. გასული წლის მონაცემებით, რომელსაც საფუძვლად მილიონზე მეტი ინტერვიუ უდევს, 2014 წლის ყველაზე ქველმოქმედი ქვეყნების ათეული შემდეგნაირად გამოიყურება: მიანმა, აშშ, კანადა, ირლანდია, ახალი ზელანდია, ავსტრალია, მალაიზია, გაერთიანებული სამეფო, შრი-ლანკა, ტრინიდადი და ტობაგო.




## კვადროციკლი უსაბურავებოდ



**კომპანია Polaris-მა მსოფლიოში პირველიმა შემოგვთავაზა უსაბურავებო ტრანსპორტი „ობუტი“. ახალი ბორბლები პირველმა მათმა ყველგანმავალმა WV850 H.O.-მა გამოსცადა.** სამხედრო ტექნიკის მოყვარულებს ამ კვადროციკლის დიზაინი, შესაძლოა, ეცნოთ. ეს სულაც არ არის შემთხვევითი, რადგან კომპანიამ ყველგანმავალის შესაქმნელად აიღო ამერიკული სამხედრო კვადროციკლი MV850 ATV. რკინის ძლიერი კარკასის გამო ამ ყველგანმავალს შეუძლია, ჩაიბას 600 კგ ტვირთი, თუმცა შეუძლია, ნელი სიჩქარით გაწიოს 1400 კგ. ალბათ, სწორედ ამიტომ შეარქვეს მას მინიატურული ტანკი ლულის გარეშე.

მაგრამ მთავარი მაინც Terrain Armor-ის ბორბლებია, რომლებიც, Polaris-ის განცხადებით, 50 კალიბრის ტყვიებს უძლებს. რაც შეეხება კვადროციკლს, ის მალე შეზღუდული რაოდენობით გამოვა და 15 000 დოლარად გახდება ხელმისაწვდომი.

## მზერით დამარცხებული მძიმე დაავადებები

**დინარა ლაზარაშვილის პრაქტიკაში უამრავი შემთხვევაა, როცა ადამიანები (უმძიმესი დიაგნოზით) განიკურნენ და დღემდე შრომისუნარიანი არიან. სიმსივნეები, შაკიკი, პაპილომა, მელანომა, ასთმა, გულსისხლძარღვთა, ქალური, კუჭის, თვალის (კატარაქტა, გლაუკომა, სიელმე) დაავადებები, ჰეპატიტი (A, B, C), რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, ნევროზი, სტაფილოკოკები – ეს არასრული ჩამონათვალია იმ დაავადებებისა, რომელთაც იგი მზერით მკურნალობს. არ აქვს მნიშვნელობა დაავადებას, მთავარია, პაციენტმა პირველივე სეანსიდან იგრძნოს შვება.**



**პაციენტი ს. პ.:**

— 3 თვის წინათ მოვიტეხე ფეხი, დამიდგინდა მუხლის სახსრის ძვლოვანი კომპონენტების დაზიანება, გარდაუვალი იყო ქირურგიული ჩარევა, რაზეც დაუფიქრებლად უარი განვაცხადე, ცნობილი მკურნალის — ასკურავას პროცედურებით შემოვიფარგლე. მოძრაობა მიჭირდა, ყავარჯნით დავდიოდი, ამას თან დაერთო მტევნებისა და თითების დაბუჟება, მქონდა მოულოდნელი გათიშვები, საერთო სისუსტე, მხედველობის დაქვეითება, პროსტატაც მაწუხებდა, ოსტეოქონდროზიც, რომელი ერთი ჩამოვთვალო. მძღოლი ვარ და, რა თქმა უნდა, შეუძლებელი იყო ჩემი მუშაობაც. დინარა ლაზარაშვილთან, ძირითადად, ტრავმის შემდგომი ტკივილების გამო მივედი. ჩემდა გასაკვირად, მისი სეანსებით წარმოუდგენლად მოკლე დროში ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ჩივილი მომეხსნა, მე-20 დღეა, დავდივარ, ყავარჯენსაც აღარ ვხმარობ, მხრებშიც გავიმართე, თითებიც ამოძრავდა, მომემატა ენერგია, ხალისი, საჭესთანაც ვზივარ და ვემსახურები ადამიანებს. დინარას წყალობით თავი ისევ სრულფასოვან ადამიანად ვიგრძენი. მადლობის მეტი რა მეთქმის.

**პაციენტი ე. დ. (46 წლის):**

— 15 წლის წინ დედას დაუდგინდა პიელონეფრიტი, გაიკეთა ოპერაცია, სადინარიდან ამოუღეს კენჭი. ერთი წლის შემდეგ კი მოულოდნელად გახდა ცუდად — სისხლზე გადიოდა, ერითროციტები განუსაზღვრელი რაოდენობით ჰქონდა და ცილები — 48, დაუსვეს გიდროზული ნეფრიტის დიაგნოზი. სწორედ მაშინ შევიტყვეთ დინარა ლაზარაშვილის არსებობა. მასთან დედა უმძიმეს მდგომარეობასი მივიყვანე, 3 სეანსის შემდეგ შეუჩერდა სისხლდენა. სრულიად უვნებელმა სეანსებმა დადებითად იმოქმედა ღვიძლზეც, ვენების ვარიკოზსა და სხვადასხვა პათოლოგიებზე. დედა ისე გამოჯანმრთელდა, რომ მკურნალობის შემდეგ ჩემს დასთან გაფრინდა გერმანიაში. დღეს იგი 78 წლისაა და ჩემზე მეტად ენერგიულია. ახლახან კი დინარასთან მე მოვხვდი, საშვილოსნოსა და მკერდის პრობლემების გამო. დღესაც ვნანობ, ოპერაცია რომ გავიკეთე და დინარას არ მივმართე. გვიან ასაკში გავთხოვდი, შვილი ძალიან მინდოდა, ამის გამო მომიწია ექიმთან მისვლა. დამისვეს საშვილოსნოს ადენოკარცენომის დიაგნოზი (II სტადია), შოკისმომგვრელი იყო გადაწყვეტილების მიღება საშვილოსნოს ამოღებაზე, თუმცა ექიმების კონსილიუმის გადაწყვეტილებით სხვა გზა არ მრჩებოდა. 2012 წელს კი ილლიისა და მარცხენა ძუძუს ნაწილში განვითარდა რეციდივი და მომიხდა მისი ამოკვეთა. შემდგომ ქიმიო და სხივური თერაპიის სრული კურსიც ჩავიტარე. 1 წლის შემდეგ კი ისევ შემაწუხა მცირე მენჯისა და მკერდის არეში სიმაგრემ, ხელს ზემოთ ვერ ვწვედი. ერთ-ერთი გაზეთის წყალობით მივაგენი ქ-ნ დინარას, შედეგი გამაოგნებელია, სიმაგრეები დღითიდღე რბილდებოდა. მე-9 დღეს ჩავიტარე მამოგრაფია, სიმაგრე სრულიად ალაგდა. მთელი ოჯახის სახელით მადლობას ვუხდით ქ-ნ დინარას.

**ქალბატონ დინარას მიმართეთ: 555-73-24-62**



## ინტერნეტს გაქრობას უპირებენ

**კომპანია „გუგლის“ ხელმძღვანელი და მსოფლიოს უმდიდრესი ბიზნესმენი ერიკ შმიდტი ინტერნეტთან დაკავშირებით სენსაციურ განცხადებსა აკეთებს. მისი დასკვნით, გლობალური ქსელის დღეები დათვლილია და მოკლე ხანში ინტერნეტი საერთოდ გაქრება. ეს მოსაზრება მან დავოსში მიმდინარე ეკონომიკურ ფორუმეზე ერთ-ერთი დისკუსიის დროს გამოთქვა.**

კითხვაზე, თუ რა მომავალი ელის გლობალურ ელექტრონულ ქსელს, შმიდტმა განაცხადა: „მარტივად გიპასუხებთ. ინტერნეტი მალე გაქრება. იმდენი IP მისამართი, მოწყობილობა და ნივთი გაჩნდება, რომლებიც თან უნდა ატაროთ და რომლებიც თქვენი ყოველდღიური საქმიანობის განუყოფელი ნაწილი გახდება, რომ მის არსებობას ვეღარც იგრძნობთ“.

მისი თქმით, თანამედროვე ადამიანი უზარმაზარ ტექნოლოგიურ ერაში ცხოვრობს, რომელშიც მოვლენები ელვისებური სისწრაფით ვითარდება. **„ეს სმარტფონების ერაა. დღეს შეუძლებელია იმის განჭვრეტა, როგორი იქნება ეს ინფრასტრუქტურა. ფაქტია, რომ მოთამაშეთა უზარმაზარი ნაკადი ცდილობს სმარტფონების გაძლიერებას, ისინი სუპერკომპიუტერები გახდებიან. ეს ბაზარი უკვე ღიაა“,** — განაცხადა ბიზნესმენმა.



## ტვინიდან ნეგატივს წაშლიან

**მეცნიერები ირწმუნებიან, რომ ელექტროშოკის თერაპიით (ECT) ტვინიდან ცუდი მოგონებების წაშლაა შესაძლებელი. ECT საუკეთესო საშუალებაა ძლიერი დეპრესიის სამკურნალოდ.**

ქალაქ ნეიმეგენის უნივერსიტეტის — Radboud-ის ნეირომეცნიერი მარინ კროესი და მისი კოლეგები ამბობენ, რომ შეუძლიათ, პაციენტის მეხსიერებიდან უსიამოვნო ეპიზოდები გააქრონ. კროესი და მისი გუნდი დაკვირვებას 42 პაციენტზე აწარმოებდნენ — მათ კლინიკური დეპრესიის მკურნალობისთვის ECT დაუნიშნეს.

ექსპერიმენტისას მეცნიერებმა სლაიდ-შოუში დააფიქსირეს ორი ძლიერი სტრესული ამბავი, რომლებიც პაციენტებს სიმშვიდეს უფრთხობდა — ავტოავარია და ფიზიკური ძალადობა. გუნდის წევრებმა პაციენტებს მოგვიანებით უთხრეს, რომ ამ ორი ისტორიიდან მხოლოდ ერთზე ეფიქრათ, რომელიც მათ გულს ყველაზე მეტად სტკენდა, ამ დროს კი ელექტროშოკური თერაპია დაიწყეს; ექსპერიმენტიდან 1 დღის შემდეგ ექიმებმა მათ ამ მძიმე ეპიზოდის გახსენება სთხოვეს — უმეტესობამ ყველაზე მტკივნეული ამბავი, რომელმაც მათი ცხოვრება უარესობისკენ შეცვალა, ვერ გაიხსენა, ზოგმა კი მხოლოდ ბუნდოვანი კადრები აღიდგინა, მაგრამ ამ შემთხვევაშიც კი, ისინი ტკივილს აღარ გრძნობდნენ და ისეთი განცდა ჰქონდათ, რომ რაღაცისგან გათავისუფლდნენ. როგორც მეცნიერები ამბობენ, ექსპერიმენტმა ცხადყო, რომ თერაპია პროცესს გარკვეული დროით ბლოკავს.

მეცნიერთა გუნდი კიდევ ერთხელ აცხადებს, რომ ეს თემა ძალიან ფაქიზია და მისი დანერგვა მხოლოდ კარგად შესწავლის შემდეგაა მიზანშეწონილი.

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამერიკისადმი მონურ მორჩილებას არ სჯობს, საქართველოს მთავრობამ საქართველოს საქმე აკეთოს? ვიყოთ კარგად როგორც ამერიკასთან, ისე ევროპასთან, მაგრამ რუსეთთან მოლაპარაკებებით ვეცადოთ ჩვენი პრობლემების მოგვარება. რაც უფრო გაბედულად დავიწყებთ ქართველები დამოუკიდებლად საქმის კეთებას, მით მეტად მოგვეპყრობიან პატივისცემით — ეს თქვენ ჩემზე უკეთ უნდა იცოდეთ.**

# ღია წერილი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს, ქალბატონ თამარ ბერუჩაშვილს

**ჩვენ, ლტოლვილებს აფხაზეთიდან, მიუხედავად იმისა, რომ ყოველდღიურად ვგრძნობთ ხალხის თანადგომას, ძალიან გვენატრება აფხაზეთი, ჩვენი სახლ-კარი, რომელიც ყოფილი მთავრობების უგუნურებამ დაგვაკარგვინა. ქართული სამხედრო შენაერთები უჭკუო კიტოვანის ხელმძღვანელობით შეჯლიგინდნენ სოხუმში ტანკებით, ესროლეს ლენინის ძეგლს და თავი მოაძრეს, აფხაზეთის დროშა ჩამოხსნეს მთავრობის შენობიდან და თბილისში გააფრინეს. აი, სწორედ ასეთმა უგუნურმა და მოღალატეობრივმა ქმედებებმა დაგვაკარგვინა აფხაზეთი. სააკაშვილმა კი ეს არ იკმარა და თავისი პროვოკაციებით ცხინვალის რეგიონიც დაგვაკარგვინა — მისცა რა საშუალება რუსეთს, დაუფლებოდა ორივე რეგიონს. დიდი ალბათობით, მან ეს შეგნებულად განახორციელა და მტერია საქართველოსი.**



გამოსავალი ერთია — რაოდენ მძიმეც უნდა იყოს ჩვენთვის, რუსეთისადმი დამოკიდებულება უნდა შევცვალოთ. კი, ბატონო, გეთანხმებით: რუსეთი ოკუპანტია — ეს საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას გათვითცნობიერებული აქვს, მაგრამ ახლა რა ვქნათ — ვიძახოთ, რუსეთი ოკუპანტიაო და ამით გამოვა რამე? მოგვიტანს ეს კარგს? — რასაკვირველია, არა, ამიტომ **ჭკუით უნდა ვიმოქმედოთ — ეს ჩემზე უკეთესად თქვენ უნდა იცოდეთ.**

ახლა კი შევეხები თქვენს წერილს, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ „ახალი თაობის“ ფურცლებზე 2015 წლის 17 იანვარს.

ბოლო ორი წლის განმავლობაში ბევრი კარგი რეფორმა ჩატარდა, როგორც ჯანდაცვის, ისე ბევრ სხვა სფეროში, მაგრამ საზოგადოების უმრავლესობა ხედავს, რომ ერთი უკიდურესობიდან ვვარდებით მეორეში. **თქვე ოჯახაშენებულებო, რომ დაგიჩემებიათ, ევროკავშირი აგვაშენებსო, დავიჯერო გაზეთებს არ კითხულობთ?** თუ კითხულობთ, ხომ უნდა იცოდეთ, რომ ინგლისი, იტალია, საბერძნეთი და სხვა ქვეყნები 2015 წელს აპირებენ ევროკავშირიდან გამოსვლას. ამერიკას რომ ეტმასნებით, რა გაგვიკეთა? **ერთადერთი — 2008 წლის ომში პამპერსებით დაგვეხმარნენ. მათ მხოლოდ ჩვენი ჯარისკაცები და ტერიტორია სჭირდებათ.** არა მგონია, ეს თქვენს მთავრობას არ ესმოდეს. ორი კურდღელი ერთდროულად ჯერ არავის დაუჭერია. ამერიკისადმი მონურ მორჩილებას არ სჯობს, საქართველოს მთავრობამ საქართველოს საქმე აკეთოს? ვიყოთ კარგად, როგორც ამერიკასთან, ისე ევროპასთან, მაგრამ რუსეთთან მოლაპარაკებებით ვეცადოთ ჩვენი პრობლემების მოგვარებას (ამას თვითონ ამერიკა და ევროპა გვეუბნება). **რაც უფრო გაბედულად დავიწყებთ ქართველები დამოუკიდებლად საქმის კეთებას, მით მეტად მოგვეპყრობიან პატივისცემით — ეს თქვენ ჩემზე უკეთ უნდა იცოდეთ.**

თქვენ ამბობთ (ეს გაზეთებში იბეჭდება), რომ რუსეთი არასწორ პოლიტიკას ატარებს უკრაინის მიმართ, რომ რუსეთი პროვოკაციულ გზას დაადგა უკრაინის მიმართ. როგორ ფიქრობთ, რა რეაქცია ექნება ამაზე რუსეთს? ამის შემდეგ რატომ ითხოვთ რუსეთისგან ჩვენდამი პატივისცემას? **სწორედ ამერიკისა და ევროპისადმი თქვენმა მონურმა დამოკიდებულებამ გაიძულათ, ასე მოქცეულიყავით. ასეთი პოლიტიკის გატარების გამო კი თქვენდამი ქართველი საზოგადოების ნდობა ნელ-ნელა ქრება.**

ამბობთ, რომ რუსეთისთვის სანქციების დაწესება საუკეთესო სტრატეგიაა აგრესიის შესაჩერებლადო. უფრო მეტიც, ამბობთ რომ უკრაინაში მრჩეველთა მისიაში აპირებთ მონაწილეობას. ამას დავუმატოთ ისიც, რომ მთავრობა ნატოს საწვრთნელ ბაზას ქმნის საქართველოში... **როგორ ფიქრობთ, ეს მოეწონება რუსეთს და საპასუხოდ რას მოიმოქმედებს — კიდევ არ ჩამოგვაჭრის ტერიტორიებს? — თქვენ დიპლომატიაში მუშაობის დიდი სტაჟი გაქვთ და ეს არ უნდა შეგეშალოთ.**

**ხელმძღვანელ თანამდებობებზე მოღვაწე მოხელეები გაზეთებს რომ არ კითხულობენ და ისტორიაში მოიკოჭლებენ, იქიდანაც ჩანს, რომ მხარს უჭერენ უკრაინის მთავრობას, რომლებიც ფაშისტი სტეფან ბანდერას მიმდევრები არიან. ეს ის ბანდერაა, რომელიც ჰიტლერის არმიასთან ერთად მსოფლიო ბატონობისთვის იბრძოდა და ხოცავდა ხალხს, მათ შორის, ქართველებს. მათი ტყვია მეც მერგო მეორე მსოფლიო ომის პერიოდში. უკრაინის ამჟამინდელი მთავრობის ხელმძღვანელები კი ფაშისტების საქმის გამგრძელებელნი და ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი აგენტურის შვილები და შვილიშვილები არიან** — ნახევარზე მეტი ეროვნებით უკრაინელი არ არის — ან დედის გვარზეა, ან კიდევ, ვინ იცის, ვის. მათი ხელმძღვანელობით დიდი ისტორიის მქონე უკრაინელ ხალხს გამარჯვება არ უწერია, ქვეყანა შეიძლება დაიშალოს კიდეც.

**ხელმძღვანელ თანამდებობებზე მოღვაწე მოხელეები გაზეთებს რომ არ კითხულობენ და ისტორიაში მოიკოჭლებენ, იქიდანაც ჩანს, რომ მხარს უჭერენ უკრაინის მთავრობას, რომელიც ფაშისტი სტეფან ბანდერას მიმდევარია. ეს ის ბანდერაა, რომელიც ჰიტლერის არმიასთან ერთად მსოფლიო ბატონობისთვის იბრძოდა და ხოცავდა ხალხს, მათ შორის, ქართველებს. მათი ტყვია მეც მერგო მეორე მსოფლიო ომის პერიოდში. უკრაინის ამჟამინდელი მთავრობის ხელმძღვანელები კი ფაშისტების საქმის გამგრძელებელნი და ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი აგენტურის შვილები და შვილიშვილები არიან**

მოვუწოდებთ ბატონ ირაკლი ღარიბაშვილის მთავრობას: სათანადოდ აღნიშნოს ფაშიზმზე გამარჯვების 70 წლისთავი, რომელსაც მსოფლიო 2015 წლის 9 მაისს იზეიმებს; სათანადოდ დააფასოს მეორე მსოფლიო ომის მონაწილე ქართველი ვეტერანები, რადგან ფაშიზმის გამარჯვება ქართველებისთვისაც ტრაგიკულად დამთავრდებოდა. ქართველებს გადასახლება ელოდათ, საქართველო კი გერმანელების ელიტურ დასასვენებელ ადგილად იყო მიჩნეული.

თუ ვინმეს ჩემი არ სჯერა, ვურჩევ, გაზეთ „საქართველო და მსოფლიოში“ წაიკითხოს ბატონი გიორგი გაჩეჩილაძის წერილები სათაურით: „გერმანულის გაკვეთილები უკრაინისათვის და არა მხოლოდ მისთვის“, რომლებშიც მოყვანილი უტყუარი ფაქტები ადასტურებს ჩემს მოსაზრებებს — განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ბატონი გიორგი დეტალურად აღწერს ჰიტლერელებისა და უკრაინელების კავშირს, ფლობს უამრავ ინფორმაციას და ვრცლად აშუქებს ჰიტლერელების, ბანდერელებისა და ამერიკის სპეცსამსახურების საქმიანობას. ყველამ უნდა გააცნობიეროს, რომ სახელწიფო გადატრიალება უკრაინაში მოაწყო ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და თავისი გამოზრდილები დასვა უკრაინის მმართველებად. აშშ-ის მიზანი ცნობილია — რუსეთს ალყა შემოარტყას, დაშალოს და მსოფლიოზე გაბატონდეს, ამასთანავე, რუსეთთან ერთად მოსპოს და გაანადგუროს მართლმადიდებლობა, მოსპოს ყოველივე ეროვნული.

უნდა შეგახსენოთ სავიზო რეჟიმის გაუქმების შესახებაც. როგორ ფიქრობთ, **ევროკავშირის ქვეყნებთან სავიზო რეჟიმის გაუქმება (რასაც დიდი ზეიმით ხვდება მთავრობა) ისედაც დაცლილ საქართველოს დიდ უბედურებას არ მოუტანს?** მშიერი ხალხი უცხოეთში გადაიხვეწება საქართველოს მიწა-წყალს კი უცხოელები დაეპატრონებიან. სწორედ ეს უნდათ — ჩვენისთანა ტრადიციების მქონე მართლმადიდებელი ერი არც ამერიკას ეპიტნავება და არც ევროკავშირს. საქართველოში აშშ-ის ელჩის — ნორლანდის თვალებში ციცინს, სჯობს, საქართველოს მთავრობამ ქვეყანა გაწმინდოს დამნაშავე პროკურორებისა და სხვა ულირსი ელემენტებისგან.

სირცხვილია, რომ ჟვანიას, შარაძის, რობაქიძის, ვაზაგაშვილისა და სხვათა საქმე ჯერ კიდევ გაუხსნელია.

დროა, საკაშვილის პირსისხლიანი რეჟიმის წარმომადგენლებს სათანადოდ მიეზღოთ, თქვენ კი მხოლოდ „ნაციონალების“ მიერ წამოყენებულ საკითხებზე პასუხის გაცემით ხართ დაკავებული. თავზე წამოგასხდნენ „ნაციონალები“, გაჯეჯილდნენ პარლამენტში — იმის მაგივრად, რომ ყველგან — რადიოში, ტელევიზიაში, პარლამენტში და სხვაგან „ნაციონალების“ მიერ ჩადენილ დანაშაულებზე ფაქტებს ამზეურებდეთ, საზოგადოება ხედავს, რომ პირიქით ხდება — ისინი გადანაშაულებენ თქვენ.

მთავრობამ თავი უნდა დაანებოს ყმაწვილების დანიშვნას საპასუხისმგებლო თანამდებობებზე, კადრების შერჩევისას მხოლოდ მეგობრობა ან ნათესაობა არ უნდა იყოს გადამწყვეტი ფაქტორი. მოიზიდეთ გამოცდილი კადრები, რადგან გამოცდილება გამარჯვების საწინდარია.

ლაპარაკობთ, კადრები არ არისო — ეს არის ტყუილი. სად არის სოფლის მეურნეობის ყოფილი მინისტრი — გამოცდილი პიროვნება, რომელიც ტყუილუბრალოდ გააგდეთ? დააბრუნეთ ის, ხოლო ამჟამინდელი მინისტრი 4-5 წელი ამუშავეთ განყოფილების უფროსად და ამის შემდეგ შეიძლება, მისი დაწინაურება.

თუ ადამიანს დანაშაული არ ჩაუდენია და კარგად მუშაობდა შევარდნაძის თუ სააკაშვილის მმართველობის პერიოდში, რატომ არ უნდა დაწინაურდეს? ასეთები ბევრია — მინდია უგრეხელიძე, ლადო ჭანტურია, ნოდარ ჭითანავა...

სჯობს, გამოასწოროთ სააკაშვილის მიერ ჩადენილი დანაშაული და აღადგინოთ ქუთაისში დანგრეული მემორიალი. გორში, მუზეუმის ეზოში მაინც დადგით სტალინის ძეგლი! დანაშაულია, რომ გენიოსი, რომლის წინაშეც ქედს იხრიდნენ ისეთი პიროვნებები, როგორებიც იყვნენ აშშ-ის პრეზიდენტი რუზველტი და ბრიტანეთის პრემიერმინისტრი ჩერჩილი, ჰიტლერს შეადარო, როგორც ეს გააკეთა საგარეო საქმეთა ყოფილმა მინისტრმა, ქალბატონმა ფანჯიკიძემ.

ნუთუ მთავრობას არ ჰყავს თანამშრომლები, რომლებიც გააანალიზებენ პერიოდულ პრესას და მოახსენებენ ხელისუფალთ, ან რას აკეთებენ თქვენი მრჩევლები?

როცა გაზეთი „საქართველოს ვეტერანი“, სახსრების უქონლობის გამო, აღარ გამოიცემოდა, ჩვენ, ვეტერანებმა, პრესის მეშვეობით ვითხოვეთ, რომ საქართველოს მთავრობას გამოეყო საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა კავშირისთვის 150 ათას ლარამდე, მაგრამ ჩვენი წერილი უპასუხოდ დარჩა. არადა, შევარდნაძის პერიოდში ამ კავშირს 300 ათას ლარამდე ერიცხებოდა და „საქართველოს ვეტერანი“ დიდი ტირაჟით იბეჭდებოდა. ამჟამადაც **გთხოვთ, ვეტერანთა კავშირს გამოუყოთ თანხა გაზეთის გამოსაცემად.**

ალბათ, იტყვით, ვინ არის ეს კაცი, ჭკუას რომ გვარიგებსო, მაგრამ 90 წელს მიღწეული მრავალჭირნახული ადამიანის აზრი, შეიძლება, სასარგებლო იყოს. თქვენი მთავრობის გამარჯვება სულითა და გულით მსურს.

მოგიწოდებთ ხალხის წინაშე აღებული ვალდებულებების შესრულებისკენ, სხვა შემთხვევაში თქვენი მოღვაწეობა დამთავრდება სრული კრახით, ხოლო სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმის ჯალათებს ხალხი საკადრის პასუხს გასცემს და მიაბრძანებს იქ, სადაც ისინი ცოცხებით აუპატიურებდნენ ადამიანებს!

**მამანტი ჯოლია,**
**აფხაზეთიდან დევნილი ქართველ უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, აფხაზეთის ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა კავშირის საპატიო თავმჯდომარე, 6 ორდენისა და 29 მედლის კავალერი, გადამდგარი პოლკოვნიკი**

# ბალზამი ,,ალტაის ათმაგი ძალა“
# მაჩვის ქონი + ათმაგი ძალა!

## 100% ხარისხის გარანტია

## ბალზამი ,,ალტაის ათმაგი ძალა“– 10 ნატურალური კომპონენტი



ბალზამი მხოლოდ ნატურალური კომპონენტებისგან შედგება. თითოეული მათგანი თავისთავად უნიკალურია. ესენია - მუმიო, მაჩვის ქონი, ჩაგა (არყის სოკო), ჩრდილოეთ ირმის ნორჩი რქების კონცენტრატი, კაკლის ზეთი, ნარშავის ზეთი, ყვავილის მტვერი, პროპოლისი და ქარვის მჟავა. მსგავსი ბალზამი არ არსებობს და ალბათ შეუძლებელია დღევანდელ დღეს ვინმემ შექმნას სამკურნალო საშუალება, რომელიც საუკუნეების მანძილზე გამოცდილ ბალზამს ჩაანაცვლებს. მისი მოქმედების სიძლიერე შემადგენელი უძვირფასესი კომპონენტების ურთიერთშეთანხმებითა და მათი პროპორციითაა განპირობებული. ბალზამის შემადგენლობის ცვლილება - რომელიმე კომპონენტის სხვა ნივთიერებით ჩანაცვლება ან პროპორციის შეცვლა დაუშვებელია, რადგან ამის შედეგად, ბალზამი ეფექტურობას დაკარგავს.

ამბობენ, რომ ჯანმრთელობას ვერ იყიდი. ამაში არის ჭეშმარიტების მარცვალი. თუმცა ბალზამის შეძენა, რომელიც ბევრ სნეულებას ამსუბუქებს, ყველასთვის ხელმისაწვდომია. ბალზამი „ალტაის ათმაგი ძალა" მრავალფეროვანი მოქმედებით ხასიათდება. მას სხვადასხვა დროს იყენებენ ადამიანები. აი, მცირედი ჩამონათვალი ამ დაავადებებისა: **გულ-სისხლძარღვთა სისტემის: სტენოკარდია, წნევის ძლიერი ცვალებადობა, არითმია, ათეროსკლეროზი, თრომბოფლებიტი, ვარიკოზი.** ბალზამის მიღება მინიმუმამდე ამცირებს ინფარქტის, ინსულტის განვითარების რისკს.

**საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის:** ართრიტი, ართროზი, პოლიართრიტი, პოდაგრა, ოსტეოქონდროზი.

**ცენტრალური ნერვული სისტემის:** გონებრივი გადაღლა, შრომისუნარიანობის დაქვეითება, ყურადღების და მეხსიერების დაქვეითება, ტვინში სისხლის მიმოქცევის აღდგენის მიზნით, ინსულტის შემდეგ რეაბილიტაციისთვის (პარალიჩი [დამბლა] – ხელის, ფეხის, სხეულის სხვა ნაწილების).

**საჭმლის მომნელებელი სისტემის:** გასტრიტი, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები, ღვიძლის დაავადებანი (ჰეპატიტი, ციროზი), ნაღვლის ბუშტის დაავადებები (ქოლეცისტიტი, ნაღველკენჭოვანი დაავადება), კუჭქვეშა ჯირკვლის დაავადება (პანკრეატიტი), ნაწლავის დაავადებები (დიზბაქტერიოზი, კოლიტი, სწორი ნაწლავის ნახეთქები) და ბუასილი.

**ენდოკრინული სისტემის:** შაქრიანი დიაბეტი, ფარისებრი ჯირკვლის დაავადებები.

**სისხლმბადი ორგანოების:** ჰემოგლობინის დაქვეითება.

სასუნთქი სისტემის: ჰაიმორიტი, ბრონქიტი, ბრონქული ასთმა, პნევმონია, ქრონიკული ხველა. ბალზამი წარმატებით გამოიყენება ტუბერკულოზის კომპლექსური მკურნალობისას.

**შარდ-სასქესო სისტემის:** თირკმლის დაავადებები (პიელინეფრიტი ნეფრიტი), შარდის ბუშტის დაავადებები (ცისტიტი, ურეთრიტი), საშვილოსნოს ყელის ეროზია, მიომა ქალებში; პროსტატის ადენომა, პროსტატიტი, პოტენციის დაქვეითება - მამაკაცებში.

**პერიფერიული ნერვული სისტემის:** რადიკულიტი, ნევრიტი, ნევრალგია.

**კანის საფარველის:** ფსორიაზი, ჰერპესი, დერმატიტი, ნეიროდერმიტი, ეკზემა, ტროფიკული წყლულები.

**მხედველობის დარღვევა და თვალის დაავადებები:** გლაუკომა, კატარაქტა, კონიუქტივიტი, მხედველობის დაქვეითება.

ბალზამი გამოიყენება **იმუნიტეტის გაძლიერების მიზნით**, მათ შორის სეზონური გაციებების მატებისას - მწვავე რესპირატორული დაავადების, გრიპის, ანგინის დროს, ზოგადი სისუსტისას.

დიდი ხანია რაც მაწუხებდა სისხლ-ძარღვების შევიწროვება. ამის გამო მქონდა საშინელი ტკივილი კისრისა და საყელის მიდამოში, კუნთების დაჭიმულობა, თავბრუსხვევა, მაღალი წნევები,მხედველობის დაქვეითება და შუილი ყურებში. რა მედიკამენტი არ ვცადე მაგრამ შედეგი მაინც არ მქონდა. ბოლოს თქვენი უნიკალური პრეპარატების შესახებ გავიგე გაზეთებიდან და გადავწყვიტე მიმეღო მალამო „ეფექტუმი„. სულ დამჭირდა 2 კოლოფი. მალამოს ვისმევდი მტკივნეულ ადგილებზე და კისრისა და საყელოს მიდამოზე დღეში 2-ჯერ. ახლა შედეგი მაქვს. კაპილარები გამაგრდა და გასუფთავდა, სისხლის ცირკულაცია გაუმჯობესდა. მომეხსნათავბრუსხვევა, შუილი ყურებში, დარეგულირდა წნევა და მხედველობა მომემატა. დიდი მადლობა თქვენს კომპანიას!.გავხდი მხნე და ენერგიული. **გიორგი ჩხაიძე. 80 წლის. ქ. ოზურგეთი.**

მამაჩემმა გადაიტანა იშემიური ინსულტი შარშან. იყო უმძიმეს მდგომარეობაში. მოხდა ორივე კიდურის პარალიზირება და მეტყველების შეზღუდვა. ჰქონდა მაღალი წნევები, თავბრუს ხვევა, ნევროზი და უძილობა. იყო დიდი რისკი ინსულტის განმეორების. რათქმაუნდა დაუწყეთ მედიკამენტოზური მკუნალობა მაგრამ არცერთი ნაბიჯი წინ არ გადადგმულა. მდგომარეობა რთულდებოდა.

თქვენი უნიკალური პრეპარატების შესახებ გავიგე გაზეთიდან. თავიდან არ მჯეროდა ამდენი შედეგების,რასაც ვკითხულომდი გამოხმაურებებში, მაგრამ ბოლოს გადავწყვიტე მეცადა. გვირჩიეს დაგვეწყო ბალზამი „ალტაის ათმაგი ძალით„ ინსულტის შემდგომი პერიოდისთვის. მამამ მიიღო უკვე 5 კოლოფი და შედეგით ძალიან კმაყოფილი ვართ. დარეგულირდა წნევა, მეტყველება წამოვიდა და პარალიზირებული კიდურები აამოძრავა. ვაგრზელებთ მკურნალობას. დიდი მადლობა რომ არსებობთ! **ზაური გუჯაბიძე. 74 წლის. ქ. ფოთი.**

თქვენი უნიკალური პრეპარატები დამეხმარა ჯამრთელობის პრობლემების დარეგულირებაში. გრიპმა დამიტოვა ქრონიკული ხველა, დაბალი იმუნიტეტი,საერთო სისუსტე.რა არ ვცადე მაგრამ ხველა არ წყდებოდა. გარდა ამისა მქონდა ცვალებადი წნევა,სახსრების ანთება, ოსტეოქონდროზი და პოდოგრა მარცხენა ქვედა კიდურზე.კიბეებზე ასვლა და ფეხსაცმლის ჩაცმა ძალიან მიჭირდა. ვიტანჯებოდი უძილობით და ხშირი შარდვით.

ვერ წარმომედგინა თუ ამდენი პრობლემის მოგვარბას შევძლებდი ბუნებრივი პრეპარატებით.შედეგით ძალიან კმაყოფილი ვარ.სულ მივიღე 6 „პრომიოდი„. შემდეგ კი 7 კოლოფი „ალტაის ათმაგი ძალა„ და ბოლოს 5 კოლოფი ჟივიცა. შედეგს მოთმინებით ველოდი, ვინაიდან ვიცოდი რომ, ქრონიკულ დაავადებებს ხანგრძლივი მკურნალობა სჭირდება. დიდი მადლობა თქვენს კომპანიას! **ზინაიდა ბედალაძე. 85 წლის. ქ. თბილისი**



თქვენი კომპანიის შესახებ გავიგე ახლობლისგან . გავეცანი ინფორმაციას და გადავწყვიტე მიმეღო ზეთი „ჟივიცა„ და ბალზამი „ალტაის ათმაგი ძალა„ კომბინირებულად.მქონდა პრობლემა კუჭ-ნაწლავში: შეკრულობა, შებერილობა, მუცლის ტკივილი.მაღალი წნევების დარეგულირებას ვერ ვახერხებდი. დაბალი იმუნიტეტის გამო ხშირად ვცივდებოდი და ვიყავი ენერგია გამოცლილი. სულ მივიღე 4 კოლოფი „ალტაის ათმაგი ძალა„ და 3 კოლოფი „ჟივიცა„ . შედეგი მაქვს. დარეგულირდა წნევა და მოწესრიგდა კუჭ-ნაწლავი„. მომემატა ენერგია დაიმუნიტეტი. დიდი მადლობა! გადავწყვიტე პერიოდულად მივიღო თქვენი ნატურალური პრეპარატები შედეგის შესანარჩუნებლად. დალი **მანაგაძე. 62 წლის. ქ. თბილისი.**

დედაჩემის მაგივრად გიხდით მადლობას . თქვენმა პრეპარატებმა ის ფეხზე დააყენა. ორი წელია რაც ვმკუნალობდით ქიმიური მედიკამენტებით და შედეგი არ იყო. სახსრების ანთების გამო უჭირდა გადაადგილება სახლშიც კი. ტკივილები საშინელი.გამაყუჩებლებიც არ ეხმარებოდა.იყო ენერგიაგამოცლილი, ჰქონდა დაბალი იმუნიტეტი, ნევროზი და უძილობა.

ბოლოს გადავწყვიტეთ გვეცადა თქვენი კომპანიის პრეპარატები. გვირჩიეს მიგველო ბალზამი „ალტაის ათმაგი ძალა„ შინაგანად და მალამო „ეფექტუმი„ გარეგანად. სულ მიიღო 7 კოლოფი ბალზამი და 3 კოლოფი ეფექტუმი.შედეგი არის. დედა გადაადგილდება თავისუფლად ტკივილების გარეშე, მოემატა ენერგია და იმუნუტეტი, გამოიყურება მხნედ და ხალისიანად. დიდი მადლობა! **ზამირა ოქრიაშვილი. 67 წლის. დმანისი.**



დიდი მადლობა რომ არსებობთ და გვეხმარებით ჯამრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების დარეგულირებაში. სანამ დავიწყებდი ბალზამი „ალტაის ათმაგი ძალის„ მიღებას, დავდიოდი ჯოხით, მქონდა სახსრების ანთება და ხერხემლის ოსტეოქონდროზი. ვერ ვირეგულირებდი მაღალ წნევებს, ვიღლებოდი ადვილად. უამრავი პრეპარატების მიღებამ გამოიწვია კუჭ-ნაწლავის ანთებაც. მქონდა დაბალი იმუნიტეტი და ხშირად ვცივდებოდი.

ახლა კარგად ვარ. შედეგი მაქვს. მივიღე 6 კოლოფი ალტაის ათმაგი ძალა. დარეგულირდა წნევა. მოწესრიგდა კუჭ-ნაწლავის მოქმედება, მომეხსნა ტკივილი სახსრებსი,მომემატა ენერგია და იმუნიტეტი.ვარ მხნე და ხალისიანი! **ელეონორა ბექურაიძე. 75 წლის. ქ. თელავი.**

## ასევე გაყიდვაში გვაქვს მალამო ,,ეფექტუმი‘‘. ბალზამი ,,პრომიოდი‘‘ და ზეთი ,,ჟივიცა‘‘

## გაყიდვის განრიგი

**თბილისი**
**4,5,6,7,8,9 თებერვალი, 1)** ბახტრიონის 22. **15.00-17.00სს** 2) ასათიანის ქ. 14. ფასდაკლება არ ვრცელდება **10.00-18.00სს (შაბათ-კვირის გარდა)** 3) ვარკეთილი-3,2-მ/რ, სუხიშვილის ქუჩის ბოლოს, სესილია თაყაიშვილის 1, 167 და 150 მარშრუტკის ბოლო გაჩერება, ავერსის აფთიაქის თავზე **ყოველდღე, 10.00-20.00 სს**

**დუშეთი** სტალინის 31, კულტურის სახლი
**6 თებერვალი, 12.00-13.00 სს**

**თელავი** 26 მაისის ქ.5, ჭადრაკის სახლი
**7 თებერვალი, 11.00-12.00 სს**

**რუსთავი** შარტავას 15, ქალთა კონსულტაციის შენობაში
**8 თებერვალი, 12.00-13.00 სს**

**გორი** სტალინის გამ. 24. კაფე შადრევანი.
**9 თებერვალი, 12.00-13.00 სს**

**ბათუმი** ყაზბეგის 15, სასტუმრო „ყაზბეგი“
**10 თებერვალი, 10.00-12.00 სს**

**ოზურგეთი** იოანე პეტრიძის 1, რესტორანი „იზაბელა“.
**10 თებერვალი, 11.00-12.00 სს**

**ქობულეთი** აღმაშენებლის გამზ.388,სასტუმრო-კაფე „რივიერა“
**10 თებერვალი, 13.00-14.00 სს**

**ფოთი** 9 აპრილის 10. „ბალუ“
**10 თებერვალი, 15.00-16.00 სს**

**ზუგდიდი** გამსახურდიას 26. „ატრიუმი“
**10 თებერვალი, 17.00-18.00 სს**

**სამტრედია** რუსთაველის 21,რესტორანი ჭურტავა
**11 თებერვალი, 10.00-11.00სს**

**ქუთაისი** კოსტავას 25, სასტუმრო „ლია“
**11 თებერვალი, 12.00-13.00სს**

**ზესტაფონი** ჭანტურიას 50, აფთიაქი 36/6. ბაზრის შესასვლელ.
**11 თებერვალი, 14.00-15.00 სს**

**ჭიათურა** აღმაშენებლის 91, სასტუმრო „ნელი ტაბატაძე“
**11 თებერვალი, 16.00-17.00 სს**

**ახალციხე** კოსტავას 4/24 ბარი „სტუმრად ნუკისთან“
**12 თებერვალი, 10.00-11.00 სს**

**ბორჯომი** რუსთაველის 101. სასტუმრო „ოლიმპი“
**12 თებერვალი, 12.00-13.00 სს**

**ხაშური** კოსტავას 6. აფთიაქი.
**12 თებერვალი, 14.00-15.00 სს**

ბალზამი “ალტაის ათმაგი ძალა” ერთი შეფუთვის ფასი: 36.40 ლარი
ინვალიდებისა და პენსიონერებისათვის: 33.40 ლარი
მალამო “ეფექტუმის” ერთი შეფუთვის ფასი: 32.20 ლარი
ინვალიდებისა და პენსიონერებისათვის: 29.40 ლარი
ადგილზე მიტანით ქ. თბილისში (ფასდაკლება არ მოქმედებს)
მინიმალური შეკვეთა – 4 შეფუთვა
არ წარმოადგენს მედიკამენტს.
მიღებამდე გაიარეთ ექიმის კონსულტაცია.
საქონელი სერტიფიცირებულია

www.apifito.net

(+995) 571 22 98 98

# ოზონოთერაპია სისხლძარღვების განმენდისა და გულის დაავადებებისგან თავდაცვის საუკეთესო საშუალებაა

WWW.AINO.GE
აინო
ოზონოთერაპიის კლინიკა

**ოზონოთერაპიას, მისი ეფექტის გამო, სისხლძარღვების თერაპიასაც უწოდებენ. იგი ორგანიზმში არსებულ სისხლძარღვებს წმენდს და ხელს უწყობს სისხლის მიმოქცევის აღდგენას კაპილარულ დონემდე, სწორედ აქედან გამომდინარეობს მისი დადებითი შედეგები კარდიოლოგიური პრობლემების მკურნალობისას. ამის შესახებ დეტალურად ოზონოთერაპიის კლინიკა „აინოს“ დამფუძნებელი, ქალბატონი ადა მჭედლიძე გვიამბობს:**



**— ქალბატონო ადა, კონკრეტულად რა დაავადებების სამკურნალოდ გამოიყენება ოზონოთერაპია და რამდენად ეფექტიანია იგი კარდიოლოგიური პრობლემებისას?**

— ოზონოთერაპია ეფექტიანია გულსისხლძარღვთა პრობლემების სამკურნალოდ. მას გააჩნია, როგორც პრევენციული ხასიათი, აგრეთვე, ძლიერი თერაპიული ეფექტი. კერძოდ, იგი გამოიყენება გულის დაავადების სამკურნალოდ და პროფილაქტიკის მიზნითაც, რათა პაციენტი დაზღვეული იყოს ყოველგვარი გართულებისგან. მოგეხსენებათ, თუკი სისხლძარღვების კედლები გაწმენდილია და სისხლის მიმოქცევა მოწესრიგებული, ინფარქტის, გულის იშემიური დაავადების ან რაიმე სხვა კარდიოლოგიური დაავადების განვითარების ალბათობა ნაკლებია, თუმცა პოსტინფარქტულ პერიოდშიც კარგი შედეგები მიიღწევა. ხშირად გვაკითხავენ პაციენტები სტენტირების შემდეგ და მათი მდგომარეობაც საგრძნობლად უმჯობესდება.

**— აქვს თუ არა ოზონოთერაპიას გვერდითი მოვლენები და შესაძლებელია თუ არა მისი გამოყენება სხვა მედიკამენტების პარალელურად?**

— ოზონოთერაპიას გვერდითი მოვლენები არ გააჩნია. პირიქით, ის აჯანსაღებს მთელ ორგანიზმს და გულის დაავადებების პარალელურად მრავალ სხვა პრობლემას მოუგვარებს პაციენტს.

ოზონოთერაპიას, ასევე, არ აქვს კონფლიქტი სხვა სახის თერაპიასთან. შესაძლებელია, გამოყენებულ იქნას, როგორც ცალკე აღებული მონოთერაპია, ასევე მედიკამენტოზური მკურნალობის პარალელურადაც. ოზონი წვავს ჭარბ ქოლესტერინს სისხლში, აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას და ორგანიზმი უკეთ ითვისებს ნებისმიერ წამალს.

**თქვენ სამსახურში გვიგულეთ!**

**მისამართი: თბილისი, მცხეთის ქუჩა №8.**
**ტელ: 225-31-39, 571-25-55-33 WWW.AINO.GE**
**WWW.FACEBOOK. COM/AINO.GE**



**გასულ კვირაში, 2015 წლის 28 იანვარს ბაქო-თბილისი-ყარსის ტრანსეროვნულ სარკინიგზო მაგისტრალზე პირველმა სატესტო მატარებელმა გაიარა. შპს მარაბდა-კარწახის მშენებლობის კოლექტივმა (ხელმძღვანელი ოლეგ ბიჭიაშვილი) დასახული პროგრამა წარმატებით შეასრულა. საზეიმო ღონისძიებას, რომელიც ამ მნიშვნელოვან ფაქტთან დაკავშირებით გაიმართა, საქართველოსა და აზერბაიჯანის მთავრობათა წევრები და მშენებლობის ხელმძღვანელები დაესწრნენ.**
**წერილს ამ მოვლენის შესახებ „საქართველო და მსოფლიოს“ მომავალ ნომერში შემოგთავაზებთ.**

## მკურნალობა მამაკაცებისთვის

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდვის შეკავება, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის წმენდა უჯრედულ დონეზე სოკოვანი და მიკრობული ინფექციებისგან, რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, ნევროზი) ღვიძლის ფუნქციის აღდგენა-მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით უკუჩვენების გარეშე.

მკურნალობა — ინდივიდუალური დანიშნულებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი შედეგით.

**ტელ. 558-15-63-87;**
**218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა**
**მის.: აღმაშენებლის №154 «მწვანე ოფისი»**

# დაავადებები არ შეცვლილა, მეც ვმკურნალობ ისე, როგორც უწინ ჩემი წინაპრები — უოპერაციოდ!

## სახსრებისა და ხერხემლის მკურნალობა უოპერაციოდ

**ჩვენი დღევანდელი სტუმარია ძირძველი მესხი, პროფესიით ექიმი, მანუალური თერაპევტი, სახალხო მკურნალი, საგვარეულო მეთოდების უბადლო მცოდნე, ბატონი ნუგზარ თაბუნიძე. თაბუნიძე ძირძველი მესხური გვარია, თაბუნიძეთა საგვარეულო მეთოდით მკურნალობა კი — ძველისძველი და რამდენიმე საუკუნეს ითვლის. ბატონი ნუგზარი წარმატებით კურნავს იმ ადამიანებს, რომელთაც წელის ტკივილი და ქრონიკული დაავადებები ტანჯავს: რადიკულიტი, დისკოზი, პროლაფსი, პროტრუზიო, დისკოპათია, ართროზი, იშიაზი, მარილების დაგროვება, ნერვის ანთება. იგი იყენებს საგვარეულო რეცეპტით დამზადებულ წამლებს, რომლებიც რამდენიმე ათეული ბალახისგან მზადდება. ყველა ეს წამალი სერთიფიცირებული და ლიცენზირებულია.**



**— ბატონო ნუგზარ, ჩვენი საუკუნის დაავადებებია ნივთიერებათა ცვლის დარღვევა, ნევროზის სხვადასხვა ფორმა, სულიერი და ფიზიკური ტრავმები, გაციება... ამას ემატება ექიმთან დროულად არ მისვლა... რა მოსდევს ყოველივე ამას?**

— ძირითადად, გვხვდება სახსრების ანთება, ამ დროს სინოვიალური სითხე ნელ-ნელა შრება; დამცავი ქსოვილი, რომლითაც დაფარულია მალები და სახსრის ზედაპირი, იწყებს გარქოვანებას. დროთა განმავლობაში მალებს შორის არსებული ნაპრალი და სივრცე ამოივსება. ეს ყველაფერი იწვევს სახსრების დეფორმაციისა და ინვალიდობას. ვწუხვარ, რომ ძალიან გავრცელდა სახსრებისა და ხერხემლის დაავადება. ამ სნეულებას ხშირად მიაწერენ მარილების დაგროვებას, ართრიტებს, ართროზებს და სხვა დაავადებებს, შესაბამისად, არასწორი მკურნალობა უკუშედეგს იძლევა.

**— თაბუნიზეთა საგვარეულო წამალით თქვენი ძმებიც მკურნალობენ, ვის მიუწვდება ხელი უძველეს რეცეპტურაზე?**

— როგორც ჩვენი წინაპრები, ჩვენც მკაცრად ვიცავთ უფროს-უმცროსობას. მკურნალობის საიდუმლო უფროს ვაჟს გადაეცემა (ასულზე აკრძალულია). პაციენტების მიღება კი მხოლოდ 20 წლიდან შეიძლება. მყავს 2 უმცროსი ძმა. ისინი მკურნალობენ ჩემ მიერ დამზადებული წამლებით. ის წამლები, რომლებითაც ვმკურნალობ უოპერაციოდ დისკოპატიას, პროლაფსს, ხერხემლის თიაქრებს, პროტრუზიოს, მალფუჭებადია; ინახება ძალინ მცირე დროით, ამიტომ ასეთ პაციენტებს მხოლოდ მე ვმკურნალობ.

**— თქვენს საგვარეულო წამალს აქვს გავლილი ფარმაკოლოგიური შემოწმება, თუ გქონიათ პრაქტიკაში უკუჩვენება?**

— დიახ, თაბუნიძეების მალამო 90-95% ბალახოვანი მცენარეებისგანაა დამზადებული, თუმცა ნაწილობრივ მესხეთში არსებულ ქანებსაც შეიცავს. ამ ყველაფერს ემატება ირმის რქა და სხვა ცხოველური კომპონენტები. ნაყენი, ძირითადად, სახსრების დაავადებას კურნავს: ოსტეოქონდროზს, მარილების დაგროვებას; რადიკულიტს — წელის, გულ-მკერდის, კისრის და დიკოგენურს. ასევე მკურნალობას ექვემდებარება ყველანაირი ნერვის ანთება, გარდა სახის ნერვის ანთებისა; ასევე იკურნება ინფქციური და რევმატული ართრიტი და ართროზები, იშიაზი, სქოლიოზი, პლექსიტი, კუჭის, თირკმლის, ღვიძლის, ნაღვლისბუშტის დაავადებები.

მკურნალობას კომბინირებული მეთოდით ვატარებ: წამლის შინაგანი მიღებითა და შეზელვით. პრალელურად ვატარებ მანუალურ თერაპიას, თუ საჭიროა, ტრადიციულ მედიცინასაც მივმართავ. ჩემი წამლები სამი სახისაა: დასალევი, ანუ შინაგანი, სხეულზე წასასმელი სითხე და ასევე წასასმელი მალამო. ყველა ეს წამალი სერთიფიცირებული და ლიცენზირებულია. უოპერაციოდ ვმკურნალობ დისკოზს, პროლაფსს, პროტრუზიოს, დისკოპათიას. 42 წელია, ამ საქმეს ვემსახურები და მთელი ამ ხნის განმავლობაში ჩემს წამლებს უკუჩვენება არ ჰქონია.

**ნანიკო ითაშვილი**

**მის.: წყნეთის ქუჩა №3, ტელ.: 599-22-11-66**

## სწრაფი ზრდა

2-დან 25 წლამდე სიმაღლის 3-5 სმ მომატებით, ვიტამინებისა და ამინომჟავების კომპლექსით: ვარჯიშები, ზრდის ზონების გააქტიურებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს.

**გახდომა-გასუქება** — თვეში 5-15 კგ. — დიეტისა და ვარჯიშების გარეშე, ცხიმების აქტიური წვა, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგება. მიღებული შედეგის შენარჩუნება. ასევე, ძვალ-სახსართა პათოლოგიების, კოქსართროზების, ოსტეოქონდროზის, ოსტეპოროზის და ა.შ. მკურნალობა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა. მკურნალობა ტარდება ნაოპერაციევ-საოპერაციო სახსრებზე მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ. 558-15-63-33;**
**218-46-08 ექიმი ნინო**
**მის.: აღმაშენებლის №154 «მწვანე ოფისი»**

## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგეოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტური პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩევენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**

საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894